



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

910



ՄՈՆԵՅԿՈՒ 8

ՆՅՅՈՆԵՄ 1965



საქართველოს
ფოტოგრაფია

ფოტოგრაფი თარხან არჩვაძისა

სილსაკი



910

შინაარსი

თვიდან თვემდე 3

პოეზია

უილიამ შექსპირი — სონეტები	36
თამარ ერისთავი — ლექსები თუშეთზე	54
მირიან მირნელი — დაიბადა ადამიანი	63
ზრიგოლ ჯუღუშუნიძე — ლექსები	70
ნანა ღვინევაძე — ლექსები	71

პროზა

თენგიზ გოგოლაძე — კაცი კაცითა რომანი, დასასრული	7
ზიგი ხორნაშული — თუთი, მოთხრობა	46
პარლან კოხჩიანი — ზოზირა, მოთხრობა	56
მინეილ ლაპერაბი — ბზის ჯოხი, მოთხრობა	64
ჯორჯია კოსმინი — მგზავრი ქალი, მოთხრობა, დასასრული	72

ქრიფიკა და პუბლიცისტიკა

ანდრო მირიანაშვილი — ვლადიმერ ჰამბახიძის „ლიტერატურული წერილები“	109
---	-----

8

აგვისტო

1965

გამომცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საპარტვილოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

როინ მებრეველი — დიდგორის ბრძო-
ლის ეპოპეა 114

ნოდარ კიკვაძე — ბისმარკი და ლე-
გენდის აღორძინება 120

●

ხელოვნება

ლეილა თაბუკაშვილი — ხელოვნე-
ბა პატარებისათვის 127

●

რუსთაველის ნაქველევზე

შალვა ნუცუბიძე — რუსთაველი და
რენესანსის ფარგლების პრობლემა 133

●

ნარკვევი

ამირან აბშილავა — სტუმრად მე-
გობრებთან 145

●

იუმორი

იასონ ბერსამია — უკანასკნელი მანე-
თიანი, დასასრული 152

●

ყოველი მხრიდან

53

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ქელი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

მგენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენა მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსში ქართველი მევიოლინის ლიანა ისაკაძის ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

ახალგაზრდა მევიოლინემ პარიზის რთულსა და საპასუხისმგებლო კონკურსში პირველი ადგილი, ოქროს დიდი მედალი და ლაურეატობა მოიპოვა.

ქართულ ხელოვნებას კიდევ ერთი სახელმწიფეპილი მუსიკოს-შემსრულებელი შეემატა. საქართველოში აღზრდილი საერთაშორისო მნიშვნელობის მუსიკოსთა რიცხვი გაიზარდა და ქართულმა საშემსრულებლო სკოლამ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

„მუსიკოსის სტილი, თუ მას ასეთი რამ გააჩნია, მისი გემოვნება, სული და თავისებურება არისო“, — ამბობდა სახელგანთქმული ფრანგი პიანისტი ქალი მარგარიტა ლონგი. ლიანა ისაკაძის სტილი, მისი შემოქმედებითი ბუნება ბავშვობიდანვე კეთილშობილების, სინათლის, სილამაზის მახვილი გრძნობით ვითარდებოდა. პარიზის პროგრამაში შესული, მის მიერ შესრულებული და განცდილი ნაწარმოებები სწორედ ამ განწყობილებათა გაცოცხლება და აღმიაწმინდა ამ თვისებათა დამკვიდრებას

ემსახურება. მისთვის ძვირფასი და მახლობელია, ერთის მხრივ, პაგანინის, ვენიავსკისა და სენ-სანსის რომანტიული აღმაფრენა, ფორმის დახვეწილობა, სილამაზის ფაქიზი გრძნობა და მეორეს მხრივ, ბახის, ბეთჰოვენის და ბრამსის კეთილშობილური, შინაგანად გასხივონებული ლირიკა და ადამიანური სითბო.

თვრამეტი წლის ლიანა ისაკაძემ სიცოცხლის ყველაზე ლამაზსა და მომხიბვლელ ასაკში მიაღწია დიდ წარმატებას. ჟურნალი „ცისკარი“ ახალგაზრდა მევიოლინეს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს და მომავალშიც ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს. ამის საწინდარია მისი უჩვეულო ნიჭი და მუსიკის ჭეშმარიტი სიყვარული.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად ჟან ანუის ცნობილი პიესა „უანა დ'არკი“ უჩვენა (დამდგმელი ლ. მირცხულავა).

ორღენელი ქალწულის შინაგანი სამყარო და მისი გმირული სულისკვეთება ახლოა ჩვენი ხალხის ფსიქიკასთან, ჩვენი ერიც საუკუნეების მანძილზე ებრძოდა მოძალადე დამპყრობლებს, თავს იცავდა მომხდურისაგან; ვაჟაკების გვერდით ჩვენი სამშობლო

გმირ ქართველ ქალებსაც არაერთხელ უსახელებიათ. ამის მაგალითები როგორც ისტორიაში, ასევე მწერლობაში მრავლად გვხვდება. გავიხსენოთ თუნდაც ვაჟა-ფშაველას ლელა.

საუკუნეების სიღრმიდან ანათებს ფრანგი ხალხის ეროვნული გმირის ენას ცეცხლოვანი და მომხიბვლელი სახე — იგი ადამიანებს სამართლიანობისა და წმინდა ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

სწორედ ასე მიუდგა პიესის მთავარ როლს ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი სოფიკო ჭიაურელი. მისი ენა ხან ქალურად სათნო და ნაზია, ხანაც ძუვეფხვივით გამძვინვარებული — როცა განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოს ბედზე ფიქრობს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ს. ჭიაურელი ყველა სცენაში ჯერ კიდევ არ არის თანაბრად ძლიერი.

პიესაში მეტად კოლორიტულ სახეებს ქმნიან უფროსი თაობის მსახიობები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები გრიგოლ კოსტავა (ენას მამა) და აკაკი კვანტალიანი (ბოდრიკუნი). უდავოდ მოწონების ღირსია ვაიოზ სიხარულიძის ინკვიზიტორი; მსახიობი ოსტატურად გადმოგვცემს ბნელეთის მოციქულის, ამ სატანური პიროვნების მახინჯ ბუნებას.

ქარაფშუტა, უნებისყოფო მეფის (შარლ VII) კარგი სახე დაგვიხატა მსახიობმა ირაკლი უჩანეიშვილმა.

გვინდა შევნიშნოთ, რომ მსახიობ კ. თოლორაიას (ძმა ლადენიუ) მეტყველებას ცოტა გადაჭარბებული არტიტიზმი დაჰკრავს.

არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მსახიობს ტექსტი ეშლება, მაგრამ ეს ნაკლი იოლი დასაძლევია.

სპექტაკლი სადად, გემოვნებით არის გაფორმებული (მხატვარი გ. გუნია), რაც ჩვენი თეატრების ბოლოდროინდელ დადგმებში საერთოდ შეიმჩნევა.

სპექტაკლის წარმატებაში უთუოდ დიდი როლი შეასრულა იმ ამბავმა, რომ პიესის თარგმანი ცნობილ ქართველ მწერალს გრიგოლ აბაშიძეს ეკუთვნის.

ჩვენს ეკრანზე გამოვიდა ასევე კინო-კომედია, რომელსაც ცოტა არ იყოს, უცნაური სათაურე ^{გამოვიყენებ} „ბოდრიში, თქვენ გელით სიკვდილი!“ სცენარის ავტორები არიან არლი თაყაიშვილი და ზურაბ ჯაფარიძე. ფილმი დადგა ახალგაზრდა კინორეჟისორმა გუგული მეგლაძემ. ფილმში ბევრი რამ მახვილგონივრული და საინტერესოა, მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები: ცეცილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, იპოლიტე ხვიჩია და სხვები. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ ფილმი მაყურებლის მოწონებას დაიმსახურებდა, მით უმეტეს, რომ ქართული კინოსტუდია კომედიებით მაინცადამაინც არ გვანებებოვრებს.

კინოკომედია „ბოდრიში, თქვენ გელით სიკვდილის“ სიუჟეტი ნახევრად ანეგდოტურია: გოგონა იპოვნის უბის წიგნაკს, სადაც ჩამოთვლილია იმათი გვარები, ვისაც ერთი ანონიმური პიროვნება სიკვდილით ემუქრება. შეუფოთებული გოგონა ქალაქში დადის და უბის წიგნაკში ჩამოთვლილ პირებს ეძებს და აფრთხილებს, ეს ქმნის კომიკურ სიტუაციებს, მაგრამ ფაქტი თავისთავად რამდენადმე არაბუნებრივი და ხელოვნურად გამოგონილია, რაც თავიდანვე აბრკოლებს მოქმედების ძალდაუტანებელ განვითარებას.

კომედია ყოფითია, იგი აგებულია ჩვენს თანამედროვეობაზე, მხილებულია ნაკლოვანებანი, ამდენად, აუცილებელია, რომ ფილმში მოთხრობილი ამბავი, მიუხედავად კომიკური გროტესკისა, სინამდვილეს შეეფერებოდეს.

ფილმის სცენარი დრამატურგიულად სუსტია, იგი ერთმანეთთან ნაძალადევადად დაკავშირებული ფრაგმენტებისაგან შესდგება, ეს ფრაგმენტები კი უფრო სექტჩებს მოგვაგონებს. ფილმის ავტორები გრძნობენ, რომ შექმნილი მდგომარეობა არცთუ ისე კომიკურია და ამის კომპენსაციას მოძველებული კომედიოგრაფიული ხერხების გამოყენებით ცდილობენ (მილში გაძრომის სცენა, ელექტრომაგნიტით გმირის მიზიდვა, რასაც ფრიად გულუბრყვილო

სიმბოლური ხასიათი აქვს; უსახელო წერილების ავტორის კოცონზე დაწვა, მწერალი ქალის მიერ მილიციის განყოფილებაში რომანის კითხვა და სხვა).

ასეთი სცენები მაყურებელზე აღარავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, რადგან ისინი ცუდი საესტრადო ნომრების დონეს ვერ სცილდებიან.

ფილმის მთავარი გმირების ხასიათები უმეტეს შემთხვევაში სქემატურია, ისინი შექმნილია კომიკური სიტუაციების თვითმიზნური გამოყენებისათვის, რაც მათ საშუალებას არ აძლევს თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი მთლიანად გამოავლინონ.

მიხეილ ჭიაურელის ახალი ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ არ არის ა. ცაგარლის ცნობილი ნაწარმოების მხოლოდ ინტერპრეტაცია. სცენარის ავტორს, ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს ნ. წულეისკირსა და დამდგმელ კოლექტივს ბევრი უმუშავიათ, რათა ეკრანზე ქართველი კლასიკოსის პიესის გმირთა გაცოცხლებისას არ შეზღუდულიყვნენ მხოლოდ მწერლის მიერ მოცემული მხატვრული პასაჟებით. ყველაზე მთავარი რამ, რაც ყურადღებას იქცევს ფილმში, ეს არის ქალაქური ფოლკლორის, ყარაჩოღელთა ზნე-ჩვეულებისა თუ მაშინდელი ხასიათების უნაკლო ცოდნა. მაგრამ ერთი რამეც უნდა აღინიშნოს: კლასიკური ნაწარმოებისადმი ასე თამამი დამოკიდებულებისას ყოველთვის როდია დაცული ზომიერება. ფილმში, განსაკუთრებით მის შუა ნაწილში, ბევრი ადგილი მაყურებელს გაჭიანურებული და არაკინემატოგრაფიული ეჩვენება (მაგალითად, ავტიკას საუბარი თავადთან). გარდა ამისა, პერსონაჟთა დახასიათებისას ყოველთვის თანამიმდევარნი როდი არიან ფილმის ავტორები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სცენარის ავტორსაც და დამდგმელსაც ხელთ უადრესად საინტერესო მასალა ჰქონდათ, ყარაჩოღელთა სახეები მეტწილად მინც

მკრთალია. სამაგიეროდ, თამამად შეიქმნება ითქვას, რომ მსახიობთა უსტუტობა უზადოა. არავის გაუკვირდება ჩვენი სახელმწიფოებრივი ოსტატების ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ხორავას, ვასო გომიაშვილის, აკაკი კვანტალიანის, ვახტანგ ნინუას კარგი თამაში. სასიხარულო ის არის, რომ მათ გვერდით ნამდვილ ოსტატებად გვევლინებიან ახალგაზრდა ხელოვანნიც. კერძოდ, ძალზე კარგია მრავალმხრივად ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი გიორგი შენგელაია. ღირსეულ პარტნიორობას უწევს მას სოფიკო ჭიაურელი. თქმა არ უნდა, ამ ორიოდ სტრიქონით შეუძლებელია ფილმის სრულყოფილი ანალიზი და მისი შეფასება, მაგრამ ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას: ახალმა ქართულმა ფილმმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობის ეკრანიზაცია და ამ საქმეში პირველი სიტყვა, ცხადია, უნდა თქვან ისეთმა ოსტატებმა, როგორიც მიხეილ ჭიაურელია.

ოენისის ბოლოს სამხატვრო გალერეაში მოეწყო რესპუბლიკის მხატვრების საგაზაფხულო ნამუშევართა ტრადიციული გამოფენა. ფუნჯის გამოჩენილი ოსტატების — ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის და სხვათა გვერდით უხვად არის წარმოდგენილი ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის ნაწარმოებები.

ზურაბ ნიყარაძემ სამი ახალი სურათი წარმოადგინა ამ გამოფენაზე. სამივე სურათში ავტორის დიდი გემოვნება და ოსტატობა ჩანს. მეტად მიმზიდველი და პოეტურია „ბიჭი და ცხვარი“. მის იტალიურ ციკლს მხატვარმა ერთი საინტერესო ნახატიც შემატა „სიენას ქუჩა“.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ჟანი მექმარიაშვილის აკვარელი — „მარინა“. ამ ნაწარმოებში ფაქიზად არის გადმოცემული ქალიშვილის სილამაზე და სულიერი სიწმინდე.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ამავე მხატვრის „ვენეციაზე“.

პროფესიული ოსტატობა და დახვეწილობა არ აკლიათ ა. ვარაზის, თ. სოსელიას, ი. მექვაბიშვილის პორტრეტულ ნამუშევრებს.

მოწონებას იმსახურებს ა. გორგაძის ნახატები: „ძველი პრადის ქუჩა“, „მეტრომშენი“ და სხვ. შეიმჩნევა, რომ მათი ავტორი გამოსახვის ანალ ხერხებს ექებს.

ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი თენგიზ მირზაშვილი ამჯერად მხოლოდ წიგნის გრაფიკით არის წარმოდგენილი, თუმცა ავტორის თავისებური მანერა და შინაგანი კულტურა ამ ილუსტრაციებშიც ნათლად ჩანს.

გემოვნებითა და საქმის ცოდნით გამოირჩევა ნიკოლოზ ივანატოვის გრაფიკული ეტიუდები, აგრეთვე კოსტუმების ესკიზები ბალეტისათვის „ქორეოგრაფიული ნოველები“.

გამოფენაზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჭედურ ხელოვნებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ირაკლი ოჩიაურის ნამუშევარი „გოგონა რგოლით.“ ავტორს ხელშესახე-

ბად, პლასტიკურად გადმოუცვალა ქალი-შვილის მოძრაობა, ვარჯიში-მოძრაობა. მონუმენტურობის საინტერესო ცდას ვხედავთ დიმიტრი ყიფშიძის ნამუშევრებში. ჭედური ხელოვნების კარგ ნიმუშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ თ. გიგაურის „ლომი“, ნ. შავგულიძის „ძველი თბილისი“, ი. ქოიავას „ჭაშნიკი“ და სხვ.

მნახველს ნამდვილად ვერ მიანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას ა. თოფურიძის ბარელიეფი „რუსთაველი პალესტინაში.“ აქ გამოსახულ რუსთაველს არც ტრადიციულ პორტრეტთან აქვს მსგავსება და არც ფერესკასთან, თუმცა ეს არ არის მთავარი — ავტორმა ვერ გადმოსცა დიდი პოეტის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი მღელვარება.

აქვე უნდა ვახსენოთ გ. მიქაძის ბარელიეფები; მათში ოსტატურად, პოეტურად არის ასახული ჩვენი დღევანდელი დღეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოფენაში ბევრი ნიჭიერი მხატვარი არ მონაწილეობს, იგი მაინც ნათელ სურათს გვაძლევს ჩვენი მხატვრების შემოქმედებითს შესაძლებლობებზე.



იენგიზ გოგიაძე

კასი კასია

რომანი

თავი მეთხუთმეტი

მემოდგომის დამდევს მენშევიკებმა ხიფათის სიახლოვე ივრძნეს და თავი რომ გადაერჩინათ, თავიანთი გვარდიის გაძლიერება დაიწყეს — ახალგაზრდობას ჯარში იწვევდნენ.

გოსტაბაშვილის მემკვიდრეს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: ქოსა მდივანთან ერთად თავად დადიოდა კარი-კარად და ჭაბუკებს ჯარში იხმობდა.

ახალგაზრდები კი ზოგი კასპში ჩასვლამდე იკარგებოდა, ზოგი კასპიდან ქრებოდა. მერე შინაურებს ფარულად მოსდიოდათ ცნობა, კარგად ვართ, ნურას იჯავრებთო. ვერც ერთმა ახალქალაქელმა და გარიყულელმა ვერ ჩააღწია თბილისში ვერის ყაზარმებამდე, სადაც სოფლებიდან ჩამოსულ წვევამდელებს უყრიდნენ თავს. და აი, ჯერი ჭიჭია-ვანაზე და გოლაზე მიდგა. ისინი ერთად დაიბარა ესტატემ:

— ჯარში უნდა წახვიდეთ. გასმევენ, გაჭმევენ, ჩაგაცმევენ! მეტი რაღა გინდათ!

— იფ, შენ გენაცვალე! — ტაში შემოჰკრა ვანამ და გოლას გადახედა. გოლა თავჩაქინდრული უყურებდა ეროზის საბჭოს ახალ თავმჯდომარეს.

— შენ რა ყურები ჩამოგიყრია, ბიჭო? უარზე ხომ არა ხარ? — თვალებით დასუსხა ესტატემ.

— არა, უარზე რად უნდა ვიყო! ჩემთვის სულ ერთია! — მხრები აწურა გოლამ და ქოსას გადახედა.

— თქვენც თუ გამოქცეულხართ!.. — ესტატემ სათქმელი არ დაამთავრა. ისედაც გასაგები იყო, რას ნიშნავდა ეს „თუ“, მაგრამ არც ჭიჭია-ვანას და არც გოლას ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ცოლ-შვილი მათ არა ჰყავდათ და მამული არ გააჩნდათ. არაფრის დარდი არ მიჰყვებოდათ. თითო ხელი დაფლეთილი ტანსაცმელი ებადათ. ესეც თან მიჰქონდათ.

— რად გამოვიქცევით, რა!.. ჯერ არ წავსულვართ და გამოქცევაზე რად ლაპარაკობ, ესტატე? შენგან მიკვირს, ჭკვიანი კაცი ხარ! — თქვა ჭიჭია-ვანამ, — თოფს მოგვცემენ?

— თოფსაც მოგვცემენ და ხმალსაც.

ამასობაში ესტატემ საბუთები გაამზადა.

— კასპში ჩახვალთ, შესაკრებ პუნქტში, მერე იქიდან თბილისში წაგიყვანენ. გოლა, შენ კითხვა იცი და მიაგნებ, — უთხრა მან ბიჭებს.

— სანამ გენერალი არ გავხდები,

ახლა ქალაქში ჩემი ფეხი არ იქნება, ესტატე, — თავისას არ იშლიდა ჭიჭია-ვანა, — არ მომიხდება ჯინჯილები, თუ რა! აბა, კარგად იყავით!

საბჭოს კანტორიდან გავიდნენ თუ არა, ჭიჭია-ვანამ თავისუფლად შემოს-ძახა.

— ახლა შინ წავიდეთ, ბიჭო, მივხედ-მოვხედოთ იქაურობას და მერე გზას გავუდგეთ, — უთხრა მას გოლამ.

ჭიჭია-ვანა შინ მივიდა და დას ახარა, ჯარში გამიწვიესო. ქალის თვალებში სიბრაღულის ცრემლი დაინახა და გაუ-კვირდა. გაუკვირდა იმიტომ, რომ პე-ლოს არასოდეს არ შეპბრალებია იგი, არასოდეს თბილი სიტყვა არ უთქვამს მისთვის. გაუკვირდა და ენა მუცელში ჩაუვარდა.

— მართლა, ბიჭო?

— მართლა, მა რა! გენერალი რომ გავხდები, მაშინ ნახავ... არც მაშინ დაი-ჯერებ?!

ქალმა ცრემლი მოიწმინდა, თავშალი მოიხვია და სოფლის შარახე დაეშვა. ერობის საბჭოში იმ დროს მივიდა, რო-ცა ესტატე კიბზე ჩამოდიოდა.

— ვანოს ჯარში გზავნით?

— მერე რა იყო, ქალო?

— განა ასეთები ჯარში გამოდგე-ბიან?

— ვითომ რატომ არაო! სალდათს ჭკუა რად უნდა! ვანო ღონიერია და სირბილიც კარგი იცის. ჯარში მეტი რა უნდა! ეტყვიან, ისროლეო, ეგეც ისვრის. ეტყვიან, გაიქციეო და გაიქცევა, — გულგრილად ეუბნებოდა ესტატე. — ახლა მაგ საქმეს არაფერი ეშველება... მე ხალხსა მთხოვენ. უნდა წავიდე!

— ვაიმე, ძმაო, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი! — პელო შეტრიალდა და შინისა-კენ გაიქცა.

ვანო დას ელოდებოდა.

ქალი მივარდა ვანას, მხურვალედ დაპკონა, მერე ხალათ-შარვალი ჭრელ-ჭრული საკერავეებით დაუკერა, თან მდულარე ცრემლს აფრქვევდა.

ასევე ემზადებოდა გოლაც.

ნაშუადღევს მათ ბერდოს მიაკითხეს. აბა, ისე როგორ წავიდოდნენ, რომ იგი

არ ენახათ. ბერდოს არ გაჰკვირვებია მათი ჯარში გაწვივა. გულდაწყვეტილ-მა გზა დაულოცა ბიჭებს და გოლას რალაც წერილი გადასცა.

— ქალაქში რომ ჩახვალ... ქალაქი დიდია, ბიჭო, იცი რამოდენა?

— რა ვიცი, გუშინაც იქ არ ვიყავი! — მიუგო გოლამ.

— ვნახავ და გავზომავ, ბერდო! — მხრები შეათამაშა ჭიჭია-ვანამ.

— გავაზომინებენ! მუცლით გახობე-ბენ და ისე გავაზომინებენ! — უთხრა ბერდომ. მან კარგად იცოდა, რას ნიშ-ნავდა მუცლით „ვაზომვა“.

— მუცლით რათა, ფეხები არა მაქვს! — გაიკვირვა ვანამ.

— დაწოლილი უნდა გახობდე, ტყვი-ას რომ დაგაყრიან, ფეხზე მდგომს უფ-რო მოგხვდება, ვიდრე დაწოლილს!

— ტყვიას დამაყრიანო?! ებიმი! რას მერჩიან! ვის რა დაეუშავე, კაცო?!

— აბა, მე რა დაეუშავე! თვალით მინახავს, თვალით ვუნახივარ? ისე და-მეძგერნენ, გეგონებოდათ, სულ იმათ სისხლსა ვწოვდი. ესეა ეს სოფელი აგე-ბული, ჩემო ვანა. რას იზამ! ახლა კი არა, ომი რომ იქნება, მაშინ გეცვრიან.

— მანამ ომი არ იქნება, ხომ არ მესვრიან და! — გაეხარდა ვანას.

— კარგად იყავი, ბერდო! — ხელი ჩამოართვა გოლამ.

ბერდო ცოტაზე გაჰყვა ბიჭებს.

— ეგ წერილი არავინ გინახოს, გოლა. „საქართველოს კომუნისტის“ რედაქ-ციაში მიიტან და პირადად ვარლამ თოფურაძეს გადასცემ. გაიგე?

— გაიგე. — გოლამ წერილი უბეში ჩაიდო.

— მანდ არა ვწერ, მაგრამ შენ უთხა-რი, რომ ჩვენიანი ხარ და დაგეხმარება. წიგნებს მოგცემს, დაგარიგებს. მერე რიყეზე ჩადი, წისქვილთან. იქ ჩვენე-ბური დათებაა. ხომ იცნობ დათებას? ჰოდა, მიდი, ყველაფერი უამზე, რაც თავს ვადაძხდა.

— უთუოდ ვნახავ, ბერდო. ახლა, აქედან მიაგნებ წისქვილის კარსა?

— რას ამბობ! ვხედავ, ბიჭო! უსინათ-ლოდა ვხედავ! გუშინ ღარის სათავეში

მარტო ავედი. ეგრე ნუკი მიყურებ! ბერ-
დო საფლაგშიაც იცოცხლებს! აბა, ბი-
ჭებო, ღმერთმა ხელი მოგიმართო!

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭები ახალქა-
ლაქს ვასცდნენ. პელომ გააცილა ძმა
და აცრემლებული გაბრუნდა შინ.

ჩოჩქეთი გაიარეს და კასპის მტერიან
შარას დაადგნენ.

— ფაიტონით რომ დაგბრუნდები!
პაი ღედასა! — გულზე ხელი დაიბაგუნა
ჭიჭია-ვანამ და სიმღერა შემოსძახა.
სიტყვებიც მისი იყო და ჰანგიც. მინ-
დორ-მინდორ ისე მიაბიჯებდა, თითქოს
კასპში ჩავიდოდა თუ არა, გენერლის
მუნდირს, ებოღებტებსა და მოხდენილი
ცხენებით გამართულ ეტლს მაშინვე
დაახვედრებდნენ.

ერთის გულში უდარდებლობა მღერო-
და, მეორისას კი დარდის ჭია ხრავდა.

კასპში ჩავიდნენ და შესაკრებ პუნქტ-
ში გამოცხადდნენ. მათთან ერთად რამ-
დენიმე ბიჭს იმავე საღამოს თბილისის-
კენ უკრეს თავი.

მატარებელმა მთლად გადარია ჭიჭია-
ვანა. გოლასაც გაფართოებოდა თვალე-
ბი. ხმას არ იღებდნენ და გატრუნულ-
ნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ვაგონის
ფანჯრებს სიბნელე მოსდგომოდა. შიგ-
ნით ობოლი ფარანი ბუტყავდა. და
ამ ნახევრადბნელ ვაგონში ორი გული
შიშით ფართხალებდა.

ქალაქის ჩირადნებმა თვალეები აუჭ-
რელა ბიჭებს. გვიანი ღამე იყო, მაგ-
რამ მატარებელს უამრავი ეტლი დახ-
ვდა. სადგურის მოედანი სავსე იყო
ხალხით. საიდანღაც ტრამვაი გამოლო-
და და მოსახვევში ისეთი ჭრიალ-ხრია-
ლი ასტეხა, რომ დამფრთხალი ჭიჭია-
ვანა გოლას მიეკრა და ალულლულდა:

— ვაიმე, დედა!

— სუ, გაჩუმიდი! — შეუტია გოლამ.

მერე კასპიდან ჩამოსულ წვევამდე-
ლებს გაჰყვნენ. ქალაქში ნამყოფი ბი-
ჭები იყვნენ და არაფერი გაჰკვირვე-
ზიათ.

— ვერის ყაზარმა შორს არის. ფე-
ხით დილამდე ვერ მივალთ. — თქვა
ერთმა ბიჭმა.

— მაშ, რა ვქნათ? სადგურზე ხომ არ
დავჩრებიო?

— ფაიტონით წავიდეთ.

— ფული?

— თითო გროში შევაგროვოთ, სულ
არაფერი გაბადიათ?

ბიჭებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს, შეაგ-
როვეს რაც რამ ებადათ და მერე
მეეტლესთან მივიდნენ.

— აი, ჩვენი ფული. ხუთნი ვართ.
წავგიყვან?

მეეტლე გადმოიხარა, ფული დათვა-
ლა და სიტყვის თქმაც არ იკადრა.

— პა, წავგიყვან თუ არა? — გული
მოუვიდა ერთ-ერთ ჭაბუკს.

— გაიარე, შვილო! — თვალეები გად-
მოუბრიალა მეეტლემ.

ამ დროს სადგურთან დროგმა გაი-
რახრახა. ბიჭები წინ გადაუდგნენ.

— წავგიყვა, ვერის ყაზარმამდე წავ-
გიყვა! — შეუძახეს მედროგეს.

— იი! — გაიკვირა მან.

— ფულს გაძღვეთ. აპა, დაიჭი! —
ძალით ჩაუჩხრიალეს ფული.

მედროგემ გროშები დაითვალა და
ბიჭებს გადმოსძახა:

— ჯანდაბას თქვენი თავი, დასხე-
ლით!

— იფ, შენ გენაცვა! — წამოიძახა
ჭიჭია-ვანამ, როცა დროგში მოკალათ-
და. — ფაიტონს არა სჯობია?!

მედროგემ სადავეები აკრიფა და ცხე-
ნებს დაუწრუპუნა. დროგი რახრახით
დაეშვა პლენანოვის პროსპექტისაკენ.
ქალაქი გადასჭრა, ხიღზე გადაირახ-
რახა და მერე აღმართს აუყვა.

დროგი მირახრახებს. მოიჩქარიან და
უკან გარბიან ქუჩის მკრთალი ლამპიო-
ნები. ბიჭებს თვალს უბაჭუნებენ, შეა-
ნათებენ, დროგის ჩრდილს გაათამაშე-
ბენ, გასწვლავენ, გააქრობენ, მერე ყვე-
ლაფერი თავიდან მეორდება.

მთავარი ქუჩა რომ გათავდა, მერე
სიბნელემ დაისადგურა. ვერა სოფელს
ჰკავდა. ქალაქი დასრულოდა, უცებ ნანა-
ხი და განცდილი სიზმარივით გაქრა.

თენგიზ გოგოლაძე

კაცკი კაცითა

ისედაც თავრეტდასხმული ბიჭები უფრო მეტად გაბრუდნენ და დაიბნენ. ჭიჭიანას ალტაცებას ვერაზე მოედო ბოლო. როგორც კი სიბნელეში შევიდნენ, მაშინვე გაჩუმდა, მოიკუნტა და გოლას მიეკრა. გოლას დარდი შემოაწვა, ერგენებოდა, ამ უცხო და მიუსაფარ მხარეში ერთ წუთსაც ვერ გავძლებო.

რა უნდა ამ ქალაქში? სიავე იყო თუ სიცივე, შიმშილი თუ სიტიტველე, მაინც სოფლის ორღობეები და ველ-მინდვრები ერჩინა. ახლა სად მირახრახებს ეს დროგი? მირახრახებს და გზას ბოლო არ უჩანს. ბნელა. ქალაქი უკან დარჩა. წინ რაღაც ჯურღმულები გაჩნდა.

როგორც იქნა, დასრულდა მგზავრობა. მედროგემ ცხენები შეაკა და ბიჭებს უთხრა:

— აგერ, იმ გორაკზე რომ სახლებია, იქ არის თქვენი ყაზარმა.

გორაკზე, ზემოთ, ფარანი ენთო და შენობის მცირე ნაწილს ანათებდა.

— აგვიყვამ! — უთხრეს ბიჭებმა მედროგეს.

— როგორ ავიყვანოთ! აი, იქით უნდა მოვუარო, აი! საბურთალოზე უნდა გავიდე. — მედროგემ ხელი გორაკისაკენ გაიშვირა. — ეგრევე აირბენთ. ახალგაზრდები ხართ, არ გაგიჭირდებათ. თქვენოდენა ვიყო!..

ბიჭები დროგიდან ბუზღუნით გადახტნენ, მედროგეს არც კი გამოემშვიდობნენ, ისე შეუყვნენ შეღმართს. გოლას ფეხი არ ემორჩილებოდა, დარტყანებული და გაბრუებული იყო. პირგამშრალს ენაც არ უბრუნდებოდა, რამე რომ ეთქვა.

გორაკზე სირბილი დადლიდა? ან გარიყულას ღამე შიშის თვალით ჩაჰხედავდა? შულამისას ცხვერსა და იმას იქით, გოსტიბეშიც ავიდოდა და გათენებამდე ისევ დაბრუნდებოდა. იქ არც კაცისა ეშინოდა და არც ნადირისა. აქ კი ყველაფერი აკრთობდა.

ირგვლივ ბნელა. სადღაც, მოშორებით ქალაქის მიბნედილი ნათურები ბჟუტავენ. ფეხქვეშ მიწა იგრძნობა, ბილიკსაც ლანდავენ, მაგრამ მაინც საშიშია ყველაფერი. წინ მარჯვე ბიჭი მიდიო-

და, ისე მიიჩქაროდა, თითქოს სალდა-
თობას სხვა დაასწრებდა და ძმებანა
დაიქცეოდა. ბიჭები ფეხდაფეხ მისდევ
დნენ მას. სულ მალე ალიეს აღმართი და
ყაზარმებთან ავიდნენ. სამხედრო ქა-
ლაქში სიწყნარე იყო. არც გუშაგი ჩან-
და, არც მკითხავი და არც გამკითხავი.
ერთი შენობის სადარბაზო შესასვლელ-
ში ფარანი უღიმღამოდ ბჟუტავდა. ალ-
ბათ წედან ამის შუქი მოჩანდა. ღია
კართან გუშაგი ყვინთავდა. ხმაურზე გა-
მოედვიძა, თვლები მოიფშვნიტა და
ბიჭებს მწყურალად გამოხედა.

— რა გინდათ?

— მოვედით! — ქაქანით უთხრა ერთმა წვევამდელებმა.

— შედით, დაიძინეთ! — მიუგო გუშაგმა და ყაზარმის შიდა ღია კარი უჩვენა, საიდანაც წვევამდელები ხალხით გამოტენილ დიდ დარბაზში უნდა შესულიყვნენ.

— სხვა არა გვინდა რა?

— შედით-მეთქი, თორემ სხვა ყაზარმაში გაგყრით და იქ სულ ვერ დაიძინებთ, ბიჭები ერთმანეთზე ყრიან.

— შევიდეთ, ბიჭებო!

იქაც ფარანი ბჟუტავდა. იატაკზე ძველ-ძვეულებში დაყრილი წვევამდელები მოჩანდნენ. ოფლისა და შმორის სუნი იღვა. არც საწოლი ჩანდა, არც ლოჯინი. ჭაბუკები ისე ნებვირად გაშოტილიყვნენ იატაკზე, თითქოს ვენახში ხასხასა ბალახზე წვანანო. ზოგი ხვრინავდა, ზოგი ფშვინავდა.

— ერიჰა! — გუშეზაში თქვა გოლამ, — ეს სად მოვედით! ჯარი ეს არის?!

კასპელებმა ადგილი მონახეს. ჯერ იატაკზე დასხდნენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ერთმანეთი უსიტყვოდ და გაკვირვებით შეათვალიერეს, შემდეგ კი ისინიც მიწვნენ და მიიძინეს. არც შინ ყოფილან განებივრებულნი, რომ იატაკზე წოლა საჩოთირო გახდომოდათ. გოლას ყველაზე გვიან დაეძინა. მატარებლისა და დროგის რახრახი ახლაც ჩაესმოდა და მისი გონება კიდევ ვერ დაწყნარებულიყო. ისე ერგენებოდა, სადღაც მიექანებოდა და აი, წუთი-წუთზე ყველაფერი უფსკრულში გადაიჩეხებო-

და. ბოლოს დადლილობამ თავისი გაიტანა, გრძნობებს სძლია და ცხადი სიზმრად აქცია.

დილით, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ყაზარმამ ხმაურით გაიღვიძა.

გოლა წამოჯდა და ღამენათვე ბიჭებს პირდადებული მიაჩერდა.

ჭიჭია-ვანა ყაზარმის ქერს ისე მისჩერებოდა, თითქოს მზერა ბროლის ჭაღებზე მოსტაცავო.

— რას უყურებ, ბიჭო? — ჰკითხა გოლამ.

— ისე ვიყურები! — უპასუხა ჭიჭია-ვანამ და მაშინვე წამოჯდა, — მშია. არაფერი გაქვს?

გუშინ ჭიჭიას საგზალი შეჭამეს. ახლა ჯერი გოლას საგზალზე მიდგა. ორი-ოდე ნატეხი ხშიადი და ნიორი ჰქონდა წამოღებული.

— იფ, შენ გენაცვალე, ხაშილა გვაკლია! — წამოიძახა ვანამ.

დანარჩენებმაც გაიღვიძეს, წამოდგნენ, აბორიალდნენ, ეზოს მოეფინენ. ონკანზე ერთმანეთს აწყდებოდნენ, ვინ პირს იბანდა, ვინ ფეხს, ვინ წილზევით გაშიშვლებულიყო და სოფლის ცივ წყაროს შეჩერული, ახლა ონკანთან ნებივრობდა და ზავშივით ხტოდა.

უეცრად სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა. ყველა მას შემოიხსია. ჭიჭია-ვანა და გოლა შორს იყვნენ და ვერ გაიგეს, რა უთხრა იმ კაცმა წვევამდელებს. როცა სამხედრო წავიდა, წვევამდელებმა ერთმანეთს ჰკითხეს:

— რაო, რა თქვა?

— მე არაფერი ვიციო. უფროსები მოვლენ და ისინი გეტყვიანო.

უფროსებიც მოვიდნენ. ყაზარმაში ცხვირი შეჰყვეს, წვევამდელები გააფრთხილეს, აქედან უკითხავად არავინ გავიდესო... კუჭს რომ რაიმე სჭირდებოდა, იმაზე არავის არაფერი უთქვამს. მთელ სამხედრო ქალაქში ერთი სამზარეულო იყო და იქაც ერთი გაწვრთნილი ასეულისთვის იხარშებოდა კერძი.

— ერიპა! მშვირები დაფიხობები! — თქვა ერთმა.

— რა გვეშველება? — წუწუნებდა მეორე.

აყაყანდნენ. გული მოიოხეს. ერთმანეთში გაინაწილეს, რაც რამ ყბაში გასაგდები ებადათ, საღამოს ისევე ცივ იატაკზე მიეყარნენ, ისევე გაიშობნენ და კვლავ სიზმრებში აბორგდნენ. ყაზარმაში და საღარბაზო შესასვლელში ფარნები ბჟუტავდა. გუშავი თვლემდა.

გუშავს საღამოობით მოხალისე ფელდფებელი ნიშნავდა ხოლმე. ისიც უფროსებივით დამუქრებოდა წვევამდელებს, დეზერტირობა არ იყოსო, სიას არც ამოიკითხავდა, ბიჭებს ისე გადახედავდა, თითქოს ყველაფერში ენდობო, გუშავს დააყენებდა და წავიდოდა.

ერთ დღეს ხუთი კაცი გაქრა. ფელდფებელმა იყვირა, გამოიძია, ვინ და სადაურები იყვნენ. წვევამდელებს მუშტი მოუღერა. მეორე დღეს სამი კაცი იმ ხუთის გზას გაუყვა და სულ მალე რვა კაცმა აიკრა გულა-ნაბადი. წვევამდელებმა ქალაქშიც თავისუფლად დაიწყეს ნავარდი, ზოგმა ქურდობასაც მიჰყო ხელი. ასე იყო თუ ისე, ყაზარმაში სასმელ-საჭმელი გაჩნდა. კასპელებსაც ერთი ნაქურდალი.

— ეს სადა ვართ, ბიჭო? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა გოლა ჭიჭია-ვანას და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო.

— აბა, რა ვიცი, — მეასედ ეუბნებოდა ვანა.

ბერდოს წერილმა გაახსენა გოლას, რომ მას ქალაქში უთუოდ უნდა მოენახა ვარლამ თოფურიძე და მერე დათებასთვის წისქვილში მიეკითხა. წისქვილის გახსენებამ თვალში სინათლე ჩაუყენა. ჭიჭია-ვანას მხრებში დასწვდა და შეანჯღრია:

— წამო, ბიჭო, მეწისქვილე დათებასთან! რა ღმერთი გაუწყრება, რამე არ გვაჭამოს.

— მერე აქ რას გვეტყვიან? — თავი ისე დაიჭირა ვანამ, თითქოს ერთგული

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ჯარისკაცი იყო და ქალაქში უნებართვოდ თუ წავიდოდა, რაღაც დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს.

გოლამ ძმაკაცს ხელი ჩაჰკიდა და გორაკის ფერდობზე ჩააპარა, როცა ქალაქის ქუჩებს შეერივნენ, მაშინლა შედგნენ და შიშის თვალებით აქეთ-იქით მიმოიხედეს, ეს სად მოგზავდით, ან აქედან სად წავიდეთო.

გამგელე-გამომგელენი ეჭვით უყურებდნენ, მათხოვრები ეგონათ. იმ დროს თბილისის თითქმის ყველა ქუჩა მათხოვრებით იყო სავსე და არავის არაფერი გაჰკვირვებია. ეს მათხოვრები კი არც ქუდს იწვდიდნენ და არც ხელს. ამიტომ მოწყალეობა არავის გაუღია.

პირველად რიყეზე უნდა ჩასულიყვნენ. ქალაქელი დათება გზაზე დააყენებდა ბიჭებს, ასწავლიდა, როგორ მიეგნოთ ვარლამ თოფურიძისათვის. დათებასთან მისვლა იმითაც იყო კარგი, რომ მეწისქვილეს პური ექნებოდა.

— რიყე სად არის? — ჯიქურ ეკითხება გოლა გამგელეს.

— რიყე? — მამაკაცმა ბიჭებს ახედდა, ცოტა უკან დაიწია, რადგან ეგონა, ჩემს წინ მათხოვრები დგანანო. მერე ხელი გაიშვირა და თქვა: — აი, ასე წახვალთ, იარეთ და ამ ქუჩის ბოლოს იკითხეთ.

ქუჩის ბოლოს კიდევ შეჩერდნენ ბიჭები:

— რიყე სად არის?

— რიყე? ჰო, აი, ასე უნდა წახვიდეთ, შეილო, მერე მოუხვევთ, ქვემოთ ჩახვალთ და თათრის მაიდანის არ იცი? — ეკითხება შუახნის მანდილოსანი.

— არა, დედი, არ ვიცი, — გულდაწყვეტილი პასუხობს გოლა.

— მაშ, არც მეტეხი იცი?

— მეტეხი? — წამოიძახა ჭიჭია-ვანამ, — მეტეხი როგორ არ ვიცი! ჩვენი სოფელი, მერე ჩოჩეთი და მეტეხიც იქვეა!

ქალმა გაოცებით შეხედა მას.

როგორც იქნა, მიაგნეს. გაბრუებულნი მივიდნენ რიყეზე. წისქვილების სიმრავლემაც გააოცა ისინი.

— დათება გვინდა, ახალქალაქელი, —

უთხრეს ერთ-ერთ მეწისქვილეს. დათებას ვინ არ იცნობდა რიყეზე, ამ უბანში იოლი იყო მისი მიგნება.

დათება! გოლას თითქმის აღარც ასოვდა იგი. ჭიჭია-ვანამ კი დაინახა თუ არა, შესძახა:

— ძია დათებ!

დათებამ ვერც ერთი ვერ იცნო. ბიჭებს ახედდა-დახედა, თვალში არ მოუვიდა მათი ჩაცმულობა.

— ვინა ხართ?

— გოლა და ვანა ვართ, გარიყულელები... თქვენებურები, — უხერხულად შეწრიალდა გოლა და ბავშვივით დაიმორცხვა.

თანასოფლელების დანახვამ დათება ძალიან გაახარა.

— შენ გოლა ხარ? აბა, ვისი, კი აღარ მახსოვხარ.

— ფედოსასი ვარ.

— სანთლებსა ჰყიდა, ცხონებული, კარგი ქალი იყო. აბა, შენ რა გემახსოვრება, პატარა დაგტოვა, შეხე ერთი, რამოდენა გაზრდილხარ! — დათებამ სტუმრებს ახედდა-დახედა.

— მე ვანა ვარ, სალდათში დაგვიძახეს, — სიტყვა გამოსტაცა მასპინძელს ჭიჭია-ვანამ, შემდეგ გაიკრიჭა და ისეთი თვალებით შეხედა, დათებას გულმა უგრძნო, ეს ბიჭი მთლად დამჯდარი ჭკუისა არ უნდა იყოსო.

— სალდათში დაგვიძახეს?

— ჰოოდე, გენერალი უნდა გავხედე და ახალქალაქში ფაიტონით ავიდე! — დაიჭიხვინა ჭიჭია-ვანამ.

— ძია დათებ, ბერდომ აი, ეს წერილი გამომატანა, — გოლამ უბიდან ბართი ამოიღო და დათებას გაუწოდა. უწიგნურმა მეწისქვილემ წერილს ცალი თვალთ დახედა და ჰკითხა:

— ჩემთან გამოგატანა? რაო?

— შენთან არა. აქ ერთი ბოლშევიკი მეგობარი ჰყოლია, ვარლამ თოფურიძე. გეცოდინება, სად არის.

— ბოლშევიკიო? თუ ღმერთი გვამს, მეორედ არ ახსენო. მაგ სიტყვისთვის ყველას იჭერენ. მაგ საქმეს ჩამოეხსენით და ეგ წერილიც დახიეთ! ერთხელ ბერდოს გულისთვის მომხედა და ახლა

რომ გამიგონ, ორმაგად მადენენ ცხვირიდან ძმარს! — ცოტა გული მოუვიდა დათებას, მაგრამ მალე მოლბა, — აბა, ის დალოცვილი, ასე რომ გაბარებს, ბოლშევიკი ვარლამ თოფურდიეო, ამოდენა ქალაქში როგორ იხოვნი. მით უმეტეს, ბოლშევიკებით მეტეხის ციხე სავესეა. ალბათ ისიც იქ იქნება.

— გაზეთში მუშაობსო. აი, ზედ აწერია „საქართველოს კომუნისტი“.

— დახიე, ეგ წერილი არავინ გინახოს! — კიდეც ურჩია დათებამ.

— აბა, როგორ დავხიო! ბერდოს დანაბარები არ შევასრულო?! — გაიკვირვა გოლამ.

— მაგ გაზეთის რედაქციას შენ კი არა, მენშევიკებაც ბევრს ეძებენ და ვერ მიუგნიათ. იმალებიან ბოლშევიკები. გაზეთს ფარულად უშვებენ. ამას გეტყვი, სხვა ვერაფერს. ისე, ბერდოს რასა იქმს, როგორ არის?

— ის მეორე თვალის ამოუგდეს, — პირდაპირ მიახალა გოლამ.

— რას ამბობ? — შეიცხადა დათებამ.

— ე მაგას ვამბობ. დავგვირმავდა საწყალი და მე იმის დანაბარები როგორ არ შევასრულო! მიწაშიც რომ იჯდეს ის ვიღაც ვარლამი, მაინც უნდა მოვნახო.

— მონახავ და კარგ დღეს არ დაგაყრიან.

— მა რა ვქნა, კაცო?

— რა ჰქენი და რასაც გეუბნები — ეგ წერილი დახიე. ახლა გეშიებათ, ბიჭებო. ამ ბანზე აგდებულმა სიტყვამ გუნებგანწყობილება უცებ შეუცვალა ბიჭებს.

„შენ აგაშენებს ღმერთი!“ — თავიდან ფეხებამდე სიხარულის ქრუანტელმა დაუარა გოლას, დათებას კი მორცხვად უთხრა:

— აბა, რა ვიცი!

„შენ კი გენაცვალე!“ — გულში ამღერდა ჭიჭია-ვანა და სიხარულით ისე აცეტდა, მასპინძელს მოურიდებლად მიახალა:

— გეშია, მა რა!

დათებამ გაკვირვებით შეხედა ბიჭს, მისი საქციელი კვლავ არ ეჭაშნიკა.

ჭიჭია-ვანამ ჩაილიღინა. ღიღინი მაშინ უნდა გენახათ, როცა დანაყრდენ და ხათუნაც დაბრუნდა.

გოგონამ თავისი ლამაზი თვალების ეში გოლას შეანათა და ყმაწვილად გული აუფორიაქა.

ბიჭოს! გოლას აღარ უნდა დათებას სახლიდან წასვლა.

— წავიდეთ! — გაძღა თუ არა, ჩაიღრუტუნა ჭიჭია-ვანამ.

— დაიცა, რა გეჩქარება! — უთხრა გოლამ.

მაგრამ როდემდე! დათებას წისქვილში საქმე ჰქონდა. ბიჭებიც ყაზარმა უნდა დაბრუნებოდნენ. ვინ იცის, უკვე ეძებენ და დეზერტირებად გამოაცხადეს მეწისქვილეს შეებრალა ბიჭები, ცოტაოდენი სასუსნავი ჩაუწყო ტოპრაკში, გოლას ერთხელ კიდეც ურჩია, ის წერილი დახიეო, და გაისტუმრა.

გოლა დაღონებული მიდიოდა. ჭიჭია-ვანა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და გამვლელ-გამომვლელს შინაურივით ესალმებოდა. გოლას კი ფეხი უკან რჩებოდა. გულში მალამოსავით უვლიდა ხათუნას თვალების სითბო და ალერსი. ეს სითბო აღიზიანებდა და ანთებდა. ველარ მოითმინა და ჭიჭიას გამოელაპარაკა:

— რა ლამაზი გოგო იყო, არა?

— ვინა, ბიჭო?

— დათებას გოგო, ხათუნა.

— ლამაზი არა, ისა! — აგდებით მიუგო ვანამ.

— რას ამბობ, ბიჭო?! — გული მოუვიდა გოლას.

— ე მაგას ვამბობ. არ მოგწონს? შენ ფეფე უნდა დანიშნო. მაროს ზესიძეს ტყუილად გეძახდნენ? — ჭიჭია-ვანა შედგა და მეგობარს ნიშნის მოგებით მიაჩერდა.

— ეჰ, ქალაქში არ ვიყოთ! ლავაშით რომ გაგაბრტყელებდი, მაროს ზესიძეს მაშინ ნახავდი, — გულში დაიკრა ხელი გოლამ, — შენც გერგო მჭადის ნატეხი?!

— კარგი, ჰო! — დაუყვავა ჭიჭიამ და სიმღერა წამოიწყო.

ვერის ყაზარმამდე ისე იარეს, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ.

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა



ერთ დილას ფელდფებელი შემოფოთებულ მოგარდა, მძინარე ბიჭები წამოჰყარა, პირდაუბანელნი და თმაგაჩიჩილნი დააწყო და ყაზარმაში შეიყვანა. მერე ისევ გარეთ გაიხმო და უბრძანა, დაწყობილიყვნენ. ეს რამდენჯერმე გაიმეორა.

ჭიჭია-ვანამ ველარ მოითმინა, ფელდფებელს მიეჭრა და უთხრა:

— შენა იცი, მიქარებს თავი დაანებე, თორემ! ვერა ხედავ, სიქა გამვარდა!

— ბიჭოს! — დაიძახა ფელდფებელმა და წვევამდელს თავით ფეხებამდე ახედ-დახედა.

ჭიჭია-ვანამ თავისი სათქმელი მოათავა და ყაზარმისაკენ წავიდა. ათიოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გველილი, ფელდფებლის მჭექარე ხმა მოესმა:

— შესდექ!

ჭიჭიამ გზა განაგრძო. ფელდფებელი ადგილს მოწყდა, წამოეწია, ქეროში წაავლო ხელი და ღონივრად შემოაბრუნა თავისკენ. შემოაბრუნა და ჭიჭია-ვანას უაზრო და ამღვრეულ თვალებს რომ შეხედა, უმაღ გველნაკებნივით გაუშვა ხელი. გოლა იქვე გაჩნდა. ფელდფებელი უცებ შეტრიალდა და რაღაც ჩაბურტყუნა. მერე გოლას შეუღრინა:

— რას მომჩერებინარ? დადექ წყობილებამ!

გოლამ თვალი მიაყოლა ჭიჭია-ვანას, მერე ზანტად შეტრიალდა და წყობილებისაკენ გასწია.

თურმე ფელდფებელი იმისათვის ფაციფუცობდა, უფროსებს ელოდა. ამბობდნენ, უმაღლესი ჩინის ოფიცრებს მინისტრიც უნდა მოჰყვეს და წვევამდელს სიტყვით მიმართოსო.

შუადღე გადავიდა. მთავრობის ხალხი კი არსად ჩანდა.

ნაშუადღევს აღმართზე მტვერში გახვეული „ფორდი“ ამოღოლდა. ძველი მანქანა იყო. რახრახით შემოვიდა სამხედრო ქალაქში და გაჩერდა. მტვერი გაიფანტა და უკანა სავარძელზე ხნიერი ოფიცერი გამოჩნდა. მის გვერდით ახალგაზრდა ოფიცრები ისხდნენ. ისინი

მანქანის გაჩერებისთანავე გადასტუმრდა და წვევამდელთა ასეულებს ჩაუარეს, მერე პოლკოვნიკს რაღაც მოახსენეს.

პოლკოვნიკი მანქანაშივე წამოდგა, კარს დაეყრდნო და ჭაბუკებს ცერად გახედა:

— სამშობლო განსაცდელშია!.. — სასოწარკვეთითა და ცრემლნარევი ხმით წამოიძახა მან. ეს ორი სიტყვა თქვა და შეჩერდა, ერთხელ კიდევ გაავლო თვალი წვევამდელთა რიგებს, ალბათ იმის გაგება უნდოდა, თუ როგორ იმოქმედა მისმა სიტყვებმა.

ოფიცრს მოეჩვენა, რომ მისი სიტყვები ჟრუანტელად იქცა და ათასი გუული შეაწრიალა.

— სამშობლო განსაცდელშია! — ახლა კი რიხიანად გაიმეორა მან, — ჩვენს ტკბილ საქართველოს ბოლშევიზმის ღრუბელი დააწვა, თუ არ გავმაგრდით, დაღუბვა მოგველის! ჩვენთანაა მთელი ევროპა, მე თქვენ მოვიწოდებთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოთ სამშობლოს დასაცავად!

— ომი დაიწყო? — წამოიძახა ვიღაცამ წყობილებიდან.

პოლკოვნიკმა მკაცრად გადახედა მანქანასთან გაჩერებულ ფელდფებელს.

ფელდფებელმა სწრაფად მიაგნო დამნაშავეს, წინ გამოიყვანა და პოლკოვნიკს მიჰკვარა.

— რა ბრძანეთ, ყმაწვილო? — თავშეკავებით მიმართა პოლკოვნიკმა მის წინ უტიფრად გაჩერებულ წვევამდელს.

პოლკოვნიკისაგან ყველანი რისხვას ელოდნენ და ცისარტყელა გამოჩნდა, მებს ელოდნენ და წყაროს ლიკლიკი გაისმა. გულაჩუყებული ოფიცერი მოეფერა წვევამდელს, ლამის თავზე ხელი გადაუსვა.

— ომი არ არის, შვილო ჩემო, მაგრამ ბოლშევიკები ომზე უარესს უმზადებენ შენს სამშობლოს.

— ბოლშევიკები რასაც გვიზაადებენ, ვიცით, ბატონო პოლკოვნიკო, ქვევრში კი არ ვსხედვართ, — ხმამაღლა თქვა წვევამდელმა, რომ ყველას გაეგონა, —

აი, თქვენ რას უშვადებთ ამდენ მშვიერ ხალხს, ეს გაგვაგებინეთ! ხუთი დღეა უსმელ-უჭმელნი ვართ.

— ფელდფებლო! — დაიჭექა პოლკოვნიკმა.

— გისმენთ, თქვენო მაღალკეთილ-შობილებავ!

— ჩასვით! ბოლშევიკია! მოგზავნილია! მაგას ვუჩვენებთ!..

ოფიცრები შეწრიალდნენ. წვევამდელ-მა უკან არ დაიხია და ერთხელ კიდევ დაიძახა:

— პური მოგვეცით!

თითქოს ამ დაძახილს ელოდნენო, ათასმა ხმამ უცებ დაიჭექა:

— პური მოგვეცით!

პოლკოვნიკი სავარძელზე დაეშვა, ისევ წამოხტა, რაღაც დაიყვირა, ხელები ჰაერში გაასავსავა და ისევ სავარძელს დაუბრუნდა.

— პური! პური!

„ფორდი“ ათუხთუხდა. კარი უცებ ჯახანით გაიღო და დაიკეტა. მანქანა შებრუნდა და მტვრის კორიანტელში გაეხვია.

— უუუ! — გუგუნებდა ასეულები.

დაიშალნენ, ყაზარმებს მოედგნენ.

— ეს რა დღეში ვართ, ბიჭო? — ეუბნებოდა გოლა ჭიჭია-ვანას.

— შენ გენაცვალე, გოლა! სოფელი მომენტატრა, ბიჭო! როგორ მომენტატრა, რომ იცოდე! წამიყვავ, შენ შემოგველოს ვანა! მიშველე რამე, თორემ ლამის დავიხრჩო, ისე მეჩვენება, ვიღაცა მახრჩობს, ბიჭო!..

— წაგიდეთ, ვავიპაროთ!

— წაგიდეთ, მა რა!

— დღესვე! აი, ახლავე!

— ახლავე! შენ შემოგველე, ბიჭო! შენ რომ არა მყავდე, თავი რად მინდა ცოცხალი! მაშ, სოფელში ჩავალთ, ჰა? ჩემი ბელო გაიხარებს. იმას ვენაცვალე, ჩემს დასა! როგორ იტირა, ბიჭო, გაუხარდება.

— სოფელში ჩავალთ და ვიტყვი, რომ აქ არაფერი ჯარი არ არისთქო.

— შენ გენაცვალოს ვანო! მაშ, ადე, ბიჭო, ადე, რაღას უზიხარ?!

და ისევ ერთად დაადგნენ ორნიც

ტანჯვის გზას. უბრუნდებოდნენ კერას, სადაც სიხარული არ უგრძენიათ, ალერსი არ ღირსებით, სადაც კაცად არაფერია ჩაუგლიათ, სადაც ხვალინდელი დღის იმედი არსად გაპლვივებიათ. მაგრამ მაინც მიდიოდნენ იქ, ადგილის დედის თბილი მკერდი რომ ეგულებოდათ. მიდიოდნენ, მიიჩქაროდნენ.

— ბერბიჭავ, აბა, ერთი გაიხედეთვალე ხომ არ მატყუებ? ისინი ვინ არიან? — ჰკითხა ესტატემ ქოსა მდივანს.

ბერბიჭა ეროზის საბჭოს კანტორის ფანჯარას მიაწყდა და სოფლის შარას გახედა.

— ისინი არიან: ჭიჭია-ვანა და ფედოსას გოლა! — დაიძახა ქოსა მდივანმა.

— აქ მოიყვავ!

ბერბიჭამ ფართიფურთით ჩაირბინა კიბე და გარიყულასაკენ მიმავალ სოფლის ნაბოლარებს სამჭედლოსთან წამოეწია.

— ბიჭებო, ბიჭებო!

შედგნენ, მოტრიალდნენ. არ ესიამონათ ბერბიჭას დანახვა. აიმრიზნენ და კუსტად შეხვდნენ.

— რა გინდა? — ჰკითხა გოლამ. და ეს ისე ჰკითხა, თითქოს ეუბნებოდა, დაგვეხსენ, ჩვენგან რა გინდაო.

— ესტატე გიბარებთ!

— შინ ასვლა დაგვაცავ! — ჩაიღრინა გოლამ.

— იმ შენ ესტატეს უთხარი, თავი დაგვანებოს! — ჭიჭია-ვანას ტუჩზე დორბლი მოადგა.

მაგრამ ბიჭები მაინც დაემორჩილნენ მის ნებას.

— გამოგვიშვეს, — იცრუა გოლამ. ჭიჭია-ვანამ ნათქვამი მაშინვე დაუმოწმა.

— თუ გამოიპარეთ, ხომ იცით, სამხედრო ტრიბუნალს გადაგვცემთ!

გოლამ დაიფიცა, ქალაქიდან ძალით გამოგვრეკეს, იმიტომ რომ...

— საჭმელი არა ჰყოფნიდა ჯარსა.

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

— ვითომ ევ მართალია? — ცერად გამოხედა ესტატემ, — სხვა რომ გეთქვა, დავიჯერებდი.

— ბევრსა სჭამთო, — თავის სიტყვას არ გადაუხვია გოლამ.

— შვილოსან, შენც რომ მე მომატყუო...

— ვინ გავიწყვიტო, ძია ესტატე. ეგრეა და რა ვქნა. ჩვენა, აი, მე და ვანას ნახევარი ცხვარი არ გვყოფნიდა. ერიჰააო, თქვენ მოგინდებოთ, შვილოსანო. წადით და თუ ომი დაიწყოს, მაშინ ჩამოდიოთ.

— ვითომ მართლა ასეა?

— ხმა ამოიღე, ვანა! ეგრე არ იყო? — დასამოწმებლად მიუბრუნდა გოლა ჭიჭიას.

— მაგას წვენი არ გაუვა! ეგრეა და მეტი რა უნდა ვთქვა!

— მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, — ბრაზობდა ესტატე.

— მე რა მელა ვარ და ვანა რა ჩემი კუდია! — იწყინა გოლამ.

— გასწით, დამეკარგეთ, თქვე უქნარებო, თქვე დოყლაბიებო, — უცებ დაიყვირა ესტატემ, — ყველაფერს გავიგებ და გასანთლული თოკი არ აცდებიათ!

მაშინვე გაცვივდნენ, შარაზე გაიქცნენ. გულში უხაროდათ, რომ იოლად გადარჩნენ.

ჭიჭია-ვანას მოგვიანებით მოუვიდა გული, ხელი მკერდზე დაირტყა და ესტატეს შორიდან შეუკურთხა. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბოგირს გასცდნენ და გარიყულას სანახები გამოჩნდა, გალადებულმა სიმღერაც შემოსძახა.

მართახელა გოლამ ბერდოს წისქვილისაკენ გადაუხვია, ჭიჭია-ვანაც კი მოულოდნელად დაადგა თავს პელოს.

— ძმაო, შენ შემოგველე! — მოეხვია. გადაჰკოცნა და ერთხელ კიდევ დააფრქვია მდულარე ცრემლი ძმას.

— მაპატიე, პელო, — ევედრებოდა ჭიჭია-ვანა.

— რა გაპატიო, ბიჭო?

— გენერლის ჯინჯილები ვერ ჩამოგიტანე და ფაიტონით არ მოვედი.

— შე საცოდავო!

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ბერდო, გოლა ვარ.

— გოლა? აქ საიდან გაჩნდით?

— გამოვიქცით. ჯარი კი არა, ჯანდაბა იყო!

— ჯარი ასეა. რა მოსაწონია! ქორწილი და დღეობა კი არ არის. მაგრამ გამოქცევაზე დიდი სასჯელია, ბიჭო. თავი არ წააგო. ვანაც წამოვიდა?

— ჰო, ისიც აქ არის. შინ ავიდა. ვითომ დეზერტირებად ჩაგვთვლიან?

— მა რას იზამენ! ახლა ან უნდა დამალო, ან უკან დაბრუნდე. ცოტა ხანს დამიცა, ე გიგუცას საფუკავი ჩამოთავდა და ღარს გადავკეტავ.

— მე ავალ, ბერდო. შენ აქ იყავ.

— მე რა, ვხედავ, ბიჭო!.. გზა შემეშლება თუ ცოდნა მაკლია. სული რომ ამომხადონ, ჩემ ბებერთან მაინც ვიტრიალებ. ჩემი აჩრდილი სამუდამოდ აქ იქნება.

ბერდო წისქვილიდან გავიდა. გოლამ თვალი მიადევნა.

მეწისქვილემ თვალხილულივით აიარა ბილიკი, ჩახრიალამდე მივიდა, კარი გახსნა, მერე ისევ ღარის თავს დაუბრუნდა და წყალი გადაჰკეტა. დაკბილული ბილიკით, კიბეს რომ მოაგონებდა კაცს, ისევ უკან დაბრუნდა და დაიძახა:

— აპა, ვხედავ თუ არა?

— ბევრ თვალხილულზე უკეთა ხედავ, ბერდო. — გული გაუკეთა გოლამ, საქმე შეუქო.

— ახლა ის მითხარი, ჩემი დანაბარებისა რა ჰქენი?

— ისა ვქენი, რომ... მე და ვანა ქალაქში წავედით. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, რიყეს მივაგენით და ჩვენი დათება ვნახეთ. აი, გიგუცაც მოვიდა. ბერდო, — თხრობა შეწყვიტა გოლამ და გიგუცას მიესალმა.

— გოლა, შენა ხარ, ბიჭო? აკი სალდათში წავიდაო, — გიგუცა გობთან წაიხარა, ფქვილი ტომარაში ჩაყარა.

— ცოტა მსხვილად მოგსვლია, ბერდო...

ბერდომ გიგუცას არ დაუჯერა, ფქვილი თითებით მოსრისა:

— რას ამბობ! ევ შემეშლება? მეტი

რა ვიცი! მერე, ბიჭო? — მიუბრუნდა გოლას.

— მერე ისა, რომა დათება ვნახეთ. შენი ამბავი ვუთხარი. ძალიან ეწყინა, მაგრამ თქვა, ის ისეთია, მაინც გაუძლებს წუთისოფელსაო.

— სწორედ უთქვამს. მერე?

— მერე იმ წერილზე დავფაცურდით. მაგრამ დათებამ გვითხრა, ბოლშევიკები ახლა ფარულად მუშაობენ და ვერ ნახავთ. თვითონ მთავრობა ეძებს და ვერ მიუგნიაო და შენ ვისა ნახავო.

— ე, ბერდო, კიდევ არ ისვენებ, კაცო? — გამოეხმაურა გიგუცა. მან ფქვილი მთლიანად ამოასუფთავა გობიდან. ტომარას თავი მოუკრა და მხარზე გაიღო.

— მერე, ბიჭო? — ყური არ ათხოვა გიგუცას ბერდომ. მას ქალაქის ამბები უფრო აინტერესებდა.

— მერე ისა, რომ წერილი უკან წამოვიდე, აი, — გოლამ წერილი უბიდან ამოიღო და ბერდოს ხელში ჩაუდო.

ბერდომ უნებურად დახედა.

— მაშ, ყველა მიიმალა? ხომ არ დაუჭერიათ? — იკითხა ხმადაბლა.

— აგაშენოს, ბერდო! — დალოცა გიგუცამ და საფქვავი წაიღო.

— იცოცხლე! — მიადევნა ბერდომ.

— არა თქვას რა! — შეშინდა გოლა, როცა გიგუცა წავიდა.

— გიგუცამ? ვანა ეგ ეგეთია? ხომ არავინ დაუჭერიათ, ჰა? — ისევ გაუმეორა კითხვა ბერდომ.

— მეტეხი სავსეა ბოლშევიკებითაო.

— მაშინაც სავსე იყო.

ბერდო მოგონებებში ჩაიძირა და ერთ ხანს ორივენი დუმდნენ.

— ამაღამ ჩემთან დარჩი, გოლა, — უთხრა ბერდომ, — შენ ახლა დეზერტირი ხარ და სიფრთხილე გმართებს. ჭიჭიაც გააფრთხილე. ცოდოა. ორივეს დაგიჭერენ და გაგასამართლებენ. შეწყალება კი არ იციან.

— მე იქ რა წამიყვანს, ბერდო. იქ ჩემმა მტერმა გასძლო. მშვირები დაგხოცეს. უფროსები ვიფრინეთ, ისეთი დღე ვაყარეთ. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ჩვენ კი აქეთ მოვუსვით.

— მე ჩემი გითხარი. შენზე მტერი მინახავს ცხოვრებაში. ცალი თვალი ომში დავტოვე. დამიჯერე, შეგელსან ბერდო ცუდს არას გირჩევს.

ცუდს არას ურჩევდა. ქვეყანამოვლილმა კაცმა კარგად იცოდა, რაც უნდა მოჰყოლოდა ჯარიდან გაქცევას. გოლას ჭკუაში დაუჯდა ბერდოს რჩევა. ჭიჭიაც ვანაც გააფრთხილა, მაგრამ ვანამ არხეინად ჩაილიღინა. გოლა დიმალა. ერთ ღამეს კი, როცა ნიკო კაბრაშიძის შიკრიკი ნიკალა ღამით ბერდოს წისქვილში მოვიდა, გოლა ცხენზე შემოუხტა მეგობარს და მალე შავი ცხენი გორისკენ მიაქროლებდა მათ. რამდენიმე დღის შემდეგ ესტატე გაცოფებული დაეძებდა გოლას. ჭიჭი-ვანა კი ხელში ჩაიგდო და ხელისუფალთ გადასცა. გულგახეთქილი პელო გიგოსთან მიიჭრა:

— მიშველე, რამე, შენი ჭირიმე, ძია გიგო!

გიგომ არ იცოდა, რომ დილით ადრე ჭიჭი-ვანა დააპატიმრეს და პირდაპირ კასპში წაიყვანეს.

— ვანო დაიჭირეს, დეზერტირი ხარო. აბა, იმისი ჯარში წაყვანა იქნებოდა? — სახეს იკაწრავდა ქალი, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

— ვანას ჭკუა მიეცათ იმის წამყვანებს! ამ ესტატეს რაღამ გადაუბრუნა ტვინი? როდის დაიჭირეს?

— ამ დილას წაიყვანეს, ძია გიგო. ახლა კასპში ეყოლებათ ის საცოდავი!

— დაიცა, ესტატესთან ჩავალ, ყველაფერს გავიგებ. ასეთი უსამართლობა როგორ იქნება, — გული მოუვიდა გიგოს. სამჭედლოში საქმე მიატოვა, წინსაფარი მოიხსნა და ერობის კანტორაში ჩავიდა.

ესტატესთან ორი კაცი იჯდა. გიგო არ მოერიდა მათ, ყველას საერთო სალამი მისცა და ესტატეს მიმართა:

— ვანა დაგიჭერიათ.

— შენ რა, ადვოკატობა დაიწყე, გიგო?

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა



გო? — ესტატემ ისე შეუღრინა მოსულს, იტყობოდა, გუნებაზე არ იყო.

— აბა, იმისი ჯარში წაყვანა იქნებოდა, ხალხო?! თქვენა ბრძანეთ! — ხელების გაშლით მიმართა გიგომ.

— არ იქნებოდა! — თქვა ერთმა.

მეორე დუმდა, მესამე ესტატეს უყურებდა.

— მე ხალხს მთხოვენ, მაშ, ვინ გამეგზავნა? აი, ახლა პასუხი აგოს დეზერტირობისათვის, — ჩაიღრინა ესტატემ.

— იქნებ არ აგოს პასუხი?! — ხმას აუწია გიგომ.

— გიგო, ეს შენა ხარ? — ავდებით მოიჩრდილა ხელი ესტატემ.

— მე ვარ, მჭედელი გიგო გიუნა-შვილი! გული არა გქონია, ესტატე! იმ საცოდავ ბიჭს რას ერჩოდი, იმას თავისი უბედურობა არ ეყოფოდა? ის ხომ ცხოვრებაში ისედაც დაღუპული ადამიანია? გული უნდა გქონდეს, გული კაცსა! ერთმანეთი თუ სიყვარულით არ გავიტანეთ, სხვა არა არის რა ეს დალოცვილი წუთისოფელი! ერთმანეთი რომ არ დავჭამოთ, მიწა ისედაც შეგმჭამს. ცას არ შევაბერდებით.

მჭედელს ურო და გრდემლიდა აკლდა, ისე იყო შემართული.

ესტატემ უთხრა, ახლა მე არავინ არაფერს მკითხავს, ჭიჭია-ვანა მთავრობის ხელშიაო. გიგომ უკან არ დაიხია, პელოსთან ავიდა და ანუგეშა, რკინის ქალამანს ჩავიცვამ და შენს ძმას შინ დაგიბრუნებო. გიგო გამოცდილი

კაცი იყო, ჭიჭია-ვანას კვალს მიჰყვო, მისდია. თბილისში შვილი და ძმისშვილი დაიხმარა და ჭიჭია-ვანა ^{საქართველოში} კომისიაზე გაატარებინა.

ჭიჭია-ვანამ კომისიიდან ერთი ციკცნა ქალადი გამოიტანა. ქუჩაში ვანას გიგო, ვალიკო და გიორგი ელოდებოდნენ. ვანა იღიმებოდა და ქალადს ხელში ატრიალებდა.

— მოგვილოცავს, ვანო!

— მოგვილოცავს, ბიჭო!

ხელს ართმევდნენ, უღიმოდნენ, გულს უკეთებდნენ. ის კი იდგა და გახარებულად ქალადს ხელში ატრიალებდა.

რა იცოდა საცოდავმა, რომ ის ქალადი მისი არაკაცობის საბუთი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ პელო ისევ იკრავდა ძმას გულში. საწყალი ქალი! ამდენი მწუხარებისა და სიხარულის ცრემლი დაღვარა ძმის სიყვარულით. ესტატე კი მაგიდაზე დადებულ ქალადს დაჰყურებდა და არას ამბობდა, მერე ბერბიჭას მიუბრუნდა და უთხრა:

— საქმეში ჩააკერე!

ისევ ღორ-ხბო, ისევ ფანისის შემოდგომის აწ მობერებული ბალახი, ისევ ლაღი, უდარდელი სიმღერა. როცა ბიჭებში მოხვდებოდა, ჭიჭია-ვანა დაქადნებით იტყოდა ხოლმე:

— ლამის გენერალი გავხდი, ბიჭებო!

— ჰი-ჰი-ჰი!

ბიჭები სიცილით იფხრიწებოდნენ, ბალახში ბულრაობდნენ. ნახირი წყნარად ძოვდა და ჭიჭია-ვანა ღიღინებდა.

თავი მჩვიდმეტი

გორის მაზრაში წითელი ლაშქარი შეიკრიბა. ხმალოფშემართული ბიჭები მეთაურის დაძახებას ელოდნენ. აჯანყებას გულდაგულ ამზადებდნენ: თოფებს აქუხებდნენ, ნიშანში სროლას სწავლობდნენ, ხმალსა და მარჯვენას სცდიდნენ და გულს იმაგრებდნენ.

„ეს არის ჩვენი მედგარი და გადამწყვეტი ბრძოლა“, — საიდანღაც მოვიდა ეს ამაღელვებელი სიტყვები. წითელი

გარიქრაჟი მოახლოვდა. და ამბავი მოვიდა, რომ რუსეთში სამოქალაქო ომი დამთავრდა, კონტრრევოლუცია და ინტერვენცია დამარცხდაო. ბოლშევიკებმა რუსეთში ახლა შემშილსა და სიდატაკეს შეუტიესო...

რაზმელებს ბრძოლა სწყუროდათ, ის მედგარი და გადამწყვეტი ბრძოლა, რის შემდეგაც ისინიც იერიშს მიიტანდნენ შემშილსა და სიდატაკეზე.

რა გაპყრიდა ერთი სოფლის ტანჯულ შვილებს!

გოლა და ნიკალა ერთად იყვნენ იმ ღამის შემდეგ, როცა პარტიზანმა მენ-შევიკების ჯარიდან გამოქცეული ბიჭი თავიანთ ბანაკში მიიყვანა.

ჯერ კიდევ ზაფხულის სითბო არ გამოწელებოდა შემოდგომის ღამეებს. მხოლოდ დილით ჰყრიდა ნამს და შესამჩნევად გრილვდა.

— ყაჩაღები ვართ? — ჰკითხა გოლამ ნიკალას მეორე დღეს.

— ნიკომ არ გაგიგოს, ეწყინება. ჩვენ წითელრაზმელები გვქვია.

— წითელრაზმელები! კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!

— კარგი მარტო სახელი როდია. კარგი ისაა, რაც მერე მოხდება.

— რა მოხდება, ბიჭო?

— მენშევიკებს დავეცემით, სახალხო გვარდიასა და მილიციას ამოვყუთავთ, თავადებსა და ბობოლებს მიწებს წა-ვართმევთ...

— ეპქე! — ხელებს შლის გოლა და ბავშვური აღტაცებით უყურებს ნიკალას. ხელში შაშხანა უჭირავს და ნამდვილ ჯარისკაცსა ჰგავს.

— აქ ბიჭებმა ერთ კარგ ვაჟაკზე მიაბებ, ლექსიც მითხრეს იმ დალოცვილზე. არსენა გაგიგონია?

— არსენა? აბა, რომელი?

— მარაბდელი არსენა—ოძელაშვილი.

— ვინ იყო, რა კაცი იყო? ღვთის გულისათვის, მეც მიაბზე, ნიკალა!

— ის იყო, რაც იყო თურმე. გლეხების გათავისუფლება, ბატონებისა და მუქთახორების მოსპობა უნდოდა.

ნიკალამ ყველაფერი უამბო, რაც რამ იცოდა არსენაზე. გოლა პირდაღებული უყურებდა. ბოლოს, როცა ამბავი დაასრულა, მუხლზე დაირტყა ხელი.

— რა ვაჟაკი ყოფილა! შენ გენაცვალე!

გულზე ხელს იბაგუნებს გოლა და ისიც იმ დღეს ნატრობს, იმ დღეზე ოცნებობს, როცა გაიმარჯვებენ.

სანამ აჯანყება დაიწყებოდა, სახალხო გვარდიელებმა ცეცხლი დაუთესეს

ნიკო კაპრაშიძის წითელრაზმელებს ბრძოლა ატენის ხეობაში, ხიდსთან მოხდა.

შეიარაღებულ გლეხობას სათავეში გორელი მუშები და წვრილი ხელოსნები ედგნენ. ისინი მდგრად დახვდნენ გვარდიელებს. ხეობა ზარბაზნებისა და თოფის ხმამ გააყრუა. ქვემეხები მთის კალთებს გლეჯდნენ, მდინარის კალაპოტს თხრიდნენ, ცეცხლში ხვევდნენ ქოხსა და გომურს, ბოძსა და სარს, კაცსა და საქონელს. გათენებისას გვარდიელებმა შემოუტყეს. დილით ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ვაჟაკის სხეულში სისხლი აღუღდა, აჩქევდა — იარაღი და მკლავი გაუსურდა.

შემომტვვთა ყოყინას დამხდურთა გამოძახილი ეუახებოდა. აქა-იქ გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში ისმოდა: დაჰკა! არ გაუშვას! აქეთ მომყე!..

ისმოდა ჯახანი, გინება, ყვირილი, კენესა და გმინვა. იცლებოდა თოფები მდინარე წითლად შეიღება.

ნიკალამ და გოლამ იმთავითვე ცუდი აღვილი შეარჩიეს.

გოლა თავდაუზოგავად აწყდებოდა მტერს.

— ეპქე! — ისმოდა მისი ყვირილი, მაგრამ დაძახილი არავის ესმოდა, რადგან ხეობაში უფრო დიდი, უფრო შემზარავი გრგვინვა გაისმოდა. ღამის მთები დამსკდარიყვნენ.

სახალხო გვარდიელები ავიწროვებდნენ პარტიზანებს, მაგრამ მათი რიგებიც დნებოდა. მთის კალთები სისხლით შეიღება.

ფერდობზე სამი გვარდიელი მოიწვედა. ნიკალამ მეწინავე ნიშანში ამოიღო. მისი თოფის საკეტმა უკანასკნელი ჰილზი ამოავლო და მაშინ კი ფერიფური ეცვალა, შეშინდა. გვარდიელები გამხეტებით ეძებნენ, დასცეს, ტყვია დაახალეს, ხიშტებით აკუწეს. გოლას თვალწინ სიზმარივით სწრაფად და თავზარდამცემად გაირბინა ამ სურათმა.

თავდავიწყებით ეძებრა მტერს მეგო-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა.

ბრის სიკვდილით გადარეული ვაჟაკი. ნახტომი ბურჭუხე, თოფის ქუხილი, ხიმტის ტრიალი, თოფის კონდახის ლაწანი. გაბრუვდა, დაიღალა, დაეცა და ფერდობზე დაგორდა. როცა გონს მოეგო, საოცარი სიჩუმე იყო. ცაზე შემოდგომის ბადრი მთვარე მოჩანდა და ისე ილიმებოდა, თითქოს მიწის შვილებს უბედური დღე არ დასდგომოდათ.

რა მოხდა? სად არის გოლა? აქ რა უნდა? ამ ცივ მიწაზე ასე უღონოდ რამ მიაგდო? ასე უღმერთოდ ვინ მიპბეგვა? წამოდგომა სცადა, წელი ვერ აითრია. საიდანაც კენესა შემოესმა. ამ ხმამ ყველაფერი გაახსენა, გაახსენა და ასევე მთვარეს გახედა.

— ცოტა ადრე ამოსულიყავ, რა საცოდაობას ნახავდი! — გაურბინა გონებაში.

მერე ისიც გაახსენდა, ნიკალა როგორ ასჩეხეს.

— ვაიმე, ძმაო! — ამოიგმინა, რაღაც ძალამ მიწას აპგლიჯა, ფეხზე დააყენა და გაამაგრა.

ხეობაში მხოლოდ მდინარე შხუოდა. მთვარის შუქზე მოჩანდა, როგორ ბოლაფდნენ დამწვარი ბურჭუხები. მერე ისიც გაახსენდა, როგორ გადაეგლო ბურჭუხები და...

„რახან ცოცხალი ვარ, გამიმარჯვინია!“ — გაუელვა თავში. მაგრამ თვალწინ ისევ აჩეხილი მეგობარი დაუდგა და ფერდობს გახედა.

— ნიკალა, ბიჭო!

— ნიკალა, ბიჭო! — რამდენჯერმე დაიძახეს მთებმაც. ისინიც ეძებდნენ, ისინიც უხმობდნენ.

გოლამ კიდევ დაიძახა და მის ხმას ქვეთინი შეერიო.

გაზეთის რეპორტიორებმა მეორე დღესვე რამდენიმე სტრიქონში ჩასტიეს ხეობის ტრაგედია და კაბინეტში შეუტანეს ნიკოლოზ ცხადაძეს.

რედაქტორი აქამდე მხიარულ გუნებაზე იყო. ის თავისი ლამაზი ქალიშვილით არ აკლდებოდა მთავრობის მეჯლისებს და ყოველ საზეიმო შეკრებაში მონაწილეობდა.

მისი გაზეთი ჯერ გერმანელებს შეეცადა ალტაცებით, ცოტა ხნის შემდეგ იგივე გაზეთი ალტაცებას ვერ ფარავდა, რომ ამიერიდან ფრანგები იქნებოდნენ ქართველთა მფარველნი. ხოლო შემდეგ კი შორით-შორეთიდან მოფრენილ „მფარველ ანგელოზებს“ — ინგლისელებს უკმევდა გუნდრუკს... მაშინდელი ყველა მოწინავე წერილი ცხადაძის მიერ იყო გამომცხვარი. მისივე ხელით იყო დაწერილი ყველა მოზრდილი სტატია, სადაც ბოლშევიკებს ათასგვარ ცილს სწამებდა.

რედაქტორმა თვალი გადაავლო იმდღევანდელ ინფორმაციას და სხვა ანაბეჭდებზე მიაგდო.

— იქნებ არა ღირს? — ჰკითხა მან თანამშრომელს.

— როგორც გვიბრძანებთ! უკვე ხუთამდე დაგროვდა ამგვარი მასალა. მღელვარება გრძელდება. მე მგონი, სხვა სახის მასალის გამოქვეყნება მოკვიბდება.

იმას, რასაც ამ ბოლო დროს რედაქტორი შინ გაბედულად და პირდაპირ ამბობდა, თანამშრომელთან ვერ იტყოდა.

— ეს ინფორმაციები მაკეტში გაქვთ მონიშნული?

— გვაქვს ერთი სვეტი.

— მართლაც არაფერი სასიკეთოა ჩვენთვის მათი გამოქვეყნება, — თქვა ცხადაძემ, — სჯობს თავი შევიკავოთ. ჩვენ ისედაც ბევრი ჯარისკაცი დავკარგეთ.

— მდგომარეობა სერიოზულია. მით უმეტეს, ბოლშევიკები კარს მოგვდგომიან, — თანამშრომელმა ნიკაპი მოისრისა და რედაქტორს შეხედა.

— კარს მოგვდგომიან? — სევდანარევი ფრუტუნით ჩაიცინა ცხადაძემ, — და განა შინ ცოტანი გეყვანან? აი, დღევანდელი მათი გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“. რედაქცია არა ჩანს. გაზეთი მაინც გამოდის და ეს გაზეთი მაგიდაზე მიდევს. მათ უკვე გამოაქვეყნეს ის, რასაც ჩვენ ვერიდებთ.

— მით უმეტეს, — თქვა თანამშრომელმა და მისი სიტყვები გაუშიფრავი

დარჩა. რედაქტორს არ უკითხავს, რას გულისხმობდა თანამშრომელი, გამოექვეყნებინათ ცნობები წითელ პარტიზანებთან შეტაკებაზე თუ თავი შეეკავებინათ.

ერთ პატარა ინფორმაციას შეუძლია დიდი საქმე გააფუჭოს და ბოლშევიკების წისქვილზე წყალი მიუმატოს. ამიტომ სჯობს დამუნჯდეს პრესა. სჯობს წაუყრლოს, ამბები ადგილზევე ჩაქრეს და ჩაიხშოს... რედაქტორი ფარხმალდაყრილ ჯარისკაცს დაემსგავსა.

იმავე საღამოს დაწერა ბოლშევიკების საწინააღმდეგო წერილი, მუშებსა და გლეხებს „აშოშმინებდა“, თავისი მთავრობის სახელით ბევრ რამეს პირდებოდა. მაგრამ ეს იყო მოღლილი ტვინის ტყვეტა, თავისი ნაწერისა თვითონვე არა სჯეროდა.

როცა აწყობილი მასალა ხელახლა წასაკითხად მოუტანეს, ნაწერი არ მოეწონა, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ხელი მაინც მოაწერა. ხოლო იმ ადგილზე, სადაც ინფორმაციები უნდა წასულიყო, გიუნაშვილის ლირიკული ლექსები დაბეჭდა. ლექსებში ოქროს შადრევნები სჩქეფდა, მუსიკის ნაზი კვნესა ისმოდა. ყველა ლექსი ერთმანეთს ჰგავდა.

პოეზიით მოხიბლულ ეთერს ის ლექსებიც მოეწონა. ახალგაზრდა პოეტს ესოდენი წარმატება ჯერ არ ღირსებია.

ფრთებშესხმული პოეტი ზის ეთერის გვერდით, ხელში მისი ხელი უჭირავს და თავისი ლექსის სტრიქონებს ერთრულდება.

— წუხელ მამა გვიან დაბრუნდა, — უთხრა ეთერმა, სახე მოედრებოდა, — თურმე ინფორმაციებს ამზადებდნენ იმ შეტაკების შესახებ, ამ დღეებში რომ მოხდა.

— სჯობს სიყვარულზე ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ, მაგრამ მე მინდა ერთი საიდუმლოც გაგანდო.

— მითხარი.

— მამა ამბობს, ჩვენი მთავრობის კრიზისი უკვე დაიწყო. მინისტრები ფარულად ემზადებიან გასაქცევად. სხვა

ქვეყნების დახმარების ყველა იმედი ამოიწურა. ხედავ რა ხდება? ვაჩვენებთ ვინაა მისი მხარე?

— მაგრამ ლირიკასთან დასისუფარულთან თვით უბოროტეს ადამიანებსაც კი ქელი მოუხრიათ... სიყვარული ისევე უკვდავია, როგორც სიცოცხლე, შენ რა გაფიქრებს?

— შენ არ გინდა დაინახო, არ გინდა დაიჯერო, მაგრამ შეიძლება იმაზე უარესი მოხდეს, რაც დღეს ხდება. პირდაპირ გეტყვი: თუკი ბოლშევიკები გაიმარჯვებენ, ჩვენ აქ არ დავგვედგომება. — ეთერს თვალეები ცრემლით აევსო.

ვაჟმა მისი ხელი გულში ჩაიკრა და ჩურჩულით უთხრა:

— დაწყნარდი... ყველაფერი კარგად იქნება, შენც აქ დარჩები და მამაშენიც...

— თუ წავედით, მაშინ? — ცრემლიანი თვალეები გაქს შეანათა ქალმა.

— მეც იქ ვიქნები, სადაც შენ! იქ გავიხარებ, სადაც შენ! და იქ მოგკვდები, სადაც შენ! — აღზნებით შესძახა ვაჟმა.

ღარებში წყალი ჩხრიალებს. წისქვილი ზანზარებს. ბერდოს საფქვავეი გასჩენია. ვაჟს გაზეთი გაუშლია და კითხულობს.

— ე მაგას რას მიკითხავ, ბიჭო?

— ლექსს, ძია ბერდო.

— ვიცი, რომ ლექსია, ვხვდები, მაგრამ არსენას ლექსისთანა მაინც არ არის. ის სხვა მარილზეა დაწერილი. კიდევ უნდა წამიკითხო.

— არსენას ლექსს წავიკითხავ. ესენი აღარ გინდა?

— ძალიან ისეთია, რა ვიცი, როგორ გითხრა, ჩვენს შორის დარჩეს და, ბევრი არა მესამის რა. ლექსი ისეთი უნდა იყოს, ჩემისთანა ბრმამაც დაინახოს. შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააჭენგამოაჭენაო. ვხედავ, მა რა არი! ეგ კი ვისი ლექსებია, ვინ დაწერა?

— ჩვენმა ვალიკომ.

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

— ჰოო! თბილისშიც წამეტრახანა ერთხელ. მაშ, გაზეთშია დაბეჭდილი?

— გაზეთში. თვითონ გამოუგზავნა ძია გიგოს. ვნახე და უმალ შენთან გამოფერინდი, მეგონა, გაგებარდებოდა.

— „საქართველოს კომუნისტი“? ისინი ურიგოს არ დაბეჭდავდნენ. რა ვიცი, იქნებ მე არა მესმის რა ლექსის ანაბანისა.

— „საქართველოს კომუნისტი“ კი არა, ძია გიგომ თქვა, ეს იმათი გაზეთიაო.

— ვისი, ბიჭო?

— მენშევიკებისა.

— მენშევიკებისაო? — ისე მოულოდნელად დაიჭიქა ბერდომ, რომ ბიჭი სამფეხადან გადავარდა.

— როგორ გაზედე მაგისი შემოტანა ჩემ წისქვილში? აქ სიკეთე უნდა შემოდოდეს, ბიჭო! ემანდ შენი გაზეთიანად არ დაგინახოს... — უნდა ეთქვა ჩემმა თვალებმაო, მაგრამ დროზე მოეგო გონს.

ვაჟა ჩუმად გაიძურწა წისქვილიდან. ბერდო ერთ ხანს კიდევ ბობოქრობდა. მერე დაცხრა, დაშოშმინდა, ხვიმირში ხელი წაურია ხორბალს, გობში ფქვილი გასინჯა, მსხვილად ხომ არ იფქვისო. როცა თავის ადგილს უბრუნდებოდა, წაქციულ სამფეხას წამოედო და შედგა.

— ბიჭო, ვაჟა!

ხმა არავინ გასცა.

— ბიჭო! — ხმადაბლა დაიძახა და ფეხის ხმა შემოესმა. მიაყურადა, და წისქვილის რახრახში კარგად გაარჩია, რომ ხორბლის პატრონმა მოაკითხა.

გლუხაკი წისქვილში შემოვიდა.

— ის ბიჭი არსადა ჩანს? — ჰკითხა ბერდომ.

— აბა, რომელი?

— გიგოს ვაჟა. ახლა აქ იყო.

— წასულა. კიდევ ბევრი აკლია ჩამოთავებანა? — გლუხს თავისი საქმე აწუხებდა.

— ჩამოთავდება. დაჯექი, რას ეშურები!

ბერდომ ტახტს მიაგნო და ჩამოჯდა.

— ვაწყენინე და აბა, რას გაჩერდებოდა! — სინანულით თქვა მან.

— ისეთი რა ჰქენი, ბერდო?

— მენშევიკების გაზეთი მოიტანა და დიდის ამბით მიკითხავდა. იმათი ლექსი მინდა და არც არაა! ერთი სიტყვაც არ მინდა! — ხმას აუწია ბერდომ.

გლუხაკი ხმას არ იღებდა.

— რა ენა ჩაიგდე? — ახლა მას შეუტია ბერდომ, — თქვი, არა ვარ მართალი? გაზეთიანად გავგადე. ისევ შევრიგდებით. იმ გაზეთს კი არც თვითონ წაიკითხავს და არც აქ მოიტანს! გორთან ბიჭები დაუხოციათო, მართალია?

— მართალია, ბერდო, ჩვენებიდან ვილაც-ვილაცეები მოუკლავთ. დანამდვილებით არ ვიცი.

— ნიკალა შემოივლიდა ხოლმე, ერთ კვირაზე მეტია არა ჩანს! — ამოიხრა ბერდომ, — ვაჟაკურად თუ იბრძოლესო... თქვი რამე და გამახარე.

— ვაჟაკურად, ბერდო... ძალიან ვაჟაკურად!

— ჰაი დედანსა! ვაი, რომ ჩემი წისქვილის იქით გზა აღარა მაქვს! — გულში ერთხელ კიდევ დაიბაგუნა ხელი ბერდომ.

საუტყავი მალე ჩამოთავდა. გლუხმა მინდი დაუტოვა, მადლობა უთხრა, ტომარა მხარზე გაიღო და წავიდა.

ბერდომ წისქვილი გააჩუმა და ახლა ჩახრიალა აამღერა, ტახტზე მიწვა. გული ყელში ებჯინებოდა. ნანობდა, ვაჟას რომ აწყენინა. ამ ცხელ გულზე მისი ხმა რომ გაეგონა, ზოდიშსაც მოუხდიდა. ყურთასმენა გამახვილებული ჰქონდა, ეგებ ორდობიდან კაციშვილის ხმა გაეგონა. მაგრამ იქიდან ჩქამი არ ისმოდა. ნეტა რა დროა, იფიქრა, გარეთ გამოვიდა და შემოდგომის მიღეულ მზეს პირისახე მიუშვირა. ესიამოვნა მზის თბილი ალერსი.

იდგა და თბებოდა. მზე არ ჩქარობდა, მეწისქვილეს ალერსი არ სწყინდებოდა. მხრებზედაც იგრძნო მისი ცხოველმყოფელი სითბო და ისე ეამა, წისქვილის კართან დაჯდა.

ჩხრილავს ჩახრიალა, ჩქამი არსად ისმის. ირველივ სიცოცხლის სითბოა და ბერდო ხედავს ნაცნობ სურათებს.

ხშირად ეკითხებოდა ხოლმე ფეფეს და ვაჟას: „აგერ, იმ მხარეს ახალი არაფერი?“ „არაფერი, ძია ბერდო!“ „იმ მხარეს?“ „არც იქით!“ „მაშ ისევ იმას ვხედავ... ვხედავ ღმერთმანი!“ — გულს იტყუებს და ამ ტყუილით იმშვიდებს.

ამ დროს ფეფე მოდის ხოლმე.

ორი წყვილი ფეხის ხმა შემოესმა.

— ძია ბერდო, კერძი მოგიტანე! — თქვა ფეფემ.

— ავაშენოს! ვინ გახლავს, გოგო?

— ვაჟაა, ძია ბერდო, ვაწყენინეო.

— მე ვაწყენინე, ბიჭო, შენ კი დაიბრალებ? — წამოდგა ბერდო და ყმაწვილს ისე მიაჩერდა, თითქოს მართლა ხედავსო.

— მაპატიე, ძია ბერდო!

— ისე ჰკნავი, არ გაპატიებ! ის გაზეთი ხომ დახიე?

— ძია გივომ ლექსები ამოსჭრა, დანარჩენი დახია.

— გივო კაცური კაცია! აბა, მოდით, ჩვენი შერიგებისა იყოს! გული დამიამდა, რომ დაბრუნდი. კარგი ბიჭი ხარ, ვაჟა! — სიტბოში ისევ სიმკაცრე ერევა, — ამნაირი რამე აქ აღარ მომიტანო. ბრმა ვარ, მაგრამ საერთო საქმისთვის თავი მაინც დამიდგია.

მძიმე უღელს ეწეოდა ოქრუაშვილი. მძიმე იყო უღელდადგმული ცალი ხარის ხვედრი. მძიმე ურემს მიათრევდა, სინათლისაკენ ძალი-ძალად მიჰყავდა.

ზოგიერთი ყმაწვილი ეშველებოდა, ამხნევებდა, ტვირთს უმსუბუქებდა, ბეჯითი სწავლით გულს უხარებდა და ცალუღელა ხარიც ჭაპანასა სწყვეტდა.

— აბა, დაიწყე, თეო!

— აბა, ლევან, შენა!..

იწყებოდა თითქოს ერთმანეთის მსგავსი, ვისთვის მოსაწყენი, ვისთვის ხალი-სიანი დღეები.

მეორეკლასელებში ერთი მალხაზი ბიჭი იყო, ნიადაგ წითელ ხალათს იცმევდა ხოლმე. ქამარი წელზე კოხტად ჰქონდა შემოჭერილი, ხალათის ნაოჭები კი გულდაგულ უკან გადაწყობილი. ქორჩორი ბულუღივით ადგა თავზე და მოუ-

სვენარ თვალებს ალბათ ძილშიც ატრიალებდა.

ძლიერ უყვარდა ოქრუაშვილს ბავშვის ის რომ კლასში შემოვიდოდა, სიცოცხლეს შემოიტანდა. ახლა როგორ სწავლობდა! რაღაც მიზეზის გამო თუ არ გამოჩნდებოდა, მასწავლებელი იმ დღესვე შინ მიაკითხავდა.

„როგორა ხარ, ბიჭო სესე?“

„შენ გაიხარე, ბიჭო სესე!“

„წითელი ხალათი როგორ გიხდება, შენ გაეზარდე დედაშენს!“

მკაცრია წუთისოფელი, დაუნდობელი. კაცთა ლოცვა ყურად არ იღო და ერთ დღეს სოფლის ბაღლებში ეს მალხაზი ბიჭი გამოარჩია, ავად გახადა, ლოგინს მიაკრა და ტკივილებით ააკვნესა.

დადნა ოქრუაშვილი. სესეს მშობლებს ევედრებოდა, ურჩევდა, მოითხოვდა მათგან, ბავშვი ექიმისთვის ერევენებინათ. სესეს გადაფითრებული მშობლები კი გაბრიელის ბარიტონს უგდებდნენ ყურს:

— ავედრეთ თქვენი ძე მაღალ ღმერთს! ის იქნება თქვენი შემწე!

და ისინიც ზვარაკს არ იშურებდნენ, ლოცვით იღლებოდნენ, ეკლესიის გარშემო ხოხვით მუხლებს ისისხლიანებდნენ. საბრალო დედას ხმა ჩაუწყდა, ცრემლი გაუშრა. ღმერთი დუმდა და სანუგეშოს არას ჰპირდებოდა. და ერთ დღეს ჩაიფერფლა სესე. მისი სიკვდილის გამო ოქრუაშვილმა მოწაფეები ერთი დღით დაითხოვა, თავად გულმდუღარედ იგლოვა პატარა ბიჭი.

მისი გახსენება ჭრუანტელს გვრიდა და დამწვარი გული უარესად ეწვოდა.

ეკლესიის გალავანთან გაიარა. გალავნის ღია კარიდან ეზოში გაბრიელი დაინახა და ელდანაკრავივით შედგა.

„შავო და ბნელო! შენ მოჰკალ იგი!“ — გულში ტკივილმა გაჰკრა, თავბრუ დაეხვა, კედელს ხელი შეახო, რომ არ დატორტმანებულყო და არ დაცემულიყო. ამ დროს გაბრიელი ჭიშკარს გამოსცდა.

თენგიზ გოგოლაძე

კაპტი კაპციტა

კედელზე მიყრდნობილი ოქრუაშვილი დაინახა და მიეშველა.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ჰკითხა საამო ბარიტონით.

ოქრუაშვილმა თვალებში შეხედა მას. ასე ახლოს პირველად უყურებდა ამ კაცს და ერთ წუთს გარინდებული იდგა.

„და მაინც ბნელი სულია“ — გონს მოეგო მასწავლებელი. მღვდლის ხელი მოიშორა.

— მე არა მიჭირს რა! — თქვა მან და ღონე მოიკრიბა, — კარგია, შეგხვდით. თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

— დიდის სიამოვნებით. გსურთ ეკლესიაში ვისაუბროთ, გსურთ ჩემთან, — თავაზიანად უთხრა მღვდელმა.

— არც აქ, არც იქ. გზადაგზა... ვიპრობ!

— სიამოვნებით!

გალავანს გასცდნენ, მაგრამ ერთ ხანს საუბარი ვერ აეწყო. გაბრიელი უცდიდა. ოქრუაშვილი კი მღელვარების გამო ხმას ვერ იღებდა, სათქმელი კი ბევრი რამ ეწადა. ისიც სწრაფად, ერთბაშად უნდოდა მოეთავებინა და მერე მარტო დარჩენილიყო. სიმარტოვეში შვებას ვერ გრძნობდა, მაგრამ მწუხარების ქამს ასე ერჩივნა. პატარა ბიჭის გლოვა ჯერ კიდევ ტრიალებდა მის გულში და ვინ იცის, ეს წუხილი როდის გაუნელდებოდა.

— თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა იგი! — დაიწყო ოქრუაშვილმა, ხმაში ცრემლი გამოერია და ქვედა ყბა აუკანკალდა.

— დამშვიდდით! — სთხოვა მღვდელმა, — მე არ ვიცი, ვიზე მელაპარაკებთ.

— ამ ათი დღის უკან დავმარხეთ. პირდაპირ გეტყვით, რომ იმ ყმაწვილის სიკვდილში ბრალი თქვენ მიგიძღვით.

— მე?! — გაიკვირვა მღვდელმა.

— დიახ, თქვენ... შენ! მე შემძლია გელაპარაკო შენობით, ბევრად ხნიერი ვარ შენზე. სხვები „მამაოს“ გეძახიან, მაგრამ შეუფერებელია ეს შენთვის.

— ეს შეურაცხყოფაა! — თავშეკავებით შენიშნა მღვდელმა და მისმა სიმ-

შვიდემ შეზარა ოქრუაშვილი. მღვდელის ცერად გახედა.

— მაპატიე, რომ ამდენს გკადრებ, მაგრამ ეს ასეა! — ხმადაბლა ეუბნებოდა ათრთოლებული ოქრუაშვილი. ხანდახან შედგებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, მაშინ შედგებოდა მღვდელიც და ანაფორის სახელოს შეისწორებდა.

— ყმაწვილის სული საამქვეყნო არ ყოფილა, — თქვა გაბრიელმა და თანამოსაუბრეს შეხედა, — მან ჩქ, საიქიოში უნდა იცოცხლოს.

— მაშ, ღმერთს რად ევედრებოდი, რომ ბიჭი აქ დარჩენილიყო?

გაბრიელმა ზეცისაკენ აღაპყრო ხელი, მერე პირჯვარი გადაიწერა.

— მე სხვანაირად არ შემეძლო... მე ღვთის მსახური ვარ!

— ნასწავლი, მაგრამ მაინც ბნელი კაცი!

— თქვენ ასე მიგაჩნიათ?

ამ დროს შუკაში ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ ბავშვები. ისინი ქვემოთ დაეშვნენ და იქაურობა ხმაურით შეძრეს.

მასწავლებელი ბალებს გაპყურებდა და მის სევდიან თვალებს სინათლე მორეოდა. თვალში ცრემლი უბრწყინავდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — მოესმა მღვდლის სიტყვები და მიხედა. „იქნებ არც გაუგონია, რაც ვუთხარი და რატომ ვუთხარი?“ — გული მოუვიდა ოქრუაშვილს.

— რატომ არაფერს მეუბნებით?

— მე ღვთის მსახური ვარ! — მოკლედ და უგულოდ მიუგო მღვდელმა.

— რასაკვირველია, ვერც გავუბებთ ერთმანეთს.

— ასეა, — დაასკვნა მღვდელმა და პირჯვარი გადაიწერა, — ქვეყანაზე უღმერთობი მომრავლდნენ და მე ყველას ვერ ვუვადებ ყურს, ყველას ვერ ვაგუწვევ ანგარიშს!

— ყური მიუგდე მომავლის ხმაურს! აგერ, იმათ ხმას! მომავალი ეგ არის.

ბავშვები კვლავ ჟივილ-ხივილით გაცვივდნენ ვიწრო შუკაში და ბელურებით მოედვნენ ღობე-ყორეს.

— მისი ცოდო კი შენს კისერზე

იყოს! — მიაწყევლა ბოლოს ოქრუა-
შვილმა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა
შავ ქანდაკებას.

— ბიჭო, ვაჟა! თურმე არსებობს
ისეთი ქვეყანა, სადაც ბრძენებს თვალეებს
უდგამენ და ისინიც ისევე იხედებიან,
აი, როგორც შენა.

— მართლა? სად არის ეგ ქვეყანა,
ძია ბერდო?

— ძაან შორს!

— მერე როგორ უდგამენო?

— თვალხილულს ამოუღებენ ცალ
თვალსა და ბრძენს ჩაუდგამენ.

— ნეტა ჩვენშიც იყოს ეგრე! — წა-
მოიძახა ვაჟამ.

— მერე?

— მერე ისა, რომ ჩემს თვალს ამო-
ვიღებდი და შენ ჩაგიდგამდი!

— კარგი ერთი და! ხუმრობ თუ მართ-
ლა?

— მართლა ვამბობ, ძია ბერდო!

— ბიჭო, ძმობასა და ზიძაშვილობას
თავი დავანებოთ, მე ხომ მართო ამხა-
ნავი ვარ შენი, შენ ჩემთვის თვალს გაი-
მეტებ?

— გავიმეტებ, ძია ბერდო!

— საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერ
გავიმეტებ.

— გავიმეტებ-მეთქი!

— ვერა, ბიჭო!

— რატომ არა გჯერა? შენ რომ დაი-
ნახავ და გაგეხარდება, ის ჩემი სიხა-
რულიც იქნება! შენ არ ამბობ ხოლმე,
კაცი კაცითაო? სხვა რა შემიძლია გიშ-
ველო. ცალი თვალით ხომ კარგად ხე-
დავდი, ძია ბერდო?

— სადა ხარ, ბიჭო, ახლოს მოდი,
მკერდზე მომადე თავი. აი, ეგრე! შენ
გენაცვალე, გული რომ გამითბე! იმე-
დიც კარგი წამალია, ბიჭო!

ბერდომ ხელი სახეზე მოუსვა ვაჟას,
ალერსით გააყოლა თვალეებზე და ქუ-
თუთოდაფარებულ დიდრონ კაკლებს
რომ შეეხო, თავი გააქნია და თქვა:

— რას ამბობ, შენ ისეთი ვაჟაკი
უნდა დადგე, ვარსკვლავებს ეთამაშე-
ბოდე! ასეთი გული რომ გაქვს, მაგისა-

თვისაც დიდი მადლობა, ბიჭო. შენის
თანები რომ ეყოლება ქვეყანას,
ქვეყანაში რა დააბრმავებს კაცს?

სალამოს გვიან მოუტანეს საფქვავე.
როცა გლევსაკმა ფქვილის ტომარა
წამოიკიდა, ბერდომ ჰკითხა, რა დროაო.
— საცაა შუალამე მოატანს, ბერ-
დო.

ბერდომ ღარი გადაჰკეტა და წისქ-
ვილში შევიდა. ამ დროს ცხენის ფლო-
ქვების თქარათქუური მოესმა და კარს
დაუბრუნდა. „ნიკალა იქნება, ის დაკარ-
გული! მაინც, რამდენი ხანია არ მოსუ-
ლა!“ — გაურბინა გონებაში.

მხედარმა ცხენი სულ ახლოს მოაგ-
ლო და ბერდომ გაიგონა, როგორ გად-
მოხტა იგი.

— ნიკალა! — შესძახა ბერდომ. მაგ-
რამ ნიკალას მაგივრად სხვა მოე-
ხვია.

— მე ვარ, ბერდო, გოლა ვარ!

— შენ შემოგველე, ბიჭო! როგორა
ხარ? დიდი ბრძოლა გადაგიტანიათ.
გავიგე.

— მაგრად ვიომეთ.

— დამარცხდით თუ გაიმარჯვეთ?

— არ დავმარცხებულვართ და არც
დავმარცხდებით. მაგრამ ერთი საწყენი
უნდა გითხრა: ნიკალა აღარა გვყავს.

— ვაიმე, ბიჭო! — ბერდომ მუშტი
მკერდზე დაიკრა.

— შენ სადღა იყავ?

— მის მკვლელებს მე თვითონ გავუს-
წორდი...

— შენ გენაცვალე მარჯვენაში!

— ნიკალა ატენის მთაზე დავასაფ-
ლავე და ფიცი დავდე.

— შენ გენაცვალე! აფსუს, ბიჭო!
სხვები, სხვები როგორღა არიან?

— ნიკო, ბარნა, ჯამბარა და შამშე
სალად გამოვიდნენ. ახალი ბრძოლისათ-
ვის ვემზადებით. მალე მოვალ და გა-
მარჯვებასაც ვახარებ. ის დღე მალე
გათენდება და შენც დაინახავ. ნიკომ
თქვა, ის ისეთი დღე იქნება, უსინათ-
ლოებიც დაინახვენო.

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა



— ბიჭო, ვაჟა, რა ხდება ქვეყანაზე?
— აბა, რა ვიცი!
— უნდა იცოდეს! მზე ხომ ამოდის და ჩადის?

— მაშ, რა იქნება, ძია ბერდო!
— ვენაცვალე იმის სხივის ძალას! მთვარეც ხომ ამოდის და ჩადის?
— არაფერი შეცვლილა, ძია ბერდო, ყველაფერი ისევ ისეა.

— ის დღე როდისღა დადგება, როცა ბრმებიც დაინახავენ? გული გამიკეთა ვოლამ. ჩემმა მტერმა დაინახა ისე, როგორც მე დავინახავ. თუმცა ბრალი იმისა, ვინც დაბადებით ბრმაა და ამ ქვეყნისა არა უნახავს რა. მე კი ვნახე და ფერის მაღლიც ვიცი.

გულს იმწვიდებდა. გული კი არ ემორჩილებოდა, გულს სინათლე სწყუროდა, სიბნელეს ვერ ეგუებოდა; განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტო რჩებოდა. როცა მისი წისქვილიდან შეღამებისას ფეფე და ვაჟა წავიდოდნენ, მაშინ მიხვდებოდა, რომ შეღამდა. ერთ ხანს წისქვილის კართან დადგებოდა და თავს შემართავდა. ჰოი, საკვირველებავ! კვლავ ხედავდა ცის უსაზღვრო სიფრცეს, ვარსკვლავეთის ფიქრმიწფვდომელ სამყაროს და გული სიხარულით შეუქანდებოდა. მაგრამ მერე, როცა ხელს მოაფათურებდა და წისქვილში შევიდოდა, გული ქმუნვას ეძლეოდა.

დაბრმავების შემდეგ მისი სამყარო ძალზე დაპატარავდა. უფრო მეტად შეუყვარდა წისქვილი. მაშინ ბევრ რამეს ნანობდა ბერდო. გულუბრყვილო სიჭაბუკის ბევრი შეცდომა ახლა ასწონ-დასწონა. ინანა ჯერ ერთი ის, რომ ბოლომდე ვერ მიიტანა სიყვარულის ნაპერწკალი. ახლა მეგობარი რომ ჰყოლოდა, სულ სხვა იქნებოდა. ერთიორად შეუშუსუბუტდებოდა ბნელში ცხოვრება, გოგო უყვარდა ჩუმად, მალულად. გოგონაც მისდამი ტრფობის მალულ კაეშანს მისცემოდა. გულმა გული მონახა, მაგრამ ვინაიდან ბერდომ შუამავალი — ენა ვერ დაძრა, გოგო სხვა გზას დაადგა. ახლა რომ ის აქ ჰყოლოდა, ან

ვინმე სხვა, მაშინ ღამითაც არ მოვიდოდა სევდა და მეგობრის სიახლოვე, მისი სითბო და ალერსი ბერდოს არსებაში ჩაგრაგნილ შავ ღრუბელს გაჰყრიდა. ახლა ვინ ამოუდგება გვერდში ბრმას! მასთან თუ მოდიან, მოდიან თავიანთ საქმეზე, საფუქვავი მოაქვთ. ზოგი კი უთუოდ სიბრალულის გრძნობას მოჰყავს. კაცი კაცით ცხოვრობს და ბერდოც მხნეობით ივსება, როცა ისინი მასთან არიან.

— მაშ, არ იცი, ქვეყანაზე რა ამბები ხდება?
— აბა, რა ვიცი!

— ვისაც თვალი აქვს და ქვეყანას უყურებს, უნდა იცოდეს! — ზურდღუნებს ბერდო, საკუთარ სულში და ჩაკეტილ სამყაროში ფათურობს, ფათურობს და იქიდან ვერ გამოსულა.

— ბიჭო, ვაჟა, გიგოს უთხარი, ბერდო კიდევ ერთ სამსახურს გთხოვსთქო. ბევრ მაღლსა შერები და ერთიცა ჰქენითქო. ერთი კარგი ქოფაკის ლეკვი მიშოვოს.

— ლეკვი რად გინდა, ძია ბერდო?
— ძალღი რად უნდა კაცსა?! — ბრაზობს ბერდო, — სამეგობროდ, საიმედოდ. შარშან ზამთარში თოფით ვაფრთხობდი მგლებს. წელს ძალღმა თუ არ დამიფრთხო, ღამით შემჭამენ ის ვერანები. კარგი ქოფაკი მინდა, რომ იმისი ყეფა ერთაწმინდაში გაიგონონ. ცოტა მოზრდილი რომ იყოს, კარგი იქნება.

რა უნდა ეთხოვა ბერდოს, რომ მჭედელს თავი არ გამოედო და არ შეესრულებინა. და ახლაც დაიწყო ჯიშინი ლეკვის ძებნა. ჩოჩეთში მიაგნო. ძვირად დაუფასეს. კარგა ხანს ევაჭრა. ვერ მორიგდნენ. პატრონი თავს იდებდა და რახან ატყობდა, გიგოს გულით ეწადა ლეკვის წაყვანა, დათქმულ ფასს არამც და არამც არ უკლებდა. ვერ მორიგდნენ. გიგო დაღონებული დაბრუნდა. სოფლის სამიკიტნოს რომ გამოსცდა, საიდანღაც ჭიჭიან-ვანა გამოძვრა და მჭედელს ღიღინით გვერდში ამოუდგა.

— სად ყოფილხარ, ძია გიგო?

— ჩოჩეთში ვიყავი. ლეკვი მინდოდა. პატრონს ვევაჭრე და ვერ მოვრიგდი.

— ისეთი ლეკვი გიშონო რომ!.. — წაიტრაბახა ჭიჭია-ვანამ, თუმცა იმ წუთში არც კი იცოდა, სად და როგორი ლეკვი უნდა ეშონა.

— შენ რომ ხარ, ხარ! — შეაქო გიგომ და ისე გადახედა, ჭიჭია-ვანამ მიუხედა, რა მიუნდობელი იყო იმ წუთას შვედელი.

— ეგ ადვილი საქმეა! შენთვის გინდა?

— ბერდოსთვის... მადლია.

— მართლა მადლია, ძია გიგო. ძვირად დაგიფასებს?

— ცეცხლი წაუკიდა.

— ვისა ჰყავს, აბა, მითხარ.

— ბოტის გერს ეძახიან ჩოჩეთში.

— მაიტა, მე ჩავალ, იქნებ მოვურიგდე.

— ეჰ, ჩემო ვანო! ვითომ გამოგატანს?

— რომ ამოვიყვანო! რას აძლევდი, აბა, მითხარი...

— ერთ ჩანახ ლობიოსა და სიმინდს.

ბოტის გერი ორ ჩანახ ლობიოსა და ერთ ჩანახ სიმინდს ითხოვდა. რასაც გიგო აძლევდა, ესეც ძალზე დიდი ფასი იყო, მაგრამ რა ექნა, ბერდოსაგან ბევრი სიკეთე ახსოვდა: ერთ ლეკვს როგორ ვერ მიჰგვრიდა!

ჭიჭია-ვანა უცებ მოწყდა ადგილს, ჩოჩეთისაკენ პქნა პირი. ბალღივით მიკუნტრუშობდა.

გიგო სამჭედლოში დაბრუნდა. ვაჟა მოიხმო და ჭედვას მიჰყო ხელი.

— კარგ ლეკვს მივაგენ, მაგრამ ვერ მოვრიგდით, ხვალაც ჩავალ, იქნებ ღმერთი გაუწყრეს და როგორმე დამითმოს.

— ბერდოს გაუხარდება.

— ლეკვია, მაგრამ რა ლეკვი! გული დამწყდა, მაგრამ რას იზამ! დაუბერე, შვილო!

ვაჟამ საბერველის სახელური დასწია და გველეშაპმა დაიქმინა. როცა ვაჟა ქურას შეჰყურებდა, უნებურად ზღაპრული გველეშაპი ახსენდებოდა, მზეთუნახავი რომ მოიტაცა და სოფლის წყაროს დაეპატრონა. ვაჟა ამ დროს

თავს მზეჭაბუკად წარმოიდგენდა, გონებაში გველეშაპს ებრძოდა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ბრძოლა მანამდე გრძელდებოდა, სანამ გიგო გავარვარებულ რკინას გრდემლზე არ გადაიტანდა. მაშინ საბერველი გაყურდებოდა და გველეშაპის ცეცხლის ენაც დამოკლდებოდა, ცეცხლი ინავლებოდა, გველეშაპი მარცხდებოდა.

ახლაც ებრძვის გველეშაპს. ცეცხლს აფრქვევს იგი. ვაჟას ხელებს და სახეს წიწკნის მცხუნვარება. გიგო კი გავარვარებულ რკინას მშვიდად ატრიალებს გველეშაპის ხახაში.

— ძია გიგო!

ჭიჭია-ვანამ სამჭედლოს კარი შემოღწეა. შემოვარდა. სული მოითქვა. გაიღიმა. პირისახეზე ოფლი ასკდებოდა, გულში ლეკვი ჩაეკრა.

— ის არის, ბოტის გერისა! საიდან, ბიჭო?

გიგომ ქურაზე დატოვა გახურებული რკინა. საბერველმა ერთი უღიმღამოდ ამოიქმუტუნა და დადუნდა.

— ვიტირე და მომცა, — თქვა ჭიჭია-ვანამ. ნამტირალევისა კი არა ეტყობოდა რა. მის თვალებში ვერაფერს წაიკითხავს კაცი: თაღლითობდა თუ ხუმრობდა, ნაპარავი ლეკვი მოეყვანა თუ მართლა მის პატრონს გამოეტანებინა.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! ხომ არ მოიპარე, ბიჭო?

მისი ქურდობა არავის გაეგონა, მაგრამ ახლა გიგოს ეჭვი შეეპარა.

ჭიჭია-ვანა აიძრიზა, იწყინა და გიგოს არ შეეპაუა:

— ქურდები თქვენში მაიკითხე! ჩაუტა ერთი ჩანახი ლობიო და ერთიცა სიმინდი, როგორც შენ გინდოდა, ეგრე მოვრიგდით.

— თუ ღმერთი გწამს!

— ზიარების მადლმა! დედიჩემის საფლავამდე არ მივიღე! აი, ამ ძაღლის ლუკმა გაგხდე! ძია გიგო, მე ვანა ვარ!

— თუკი ეგრეა, შენ ავაშენებს ღმერთი!

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

— ღმერთმა შენ ავაშენოს! მე აშენებულნი ვარ!

მართლა ეტირნა. ხვეწნა-მუდარით რომ მოდლილა, მერე ცრემლი წასკდომა და ზღუტუნით ეუბნებოდა ბოტის გერს: კაცი არ ხარ, ბრმისთვის გვინდა ეგ შენი ლექვი, ჩვენი ბერდუას ყარაულად გვინდა, თორემ იმ კაცს მგლები შეგვიჭამენ და მისი ცოდო შენს კისერზე იქნებაო.

ბოტის გერის ქვის გული გამლხვალა და ლექვი გამოუტანებია. საწყალი ბიჭი თავქუდმოგლეჯილი გამოქცეულა ჩოჩეთიდან. ლექვი ჭიჭია-ვანამ და ვაჟამ ჩაუყვანეს ბერდოს. გიგო ჩოჩეთში ჩავიდა ანგარიშის გასასწორებლად, ხოლო როცა შინ მობრუნდა, ნარჩენი რკინეული შეათვალიერა ჯაჭვის გამოსაჭედად.

ბერდომ ლექვი ჩამოართვა ჭიჭია-ვანას, ხელი ალერსით გადაუსვა თავსა და ზურგზე და იკითხა:

— კარგი ქოფაკი დადგება?

— ახლავე შესჭამს მგელსა, ბერდო! — შესძახა ჭიჭია-ვანამ, მერე ქოფაკით დაიღრინა და შეჰყვია.

— ვის გამოართვით?

— გიგომ მიაგნო ჩოჩეთში. ძვირად კი დაუფასეს.

ვაჟამ ხელით ანიშნა ჭიჭია-ვანას, ნურას იტყვიო. ჭიჭია-ვანა ვერ მიუხვდა, რას ანიშნებდა. თავისი სათქმელი განაგრძო:

— ერთი ჩანახი ლობიო და სიმინდი ჩაუტანა გიგომ.

— გაუწწწორდები, — მაშინვე თქვა ბერდომ. ლექვს კიდევ ერთხელ მიეალერსა და იატაკზე დასვა. ლექვმა უძლურად შეჰყვია, ბერდოს გაეღიმა.

— ამ ხმის პატრონმა უნდა დაიქუხოს?!

შეყვითლდა, შესმა გარემო, ხე გაიძარცვა და კაცის გული დაინისლა. არასოდეს ისეთი მიყრუებული და მიგდებული არ არის სოფელი, როგორც შემოდგომის მიწურულს. სიცივე მთებიდან მოძვრება. გარემოს უწინ იქ გაურჩება

ნდება ჭალარა. უწინ მთები მოხუცებიან.

თოვლს ნოემბრიდან ელიან. მაგრამ ხანდახან საახალწლოდ თუ ჩამოჰყრის. თუ მოვა, ხვავიანად მოვა. ამოავსებს და ამონამქრავს ხევ-ხუცებს, ქობმახებს მიეზვინება, სახურავებს შეამალლებს, კოჭებს მძიმედ დააწვება და ააჭრიალებს. გადმოთოვლავენ. ახლა კარ-მიდამოში დახვავდება და ეხოს გაზაფხულამდე არ შორდება თოვლი.

სოფელი ამ დროს გაკაფულ ტყვეს ჰგავს. გაზაფხულზე უნდა იფეთქოს, ამოიყაროს, გაიშალოს. ვაგლახ, რომ ბერდო ყველაფერს გამოაკლდა და აგრერიგად დაატარა ვადა მისი სამყარო! გიგო კვლავ სამჭედლოში ტრიალებდა და შვილებისა და ძმისწულების ბედი აფიქრებდა. გიორგის იუნკრობა არ მოსწონდა და ხშირად დუღდუნებდა. რკინას სჭედდა, დარდს გრდემლთან ბრძოლაში იქარებდა, კვლავ გუგუნებდნენ ეკლესიის ზარები და გაბრიელი მხურვალე ლოცვაში აღამებ-ათენებდა.

ესტატე იშვიათად. მაგრამ მაინც შეივლიდა ეკლესიაში და ხატს სანთელს დაუნთებდა. ჩუმი ლოცვით პირჯვარს გადაისახავდა. ერთხელ კი მღვდელს შინ ეწვია.

გაბრიელი ნაქურჩალით ღუმელის ანთებას აპირებდა. შეშა კი ჰქონდა, მაგრამ წვიმას დაესველებინა და ისევ ნაქურჩალით უნდა გაეხურებინა ღუმელი. სამი დღე და ღამე მაინც ისე იწვიმა. გადაღებას პირი არ უჩანდა. წვიმას სიცივე მოჰყვა. ალბათ მთაში ჩამოთოვა და სუსხი იქიდან წამოვიდა. ესტატეს გამოჩენაზე გაბრიელი შეკრთა. საღამოზე უკულოდ უპასუხა და მაშინვე გოსტაბაშვილი გაახსენდა. უტიფრად და მოურიადებლად იარაღით რომ დაადგა თავს. იმ დღეს არასოდეს არ დაივიწყებს გაბრიელი. ან რა დაივიწყებს თავის სიცოცხლეში იმ ერთადერთსა და დიდ შეურაცხყოფას! როცა გაახსენდებოდა, ჟრუანტელი სცრიდა, კიდევ ვერ მოენელებინა მაშინდელი დამცირება. კომუნისტებთან ერთად გომურში გდება.

მას შემდეგ ახალქალაქმა რამდენიმე



თავკაცი გამოიცვალა, მაგრამ არც ერთი შინ არ მისდგომია. ყოველ შემთხვევაში, მან კომუნისტური ლიტერატურის გაცნობას თავი მიანება და წიგნები დასწავა კიდევ.

როცა ესტატე ეკლესიაში შევიდოდა, მღვდელი უნდობლად გამოხედვდა. უნდობლად უყურებდა მაშინაც, როცა იგი სანთელს დაანთებდა და პირჯვარს გადაიწერდა.

ნაქურჩალი ღუმელთან მიჰყარა და მოსულს აღმაცერად შეხედა.

ესტატეს გოგიტასავით ბოროტი განზრახვა არ ეწერა თვალეში. თავი მდაბლად დაუკრა მღვდელს და პირჯვარიც გადაიწერა. გაბრიელმაც გამოიხსნა პირჯვარი და სტუმარს სკამი შესთავაზა.

— ამ სიცივეში როგორ სძლებ, მამაო? — ხელები მოიფშვნიტა ესტატემ.

— ხორცს სცივა, სულს არა! — მაშინვე უპასუხა გაბრიელმა.

— ამ ბოლო დროს სულსაც სცივა, მამაო. ცუდი დრო დაგვიდგა.

— მაგას მართალს ბრძანებ, რატომ არ დაბრძანდები? იქნებ შენც ჩემს დასაჭერად მოხვედი? — თვალი თვალში გაბედულად გაუყარა გაბრიელმა.

ესტატემ თვალი მოარიდა, სკამზე ჩამოჯდა და თქვა:

— მე მწამს ღმერთი, მამაო.

— კეთილი, — თავი მდაბლად დაუკრა გაბრიელმა, — მაშ, ღვთის მსახურთან კეთილი განზრახვით მოსულხარ.

— რასაკვირველია, მამაო. ვფიცავ წმინდა გიორგისა და წმინდა მარიამის ხატს! — ესტატე წამოდგა და პირჯვარი გადაიწერა.

წამით ღუმელი ჩამოვარდა. ესტატემ კიდევ ერთხელ მოიფშვნიტა ხელები.

— ცივა შენთან, მამაო. იქნებ შეშა გამოგელია, ამ ნაქურჩალას რომ მოათრევ...

— ნედლი შეშა მაქვს, არ ეკიდება.

— ხმელ შეშას გამოგიგზავნი, დავბრუნდები და ბიჭებს გამოვატან.

— გმადლობთ. ძლივს მოევლინა პატროსანი თავკაცი სოფელს, — დასძინა მღვდელმა, — თქვენ მენშევიკი ხართ?

ესტატემ თავი დაუქნია.
— რაზე შეწუხდით, ესტატე? თხა მღვდელმა. ახლა იგი გაეგო ერობის საბჭოს თავმჯდომარის სტუმრობის მიზეზი.

— თქვენ შეგიძლიათ ხალხს გააგებინოთ ის საშინელება, რაც ჩვენს ქვეყანას ემუქრება...

— მე ამას ძლიერ განვიცდი. ვწუხვარ ჩვენს სავალალო მომავალზე.

— მით უმეტეს... თქვენ ბევრი რამ შეგიძლიათ, მამაო.

გაბრიელმა თავი დახარა და ხმადაბლა თქვა:

— წყეულიმც იყვნენ ღმერთისა და ხატის უარყოფელნი!

— როგორც გაგიგე, თქვენ საფუძვლიანად გასცნობიხართ კომუნისტურ წიგნებს.

— გავიცანი. თქვენ არ კითხულობთ?

— არა. წიგნისათვის სადა მცალია!

— უნდა მოიკალოთ, რომ უკეთებრძოლოთ.

— მართალია, მამაო, მაგრამ წიგნს გულის დადება უნდა. თანაც რომ გამოგონ აკრძალული წიგნების კითხვა, ხომ იცი...

— ეგ მცდარი აზრია. თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ თქვენს იდეურ მოწინააღმდეგეს, თორემ შეიძლება შეცდეთ. ისინი ბევრ სიკეთეს ჰპირდებიან ადამიანს. ღმერთს კი უარყოფენ. ხალხს ტკბილ სიტყვას შეაპარებენ და ღმერთის უარყოფით ქვეყანას დალუბავენ.

— ჭეშმარიტად, მამაო!

გაბრიელმა სტუმარს არაყი და ხმელი ხილი გამოუტანა.

— მე არა ვსვამ. სტუმრისთვის კი მაქვს.

— იცოცხლე, მამაო! ღმერთმა სიკეთე ჰქმნას ქვეყანაზე! — დაილოცა ესტატემ და არაყი გადაჰკრა.

— ამინ! — მღვდელმა პირჯვარი გადაისახა და ჭიქა კიდევ შეავსო.

მეორე დღეს, როცა გაბრიელი ეკლესიისაკენ მიდიოდა, რომელიღაც ნასახ-

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ლართან ოქრუაშვილს შეასწრო თვალი. ყმაწვილი გაეჩერებინა, თავზე ხელს უსვამდა და რაღაცას ელაპარაკებოდა.

გაბრიელი წამით შედგა და გაახსენდა: „ნასწავლი, მაგრამ ბნელი კაცი“.

ეკლესიის ზარები გუგუნებდნენ.

გაბრიელმა შუბლი მოისრისა, მერე პირჯვარი გადაიწერა და სწრაფი ნაბიჯით გასწია საყდრისაკენ, რომ ფიქრით არეული გული ლოცვით დაემშვიდებინა.

და როცა ლოცვის შემდეგ შინ მიდიოდა, მღვდელმა იგრძნო მოღლილობა. დაიღალა მღვდღვარების გამო. ის უზომოდ განიცდიდა ეკლესიის დაღუპვას, რელიგიის კანდელის ჩაქრობას და ქვეყნად ახალი სხივის, ჯერ უცხო, მაგრამ უკვე საგრძნობლად ძლიერი სხივის გამოჩენას.

დახშულად რეკდნენ ეკლესიის ზარები.

გიგოს არ უნდოდა, რომ შალიკოს გარდაცვალების წლისთავი ახალ წელს დამთხვეოდა, ამიტომ გადაწყვიტა, ცოტა ადრე აეხადა მწუხარების ჭერი. დღე დანიშნა და ნათესაეები დაპატიჟა, შვილები და ძმისწულები დაიბარა.

ჭიჭია-ვანას საქმეც გაუჩნდა და სასუსნავიც. მარნის კარს არ სცილდებოდა. შეშას ნელა აპობდა და ეზოში აწყობდა. ელენე როდის-როდის დაუძახებდა, კერძსა და სასმელს დაუდგამდა.

— შეიწყალოს, კარგი ბიჭი იყო! — იტყოდა, ცრემლსაც მოიწმენდა, ჭიქას ამოამშრალებდა.

სტუმრები ნელ-ნელა გროვდებოდნენ. ყველაზე უწინ ერთაწმინდელი ტასო მოვიდა; თავდახურული, ძველი ჩიხტიკოპით დამშვენებული. იგი არც ერთ სატირალს არ აკლდებოდა ახლო-მახლო სოფლებში და ყველა მიცვალებულს რაღაცას აბარებდა. არც ჭირის ახდას ტოვებდა. გიგოს რაღაც შორეულ ნათესავად ერგებოდა.

ელენე ჭიშკართან ეგებება სტუმრებს. გერები აივანზე ტრიალებენ. გიორგის თავი მოსწონს, დეზებს აწკრიალებს და იჭიმება. უღვაშები სხვაგვარად აუბრ-

ხია და თხელი ქოჩორი გვერდზე ~~ჭამა-~~ზად გადაუვარცხნია. სამხედრო ტანსაცმელი შეენის, უფრო აკობტავენს ~~ქვეყნ-~~საც მეტი არა უნდა რა.

გიგო შვილს უბღვერის, დასცინის. მოსვლისთანავე დაიმარტოვა და უთხრა, უნდა მოგელაპარაკოო. მოლაპარაკება ცოტა ხნით გადასდო და რისთვისაც სტუმრებს თავს უყრიდა, ახლა იმ საქმეს მიხედა.

ვალიკო შუა დარბაზის კართან იჯდა და ანაიდას გატაცებით რაღაცას უყვებოდა. მხოლოდ ახლა, მწუხარების ჭერის ახდის ჟამს, შეძლეს მათ ხმამაღლა საუბარი და სიცილსაც არ ერიდებოდნენ. ამის გამგონე სოფლელი ქალები ჭორაობას არ იშლიდნენ და ამოოხვრით დასძენდნენ:

— ბრალი იმისა, ვინც მოკვდება, თორემ!..

მხოლოდ ნინო იყო კვლავინდებურად გულჩათხრობილი. ძმასა და ბიძაშვილს არ უშლიდა ხორხოცს, მაგრამ გული მაინც სტიოდა.

ვაჟას კარგად ახსოვდა ის მწუხარე პირველი ღამე. მას მერე წილიწადი გავიდა. ახსოვს, შარშან ამ დროს მარანში საწყალი თედო როგორ ტრიალებდა.

ახლაც ბევრ ხალხს მოეყარა თავი გიუნანთ კარ-მიდამოში. ისევ დაიკლა საკლავი, ისევ გამოაცხვეს პური, ისევ ჩამოსახეს ღვინო, მაგრამ ახლა თედოს მაგივრად სხვები ფაციფუტობდნენ: დარბოდნენ, კლავდნენ, ატყავებდნენ, ხარშავდნენ.

მაღალ-მაღალი მამო ისევ გამოჩნდა და ისევ მან გააწყო სუფრა. ჭიჭია-ვანა ცუტლს ხელიდან არ უშვებდა და შეშას დინჯად აპობდა.

— გეყოფა, ბიჭო, ჭიბი ნუ გადმოიგდე! — შეეხუმრა მამო.

ვანა წელში გაიმართა, არ დაირცხვინა, ხალათი ერთი ხელის აკვრით ამოიგდო შარვლიდან და ტიტველ მუცელზე ხელი მიიტყაპუნა.

— შენ მოკვდი, აჰა! — დასწყევლა მამომ.

— მოკვდე თორე, ჩემს ქელეხში არ გაგაძღონ! რას გიშლი რა! — ჭიჭია-

ვანამ ცული მოიქნია და შეშა ერთი დაკვრით შუა გასჩება.

— ეჰ, სადა მყავს ჩემი გოლა! მართო რომ დავდივარ არ გცოდები, მაშო?

— ძლიერ მეცოდები, მაგრამ რა გიშველო? გასათხოვარი რომ ვიყო, გამოგვებოდი, — იციანის ქალი.

— არა, დაფიცე! მართლა?

— შენ მოკვდი, რომ გაწითლდი კიდევს! მართლა გამოგყვებოდი, მა რა! შენისთან ბიჭს ვინ დაიწუნებდა!

— ძან მაღალი ხარ, მაშო.

— ერთი ამას უყურე, ტანადობასაც რომ მიწუნებს! — განგებ შეიკრა შუბლი მაშომ. ჭიჭია-ვანას ეგონა, მართლა მიწყრებაო, პირი მოარიდა და ცული მოიქნია.

მერე, როცა მეზობლის ქალთან ერთად მაშოს შინ შეჰქონდა მაგიდა, ვანამ ერთი აღმაცერად გახედა და თავისთვის თქვა:

— გამომყვებოდა არა, ისა! მე კი წავიყვანდი? ქოხში არც დაეტეოდა, ან რამოდენა საბანი დასჭირდებოდა, გენაცვათ! საბანი ჩემთვის არა მაქვს... გადავრჩი და მდღეობა ღმერთსა, კი ბედი მქონია! — ჭიჭია-ვანამ პირჯვარი გადაიწერა, ხელისგულები ერთმანეთს მაგრა გაუსვა და ისევ შეშის ჩეხვა განაგრძო.

ნაშუადღევს სახლი დაცარიელებული იყო. სტუმრები და შინაურები ფანისში წავიდნენ სასაფლაოზე. იქ შენდობა უთხრეს მიცვალებულს და ნელი ნაბიჯით, მდუმარედ დაბრუნდნენ შინ, სადაც გაშლილ-გაწყობილი სუფრა ელოდათ.

სოფლის ლატაკთა შვილები კარზე ატუზულიყვნენ. მაშომ ყველას ხელში ჩასჩარა თონის პური და ხორცის ნაჭერი, თან დაარიგა:

— სირცხვილია, შვილებო! შინ წადით!

ერთნი წავიდნენ, მეორენი მოვიდნენ. გიგომ თამადა დანიშნა და სუფრას თვალი გადაავლო, ყველაფერი წესრიგში თუაო.

ზალიკოანთ წუწკი ზაქარა არავის

დაუბატოცა, — თამადის გვერდით განმეოქმილიყო; სოლიკოანთ ლოქოსთვის არავის დაეძახნა, — კაცებში მამყვანად არიყო და ორივე ხელით სასმელ-საჭემელს ითრევდა. გიგოს დაუბატოცებელი სტუმრის მისვლა როგორ ეწყინებოდა! სუფრაზე ყველაფერი რიგზე იყო და ახლა მარნიკენ გასწია. მარნის კართან ვანას მოჰკრა თვალი. ის საცოდავი ყველას დავიწყებოდა. გიგოს გაუკვირდა. ვანას სხვა დროს პატიყი არ სჭირდებოდა.

ჭიჭია-ვანამ გიგო დაინახა თუ არა, გაბრაზებით მიმართა:

— დამიძახებენ თუ არა, ბოლოს და ბოლოსა?!

— ეჰ, შენც თუ პატიყი გჭირდება! ხომ ხედავ, რა დღეში ვართ...

ვანომ ცული მიაგდო და სახლისაკენ გასწია. როცა აივანზე ავიდა და ახმაურებული ოთახის კარს მიუახლოვდა. მაშო გადაუდგა:

— ვანო, შენ მანდ იყავ. ახლავ გამოგიტან საჭმელ-სასმელსა.

— იქით გაეცა! — მუჯლუგუნი გაჰკრა ქალს და ჯიქურ შევიდა ოთახში, არავის მოერიდა, კაცები მისწი-მოსწია, ჩაჯდა და მაშინვე პურ-ღვინო დაითრია.

— მიდი, ვანო! — შეუნთეს აქეთ-იქით მსხდომმა გლეხებმა.

— მივალ, მა რა!

მრავალი სადღეგრძელო ითქვა. ჭიჭა ჭიჭაზე იცლებოდა. ჯერი სიმღერაზე მიდგა.

ნინომ დაუშალა სიმღერის წამომწყებს, მკაცრად შეხედა და თვალზე ტრემლი მოადგა.

— წესია, შვილო, მამა-პაპათავან ასე მოდის, მწუხარებას ჭერი სიმღერით უნდა აეხადოთ, — დაარიგა ერთმა ხანდაზმულმა გლეხმა. ნინო გახევებული იდგა, მაშინ ძმამ უჩურჩულა:

— ამათ წესს ვერ დაუშლი. წავლენ და გაგჭორავენ.

— არაფერი არ მესმის... — ნინოს ტირილი მოერია და მეორე ოთახში გავი-

თენგიზ გოგოლაძე

კაცი კაცითა

და. ყუყუნა და ანაიდა მაშინვე გაჰყენენ. კარი დახურეს და საწოლზე ჩამოსხდნენ. ნინო ნერვიულობისაგან ხელებს იმტერებდა.

— მე არ მესმის, ეს რა წესია!

სუფრაზე კი გაისმოდა:

— დამშვიდდება და გაიგებს...

— ოჯახს ეყო მწუხარება, სიმღერა უნდა!

— უსიმღეროდ წლისთავი გაგონილა, ხალხო?!

— არა, არ იქნება. თვითონ მიცვალებულის სული ითხოვს გათავისუფლებასა.

— წესი და ადათი უნდა შესრულდეს. და შეასრულეს. მაინც იმღერეს.

გიორგი და ვალიკო დუმდნენ. თვალს ადევნებდნენ შემთვრალ გლეხებს.

— მაშ, შენ ოფიცერი უნდა გამოხვიდე?

— ოფიცერი, მამა.

შვილის პასუხის მერე დუმილი ჩამოვარდა. გიგო ტახტზე იჯდა, გიორგი კედელთან იდგა და მამას უყურებდა. მათ გარდა ოთახში სხვა არავინ იყო.

გიორგიმ უპასუხა მამას და ახლა მორიგ შეკითხვას ელოდა, მაგრამ დუმილს ბოლო არ უჩანდა. გიგო შვილს აღარ უყურებდა.

— მამა, რაღაცის თქმა გინდოდა.

— დიახ, მინდოდა. მოითმენდი და გეტყოდი. ასეთები ხართ ახალგაზრდები, დაუფიქრებელი! ახლა შენა მყავხარ მხედველობაში. მე შენი გადაწყვეტილება არ მომწონს. გიმნაზიას დაამთავრებდი...

— ჩემი კლასიდან ბევრი წავიდა იუნკრად. ასე გვირჩიეს. შენ კარგად იცი, რომ მე თავიდანვე მიტაცებდა სამხედრო საქმე.

— ჰო, იმთავითვე ქარაფშუტა იყავ! — ხმას აუწია გიგომ, მაგრამ უშალ დაცხრა, — რომელ არმიას უნდა ემსახურო?

— საქართველოს ნაციონალურ არმიას. ეს რა საკითხავია!

— იმ ცხოვნებულმა შენმა ბიძაშვილმა ვერაფერი გასწავლა?

— მაინც რა უნდა ესწავლებინა? მან სულელურად დაიღუპა თავი.

— სულელურად კი არა, ვაჭაკაყურად! — კვლავ იყვირა გიგომ, — მართლა ბეცი უნდა იყო ადამიანი, რომ არ ხედავდე, ხვალ რა მოგელის... სანამ შენ ოფიცრის პაგონებს დაგაკარავენ. მაგ შენი არმიის ბუნდლა არ იქნება.

— მამა! — აღელვებულ გიორგის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მამის მკაცრმა გამომეტყველებამ ჩაუხშო სათქმელი. მხოლოდ ისღა მოახერხა, ქუსლი ქუსლისთვის მიერთყა. დეზებმა გაიწკრიპლეს.

გიგოს შვილის საქციელზე დამცინავად ჩაეღიმა. ჩექმებზე შეხედა და უთხრა:

— აი, ეგ გაგიყებს!

— სრულიადაც არა!

— გირჩევ დაუბრუნდე გიმნაზიას და კაცი გამოხვიდე. სხვა არაფერი მინდა შენგან. მე მინდა, ხვალინდელ დღეს პატიოსნად შეხვდე. თბილისში დაბრუნდები თუ არა, გიმნაზიაში აღიდგინე თავი.

— კორპუსიდან არავინ გამიშვებს.

— მაშ, ტყვიას შეუშვირე შუბლი! — დაიყვირა გიგომ და შვილს ისე შეხედა, თითქოს ამ ლამაზ ყმაწვილკაცს პირველად უყურებდნენ. ის ისეთი ახოვანი, შუქიანი ჩანდა, ავ თვალს არ ენახებოდა. გიგომ მაინც ვერ მოსტეხა გიორგი, დეზების წკრიპით გავიდა დასთან და ბიძაშვილებთან.

— რა მოუვიდა მამას, არ ვიცი! არასოდეს ასეთი გაბრაზებული არ მინახავს. ჩამცივებია, კადეტთა კორპუსიდან გამოდიო. ან ვინ გამიშვებს! — თქვა მან.

— დამნაშავე რომ ხარ, უნდა გაჩუმდე! — პირში მიახალა ანაიდა, — მამისთვის თავის დროზე უნდა გეკითხა. განა შეიძლება მამას აწყენინოს კაცმა?

— ადამიანი ყველაფერს ურიგდებდა, — გულგრილად და აგდებით თქვა ვალიკომ. მას მუხლზე სახატავი ალბომი დაედო და რაღაცას ხატავდა. სრულიად არ აწუხებდა ბიძისა და ბიძაშვილის უთანხმოება.

— მე მუდამ სამხედრო სამსახური

მიტაცებდა, — დეზებს აწკრიალებდა გულმოსული გიორგი, — ბავშვი ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს!

გიგო მჭედელი იყო, მუშაკაცი, გონებაგახსნილი და ცხოვრების აკარგიანობის დროულად გამგები, მოახლოებული ხიფათისა თუ სიკეთის აღლოს ამღები, გამომცნობი. შვილებს ჯანი შეაღია. შვილები კი ქარაფუშტობას შეპგუებოდნენ. გულისტკივილით განიცდიდა მათ გადაგვარებას. კაცი გახელებული იყო. შვილები და ძმისწულები გულგრილად გააცილა, მდუმარედ დაემშვიდობა.

მამის დაღვრემილობა ქალებს დარდად გაჰყვათ.

ზამთარი ოქრუაშვილის დაუძინებელი მტერი იყო. სიცივე ერთნაირად ჩაუსახლდებოდა შინ და სკოლაში, ჯანში გაუჯდებოდა და ისედაც ავადმყოფ კაცს უფრო მოსტებდა ხოლმე. ხშირად ავადმყოფობდა. პატარებიც შინ დაიბუდებდნენ, ვიდრე ერთი რომელიმე მალხაზი ბიჭი არ ჩამოურბენდა მათ და არ შეატყობინებდა, მასწავლებელმა, მოდიით.

ამ ნიშანზე დაიძვროდა ბეჯითი მოწაფეები, ჩინჩხვარით ღუმელს ააბკუტებდნენ და დაიწყებოდა გაკვეთილი. ბავშვებს ჩვეულებრივ საახალწლოდ ითხოვდა. ნიშნებს დაურიგებდა, ყველას სათითაოდ გამოემშვიდობებოდა, კეთილი ახალწლის დადგომას უსურვებდა. მაგრამ წელს ვერც ნიშნები მოუმზადა და ვერც კვლავინდებურად გაისტუმრა ბალები. დეკემბრის დამლევს კვლავ შეუძლოდ გახდა და შინიდან ფეხი ვერ გააღდა. მეზობლები უვლიდნენ, ქოხს უთბობდნენ, ლუკმაპურს უტოვებდნენ. როცა ეკლესიის ზარების რეკას ისმენდა, გულის ყველა ძარღვი ელეოდა. ხელს მკერდზე ისვამდა, დაშოშმინებას ცდილობდა. როცა სკოლაში იყო, ყოველთვის იმაზე ფიქრობდა, სოფელს ჰქონოდა დიდი, ნათელი სასკოლო შენობა. ოცნებობდა, ჩახშულიყო ეკლესიის ზარები და აწკრიალებულიყო სკოლის მხიარული ზარი. იმედითა და ოცნებით სულდგმულობდა.

ქოხის კარი გაიღო. გამოჩნდა ბავშვის პაწაწა თავი, გაბურძენული თმა, შეშინებული თუ გაკვირვებული თვალები და ღია პირი.

— მოდი, შაქრო!

— გამარჯობა, მასწავლებლო!

— იცოცხლე, შვილო! მარტო მოხველ, ბიჭო?

— არა, მარტო არა.

ამის თქმა იყო და რიგრიგობით შემოლაგდნენ ბალები.

— აი, თქვენ გაიხარეთ!

შემოვიდნენ და ჩუმად დადგნენ. ოქრუაშვილმა წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და სტუმრებს გახედა. პატარები იდგნენ და დუმდნენ, უცქეროდნენ ლოკინში მწოლიარეს და პაწია, მოუსვენარ თვალებს ვერ აჩერებდნენ. მათი თვალები ხტოდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ... მღეროდნენ! ეს სიმღერა მხოლოდ ოქრუაშვილს შეეძლო მოესმინა, სიცოცხლის მომავლის ყველაზე იმედიანი და კარგი სიმღერა.

ღიახ, ესეც სიმღერაა, როცა სხვის თვალებში ცეცხლი ანთია და შენი გული თბება ამ ცეცხლზე.

ოქრუაშვილმა უცებ მოიკეთა და საოცარი ძალა იგრძნო.

— ზეგ ახალი წელია, მე კი რიგიანად ვერ დაგიტხოვეთ! — ნაღვლიანად უთხრა ბავშვებს და წამოიწია.

— იწეპით, მასწავლებლო! — წინ წამოდგა ნაბიჯი ვაჟამ. იგიც სხვებთან ერთად მოსულიყო. შეწუხდა, როცა ავადმყოფს საბანი დაუცურდა და მისი გამხდარი, მილეული მკერდი გამოჩნდა.

— ეგებ ღუმელს მიხედო, შვილო! — სთხოვა ოქრუაშვილმა.

რამდენიმე მალხაზი ერთად ეცა ღუმელს. გარეთ გაგარდნენ, ჩინჩხვარი შემოზიდეს, ღუმელი აანთეს და ავადმყოფი კიდევ უფრო გაათბეს.

— მალხაზებო, კუდრაჰებო! — გაიღიმა ოქრუაშვილმა და მაინც წამოჯდა, — დასხედით! ემანდ შენ ჩამოჯექ, შაქრო! ვაჟა და გია, აქეთ მოდექით,

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

ილო და კაკო. თქვენ რაღას უტყვირით? აი, თქვენ კი გაიხარეთ!

ამ დროს ეკლესიის ზარები აახმაუ-რეს. ზარები გამალბით რეკდნენ, რეკ-დნენ და ხმას თანდათან უმატებდნენ.

ოქრუაშვილს სახე მოედრებოდა. თვა-ლები დახუჭა და ერთ ხანს ჭმუნვით უგდებდა ყურს ზარების ხმას. უცებ დასძლია გულს და ხმამაღლა დაიძახა:

— რეკონ, რეკონ ზარები... ჩვენ აქ გაკვეთილი ჩავატაროთ.

— მასწავლებლო!

— ვითომ რაო, ვაჟა-ბიჭო? განა ისე დავცემი, რომ ერთი გაკვეთილი მაინც არ ჩავატარო? აბა, შენ დაიწყე, აგრემც გაიხარებ!

ვაჟა ერთ ხანს ჭოჭმანებდა. ბაღლებს თვალი გადაავლო, მათ მოციმიციმე და მოუსვენარ თვალებს საითითოდ შეხედა. წამოდგა და დაიწყო...

და ეს იყო მეტად უჩვეულო გაკვე-თილი.

— ახალ წელს მარტო როგორ შეხვ-დები, ბერდო? გაბატყებ, ჩემსა წაგი-ყვან.

— ეჰ, ჩემო გიგო, ამ დღეს შინიდან წასვლა იქნება?! ახალი წელი ამ ჩემს უპატრონოდ დარჩენილ წისქვილს რომ მოადგება და შემობრძანდება, რას იტყ-ვის, ამ წისქვილს პატრონი არა ჰყავსო?

— ჩვენთან გნახავს, შე კაიკაცო, — ხუმრობითვე ჩაუბრუნა გიგომ.

— არა! ამ ჩემს წისქვილში დავხვდე-ბი. თოფს დავტენი და ამ ძველ წელი-წადს მაინც დავახლი.

— მერე როგორ გაიგებ, რა დროს უნდა ესროლო? იმიტომ გეუბნებოდი, ჩვენსა წაგიყვან-მეთქი.

— რას ამბობ! რას ვერ გავიგებ! ისე როგორ იქნება, რომ სოფელში არ ის-როლონ. ხმას გავიგებ და მეც ვესვრი. სროლა გათავდება და აგერ შენი ახალი წელიცა! შარშან ცალი თვალით შევხვ-დი, წელს კი თვალს ვერ გავუსწორებ. ვერც დავინახავ, რანაირი მობრძანდება.

— ალბათ სიკეთისა იქნება.

— ყოველ წელზე ასე ვიტყვივით ხოლ-მე. შემოგვაბერდება და წიხლსა ვკრავთ,

წადი, შენი მოსვლის საათი დაიქცესო! ჩვენ კი დღეები გვაკლდება.

— ღმერთმა ჭირთან და გენგაბრუნა ერთად იმედიც გააჩინა.

— აბა, ეგ რომ არ იყოს, შე კაი-კაცო, ამ ბრმა კაცს რაღა შეგდომება ქვეყანაზე! მე იმის იმედიც არ გამწყ-დომია, რომ ერთ ცისმარე დღეს კეთილი ხალხი თვალებს ჩამიდგამენ და... რა დღე იქნება! აი, ხედავ რის იმედითა ვსულდგმულობ? იმედი კარგი რამ არის. იმედი რომ არ იყოს, იმ გატენილ თოფს ძველ წელს კი არა, ჩემ თავს ვესროდი. ძნელია სულ ბნელში გდება, ჩემო გიგო.

ფეხებში ძალლი ჩაუგორდა ბერდოს...

— იზრდება მგონი!

— იზრდება და მერე როგორი! ჯაჭვს ხვალ-ზეგ ჩამოგიტან, ბერდო. უკვე უნდა დააბა, თორემ ვილაცას კანჭს მოუხახავს.

— ახლა რა ხმა მიცა! — ამაყად თქვა ბერდომ და ძალღს მიეფერა. ძალ-ლიც მიელერსა, თათებით მიელაქუსა. ბერდოს შეეჩვია და შეიყვარა. მისი ერთგული და საიმედო დამცველი იზრ-დებოდა. დამლამობით, ძილის წინ, თითქოს ხმას ისინჯავსო, წისქვილის წინ გავიდოდა, გარემოს გაჰყეფდა, მიდამოს დახვეწავდა და წისქვილში დაბრუნებული ალერსიანი წმკუტუნით ამცნობდა პატრონს, ნუ გეშინია, მე აქა ვარო. როცა ბერდო ხელს უსვამდა, გრძნობდა, თითქოს ხედავდა კიდევ, რა-ნაირი იყო მისი „ბერდია“. რატომღაც ეს სახელი შეარქვა. მე ბერდო ვარ, ეს ბერდია იყოს, მეც ძალღს ბედი მარგუნა გამჩენმა და ბარემ ერთი სა-ხელი გვერქვასო.

ბერდო დიდი მადლიერი იყო გიგოს ყურადღებისა, სულ იმას სწუხდა, კვლავინდებურად ხელს რომ ვერ უმართავდა მეგობარს, ხშირად ნანადირევს რომ გაუყოფდა ხოლმე.

ახალ წელს მაინც მარტო შეხვდა. ცივი ღამე იყო. ბერდომ იგრძნო, რომ იმ ღამეს ახალ წელთან ერთად თოვლიც უნდა მოსულიყო.

მეწიქვილესთან გვიანობამდე იყვნენ ვაჟა და ფეფე. უსინათლო კაცს საახალწლო ტაბლა მოუშადაც. ელენეს მცირე ძღვენი გამოეტანებინა, რომ ბერდო ხელცარიელი არ დახვედროდა ახალ წელს, ერთი ჭიქა ღვინით მასაც დაელოცა მეკვლე.

ქალ-ვაჟი წავიდა და წისქვილში მართოდ დარჩენილმა ბერდომ თოფი გაამზადა. რა ხანია, არ უსვრია. ნადირს ვეღარ ხედავდა და სხვას რას ესროდა! ორიოდე გადამალული ვაზნა ჰქონდა. ახლა ყურს უგდებდა, სოფელში ვინმეს დაექუხებინა თოფი, რომ მასაც გაეყო ლულა წისქვილის კარიდან და ცაში ესროლა.

1921 წელი დგებოდა. დგებოდა იგი და როგორც სხვა წლებს, მასაც იმედით ხვდებოდნენ, რადგან ოცმა წელმა სიკეთე არა ჰქნა, მას ტყვია უნდა მიახალონ ზურგში და ისე გაისტუმრონ. ბერდოც ესვრის. ესვრის იმიტომ, რომ ამ წელმა ციხე და წამება არგუნა, ამ წელს დაბრმავდა და სიკეთე ვერ დაინახა.

ძაღლს გაესაუბრა.

— ახალი წელი დგება, იცი, ახალი წელი რა არის?

ძაღლმა გაიწკმუტუნა.

— გცოდნია, შე დალოცვილო! — გაიცინა ბერდომ.

უცებ შორს, სადღაც, სროლა გაისმა.

— არიქა! — შესძახა ბერდომ, — მიდის ეს სულძაღლი!

თოფი მოიმარჯვა, დასტენა, წისქვილის კართან მივიდა. სოფელში სროლა გახშირდა.

იცოდა ბერდომ, ვინც ისროდა. ბობოლები და მილიციელები აქუხებდნენ. გლეხკაცს იარაღს ვინ გაუჩერებდა! ბერდომ ღია კარიდან თოფს ცისკენ უქნა პირი და ჩახმახს გამოჰკრა. თოფი დუმდა.

— ფუი, გაგიწყურეს გამჭედი! — შეუკურთხა ბერდომ. ჯერ არ ახსოვს, თოფს ასე ემტყუნოს მისთვის. რომ არ დაჰგვიანებოდა, ჯიბეში სწრაფად მონახა მეორე ვაზნა. სანამ თოფიდან ძველი გამოაგდო და ახალი ჩასდო, სოფელში სროლა მიწყდა, მაგრამ ბერდომ მაინც გაისროლა.

ქუხილმა გარემო გააყრუა და ბერდოს ეამა, სადღაც რომ მაინც დააწია ტყვია იმ თავის გამამწარებელ ძველ წელს. გარემო მიყრუვდა. მერე ჩუმად, ფეხაკრეფით შემოიპარა ახალი წელი.

ბერდომ ღვინო დაისხა. დასხმული ვერ მოზომა და დაექცა, ალიპლიპებული ჭიქა ტუჩთან მიიტანა და ჩურჩულით დაილოცა:

— ქვეყანას მაინც აუხილვე თვალი. შე დალოცვილო, ახალ წელს!

თენგიზ გოგოლაძე
კაცი კაცითა

პირველი ნაწილის დასასრული



შექსაქრი

სოციალიზმი

13

ვაგლახ! ამქვეყნად საუკუნოდ ვერ დასახლდები,
 ამ საწუთროში დასრულდება შენი არსება,
 მაგრამ აღსასრულს შეუპოვრად მაშინ დახვდები,
 თუ შთამომავალს უანდერძე შენი მსგავსება.
 მაშინ მშვენება, ზეცისგან რომ სესხად მოგეცა,
 კი არ დაჰკნება, ხელმეორედ გაიკვირტება,
 სამარეშიაც შენი სული ფრთებს არ მოკეცავს
 და შენი შვილით უკვდავება დაგომკვიდრდება.
 თუ არ მივხედეთ, ტაძრებიც ხომ დაიშლებიან,
 გადიქცივიან უპატრონო ნასახლარებად,
 ვერ გაუძლებენ ზამთრის დღეებს ქარიშხლებიანს,
 სიკვდილისა და ბოროტების გასახარებლად.

და თუ სიცოცხლე გინდა გქონდეს დაუშრობელი, —
 მამა ხომ გყავდა, შენც იყავი სხვისი მშობელი.

17

რომ წაიკითხავს ლექსებს შენი დიდებით სავსეს,
 შთამომავალი მატყუარა პოეტს მიწოდებს,
 თუმც ეს სტრიქონი წარწერას ჰგავს საფლავის ქვაზე
 და ღირსეულად ვერ გიმღერის, ღმერთმა იცოდეს.
 მართლაც რომ ლექსი შენი ღირსი დამაწერია,
 შენს სადიდებლად რომ მივუშვა რითმის სადავე,
 შთამომავლობის მზერა, ვიცი, აღმაცერია,
 იტყვიან: „ტყუის, ასე მხოლოდ ღმერთებს ხატავენ“.
 როცა ამ ფურცლებს ქამი აქცივს პაპირუსებად,
 ვიცი, ჩემს ლექსებს ბერიკაცის ჩმახვად ჩათვლიან,

მე მომაწერენ მაგ თვალეზის გაფირუზებას,
ზღაპრად ჩათვლიან, რაიც მართლა ზეცის მადლია.



მაგრამ თუ შენი ნაშეირი იცხოვრებს მაშინ,
მასშიც იცოცხლებ და ამ ჩემი რითმების ხმაშიც.

18

ზაფხულის დილაც ვერ გახდება შენი სადარი,
მისი იერი შენს მშვენებას ვერ ემსგავსება,
მაისის კვირტებს აჩანაგებს ავი ავდარი,
ზაფხული გადის — ხანმოკლეა მისი არსება.
ცის კაბადონზე საზაფხულო მზე რომ მზიანობს,
მასაც ღრუბლებით დაუნდობლად ბურავს ბუნება,
რაა ისეთი, ქვეყნად დრომ ვერ დააზიანოს,
მარად ვის ძალუძს სილამაზის შენარჩუნება?!
მაგრამ ეგ სახე არასოდეს დაიბინდება,
შენი ზაფხული არასოდეს არ გათავდება,
თვითონ სიკვდილმაც ველარ მოსპოს შენი დიდება,
რადგან, ძვირფასო, ჩემი ლექსი გიდგას თავდებად.

და ვიდრე მივა კაცთამოდგმა კუბოს კარამდი,
ასე უკვდავად შეგინახავს ლექსი მარადი.

21

კარგო, იცოდე, იმ მეხოტბე პოეტს არ ვგავარ,
ლექსში რომ უყვარს სილამაზის შეფერადება,
მზის სხივს რომ ხმარობს სატრფოს კაბის მოსაქარგავად,
მიჯნურის თვალეზს რომ ეძახის ზეცის ნათებას.
მას შენი მზესთან შედარებაც არ ეძნელება,
შენთვის გასწირავს მარგალიტებს დასაგმობადა,
რითმებს მოგაყრის ხან იებად, ხან ენძელებად,
ცისა და მიწის საგანძურებს გიძღვნის ნობათად.
თავდავიწყებით რომ არ გაქე, იქნებ გეწყინა?
ტრფიალს სიცრუე როგორ ვკადრო, რას ვემართლები?
მშვენიერი ხარ, მაგრამ ვიცი, ისე ვერ ბრწყინავ,
როგორც შანდლებში ანთებული ოქროს სანთლები.

დე, სხვა პოეტმა ააქუხოს ლექსი ფინდიხად,
მე ფასს არ გადებ, — გასასყიდად როდი მინდიხარ.

23

ესაა ბედი ახალბედა მსახიობისაც —
მღელვარებისგან თავის როლის გადავიწყება,
განრისხებული აღშფოთებით, დაღლილობისა
ხმას ვერ გაიღებ, სანამ სული არ ჩავიცხრება.
მეც ასე ვლუმვარ, როცა გიმზერ, ჩემო საუნჯეც.

ვერ მოვახერხებ შენთვის ჩემი გრძნობის ჩვენება,
მოზღვავებული სიყვარული ისე მამუნჯებს,
რომ სიყვარული ალბათ არც კი დამეჯერება.
დე, ლექსმა გითხრას, რომ ტრფიალის ცეცხლი მედება,
მუნჯმა სიტყვებმა უკვე ჩემგან გამიჯნულებმა,
თუ სიყვარულით დამილოცავ შემოქმედებას,
ის მოგიყვება ჩემი სულის გამიჯნურებას.

თუკი ისწავლი ჩემი მუნჯი სიტყვის წაკითხვას,
მაშინ თვალებით გაიგონებ, სატრფომ რაც გითხრა.

26

ჩემო მეუფევე, ვიდრემდისაც სული შემრჩება,
მე ქედმოხრილად შენი მონის უღელს ვატარებ,
და ახლაც შენთან ამ სტრიქონებს ვგზავნი ელჩებად,
სიყვარულს ვატან, ნიჭი ველარ გამოვატანე.
თუმცაღა ვიცი, ეს ლექსები ფეხშიშველები
ვერას იტყვიან შენს საკადრისს შენთან წამოსვლით,
მაგრამ მე მჯერა, რომ უბადრუკს წამეშველები
და გონებაში შემომოსავ ელჩებს სამოსით.
თუკი ოდესმე ბედის ვარსკვლავს მოვაგონდები,
თუკი შენს უღირსს გამითენდა დილა კეთილი,
ჩემი ლექსები აღარ მოვლენ შენთან გოდებით,
აღარ იქნება ტრფობა სამოსჩამოფლეთილი.

ჩემს სიყვარულზე შემოძახილს მაშინ გაგბედავ,
ჯერ კი ჩუმად ვარ, სანამ ბედი მიჩანს ავბედად.

27

როცა დაღლილი ჩემს სასთუმალს თავს შევაფარებ,
როცა სხეული დაქანცული მისახედია,
გონება ჩემი მაინც შენზე ფიქრს შემაპარებს
და თუმცა ვწევარ, ოცნებაში ვიწყებ ხეტილს.
ჩემი ფიქრები ამ წანწალით ველარ დაღლილან,
შენკენ მოდიან მომლოცველად, როგორც მწირები,
თვალგახელილი ბნელეთს ვხედავ, ბრმათა სახილავს,
შენზე ვკაეშნობ, ყოველდამე შენ გეწირები.
რადგან გონებას შენზე ფიქრი არა სწყინდება,
შენი აჩრდილი მოადგება უცებ სასთუმალს,
მოადგება და აღმასივით გამობრწყინდება,
ბებერი ღამეც გაიღიმებს ახალგაზრდულად.

დღისით დაქანცულს ღამე მწამლავს ფიქრების შხამი,
არ მიწერია მოსვენება დღისით და ღამით.

აღბათ დაღლილი ვეღარაფრით ვერ მოვისვენებ,
 არ მეღირსება დამშვიდება აღბათ აროდეს,
 დღე — შრომით მქანცავს, ღამე — თვალებს ცრემლით
 მისველებს,

მარად ტანჯული სული ჩემი როსღა ხარობდეს.
 დღესა და ღამეს ერთმანეთის მტრობა აღარ აქვთ,
 ჩემს საწამებლად გადაიქცნენ ძმადნაფიცებად,
 დღისით და მზისით მძიმე ჯაფამ გული დაღარა,
 ღამის წყვილიაღში უშენობით სული იცლება.
 რადგან დღე-ღამეს ჩემი ტანჯვა აღარ მოსწყინდა,
 დღეს ვეუბნები, რომ შენა გგავს ზეცის ფერია,
 ღამეს ვარწმუნებ, როცა მინდა მისი მოსყიდვა,
 რომ ვარსკვლავებსაც ჩემი სატრფოს თვალთა ფერია აქვთ.

დღე კვლავ მაწამებს, ჩემკენ ვეღარ გადმოვიბირე
 და მწუხრი ისევ მწუხარებით ტანჯვას მიპირებს.

როცა მღალატობს საწუთრო და ბედი მზაკვარი,
 როცა დავტირი განდეგილი ამ სიმარტოვეს,
 როცა ვხედავ, რომ აირია ჩემი გზა-კვალი,
 ცას შევჩივი, რომ ვარსკვლავებმა ასე დამტოვეს.
 იმედით სავსე ადამიანს შურით შევყურებ,
 გული მწყდება, რომ უმეგობროდ ვარ გაძარცვული,
 ხელოვნებაში ვეხარბები სხვის ნაფეხურებს,
 ზოგის აწმყო მაქვს სანატრელად, ზოგის წარსული,
 მაშინ, ძვირფასო, შენი სახე მომაგონდება,
 და გალაღებულს უზადრუკი ფიქრის შემრცხვება.
 საგალობელად გადაიქცევა ჩემი გოდება
 და ოცნებები ფრთას გაშლიან ცაში მერცხლებად.

ასე ფიქრებში შენი სახე თუ შემეფეთა,
 რა ბედენაა მაშინ ჩემთვის განძი მეფეთა.

ფიქრთა სამსჯავრო როს მოუხმობს დღეებს გარდასულს,
 ყმაწვილკაცობა დაკარგული მომაგონდება,
 ვიგონებ წუთებს, განუქარველ დარდით დაღდასმულს
 და ჩემთვის ძვირფასს აჩრდილებზე ვიწყებ გოდებას.
 თვალნი დამშრალნი ივსებიან ცრემლით მდულარით,
 მეგობრებს ჩემსას რომ ახურავთ კუბოს ფიცარი,
 მიწაზე დავრჩი სიყვარულის ფიქრით მწუხარი,
 მიწამ წაიღო სახელები დასაფიცარი.
 და მეც ნაღველი გარდასული ისევ მანადვლებს,
 ძველი დარდებით დაკოდილი რამ დამამშვიდოს?!

სულის ჭრილობებს მოშუშებულს ისევ ვანახლებ,
საფლავს წასულნი კვლავ გამიხდნენ საპანაშვიდო.

მაგრამ როდესაც გულმოკლული შენს სახეს ვხედავ-
ვეღარ კაეშნობს კაეშანი გარდასულ დღეთა.

34

რადგანაც მითხრა, რომ მზიანი დარი გვეწვია,
უმოსასხამოდ გამოველ და გავყევე გზაშარას,
მაგრამ ღრუბელი ქარწვიმებით წამომეწია
და შენი სახეც, მშვენიერი, ნისლმა წაშალა.
თუმცა ბურუსში შენმა სხივმა გამოიარა,
შემიშრო სახე დაკოდილი წვიმის ღარებით,
რა მალამოა, რაიც მხოლოდ არჩენს იარას,
მაგრამ ტკივილს ვერ გაიყურებ მისი ხმარებით?!
რას მარგებს ახლა, თუკი გული შენც გეკოდება,
მონანიება შენი შვებას ვით შევადარო?!
რა ბედენაა მუხანათის მწარე გოდება,
მისი ნახმლევი თუ ჯვარივით უნდა ვატარო?!

მაგრამ დაღვრილი მარგალიტად ცრემლი ნეტარი,
არის განწმენდა ყველა ავი ნამოქმედარის.

35

კარგო, ნუ ნაღვლობ, შენი ცოდვა ნუ შეგაწუხებს,
ვარდს ეკალი აქვს, ჩქერებს ქვები გამოყვებიან,
მზე და მთოვარე შეუბოჭავს ღრუბლის მარწუხებს
და ხეთა კვირტებს ჭიალუა დამოყვრებია.
არავინ იცის უცოდველი ქვეყნად არსება;
ესეც ცოდვაა, მოლაღატე რომ მეცოდები,
ლექსით რომ ვცდილობ შენი ქცევის შელამაზებას,
ცოდვად რომ ვიდე გამართლება შენი ცოდვების.
მე ბრალდებული შენს დამცველად გადამაქციე,
მამართლებინებ ავხორცობას — ჩადენილს გუშინ,
როს სამსჯავროზე მე ვამტყუნებ ჩემივ საქციელს,
ამ დროს ტრფობა და სიყვარული იბრძვიან გულში.

ცოდვას რომ მადებ, დასანდობი ალბათ არცა ვარ,
ყაჩაღს ვემხრობი, ვინც დამცეა გასაძარცვავად.

132

მიყვარს, როდესაც მიბრალებენ შენი თვალები,
მაშინ ვმშვიდდები თანაგრძნობით პატივნაცემი,
რადგანაც შენს გულს არასოდეს არ ვებრალები.
მიტომ ჩაიცვეს მაგ თვალებმა შავი ძაძები.
ისე არასდროს არ ეცვლება ცასაც იერი,
როცა მნათობი აფერადებს ცას მოკრძალებით,
ისე არასდროს არ მშვენდება დასალიერი
მწუხრის ვარსკვლავის დიდებული ამობრძანებით.

როგორც შენ სახე დაგიმშვენეს ჩემზედ მოზარე
შავმა თვალებმა — ჩემი ბედის ჭირისუფალმა,
შავი თუ გშვენის, დაე, გულსაც ძაძა მოსავედეს,
შენს გულცივ გულსაც მიეც ჩემზე გლოვის უფლება.

მაშინ თამამად შემეძლება, ჩემო ხატებაე,
მშვენების ფერად შავი ფერის გამოცხადება.

43

როს თვალებს ვხუჭავ, თვალხილული ვხედები მაშინვე,
დღისით ვბრმავდები, როცა ვუცქერ ამ საუკუნეს,
დაძინებისას შულამე აღარ მაშინებს, —
შენ მეზმანები და ეგ შუქი ფანტავს უკუნეთს.
ბნელსაც ანათებს შენი ლანდის გამოცხადება,
ღამის აჩრდილიც შენს სხივებში ჩანან მზესავით,
დღისით კი ალბათ მზესაც ჯაბნის შენი ხატება,
ამ მიძინებულ თვალთათვისაც შუქის მთესავი.
გავიღვიძებ და უსინათლოს დამაქვს ოცნება, —
დღის სინათლეზეც დავინახო შენი დიდება,
ბნელს რომ ანათებს შენი ლანდის გასხივოსნება,
შენი მშვენების აჩრდილიც რომ არ იბინდება.

დღე მიჩანს ღამედ, ვიდრე გნახავ საღიადებლად,
და ღამეები გადამექცნენ განთიადებლად.

51

თუმც მიჩანჩალებს ჩემი ცხენი, არ ვსაყვედურობ,
რაში სჭირდება ჩემს ბელაურს ფრთებად ქარები?
იცის, არსაით მივიჩქარი საუბედუროდ,
შენგან მივდივარ, შენკენ ხომ არ მოვეჩქარები!
დაბრუნებისას მომინდება ლალი ჭენება,
ალბათ ვინატრებ, ქარიშხალმა რომ დაუბეროს,
მაშინ შურდულიც ალბათ ზანტად მომეჩვენება
და მომინდება ცეცხლოვანი რაში უბელო.
მაგრამ ჩემს სურვილს ვერ გაასწროს თვითონ პეგასმა,
ჩემი სურვილი, ვიცი, გზაში არ დამაყოვნებს,
თუკი სიყვარულს უფრთამალეს რაშად შეეკაზმავ,
მე ჩემი ცხენის ჯაგლაგობაც არ დამაღონებს.

თუ ფეხს ითრევედა, როს ვტოვებდი ძვირფას მეგობარს,
ახლაც იაროს, მე ტრფიალის ფრთებიც მეყოფა.

55

როცა მეფეთა აკლდამებიც წარიხოცება,
ვერ აღუდგება ლექსის ძალას დრო და განგება,
ჩემს სტრიქონებში იკიაფებ, როგორც ოცნება,
ოდეს დრო-ჟამის ხავსით ქვებიც დაიჟანგება.

ქანდაკებებსაც გადაბუგავს ომის სახმილი,
გაცამტვერდება ხუროთმოძღვრის ნამოღვაწარიც,
შენ კი ვერაფერს ვერ დაგაკლებს მარსის მახვილი,
შენ შეგიფარებს პოეზიის დიდი ტაძარი.
თვითონ სიკვდილმა ვერ შეწყვიტოს შენი ცხოვრება,
ვერ მოგერიოს სიძულველით ზედი მსახვრელი,
შენი სახელი კაცთა მოდგმას ემახსოვრება,
განკითხვის დღემდე იდიადებს შენი სახელი.

დღე უზენაეს განკითხვისა სანამ დადგება,
შენ საცხოვრისად ჩემი ლექსი გამოგადგება.

60

როგორც ტალღები ასკდებიან სილიან ნაპირს,
ჩვენი წუთებიც უფსკრულისკენ მიისწრაფვიან,
წუთებს ახეთქებს ერთმანეთზე დინება სწრაფი
და მიჰყვებიან დღენი ჩვენი ზვირთებს ქაფიანს.
სიჭაბუკე ხომ ქვეყნად დიდხანს ვერ იციაგებს,
სიბერისაგან ვერ შეიძლებს შემობრუნებას,
შავი ღრუბელი გვირგვინოსანს მაინც მიაგნებს
და თავის პირმშოს შეიწირავს თვითონ ბუნება.
ნაირფერადი სიყმაწვილე გამოხუნდება,
ველარ იბრწყინებს დაღარული შუბლი ნატიფად,
მშვენიერებას დაედება ჟამი ხუნდებად
და დროის ცელი მოქნეული ყველას გათიბავს.

მაგრამ ლექსებთან უძლურია დროის მარჯვენა,
ლექსი იცოცხლებს მაგ მშვენიების გადასარჩენად.

63

როცა ჩემს მიჯნურს ჟამი გახდის ჩემებრ ბეჩავად,
როცა ბუნება შეიწირავს სატრფოს მშვენიებას,
როდესაც სისხლი დაშრება და მისი მზე ჩავა,
სახედაღარულს ველარავინ მიეშველება.
ღამის უფსკრულში მისი დილა გადიჩეხება,
გვირგვინს წაართმევს სილამაზის მეფეს განგება,
მშვენიერება ვერ გაუძლებს ჟამის შეხებას
და გაზაფხული უგზოუკვლოდ გადიკარგება.
მე იმ დღისათვის აქედანვე ვიწყებ მზადებას,
და ვიცი, დროის ბასრი ცელი სატრფოს არ ავნებს,
სიკვდილის მერეც გადარჩება მისი ხატება,
მე თუ ახლავე ავუშენებ ციხე-გალავნებს.

შავი სტრიქონი შეინახავს სატრფოს დიდებას
და ამ ლექსიდან ის მზესავით ამობრწყინდება.

წინათ ჩემს გარდა სხვა არავინ გთხოვდა წყალობას
 და მხოლოდ ჩემს ლექსს ანათებდა მზე სხივოსანი,
 დღეს სწეულ რითმას აღარ ძალუძს შენზე გალობა,
 შენს დიდებაში შემეციალა უცხო მგოსანი.
 მჯერა, რომ მართლაც იმსახურებ მაღალ სტრიქონებს,
 მაგრამ, ძვირფასო, მინდა მაინც კარგად იცოდე,
 რომ შენს სახოტბოდ ახალს სხვაც ვერ გამოიგონებს,
 მოვა, გაგქურდავს და ნაქურდალს გამოგიწოდებს.
 შენი სიკეთის ქებას რად სთვლი დამსახურებად,
 სიკეთე შენი ხომ ისედაც იქცა არაკად,
 უმისლექსოდაც სილამაზე მოგცა ბუნებამ,
 რა მაღლი გიქო, რაიც გულში უხვად არა გაქვს.

შენც მაღლობელი ნუ იქნები მისი ლექსების,
 რადგან მის სიტყვას ეშხი შენგან აქვს ნახესხები!

88

როდესაც შენი სიყვარული ისე დაცხრება,
 რომ შეიძლება, რაც გიყვარდა ჩემში ამდენ ხანს,
 მეც მოგემხრობი ჩემივ თავის დასამარცხებლად
 და არ გავამხელ, რაც იკადრე ფიცის გამტეხმა.
 არავინ იცის ჩემზე უკეთ ჩემი ცოდვები,
 და თუ საქვეყნოდ ვალიარე, რასაც ვმაღავდი,
 მიტოვებული აღარავის შევეცოდები
 და შენც ღირსებად ჩაგეთვლება ჩემი ღალატი.
 შენი მოგება როდი ნიშნავს ჩემთვის წაგებას,
 მე ხომ დღედაღამ შენ სახელზე ვლოცულობ სანთლით
 და თუ დიდებას მოგანიჭებს ჩემი ძაგება,
 მე შენს დიდებას ჩემს საკუთარ დიდებად ჩავთვლი.

ჩვენი ტრფიალი საუკუნოდ კვლავ მეწამება
 და ნეტარებას მომანიჭებს შენთვის წამება.

94

ვისაც ძალა აქვს, ავი იქმნას, მაგრამ ავს არ იქმს,
 ვისაც ძალა აქვს, მუდამ დარჩეს კლდედ და პიტალოდ,
 სხვა ამოქმედოს, მაგრამ არვის დასცეს თავზარი,
 თან ცდუნებათა შემოტევაც გადაიტანოს —
 მას თვითონ ზეცა მაღლიერი თვალით დაჰყურებს,
 მისია მიწის საგანძური დამარჯუნებული,
 სხვები ხდებიან მისი ნების მოსამსახურე,
 ის კი მეფეა თავის თავზე გამარჯვებული.
 ზაფხულის ყვავილს საზაფხულო მოაქვს სურნელი,
 თუმცა დრო აჰკნობს და მუდმივად როდი აღაღებს,
 მაგრამ თუ სენი შეეყარა განუკურნელი,
 მათ ვამჯობინებთ სარეველა მინდვრის ბალახებს.

მემატიანე როცა მითხრობს წარსულ ოცნებას,
როცა გარდასულ სილამაზეს ვხედავ ზმანებით,
როცა ვკითხულობ, როგორ აქვს წინათ მგოსნება
რაინდები და ლამაზმანი ბანოვანები —
მაშინ ვრწმუნდები, წინაპარი შენ დაგეძებდა,
შენ გგულისხმობდა, როცა აქო ლალის ბაგენი,
შენი დიდების ძალა მხოლოდ იმით შესწევდათ,
ისინი იყვნენ მაგ მშვენების მოქანდაკენი.
მათი წინასწარმეტყველება ქვეყნად განთქმულა,
შენმა ხოტბამაც წინ აღუსწრო შენს დაბადებას,
საგალობელი შენი ღირსი მაინც არ თქმულა,
რადგან ბუნდოვნად ჩანდა შორით შენი ხატება.
ჩვენ ბედი გვერგო, ღვთაებაო, ვიცით, ვინა ხარ,
მაგრამ სტრიქონი შენი ღირსი ვერ მოგვინახავს.

ვინ იცის, იქნებ მართლა სცდება ჩემი გონება
და შეუყვარდა პირფერობა — ბანგი მეფეთა,
ან თვალი ტყუის, შენს მშვენებას რომ ემონება,
რადგან ტრფიალით ჯადოქრობა ერგო სვებედად.
მისთვის ურჩხულნი აღარ ჩანან უკვე მხეცებად,
გადაქცეულან უნატიფეს ქერუბიმებად,
სიმახინჯესაც სილამაზე გადაეცემა,
თუკი თვალების ჯადოქრობამ ასე ინება.
თვალი პირფერობს ათას ხერხის გამოგონებით
და გონება კი მის საწამლავს იღებს მეფურად,
თვალს არ ეშლება გემოვნება ჩემი გონების
და სიყვარულის შხამს აწოდებს უწინდებურად.

მაგრამ ამ ცოდვას არ მივიჩნევ გასაკვირველად,
რადგან საწამლავს თვითონ თვალი შესვამს პირველად.

თურმე ვტყუოდი, ჩემი ლექსი რომ გიმღეროდა,
თითქოსდა ჩემი ტრფიალემა მწვერვალს ავიდა,
ისე მიყვარდი, რომ მე მართლა არა მჯეროდა,
თუ სიყვარული დასაწყები მქონდა თავიდან.
დრო, ათასგვარი შემთხვევებით დანატვირთები,
შეცვლის ყველაფერს, აღთქმასა თუ მეფის ბრძანებას,
მშვენების ფერებს გადარეცხენ დროის ზვირთები,
შეესვიან ურყევ სულებს ველურ ძალებად.
და მეც მაფრთხობდა წუთისოფლის უკულმართობა,
ველარ ვბედავდი, მეთქვა, „ტრფობა ცამდე ავიდეს!“

მე დღევანდელი სიყვარულის ფიქრი მართობდა
და არასოდეს ვენდობოდი დილას ხვალინდელს.

თურმე ტრფიალი, როგორც ბაღი იზრდება გულში,
მე კი მოზარდი მოწიფულად ჩავთვალე გუშინ.

119

სირინოზების შხამიანი ცრემლი შემისვამს,
გულს ჯოჯოხეთის საწამლავი ესადაგება,
შიში მიპყრობდა თუ იმედი გადარჩენისა,
სადაც მოგებას მოველოდი, დამხვდა წაგება.
როს ნეტარებით ცად აფფრინდი ცოდვილ მიწიდან,
ო, რამდენ ცოდვას ჩავდიოდი დაურცხვენელი
და თვალნი ჩემნი ბუდეთაგან გადმომიცვივდა
ჩემი ცხოვრების ამ გიჟური ციებ-ცხელებით.
ო, ბოროტებაე, სასიკეთო ძალაც გქონია,
მშვენიერება მწუხარებით უფრო მშვენდება,
თურმე ტრფიალიც, დანგრეული როცა გვგონია,
მკვდრეთით აღდგება და არასდროს გადაშენდება.


მეც მწუხარებამ თუ მატარა ცოდვილ ყარიბად,
ვანძით ამავესო, განა მართლა გამალარბია.

123

არა, დრო-ყამო, ვერ შემიცვლი მაინც ბუნებას,
რაგინდ აშენო ცადაწვდილი პირამიდები,
მე არასოდეს გამაკვირვებს მათი ყურება,
ეგ ახლებური გარდასახვა ძველი დიდების,
რადგან მოკლეა წარმავალი წუთისოფელი,
შენ ძველმანებით მოგვაყარე თვალში ნაკარი,
თავი გვგონია ამა ქვეყნად ყოვლის მშობელი,
ჩვენად ჩავთვალეთ წარსულ დროის ნამოღვაწარიც.
მაინც ფუჭია შენი ძალა გოლიათური,
არც დღევანდელი მაოციებს და არც გუშინდელი,
აწმყოც ტყუის და შენი სიტყვაც ფოლიანტური,
ამიტომ, დროო, შენს ჭენებას არ ვუშინდები.

მინდა იცოდე ჩემი სულის ამოძახილი:
ჩემს ერთგულებას ვერ შეარყევს შენი მახვილი.

თარგმნა რევაზ თაბუკაშვილმა



მეზი

მოთხრობა

სკოლის დამთავრების მეორე დღი-
დანვე დავიქსაქსენით. ვეღარ გა-
ვიგეთ ერთმანეთის ასავალ-დასავალი.
მანამდე ფიქრადაც არ მოგვივიდოდა,
როდისმე უერთმანეთოდ თუ გავძლებ-
დით.

პირველი კლასიდან მოყოლებული,
მეთერთმეტე კლასის ბოლო დღემდე.
ცხოვრებითაც კი ერთ ოთახში ვცხოვ-
რობდით. ერთი დღითაც რომ ვინმე
წასულიყო, თვალში დაგვაკლდებოდა.
ყველაზე ტკბილ დედამამიშვილებს შე-
შურდებოდათ ჩვენი. ერთს რამე უხა-
როდა — ყველას უხაროდა, ერთს რამე
სწყინდა — ყველასა სწყინდა. საღამოს
გამართვა იქნებოდა, თუ ექსკურსია,
სულ იოლად გამოგვდიოდა, რადგან
ერთის სურვილი ყველას სურვილი იყო.

მეცხრე კლასამდე გოგო არ გვერია,
თუთი მეცხრეში შემოგვემატა. ათნი
ვიყავით და თერთმეტი გავხდით.

პირველად რომ თქვეს, ფშაველის ქა-
ლა მოგვივიდაო, ძალიან აფფორიაქდით,
ცნობისმოყვარეობამ მთელი ღამე არ
დაგვაძინა. მეორე დილას ჩვეულებრივ-
ზე ადრინადად ავედით საკლასო ოთახში
და მის გამოჩენას ველოდით. წრედ
ვიდექით სარკმელთან და რაღაც-რაღა-
ციებს ვყვებოდით.

უცებ გაიღო კარი და ათივენი ადვილ-

ზე გავშედით: ცისკარივით შემოციმ-
ციმდა, „გამარჯობათ“, ძლივს ამო-
თქვა და მერხებს შუა შეჩერდა. თვა-
ლებს ერთ ხანს დაბნეული აცეცებდა,
მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სად არის თავისუფალი ადგილი,
სად შეიძლება დავჯდე?

ყველას ელგუჯამ დაგვასწრო:

— აი, მანდ, მანდ! — თავის მერხზე
აჩვენა.

ის იყო მიტრიალდა, რომ ახლა ლა-
დომ შესძახა:

— გატყუებს, მანდ კი არა, აი იქ! —
მან თავის მერხზე მიათითა. ყველამ ერთ-
ხმად გადავიხარხარეთ. შეკრთა, ვერ
გაიგო, რა მოხდა. როგორც იყო მოი-
ფიქრა, მერხები მოათვალიერა და სა-
დაც ცარიელი უჯრა ნახა, იქ დაჯდა.
რომელიღაც წიგნს დაუწყო ფურცვლა.

— ხელი არ შეუშალოთ, ბიჭებო, გაკ-
ვეთილს იმეორებს! — წამოიძახა დათ-
ვამ.

გოგოს გაეღიმა. თავი კიდეც უფრო
ჩაქინდრა.

— ალბათ ხუთიანი უნდა, — ჩაურ-
თო ერეკლემ.

— ჩვენთან ხუთიანები დაუძვირდე-
ბა, განა აქაც ხაზიძინის მასწავლებ-
ლები ეყოლებიან, — ჩაურთო მინდიამ.

ისევ ავხარხარდით. გოგონა შეცმუქ-

და, შემოგვხედა, კიდევ უფრო გაწითლდა.

— ახლა ჩემი ქალა იქნება, ძაო! — ფშაურად მოუქცია მინდიამ.

— შენი კი არა, ჩემი იქნება! — ჩაერია ერეკლე.

— შენი კი არა, ჩემი!

— შენი კი არა, ჩემი! — გავეყვიროდით და ვხარხარებდით.

— მე დაგასწარით და ახლა — ხმა, თორთ სუყველას ხე-ქვათ შამაგანარცხებთ! — რამდენადაც კი მოახერხა, თვალები დააბრიალა მინდიამ.

— სისხლის სუნ მესმის, სისხლ დაიდვრების! — თქვა ერეკლემ და ვითომ ხანჯალზე დაიდო ხელი. სახეც მოიმრისხანა, მაგრამ სიცილს მაინც ვერა ფარავდა.

— იარაღმ გაგვასწორას! — წამოიჯაგრა ლადო და ისე გადმოიხანრა, კინაღამ დაფას მიეჯახა.

— ძმებო, ქალის გულისად ერთურთს ნუ ჩაგხოცთ! — ბოლოს ჩაერია ლაზარეც.

— რას მიქვიან, ნუ ჩაგხოცთ, სუ ცხვრებივით თავებს დაგჭრით, ვის ეცილებით ქალას, — შემოგვიტია მინდიამ, — იმასაც ნახავთ, ვის მოუქსოვს შიბიან წინდებს. მე კიდევ ღილს მოვუტან, ღვინჭილასა, როცა წავალ ქალაქშია.

სიცილით ვიჭაჭებოდით. ის კი ამდროს თურმე ტიროდა. გვიან შევამჩნიეთ ეს და, ცოტა არ იყოს, ხუმრობის ხასიათი გავვიფუჭდა.

ზარი დაირეკა და ზაქრო მასწავლებელიც შემოვიდა. ახალბედა შეათვალიერა. საკლასო ჟურნალი მხოლოდ მისი გვარ-სახელის ამოსაკითხავად გაშალა, ჩვენ ერთი თვალის გადავლებით გვაგამოწმებდნენ ხოლმე.

— თუთი თურმანაული?

— დიახ, მასწავლებლო, — ცდილობდა არაფერი შემჩნეოდა.

— არანისში სწავლობდით?

— დიახ, არანისში.

— ქართულს ვინ გასწავლიდათ?

— მარო ხელაშვილი.

— აჰ, მარო ხელაშვილი, არა? — მერე ოდნავ შეყვონდა, კიდევ შემოხედა ზაქრო მასწავლებელს რა გამოეპარებოდა.

— რად გიტირია?

თუთიმ თვალები მოიწმინდა.

— არა... ეს ისე... ჩემით... მეტირებოდა!

თუთიმ არ გაგვცა და აღარც ზაქრო მასწავლებელი ჩაეძია. მე კი იმ წუთში გულით მინდოდა თუთის ყველაფერი ეთქვა და ზაქრო მასწავლებელს ჩვენთვის ეყვირა, გაველანძღეთ.

ცრემლი და უთქმელობა მართლაც ქალის ფარ-ხმალი ყოფილა. ისე დაგვიმონა, ისე მოვდრიკა, რომ კარგა ხანს თვალს ვერ ვუსწორებდით. ალბათ, ეს იმიტომაც გვემართებოდა, რომ თუთი ძალზე ლამაზი იყო. მისი ბავშვური სახე და ნაადრევად აყრილი ტანი, სათნოება და გულუბრყვილობა ყველას ხიბლავდა. დღემუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაში ვიყავით, თუთისათვის რაიმე გვესიამოვნებინა. თხილს თუ მოვიტანდით ტყვიდან, კალმახს თუ დავიჭერდით, ან უქმეებში მშობლები თუ ვინმეს კარგ რამეს მოუტანდნენ, მაშინვე თუთისთან მივარბენინებდით.

არც თუთი გვრჩებოდა ვალში. გაკვეთილებს მოამზადებდა და ნახევარი საათით მაინც შემოგვივლიდა, „ჩემს ათ ძმა დევს გაუმარჯოსო“, მოგვესალმებოდა, ჩვარსა და ცოცხს ხელს წამოავლებდა და ოთახის დალაგება-დასუფთავებას მოჰყვებოდა. თუ გატეხილს რაიმეს ნახავდა, ან დახეულს რაიმეს შეგვნიშნავდა, ძიძასავით აგვიბუზღუნდებოდა და ახლა ნემს-ძაფს მოიმარჯვებდა. საოცრად უხბებოდა ხუმრობანარევი ბუზღუნის. ან კი რაღა არ უხბებოდა, მისი ყველაფერი მოგვწონდა. საკლასო ოთახისაკენ მიგვიხაროდა, რაკი იქ თუთი იქნებოდა, საღამო ხანი გვიხაროდა — თუთი შემოგვივლიდა.

ასეთ სიამტკბილობაში მიდიოდა სკოლის დღეები, წლები. დაბოლოს, მივაღექით გზაგასაყარს, საიდანაც ყველა

გიგი ხორნაული

თუთი

ცალ-ცალკე უნდა გავდგომოდით ჩვენ-
ჩვენ გზას.

მანამდე არც კი გვიფიქრია, რომ
ჩვენი გათავთავადების დღე დადგებოდა.
უცებ მოსული კი მწვავედ განვიცადეთ.
გამოსათხოვარ საღამოზე ყველანი
ერთურთს ვეხვეოდით და ვეფიცებოდით,
ყოველ კვირა, ყოველ თვე წერილი
მიგვეწერა ერთმანეთისთვის.

მეორე დღიდანვე დაგვარგეთ ერთმა-
ნეთი. ეტყობა, წერილებისათვის აღარა-
ვის ეცალა. როგორც თვალი შორს,
გულიც შორსო. კანტი-კუნტადლა თუ
ვიგებდით ერთურთის ამბებს. ზოგი
უმალღესში შევიდა, ზოგი ჯარში გაი-
წვიეს, ზოგმაც მუშაობა დაიწყო. ეს
ბიჭები... მაგრამ თუთი? თუთი ხომ
ფშავში დარჩა, სოფელში. მასთან ხომ
ვერ მოვიმიზეზებდით მისამართის არ-
ცოდნას. პირველ ხანებში გწერდი კი-
დეც, მაგრამ შემდეგში „ველარ ვიცლი-
დი“, ხვალხვალობით წლები გავიდა და
ერთი წერილიც ვეღარ მიგწერე.

სწორედ ამიტომ მქენჯნიდა სინდისი,
როცა თუთის სოფელს ვუახლოვდებო-
დი. ბრაზი მომდიოდა ჩემს თავზე. გა-
ვამართლე მისი საყვედური, ბოლო წე-
რილში რომ მწერდა: მე რაღას გავახ-
სენდებით, სად საწყალი მწველაგი და
სად ლამაზ-ლამაზი სტუდენტი გოგო-
ნებო. ეს მთლად ასე არ იყო, მაგრამ
თუთის რა გადააჯერებდა.

და ახლა, როცა მის სოფელში საქ-
მეზე მოვედი და მასპინძელიც მჭირდე-
ბოდა, ახლა უნდა მივდგომოდი კარს.
მიუსვლელობაც არ იქნებოდა.

ფიქრში გართულმა ვერც შევამჩნიე,
როგორ მიგუახლოვდი თუთის სახლს.
ეზოში შაოსან დედაკაცს სანიერდანი
თოვლი გადაეხვეტა, დაებარა და ნივრის
კბილებს ხელით ფლავდა მიწაში. თუ-
თის დეიდა იყო, ობოლი თუთის გამზრ-
დელი.

— დეიდა ანიკო, — გადავძახე.

დაბმულმა ძაღლმა ყეფა ამიტეხა.
ვიფიქრე, თუთი ახლა კი ნამდვილად
გამოჩნდება-მეთქი და სახლისაკენ მეჭი-
რა თვალი. შაოსანი ოდნავ აიხარა და
მომამჩერდა.

— რომელი ხარ, შვილო?

— იმედა ვარ, დეიდა ანიკო!
ნივრით სავსე ცხრილი ძირს დადგას,
მიწიანი ხელები კაბის კალთაზე შეიწ-
მინდა და ჩემკენ გამოეშურა.

— ჩემო იმედავ, ჩემო შვილო! — აც-
რემლებული მომეხვია.

— როგორა ხართ, დეიდა ანიკო,
როგორ, რამდენი ხანია არ მინახიხართ!

— ჰო, აღარავინა გეკითხულობთ,
შვილო. კარგია მინც, რომ გავვისენენ-
წავიდეთ შინა! — მითხრა და სახლისა-
კენ გამძღვა.

— თუთი სად არის?

— შინ არის, საწყალი, აბა სად იქ-
ნება.

გამკენწლა. ადრევე ვიღაცამ მიახრა,
თუთი ავადმყოფობსო.

დეიდა ანიკომ კარი შეაღო და შემი-
ძღვა.

— თუთი, შვილო, აბა წამოიხედე,
ვინ მოგვივიდა!

თუთიმ მძიმედ მოაბრუნა თავი ბა-
ლიშუე და უცებ აწრიალდა, ადელდა.

— იმედავ, ბიჭო, შენა ხარ?

— მე ვარ, მე, თუთი! — ვიგრძენი, ხმა
ამიკანკალდა.

დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. ბალიშს
ქვეშიდან ცხვირსახოცი გამოიღო და
ცრემლი მოიწმინდა.

— აი, დედი, ხომ გეუბნებოდა, მოვ-
ლენ-მეთქი.

— ესეც შენი ძმა. აბა, ჩემო შვილო,
სულ თქვენ გახსენებთ, მთელი დღე
თქვენზე რაღაცას მიაშობს.

— მოსვლას კი ყოველთვის ვფიქ-
რობდი, მაგრამ ვეღარ მოვახერხე.

სასთუმალთან წამლის ბოთლები იყო
ჩამოჯარებული.

— რა არის, თუთი, რა დაგემართა?

— რა ვიცი... არაფერი.

— გავიგე კი, ავადობსო, მაგრამ არ
ვიციოდი, მწოლიარე თუ იყავი.

— ვინ გითხრა?

— ვახტანგმა.

— იმან საიდანღა გაიგო?

შორიდან მივლიდა. სანამ რაიმეს მო-
ვიფიქრებდი, მანვე დამასწრო:



— ვახტანგი ფიზკულტურის ინსტიტუტში შესულა, არა?

— კი, ფიზკულტურის ინსტიტუტშია.

— სხვა ბიჭები ვინ სად არის, როგორ არიან?

— ლაზარე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშია, ერასტე — რადიოტექნიკუმში...

— მინდია როგორ არის?

ყველას ამბავი სათითაოდ ჩამომკითხა და ბოლოს მე მომიბრუნდა:

— შენ, შენ როგორ ხარ?

— კარგად, არა მიშავს.

— ცოლი ხომ არ შეირთე?

— რა დროს ცოლია.

— რაღა უდროსია; წელს არ ამთავრებ?

— წელს ვამთავრებ, კი.

ღიმილი როგორღაც ღიმილს არ უგავდა, თვალბეჭეც მძიმე დარდი ჩაგუბებოდა. წამით თითქო ძველებურად აუციმციმდებოდა, აენტებოდა, მერე კი ისევ მიეპყუტებოდა... შავი წამწამები კიდევ უფრო დაგრძელებოდა. თეთრ სახეზე მკაფიოდ მოუჩანდა ლურჯი ძარღვები.

— როგორ მოხდა, იმედო, რამ მოციყვანა?

ამ კითხვისა მეშინოდა. რა იქნებოდა, მხოლოდ და მხოლოდ თუთისთან ვყოფილიყავი მოსული.

— მე... ეპ, სოფლებს მოვყვები, რაღაც მასალას ვაგროვებ.

— რის მასალასა, სახლს ხომ არ აშენებ?

— ვიწერ ფშაურ კაფიებს, ლექსებს, ძველ ამბებს... სადიბლომოდ ფშაური კაფია მაქვს და იმისათვის მინდა.

— ჰო, დიბლომისათვის! — უცებ წამოევზნო თუთი, თვალეები გაუბრწყინდა, — დიბლომი უნდა დაიცვა? ოპ, რა ბედნიერი ხარ, იმედავ, რა ბედნიერი! როგორ მიხარია, რომ იცოდეს!

თუთი ცრემლნარევი ღიმილით შემომცქეროდა. მერე თითქოს გამოერკვაო, მჭვარტილიან ჭერს მიაშტერდა.

— ჩვენს სოფელში მოგროვებული კაფიები არ გეყოფა? — მკითხა ისე, რომ არც კი შემოუხედავს.

— არა.

— ყველა სოფელი უნდა მოიარო?

— ყველა. ნეძიხიდან მოვყვები უკანაფშავამდე უნდა ავიდე.

— ვაიმე, ამდენი უნდა იარო?

— რა მიშავს.

— რად გინდა ამდენი სიარული, ფშავში ისეთს რას გაიგონებ—ან ლექსს, ან ამბავს, რომ დეიდაჩემმა არ იცოდეს; იმდენს გაამბობს, ორ კვირას ვერ ჩაიწერ, არა, დედი?

დეიდა ანიკო იქვე ჩამომჯდარიყო, დაქანცულს თავშლის ტოტები ჩამოეშალა და ჩვენ მოგვჩერებოდა.

— ეპ, ჩემო შვილო, მე რაღა ვიცი, გადაჯამყრებული დედაკაცია ვარ, — შებუზღუნდა და შეწრიალდა.

— აბა ის რა არის, რომ მომიჯდები ხოლმე და მიყვები, ფრუშკამ ასე ვილაცა წააღექსაო, ყრუვ გიორგიმ ასე ვილაცას შეუმღერაო.

— რა ვიცი, არც მე ვიცი, რას გიყვები... ჩემი სიტყვა რა დასაწერია.

— სიტყვა ძველებისაა ჩასაწერი, — ჩავერიე მე.

— ბებრისა სჯობავ ნაჯდანი ახლისა ნაჯანჯალებსაო, არა, ჩემო შვილო? — შემომცინა დეიდა ანიკომ.

— აი, ეს უკვე ჩასაწერია, — ვთქვი და უბის წიგნაკი მოვიმარჯვე. დეიდა ანიკომ გულიანად გადაიხარხარა. თუთისაც გაცეცინა.

— შენ ეგრე ნუ უყურებ ჩემ დედილსა.

— ეპ, ჩემო შვილო, ნიბლიას უთქვამს, სამოცდასამი სიმღერა ვიცოდი, მიმინომ წამოიქროლა და სუსყველა დამავიწყდაო; კაცს თურმე სიბერე რომ წამოუქროლებს, იმისი სიცოცხლე აღარა ყოფილა.

— ესეც ჩასაწერია, დეიდა ანიკო. დეიდა ანიკომ კიდევ უფრო გულიანად გადაიხარხარა.

— კარგი, შენ გამარჯვებას, შვილო, რა არის ჩასაწერი. ჩვენ რო სიტყვას ვაკოჭლებთ, რად გეხილებათ ამ ნას-

გვიგ ხორნაული თუთი

წავლ ხალხსა, — სიცილ-სიცილით ამო-
თქვა და თან თავშლის ბოლოთი ცრემლს
იწმენდდა.

— ჯერ დეიდაჩემი რამდენ რამეს და-
გაწერიხვ. მერე ჭრელა ვნახოთ, —
დამაიმედა თუთიმ, — მაგისი უცოდინა-
რი აღარაფერი იქნება. ჩასაწერად სულ
მაგასთან მოდიან. ერთ ხელადა არაყს
დავუდგამ და იქნება ვერც ასწრებდე.

— აბა შენ იცი, თუთი. ახლა ეს მით-
ხარი, როგორა ხარ, რა გჭირს?

ღიმილი სახელის ნაღვენთივით შე-
ეყინა.

— ეშმაკი მჭირს და ჯანდაბა... იქით
მიბრუნდი, ბაღლო, აქ ბევრს ნუ ლაპა-
რაკობ, კაბა უნდა ჩავიცვა! — ძველებუ-
რად შემომიტირა თუთიმ და ეშმაკურად
ჩამიპაჭუნა თვალები.

— იწეკი, შვილო, ნუ შეწუხდები,
რა საჭიროა.

— შევწუხდები თორემ... წოლა მე-
რეც მეყოფა, — თითქო ღიმილითვე
თქვა თუთიმ.

მეცნო თუთის ყვითელი კაბა. სკოლა-
ში ამ კაბას იცვამდა ხოლმე და ყველა-
ზე მეტადაც უხდებოდა. ეს კაბა მაშინ
ლამის ტანზე შემოსკდომოდა. ახლა
კი... იმ გამხდარ, გალეულ მხრებზე ისე
ეკიდა, როგორც ტანსაცმლის საკიდზე.
პალტოც ჩაიცვა, დეიდა ანიკოს ყურში
რალაც უჩურჩულა, არ მოიწყინო, ახლა-
ვე მოვალო, გადმომძახა და გავიდა.


დეიდა ანიკომ კიდობნის უკან, კას-
რებში და ქილებში იფხაკუნა, იხვნეშა
და ძლივს სადღაც გამოჩნდა. ერთ
ხელში დიდი, შემჭვარტლული ტაფა ეჭი-
რა, შიგ ერბო ჩადო, მეორე ხელში
ხაჭოიანი ჯამი დაეკავებინა. ტაფა შე-
დადგარზე შემოდგა და თვითონაც იქვე.
სამღებზე ჩამოჯდა.

— შენ გაიხარე, შვილო იმედავ, რო-
გორც ჩემი თუთი გაახარე, მოცოცხ-
ლდა ქალი; მეორე კვირაა ლოგინს არ
აეხლიჩა, აღარც ხმას იღებს.

— მაინც, რითი არის ავად, რა დაე-
მართა?

ისეთი თვალთ შემომხედა: როგორ,
აქამდე არ იციო?

— ჭლექითა, შვილო, იმ სატრალო-
ჭლექითა.

შევერთი, ტანში გამცრა. 
ჭლექი ახლა არც ისე მოურჩენე-
ლია! ექიმთან არა გყავდათ?

— კი, ორ-სამჯერაც იყვნენ ქალაქსა,
ჩვენმა მასწავლებელმა წამოიყვანა,
ღმერთიმც უშველის, მაგრამ ექიმებმა
ხელი აიღეს, აღარაფერი ეშველებათ, —
ხმა აუკანკალდა დეიდა ანიკოს.

— რაო, აღარაფერი ეშველებათ? —
წამოვიძახე ელდანაკრავმა.

— პო, შვილო, კი, რალაცნაირი ჭლე-
ქიაო, რალაცა სახელი თქვეს. ცრემლი
თავშლის ბოლოთი ამოიმშრალა. წამო-
დუღებულ ერბოს ხაჭო ჩააყარა და ხის-
კოვზით მოურია.

გაოგნებული ვიჯექი.
— თუთიმ იცის?

— იცის, კი.

გულზე თითქოს რალაცამ მომიჭირა,
სუნთქვა მეკვროდა, ჯდომაც მიჭირდა.
თავი ძლივს შევიმაგრე.

— დეიდა ანიკო, თუთის მე წავიყვან
თბილისში, კარგ ექიმებს გავასინჯებ,
ასე ხელის ჩაქნევა არ შეიძლება.

ისეთი მადლიერი თვალთ შემომხედა,
თითქო უკვე სრულიად განკურნებული-
თუთი მომეყვანოს.

— რალა ბედენაა.

საწყალი თუთი, თურმე ის აქ რა-
დღეში იყო და ჩვენ კი წერილითაც არა
გვითხულობდით მის ამბავს. ალბათ ამა-
საც დარდობდა.

— მაინც საიდან, რანაირად დაემარ-
თა?

— აბა რა ვიცი, ყველაფერი ობოლსა
და საწყალს გამოუტყვრება.

ტაბლა წინ ამიდგა. ვეება ტაფა
ხაჭო-ერბოთი ნახევრობამდე იყო მოყ-
რილი. მერე პურის კვერი და არაყი
მოიტანა.

— ახლა ამით შენაყრდი და სადამოზე
კი ვახშამს რამეს მოვამზადებთ.

— ნუ შეწუხდებით, არ არის საჭი-
რო...

— ეპ, ჩვენი შეწუხება... თუკი შევ-
წუხდით, ძალიან რამით გაგაკვირვებთ.

— თუთი სად წავიდა?

— სადამოსთვის ფერმის ქალებს შემოიპირებს ალბათ, დატრიალდებიან. სულ თქვენს ხსენებაშია საწყალი, ასეთი და ისეთი ძმები მყავსო, „ათი ძმა დევიო“, — გაიღიმა დეიდა ანიკომ.

— ჰო, ათ ძმა დევს გვეძახდა.

— ყოველ არყის გამოხდაზე თითო წინწანაქრიან ბოთლს ინახავდა: ეს ლაზარესაო, ეს ვახტანგსაო, ეს ელგუჯასაო, ეს ერასტესაო, ეს იმედასაო... რა ვიცი, ყველას სახელი ვერ დავიხსომე, ბოთლებს კი მგონი ყველას დააწერა. სულ თქვენი მოლოდინი ჰქონდა.

— ჩვენ კი როგორ დავივიწყეთ.

— აბა, რას იზამთ, როცა არ გიხერხდებათ, რა თქვენი ბრალია. მოუკვდეს დედა, ამას წინათ მითხრა: ეს ბოთლები ჩემს ორმოცამდე შეინახე და თუ ორმოცზედაც არ მოვიდნენ, რაც გინდა, ის უყავიო.

რა ცოტა ჰყოფნის ადამიანის გულს. თუთის თვალეში ჩაწოლილი სევდა სიხარულის ცრემლმა გამოიტანა. მხიარულ გუნებაზე იყო. რას არ იხსენებდა, რას არ მეკითხებოდა.

მთელი ორი დღე გადაწყვა და ხალხიც გამაყოლა. სოფელში თან დამყვებოდა, გვერდით მომიჯდებოდა და მოხუცებს აძალებდა, კარგი რამეები ჩააწერინებო.

ერთხელ ძლივს მოხვედი და ეგრე იოლად ვერ გაგიშვებო, მთხოვა და ერთ დღესაც კიდეც დავრჩი.

მესამე დღეს ხინკლები შემეფიცხა ერბოში, ჩემს სახელზე შენახულ ბოთლში ჩარჩენილი არაყიც გამომაცლევინა. ზურგანთა საგზლით გამიტენა და დეიდა ანიკოს უთხრა, ხიდამდე გავაცილებო.

დაგემშვიდობე დეიდა ანიკოს. თოვლსა და თოვლს შორის ჩამშრალ ბილიკს ჩაუწყვიეთ. ჩავედით, ჩავედით და მერე არაგვის რიყიან ნაპირს შემოვუბრუნდით. კარგი ამინდი იდგა. ძალამიციე მთელი საპარილო მზე გუზგუზებდა ცაზე.

მურყნებში ჩირთი დაძრულიყო. გორებს შეყოლილი გაუფოთლავი ტყე ტახის აჯაგარულ ზურგს ჩამოჰგავდა. პირ-

მზითებში შვინდები შეყვიოთლებულყო. ბილიკის გასწვრივ ფურისულა და ენძელა ამოეყარა. იას ფეხს ვერ უმძიმდა კაცი. ნიაგი არ იძროდა. მურყნიანებში ყვავილთა სურნელი ჩაგუბებულიყო.

მოჩრდილებულ ადგილებშიდა იღო თოვლი. ახლა არაგვის ჯერი დამდგარიყო და ისიც გოროზად მოადგაფუნებდა მღვრიე ტალღებს.

იმშუშნებოდა, თვალებს იფშვინტდა მთები. ერთი სახეზე წყლის შესხმადა და ბუნება გაიღვიძებდა, სიცოცხლე აჩქეფდებოდა.

ამ დროს თუთი კი... და არც საავდრო ღრუბლები იყო გადმოწოლილი მთებზე, არც წვიმადა. თვალი ავარიდე ყველაფერს და თუთის შევხედე. მიწას ჩაშტერებოდა და წყნარად მოაბიჯებდა.

დაიხარა და თოვლში ამოსული ენძელა მოწყვიტა.

— დამზრალა საწყალი ენძელა, — მოეფერა და დაორთქლა, — მომავალ გაზაფხულზე მე ამოვალ ენძელად.

ისე უხერხულად გაიღიმა, თითქოს დაიმორცხვა, თავი ენძელას რომ შეაღარა.

— თუთი, ნუ ლაპარაკობ ეგრე, ძალად ნუ იტეხ გულს.

— მამხნევებ?

— რატომ გგონია, რომ აღარაფერი გეშველება, უარესად ყოფილან და მორჩენილან. ექიმებმა ერთ აფშოელ ქალზეც აიღეს ხელი. მთაზე წაიყვანა მამამ, ცხვრის ქონში თაფლ-კარაქსა სჭამდა, და ისე გამოჯანსაღდა, შარშან გათხოვდა კიდეც.

— ვინა, მარტიათ მარიამი?

— ჰო, გცოდნია.

— ყველას რაღაცა ეშველა, მე კი...

— ნუ დარდობ, თუთი, მთაში ადი და ნახავ, რომ მალე ისევ ისეთი ჯეირანა გოგო იქნები. ის კი არა, როცა მორჩები, გამოცდებიც უნდა ჩააბარო უმაღლესში.

— კი, მეც ასე ვფიქრობდი, კოლმეურ-

გიგი ხორნაული
თუთი

ნეობა ცნობასაც მაძლევს, მაგრამ რა-
ღად მინდა...

მწყრალად შევხედე. თვითონვე დამას-
წრო, ხელით შემაჩერა.

— არა, ძამილო, ნუ გამიწყრები... რას
ვლაპარაკობ, არც მე ვიცი...

თავი ჩაღუნა და გზა განაგრძო.

ცრემლს ძლივს ვიკავებდი. იმ წუთს
მზად ვიყავ, თუნდაც სიცოცხლე შემე-
წირა თუთისათვის, ოღონდ კი რითიმე
დავხმარებოდი. მაგრამ რითი?

არაგვი საცალფეხო ხიდს დორბლაგ-
და. ცალი ბურჯი ნახევრად მოენგრია,
მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოეგლიჯა.

— ესეც ხიდი, — თქვა და შეჩერდა.

„კვლავ მარტო ვრჩები“, — მომესმა
ამ ხმაში.

— იმედა, ძამილო, ბიჭებს შეატყო-
ბინე, თუ მოახერხონ, მნახონ, მხოლოდ
რაც შეიძლება, მალე... ხომ იცი, სულ
თქვენზე ვფიქრობ, სულ თქვენ გელით.

— აუცილებლად, თუთი, აუცილებ-
ლად, მე კიდევ გნახავ. ის კი არა,
ვეცდები, მთაზე გინახულო. როგორც კი
საქონელს არეკავენ იალაღებზე, შენც
აპყვი.

გაელიმა, მხრები აიჩეჩა.

— რალა იქნება, შენი ხათრით ისე
მოვიტყევი, როგორც მირჩევ. ადრეც
მეუბნებოდნენ, მაგრამ არა ვქენი.

— გვიანი არც ახლა არის. მაისის
თაფლს მიეძალე, ახალ კარაქსაც და
ნახავ, თუ არ გამოჯანმრთელდები. მე-
რე თბილისში წაგიყვანთ, გამოცდები
უნდა ჩააბარო. აბა, მაშ როგორ? ათი
ძმის და ვინა თქვა დაჩაგრული. შენს
ქორწილშიც ხომ უნდა ვიმაყროთ. შენ
კი თავიერი ჩამოგტირის და არაფერი
მეშველებათ, იძახი.

თუთის თვალები აუციმციმდა. ერთ
ხანს მზეზე მოლაპლაპე თოვლიან მთა-
წვერთ გასცქეროდა.

— შენთვის არ მითქვამს, იმედავ,
ხვალ-ზეგ მთიულეთიდან ერთი წამალი
უნდა მომიტანონ, ვიღაც დათვის გული-
დან ამზადებსო; ისეთი წამალია,
მკვდარს აცოცხლებსო. ჯერჯერობით
არაფერი მიწამლა, ვნახოთ.

— სცადე, მაგრამ მარტო მაგ წამლის
იმედით ნუ იქნები.

ვცდილობდი, რწმენა ჩამენერგა მის-
თვის. თითქმის დავაჯერე კიდევც.

— აბა, კარგად იყავი, თუთი, გამაგ-
რდი, გულს ნუ გაიტეხ.

ხელი გაუწყოდე და მანაც გამომიწო-
და თავისი დამდნარი, სანთელივით
ყვითელი ხელი.

— მაშ მოხვალ, იმედა?

— მოვალ, აუცილებლად მოვალ, —
ხელი მოვხვიე და ვაკოცე. — ნახვამდის,
თუთი! — ვთქვი, მაგრამ ზურგის შექ-
ცევა გამიჭირდა. ჩემი წასვლა გან-
საცდელში მყოფი მეგობრის ღალა-
ტად მეჩვენებოდა. შევტრიალდი და
სწრაფად გავიბრინე ხიდი. გაღმით გა-
სულმა ხელი დავუქნიე. მინდოდა, ისიც
წასულიყო. ვგრძნობდი, მიცქერდა და
ზურგი მეწვოდა, ნაბიჯი მერეოდა.
თვალმისაფართან შემოვტრიალდი. თუ-
თი იქვე იდგა. ქუდი დავუქნიე. თუთიმ
თავს ზემოთ აწეული ხელი სუსტად
გააქნ-გამოაქნია. გავიარე და ვითომ
წავედი. „თუთი იქვე დგას“, — გავიფიქრე
და უკან შემოვბრუნდი. მოსახვევიდან
ფრთხილად გავიჭვირე. ლოდზე ჩამომ-
ჯდარიყო, თავი კალთაში ჩაერგო და
ტიროდა. კარგა ხანს იყო ასე. მერე
წამოდგა, ერთხელ კიდევ გამოიხედა
ჩემს მხარეს და... წყნარი ნაბიჯით
გაუყვა სახლისაკენ.

მივყვებოდი ფშავს. გადავდიოდი სოფ-
ლიდან სოფელში, ხატობიდან ხატობა-
ში, არ ვაკლდებოდი ქორწილ-ნათლო-
ბებს, სადაც კი მთვრალ ფშაველებს
დავიგულებდი. მთვრალ ფშაველს რა
მოაწყენს კაფიაობას, რა გამოუღვეს
ლექსსა და არაკს.

მოქეიფე ხალხთან ჯდომა, ლხინად და
დროსტარებად მეთვლებოდა, თორემ
გულით არაფერი მეღხინებოდა. ყოველ
წუთს თუთის გაცრეცილი სახე მელან-
დებოდა, ყოველ წუთს თუთის სევდიან
თვალებს ვხედავდი.

ყოველ დღე, ყოველ წუთს ველოდი,
რომ ვინმე თუთის სიკვდილის ამბავს
მეტყობდა.

გადიოდა დღეები. ბორბალომდე შევ-

ყვეი ფშავის ხეობას. მოთავდა ფშავის სოფლებიც და ზაფხულიც მიიწურა. შევბაწრე ჩემი ჩანაწერები და თბილისისაკენ დავიძარი. გზად თუთი უნდა მენახა, უნდა გამეგო მისი ამბავი. თან მეშინოდა, ვაითუ რამე მოხდა და ვერ შემატყობინეს-მეთქი.

შინ-ელდით ვუახლოვდებოდი თუთის სახლს. შორიდანვე დავინახე, ვილაც ახალგაზრდა ქალი ეზოს გვიდა. დიდი ფიჩხის ცოცხს ღონივრად იქნევდა.

„ნეტა ვინ არის, რატომ გვის თუთის ეზოს?“ — გავიფიქრე მე.

ჭიშკარს მივადექი და დაველოდე, როდის მოტრიალდებოდა. არ შეჩქარებოდა უსიამო ამბის გაგება. ერკონის ზინკლიცოთქა

ქალმა მხარი იქცია და ჩემკენ გამოიხედა. თვალებს არ დავუჯერე. თუთი იყო.

— იმედა! — დაიძახა მან, ცოცხი მიაგლო და ჩემკენ გამოექანა.

იმ წუთში თითქოს ცა გაიხსნაო.

თუთი
გიგი ხორნაული



საქართველო

მხრიდან

ავსტრალია

მერი გილმორის მემუარები

დიდი ხნის შემდეგ კვლავ გამოქვეყნდა მერი გილმორის (1865 — 1962) ავტობიოგრაფიული ჩანაწერები: „ძველი დრო, ძველი შეხედულებები“ და „კვლავ მოგონებები“. პოეტი და საზოგადო მოღვაწე მერი გილმორი პირველი ქალი იყო, რომელიც ავსტრალიის მუშათა კავშირის წევრად ითვლებოდა. თანამედროვეთათვის იგი ავსტრალიის ისტორიის ცოცხალი მატარებელი იყო.

„გილმორის „მოგონებები“ არა მარტო საინტერესო ნაწარმოებია, არამედ უსაზღვრო პატრიოტიზმით აღსავსე ძვირფასი განძიაო“, — წერდა ჯონ მორისონი უურნალ „ოვერლენდში“. მორისონის აზრით, გილმორის „მოგონებების“

ცალკეული თავები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოთხრობებად იკითხება. მორისონს მაგალითისთვის მოჰყავს მოთხრობა „მათრაზი“, რომელიც, მისი აზრით, ერთ-ერთი ძლიერი და ამაღლებებელი ნაწარმოებია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ.

ავსტრია

ბრანტის ბრადიციით

გაზეთმა „ფოლქსშტიმე“ გამოაქვეყნა ცნობა ვენაში ბერლინის „დეიჩეს ტაბერის“ გასტროლებთან დაკავშირებით. „ბეტერ ხასკის მიერ გადაშუშავებული არისტოფანეს კომედია „სამყარო“, რომლის დადგმა „დეიჩეს ტაბერმა“ განახორციელა, — აღნიშნავს გაზეთის თეატრალური მიმომხილველი, — ბერთოლთ ბრენტის

მიმსგავსებით არის გაკეთებული. მაგრამ სექტაკლს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებაც გააჩნია და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ვენას საშუალება მიეცა, გაცნობოდა ბერლინის თეატრალურ სტილს, რომელიც მისთვის აქამდე უცნობი იყო. ყველაფერი ეს კი მოწმობს იმას, რომ ბრენტის აკრძალვა აქ, ვენაში, ყოველად შეუძლებელია“

ალჟირი

კოლოკვიში ნაციონალური მუსიკის საპიტხეზო


როგორც გაზეთი „ალჟერ რეპუბლიკენი“ იუწყება, პირველად ალჟირში შედგა იმ მუ-

გაგრძელება იხ. გვ. 62.

ლექსები თუშეთზე

ოზელისკი ბახტრიონზე

აქ სიტყვა უძღურია ლექსის მშობელიც კი,
აქ ქვების დუმილშიც კივილი ჩართულა,
ქართულ ლექსს არ შეენის სიტყვა „ოზელისკი. —
არა ყლერს ქართულად.
რაც გინდათ უწოდეთ, რაც გინდათ დაარქვით
ამ სვეტს, წამომართულს ცის თალის საბჯენად,
ოღონდ გააცოცხლეთ ამ ცეცხლით და ამ ქვით
აქ დამიწებულნი ხმალი და მარჯვენა.
გაიგონ ვაზებმა ალაზნის პირისამ,
რა ცეცხლი ანათებს მათ უკვდავ დაფიონს,
და გაზაფხულობით, ვაზის ტირილისას,
მათ გახსენებაზე კვლავ ცრემლი აფრქვიონ.




ნისლებს გადაღმა

ნისლებს გადაღმა დარჩა გირევი
და ჩილოს კარზე ჯვარი ლაშარის,
ჯანღებმა შეჰკრეს გზათა პირები, —
კავკასიონზე ჯარი გაშალეს.

ალარ მოისმის სიმღერა შორით —
სალამურებმა მთები დატოვეს,
ღრუბლები ახლა მოდიან თქორით,
მერე ომალოს ციხეს დასთოვენ;

გამოიდარებს გაისად ისევ,
ცა იალაღებს გაამზიანებს,
ქარი გარეკავს ღრუბელს და ნისლებს,
დაუვლის ველებს ალაზნიანებს;

მთაში ავყვები ზაფხულის ამინდს,
დეკას ყვავილს და ბილიკს არჩევბის,
შენ კი ამას გთხოვ, გაისად მაინც
ნისლებს გადაღმა ნულა დარჩები.




ისიც ვიცი, რას შრიალებს სვია,
რას გასძახის ხიდან ხეზე ჩიტი,
მე თუშური ჭრელი წინდაც მცმია,
თუში ქალის მოქსოვილი ჩითიც.

ფიქალ-ფიქალ გამივლია კლდეზე,
მიკრეფია კესანე და ქუჩი,
ფიქლის ქვებში მზის სადაფებს ვეძებ,
მზიან კლდეებს ვეხუტები გულში.

ისიც ვიცი, ალაზანი რიხით
ზმას რომ აწვდენს ჟველურთას და
შტროლთას,
როცა ქარებს ღვიძავთ დართლოს იქით
და ღრუბლები ცაში სცემენ ბოლთას;

და ქომიტო ჯანლებს როცა იხვევს,
მშვიდად ელის დიკლო მეხთა ღრიალს,
არ შესჩივლებს ქარი ფარსმის ციხეს,—
დანოს კოშკებს კარი აქვთო ღია.

ისიც ვიცი, ეს დიდი მთა თითქოს
ცას რომ უშენს ფიჭვის ხეთა ისარს,
როცა მივალ, შემაგებებს სითბოს
ფიქლის კლდეში დაგუბებულ მზისას.



მე მახსოვს ერთი საღამოს ფერი,
მე მახსოვს ერთი წყნარი საღამო,
ყველაფრისფერი, არაფრისფერი,
ოცნებასავით დაუსაბამო.

ვიდექი მარტო, ვიდექი გარეთ,
არ ჩანდა ცა და ცის დასავალი,
არ იყო დღე და არც იყო ღამე,
არც წარსული და არც მომავალი.

იყო მიწა და იყო სიცოცხლე
და იდუმალი, მყუდრო საღამო,
ყველაფრისფერი, არაფრისფერი,
ოცნებასავით დაუსაბამო.

☆
თამარ ბერისტავი
☆
ღმკსპი
☆
თუშეთში

მომხიბლა

მოთხრობა

ქ იშკართან ორთვალა გაჩერდა და დედაჩემის ხმაც მომესმა:

— როგორა ხარ, გიგო? — მეზობელი მოიკითხა.

— აბა, როგორ ვიქნები, რძალო, ცხენი ფეხშიშველა მყავს.

— შენც ადექი და მიხოს გადაუყვანე, რა შორს ისა ცხოვრობს.

— ეგ რა ნაღბანდია, რომ დადის, ეძინება; ისევ მე დავნალავ.

— რაღას უყურებ, დანაღე, არ დაგიკოჭლდეს, აფსუსია...

— შენს ვახარებას, რძალო, ვაზეთი გამომიტანე, აპა, სატაცურია, მე მოვიკვდე, ბატკნის ხორცსა სჯობია; ბიჭს ჩაუხრავე და ჩემი სადღეგრძელო დააყოლებინე ზედა... ნაწყენი ვარ მავაზე; იქნება ვიწვები და ვიბუგები, კაცო, არ უნდა მომხედოს?! კახაბერო! — დამიძახა.

კნუტი კიბეზე დავსვი, კასრში ჩაგუბებულ წვიმის წყალში ჩავურთე ხელეზი და შარაზე გაველ.

— ნარიცი უნდა ჩამოვიტანო, — მეუბნება, — სამებასთან მაქვს აქუჩებული; მალე ჩამოვალ, არავინ წამოვიკიდოს, ერთი სადღეგრძელო ვისწავლე კუჭატანში და იმასაც გეტყვი. მოიტა, ქალაქური პაპიროსი გამაბოლებინე.

სიგარეტი მივაწოდე, მოუკიდა და ღიმილით მომხედა:

— ახლა ჩემი წეკო გასინჯე, — დედაჩემს გამოართვა ვაზეთი, ყური მოახია, საგანგებოდ პირმოკრული ჭრელი ქისა ჯახიბით გახსნა, სამი თითით ჩამოყარა დაკუწული თუთუნი.

არ მიწოდდა, მაგრამ უარი ვერ ვაკადრე. გავახვიე და მოვქაჩე, ხველება ამიტყდა.

— ფუჰ! — დავაგდე მიწაზე და გავსრისე, — მთელი დღე რომ ვეწიო, საღამოთი შაბზე გამისტუმრებს.

— ეს რა უყავი, — იცინის დედაჩემი, — განა შენი ცხენივით ბაზარზე მყავს ნაყიდი?!

— მე რომ ოსმალეთში ენვერ-ფაშას კუღზე ვედრო მოვაბი, ნეკერი ახალი გამოსული იყო... დამიჭირეს და ორი კვირა მყურყურტეს, — რაღაცას მატყუებებს პაპა, — ჰო, ოსმალეზმა საღორეში დამამწყვდიეს. რას მიყურებ, კახაბერო? ჰო, ორი კვირა მშიერ-მწყურვალი ვეგდე იმ ყიამეთსა და სიბნელეში, მერე ერთი კი გაიგეს ჩვენმა ბიჭებმა, გიგო კაკანათში გაბმულაო, მოუცვიდნენ ოსმალეზსა, კარგა გემრიელად მიბეგვეს და სულ ზარ-ზეიმით გამომიყვანეს სამხეოზე. მაშინ იყო: დენერალმა გასახედნად მომგვარა გავე-

ლურებული კვიცი. როგორც მოგესხე-
ნება...

— გამარჯობა, გიგო! — ყვირილით
ესალმება აგრონომი. მე და დედაჩემი
დილას ვვინახულა.

— შენა ხარ, ჯეელო?! — გაოცებუ-
ლი მისჩერებია პაპა.

— მე ვარ, წეღანაც ჩავიხედე სარ-
კეში.

— რაკი შენა ხარ, არც გაგიმარჯოს
და არც არაფერი.

— რათა, რა დავიშავე, კაცო?!

— რაც დამიშავე, ის დამიშავე! შენ
რომ არც ხატი გწამს და არც ღმერთი,
იმიტომ გაქვს ნიათი გამჭრალი. ვერა
ხარ გალეული ყალიონის ბოლივითა.

ყურნაკლული აგრონომი ღრეკით გა-
უყვა წასაქცევად გამზადებულ მესერს.

— ძან გაუჯავრებხარ, პაპავ.

— გამაჯავრა რომელია! დააყე, ცხე-
ნო, კუდი, თორემა, გამოგიკვანძავ!
ამას წინათ ხომ აღდგომა იყო? იყო.
წყაროზე შემხვდა, ვეუბნები:

— ქრისტე აღსდგა, შაქრავ!

— ჰა?

— ქრისტე აღსდგა!

— ჰოო.

— ქრისტე აღსდგა-მეთქი, არ გეყუ-
რება?!

— ადგეს და ადგეს, კაცო, რა გამი-
ჭირე საქმე! თავში ქვა უხლია, ადგეს
და ადგეს!

გაგონილა?! ეგეთ ურწმუნოსა და
უჯილავოს მარტო ოსმალეთში გადავ-
ყრივარ.

მელიმება. დედაჩემი ისე გამწარებუ-
ლი მიქსოვს წინდას, თითქოს ახლა
მაისი კი არა, იანვარია და ბიძაჩემს
ტყეში უნდა გავყვე მორების დასაცუ-
რებლად.

გზაზე მანქანები მიდი-მოდიან. ორ-
თვალაში შებმული თვალმოშრეტილი
ცხენი დგას და კუდს იქნევს.

— დააყენე, ცხენო, კუდი, თორემა!
გვერდები აგქავდა? დააყე კუდი, მერ-
ცხალავ! ამდენი შოლტის ცემისაგან მე
მეტკინა ხელები, შენ რა ჩემი გამჩენი
გაგიწყარა?!

— კარგი ცხენია, ჰენჭიანი, — ვუქებ. —

ვენახში როგორია, რქას ხომ არ
ეტანება?

— კვალს ისე გაიტანს, ^{გაგონილია}
ლარი დაურტყამო; მინდვრის გუთან-
ში ჯერ არ გვიცდიაო, ეგრე მითხრეს.
რაც სამუშაო მოგვაწყდა, მერე შეიხა-
რაო, ადრე კვერცხვით ყოფილა ჩამრ-
გვალეულნი.

— ახლაც ფერზეა! — მართალი
კითხრათ, რომ არ მეზარებოდეს, ნეკ-
ნებს დავუთვლიდი.

— როდის იყიდე? — ნართი გაუ-
თავდა დედაჩემს და ძლივს მოიცალა
სალაპარაკოდ.

— კვრას შეუსრულდა მეორე სწო-
რი... ჰკვიანი საქონელია, იმ სოფელში
ამისთანა რამე იშვიათი ყოფილა; რა
ვუყოთ, რომ ცალთვალაა, ულაცობისას
უჩხუბია და მაშინ ჩამოუგია მარგილზე.
ხარებაც ცალთვალაა, მაგრამ ბევრ
თვალეზდაჭყეტილს არ დაუდებს ტოლ-
სა, — ქვისლს წაებოტინა.

— ნასესხები რომ დაიწყო, თეთრი
ცხენი გვყავდა; ბარე ხუთი მთვარე
გადაბრუნდება, იმისთანა ვეღარ იშო-
ვო, — წინდის ჩხირებს კედელზე ხე-
ხავს დედაჩემი, ქანვს აცლის.

— ნწუ, — არ ეთანხმება გიგო, —
თავკევეში ბორძიკი იცოდა, იმიტომ
დავლუბე აქედან.

როცა შარაზე სოსიას ბიჭები გამო-
ჩნდნენ, გიგო პაპას მაშინ გაახსენდა,
ტყეში რომ იყო წასასვლელი.

— დამაგვიანდა, კახაბერო, აჩუ! —
შოლტი გადაუწულია ცხენს, — მივ-
დივარ და ფეხი უკან მჩრება. ძმის-
წულო, ვინმემ არ გადაგიბიროს; სალა-
მოზე გადმოდი; ვიდრე მოუსავლეთში
წავალ, კუჭატური სადღეგრძელო უნ-
და ვასწავლო.

სოსიას ბიჭები არ უყვარს გიგო
პაპას, ელაზღანდარებიან და იმიტომ
არ უყვარს. გაუჩერებენ ხოლმე ორთ-
ვალას, შემოეხვევიან სამივენი და: აბა
ეს რა ცხენიაო, ეს რა უბეებიო, ეს
რა ლართებიაო; ხან კოფოს მისწვდე-

კარლო კობერიძე
ზოზირა

ზიან, ხან ზეწარს; გოდრულაში ქვების ჩაპარებასაც არ თაკილობენ. ერთხელ მოსართავიც გაუწყვიტეს...

გიგო შოლტს იქნევს, იმუქრება:

— დააყეთ ხელები, თორემა...

იციან, რომ დასარტყმელად არ გაიმეტებს; იმათაც რა ენადგვლებათ, არ აჩერებენ ხელებს, თან ყველის ვაჭრებივით იკრაბებიან.

გიგო პაპას სწყინს, ძალიან სწყინს ეს ამბავი. როგორ არ ეწყინება, კაცო, სოსიას ლაწირაკები მისი ბიჭების ძმაკაცები არიან: ერთად დაქეიფობენ, ერთად დაღვრღეტობენ, მუშაობითაც ერთად მუშაობენ ალაზნამდე გადაჭიმულ ზერებში, თუ იმ დასაქცევ სასაფლაოსთან რომ ფერმაა, იქა. მერე რა მოხდაო, — ეტყვიან ხოლმე შვილები უფროსი რევაზა და უმცროსი ზურაბა: რა ჩვენი საქმეაო. ჯავრობს გიგო: მაშ, ვისი საქმეა, მამაჩემ დიანოზასი, თქვე ოხრებოო. მაგ მკვდარი ცხენებით ნუ გვინაგვიანებ ეზოს და არაფერს გეტყვიანო. იქნებ თქვენ აქეზებთო, — ეპვიანობს. ამაზე კი შუბლს იკრავენ ბიჭები. რძლები ქმრებს ტუქსავენ, დაუთმეთო. იმ რძლებს ერთმანეთთან სიამტკილობა აქვთ, რაც ჭორიკანა მეზობლებს არ ექაშნიკებათ.

ორივე ბიჭი ერთ დიდ სახლში ცხოვრობს. იმათაც ჰყავთ თავიანთი ორთრი ბიჭი და თითო მანქანა. მანქანები ბალახისფრად ბზინავენ; მაგრამ გიგო პაპა ჯერ არც ერთში არ მჯდარა. არც უნდა! ნარიყს ვერ ჩამოიტანს იმით, სარს ვერ დაჩეკნის და გუთანში რომ ვერ შეიბმება, არც ეს არის დასამალი. ისე კი, ჯერჯერობით სასერონოდ არ აქვს საქმე. მოიმარაგებს შუშას და ახლა იონჯაა სათიბი; მერე თონეა გამოსაცვლეო. თონეს რომ ჩადგამს, მერეა რაც არის: შემოდგომა მარნის კარზე აკაკუნებს და... სარცხია გასაახლებელი, ქვევრები ამოსარეცხი, — ათასი საქმეა. გამოკრეფს ყურძენს, ჩაჭყლუტს, მერე გადაიღე, ვადმოიღე, არაყი გამოხადე, — დაბინავებას მოითხოვს მონაგარი. ამის შემდეგ თოვლიც მოდის. თოვლი რომ

მოვა, მაშინ ტყეში წასვლა კარგი: სათარს დაპკრავს ჩანგალს, ჩამოსხმულ ჯაჭვს მოსდებს, მოუბამს ცხენსა და, — აჩუ, ვერანავ! — მიპყვება კვალში. ზამთრის შემდეგ გაზაფხულია. გაზაფხულზე საქმე არ ამოვასუნთქებს; ვენახი გასასხლავია, სარი ჩამოსატანი, სიმინდი და ლობიოც დროზეა ჩასათესი. ზაფხულზე: ახვებო, შეწამლეო... მოკლედ, ვეღარ იცლის სასეირნოდ. მანქანა კი სხვა რაღა საჯანდაბოდ გამოდგება, განცხადების წერა მაგან არ იცის და წიგნის კითხვა, აიღე და დაიღე, ლამაზი ჩანს შორიდან.

— დღეს ხუთშაბათია, — მეუბნება დედაჩემი, — ხვალიდან დაიწყებს.

ყოველ კვირადღეს ბაზარში დადის გიგო პაპა, ცხენი დაპყავს გადასაცვლელად. არც სართი, არც არაფერი, პირდაპირ სცვლის, უსათუოდ. თუ კოჭლი ცხენი ჩაატარა, დავარდნილს ამოატარებს. ისიც მართალია, რომ ზოგჯერ უამინდობა აფუჭებს ბაზრობას და, მეტი რა ჩარაა, მეორე კვირამდე როგორმე უნდა გავიდეს იოლად. იმ დროს გაუდგება გზას, სოფელი გულისძილშია წასული, ორთვალის ჯაყჯაყიც ვერ აღვიძებს. თუ გადაცვალა, განარებული ბრუნდება, სალამს ვერ ასწრებენ კინოდან მომავალი პირველკლასელები. მთელი ის სალამო ახალი ცხენის ქებაშია, იგეთია, ცხრა ზღვის ხელმწიფეს არ დავუთმობთ. მერე რა ვუყოთ თუ ბებერიაო. მეც დავბერდი და იმ ერთი ზღაპრისა არ იყოს, გოდორში ხომ არ უნდა ჩამსვათ და კლდეზე დამაგოროთ, მოვლა-პატრონობა ბებერსაც უნდაო. შინაურები აღარ უსმენენ. მაინცადამაინც არც მეზობლები იწუხებენ თავს, რაკი კვარიდან კვირამდე ყოველთვის ასეა:

ორშაბათს და სამშაბათს (ან ვენახში მიდის, ან ტყეში) — აჩუ, შავარდენო! გაფრინდი, მუხლდალოცვილო, სადლოდევ! აჩუ! იმარჯვე და ქერს არ მოგაკლებ. ჩემი ქვისლის სახედარი კი არა ხარ, ფუჩეჩით ამოგართვა სული. რას აითრიე ფეხი, წყალი ხომ არ

გწყურია? არ გეწყურება! აჩუ, შავარდნო!

— გიგოს სიცოცხლე, — ესალმება ვილცა.

— გაიზარდე, გამრავლდი.

— შენი ცხენია?

— ჩემია, მაშა! ეს რა ვიპოვე, კაცო, ფრინველია, გალავებული ფრინველი. ნანატრად შემხვდა, რემაში ამოვარჩიე. აღარც დავებრდები! თუ გინდა, ვაგაბოლებინებ. ეგ მითხარი, კვირამდე ბევრი დარჩა?

ოთხშაბათს და ხუთშაბათს (ტყეში მიდის)—აჩუ, მერცხალავ, აჩუ! ნუ გეზარება, გადაყარე ფეხები. ცხოვრება ეგრება, მაშ, როგორ გინდა; შინ რომ ვისხდეთ, ვინ რას მოგვიტანს, აჩუ, მერცხალავ!..

— დილა მშვიდობისა, გიგო!

— გაგიმარჯოს.

— კარგი ცხენი გიშოვნია, ღმერთმანი.

— რა უჭირს, საწყალი კაცის კვალობაზე გამოდგება. ბოლი არა გაქ? თუ იცი, კვირა რომელ რიცხვში უწყევს?

პარასკევს და შაბათს (ვენახში მიდის) — მიწავ, ვაგლახო! აბა, — გამეტებით ურტყამს შოლტს, — ჩავიდეთ ჯერა, მიგალრძობ ლედვზე! მიწავ, მიწავ! სალღევე!.. აჩუ, ყაპყაპო!

— როგორა ხარ, გიგო?

— მკვდარი ვარ ამის ხელში, მკვდარი! მე რა დამაბერებდა, ამან დამაბერა! კაცო, ეს რა ჯოჯოხეთს გადავაწყდი? გეყურება, ქვეყანა რომ იქცეოდეს, ფეხს არ ააჩქარებ?! ერთი ეს ვაგლახი მომამოშორებინე, ღმერთო, და ოცი კვერცხის სანთელს დაგინთებ! სამგლევ! ნუ იყურები აქეთ-იქითა... მაიტა, გამახვევინე. მაშ, კვირა ხვალეაო? მე რომ ენვერ-ფაშას კულზე ვედრო მოვაბი, მაშინ იყო: ღენერალმა ერთი ვარსკვლავით ფაშატი მომგვარა. აბა, შენ ხომ შენა ხარ და...

კვირიდან კვირამდე ყოველთვის ასეა.

ერთხელ მისმა ბიჭებმა მოილაპარაკეს,

მოდი, ბარემ კარგი ცხენი ვუყიდეო.

როცა არც წვიმდა და არც თოვლიდა, რა თქმა უნდა, კვირა დღეც იყო, მამას გამოუცხადეს, ჩვენც მოვდივართ ბაზარში, პატარა საქმე ჩვენც გვაქვს.

ის-ის იყო, გიგომ თავლიდან გამოიყვანა ცემისაგან მიმკვდარებული იაბო და ის-ის იყო ბიჭებმა თითო ჭიქა არაყი გადაუძახეს, რომ თავქვე მომავალი ვილცა წვერგაუპარსავი მხედარი დაინახეს. სახლიკაცო, სად მიხვალო, დაეხმალა ზურაბა. უცნობიც დაეხმალა, — ხელმწიფის კარზე ხომ არ მივედინები, სად მივდი და ბაზარში მივალო. ხომ არ ჰყიდი მაგ ცხენსაო? ვყიდიო. მოდი, იქნება მოვრიგდეთო. ჩამოქვეითდა, თან მიაყოლა, — მე ისეთი ხასიათი მაქვს, უეჭველად მოვრიგდებითო. ბიჭებმა დიდხანს უტრიალეს ცხენს გარშემო: მუხლიც გაუსინჯეს, კბილებიც, მერე ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს, საჩვენოაო.

— შენი სახელი მაჩუქე, — უთხრა რევაზამ.

— ალექსა, გინდა ლექსო.

— გაჭირი ხომ არ იცის?

— შენ მაგაზე არ იდარდო.

— თავქვეში როგორია?

— წვეთით.

— თხარბი იქნება, — ჩაერია გიგო.

— გაქანებული იორდა.

— რას გვიფასებ? — ჰკითხა ზურაბამ.

— რაც გემეტებათ, ის მომეცით.

შეფიქოიანდნენ ბიჭები, აქ შავი საქმე არ იყოს, ხათაბალაში არ გავეხვიოთო.

— პასპორტი აქვს? — ჩააშტერდა რევაზა.

— არ ამიღია, სააღდგომოდ გახდა სამისა.

— ბედნიერ დღეზე ყოფილა დაბადებული.

— ჭეშმარიტად.

კარლო კობერიძე
ზოზირა

— უბასპორტოდ ყიდვა ძნელია, ფულს კი არ დავიშურებდით, — თავი გააქნია ზურაბამ, — ეჰ, არ აგვცდა ბაზარში წასვლა.

— პირიქითური კი არა ვარ, — გაბრაზდა ალექსა, — კახიფარში ვცხოვრობ! თუ არ გჯერათ, ეგე, ნიკას დაუძახეთ, ჩემი მოყვარეა.

არ დაუჯერეს და დაუძახეს ნიკას. მოვიდა ნიკა, დინახა ალექსა და ისე შემოაჭოდ მკლავები, ნეკნებმა წრიალი მორთეს.

— წუხელ გნახე სიზმარში, — ადგილზე ტოკავს ნიკა, — ამიცხადდა.

— ინით ხომ არ ვიღებავდი წვერსა? — გაელიმა ალექსანდრეს.

— მაშ, გაქანებული იორღა? — წამოიწყო ზურაბამ.

— გაქანებული. ან არადა, რა დიდი ამბავი მაგის დამტკიცებას უნდა, მოახტი.

— არ მიუცხოვებს?

— არა, უეშმაკოა ჯერ.

— წიხლი არა მკრას, — სადავე ჩამოართვა.

— ე?! რისი წიხლი, აი, — ცხენს ქვეშ გაუძვრა ალექსა, — გინდა ქვეშ გაუძვერი, — კულზე დაეჯაჯგურა, — გინდა კულზე დაეჯაჯგურე, — კისერზე ჩამოეკიდა, — გინდა კისერზე ჩამოეკიდე, ასე შელოცვილივით იდგება.

ამასობაში დაუპატყებელი სტუმრებიც შემოხროვდნენ ეზოში, ატყდა ერთი ღრიანცელი და ქოთქოთი, გიგოს გადაჰკრეს, ნავავია, არ შემოგატყუონო.

— მე რო ყველას ვუჯერებდეთ, ოთხმოცს კი არ გადავევლებოდი, — ლულულღებს გიგო.

— მათრახი მომაწოდე, მამი. — ცხენს შეაფრინდა ზურაბამ.

— არ გაბედო, — ხელი ასწია ალექსამ, — იჩოთირებს და ვიდრე მოიხედავ, ალაზანზე გამოგაცხადებს.

ცხენს უკვე მხრები უთახთახებს, ნესტოები ებერება.

— მაშ, რა ვქნა? — ფაფარში ჩაუყრია თითები, ეფერება.

— სადავეს როგორც მიუშვებ, ისე წავა. არც გამხნევება უნდა, არც დაწ-

რუწუნება. გაჩერებითაც ადვილად ჩერდება, მოზიდავ სადავეს და გაქვავდება. შარაზე არ გაენთო, რაც უნდა იყოს, მაინც ასფალტია, შეიძლება ფეხი დაუსხლტეს. არ შეშინდე, მიდი, აღმადამაც სცადე. მე ვიცი და მაგან, არ მიმტყუნებს.

— ამასაც ვნახავთ, — ქუსლი ამოკრა, სადავე ოდნავ მიუშვა, შარა გადასჭრა და ორლობეში შევარდა. გაპხედეს: ისე მოჩანს მხედარი, თითქოს საცაა მიწას გაეკვრებო. ეზოში ყოყინა დასცეს. ნიკამ თქვა, გაქანებული იორღაო; მართალიაო, წამოისროლა ვიღაცამ; გიგომ: ადრეც ვიცოდით.

ხევში ჩასასვლელთან პირაღმა შემოაბრუნა, იქიდანაც გასროლილივით მოქრის. ფლოქვების თქართქური ახლოვდება თანდათან. ორლობის თავში დაუძახეს, გარდიგარდმო საურმეზე გაუშვიო. ისევ შეაბრუნა, გახრიოკებული სტადიონისაკენ აიღო გეზი, სულ მიუშვა სადავე. მაყურებელს ხან სახლები ეფარება, ხან ხეები, მაინც ხედავენ, როგორ აპირებს ცხენი მიწაზე გაკვრას. რევაზა მუჯღლუგუნს მცემს:

— ხომ არ მეჩვენება, კახავ?!

სოსიას ბიჭები სტადიონზე გაცვივდნენ, ვარკვევით დავინახოთო. ალექსა კი სკამზე ზის და მიწას დასჩერებია, მოშვებული წვერის ბოლო ყელზე ეხახუნება.

ზურაბამ ნელი ჰენებით შემოიყვანა ცხენი ეზოში. ჩამოხტა, სადავე ორთვალის ჭალს მოახვია და ალექსანდრეს ბეჭებზე მოუთათუნა ხელი:

— ალალი საქონელია, რა მეთქმის! დააფასე და მოგცემთ.

ალექსა შეიშმუშნა:

— ვერ გავიგე.

— დააფასე და მოგცემთ-მეთქი.

— სამასი უნდა...

მთელი უბანი ჩოჩქოლობს; ცხენს ეხვევიან, ყაყანებენ, ხელებს იფშენენ და უკვირთ: ამას რომ ჰყიდის, უკეთესი რაღა უნდა იყიდოსო.

— უყურე, — მეუბნება ნიკა, — რამდენი არბენინა, მაინც არ ასკდება ფერღები?!

— ორნახევარი, — შეევაჭრა რევაზა.

ალექსა წამოდგა, ხელი ჩაიქნია:

— მოიტა.

— ცხენს რა ჰქვია? — თან ფულს უთვლის.

— ზოზირა, — უხალისოდ თქვა. მერე დაუძახა, — ზოზირაე! — ცხენმა თავი მოაბრუნა, დაიფრუტუნა, — გონიერი პირუტყვია ზოზირა, არც ჭამაშია აზიზი; ამშორებული წყლის დაღვევას კი წყურვილით სიკვდილს ამჯობინებს. ამაყია, გაჯავრებას ვერ იტანს, ბევრი ლოლითობაც არ უყვარს. მანქანებს არ უფრთხის, გუთანშიც მისწრებაა და ყველაფერშიც, არ დაჯანდავოთ... წავიდეთ, ნიკავ.

— დარჩი, დავილოცოთ, — გიგომ სთხოვა.

— სად მცალია! ვენახი მაქვს მისახელი, — არ დარჩა.

იმ საღამოს ზურაბამ ლეკიმთაზე მიმავალ მწყემსებს ერთ ჭედილაში გაუცვალა მამამისის მუხლებგადატყავებული იაბო.

ორმა თვემ ისე გაიარა, გიგოს შოლტი ვერ დაუნახეს ხელში. საყვედურიც არ წამოსცდენია ზოზირაზე, მაგრამ ახლა ორთვალას უჩიოდა: ფერსო დაიშაშრა და მორგვიც მღალატობსო.

დადიოდნენ გიგო და ზოზირა ვენახში და ტყეში, ტყეში და ვენახში... კიდევ უფრო გალამაზდა ზოზირა, სულ ზოზირა, ზოზირა, — მეტი სალაპარაკო არ ჰქონდა სოფელს.

უხაროდან შევილებს, მგონი მამაჩვენმა ბაზარი დაიფიწყაო. მეზობლებმა პირჯვარი გადაიწერეს, ღმერთო, შენ გადმოგვხედეო. სოსიას ბიჭებმაც მოიშალეს ლაზღანდარობა. გიგო გვერდს აღარ უვლიდა მღალაზიის წინ სალაყბოდ გამოსულ წვრილფეხობას.

ასე გაიარა ორმა თვემ. მერე, მესამე თვე დაიწყო და... გიგომაც დაიწყო:

— ნელა იარე, ვაგლახო! ჰაიტ, შენი! სად მამაჩემ დიანოზასთან მიგეჩქარება! ნელა იარე, ვაგლახო!..

ეს ამბავი უბრალო წამოძახილად მიიჩნის. ზოგმა თქვა, ჩვეულება

რჯულზე უმტკიცესიაო; ზოგმა, წამოსცდაო. წამოცდენა მე ერთხელ გამოვიგიაო, ჩაიბუტბუტა დედაჩემმა და მამამისის გასაგონად გადასძახა ნიკას, სეტყვაა მოსალოდნელიო. სეტყვაა მოსალოდნელიო და აკი ერთ მშვენიერ დღეს, მართლა არ მოვიდა სეტყვა?!

ოთახში დაფეთებული შემოვარდა დედაჩემი, თავშალი აიღო საწოლისთავიდან:

— რა დროს წიგნის კითხვაა, გავარდი! რაღაც ჩოჩქოლია გიგოს ეზოში, რამე მარცხი ხომ არ შეემთხვა მაგ ბედნიერ ოჯახს?

ფეხსაცმელს დავტაცე ხელი და პირდაპირ ფანჯრიდან გადავხტი. მივვარდი და რას ვხედავ: რევაზა ხარხარებს. სული ველარ მოუბრუნებია. ზურაბა მკერდზე იბრაგუნებს მუშტს:

— ეს რა გვიყო, კაცო, საით გავიქცე?! სირცხვილით სად გამოგვეყოფა თავი! მარიამ! — ცოლს ეძახის, — მანქანის გასაღები ჩამომიგდე!

გულზე მომეშვა, ფეხსაცმელი ჩავიცვი.

— რას მოზავადი, — რევაზას ჩაავლო მხრებში ხელი და ანჯღრევს, — აეთრე, დაქოქე მანქანა! მე სიღნაღისკენ წავალ, შენ ყვარლისკენ გაქანდი...

— მარიამ, — რევაზა უარესად ახარხარდა, — ჩემს ცოლს რა ჰქვია? უთხარი, წყალი ჩამომიტანოს.

— ადე, შე ოხერო!

— ვიჯდე, რას ვიშლი, ის ვიღაცაა, ყურთბალიშში ხომ არ დამალავს? ერთხელაც იქნება, მივავნებთ. შენ ახლა მიდი და ეგ ცხენი ნახე, — ჩაოსდა სიცილით.

ხალხი ცხენს ეხვევა, ქირქილებს. მეც შემოვუარე ვარშემო.

— წაქცევალა აკლია, თორემ, ისე ნაღდი მკვდარია, — მეუბნება ნიკა.

— ნიკა ძიავ, — ვეკითხები, — არც მაინცადამაინც გამხდარია, თვალბეცადგილზე აქვს, კბილებიც, რა აცხია მკვდრისა?

კარლო კობერიძე
ზოზირა

— მაგაზე მეტი რა უნდა ეცხოს, ალბათ მეფე ერეკლეს ნაყოლია.

ზურაბამ აათვალ-ჩაათვალღერა ცხენი და:

— ეს რა უქნია?! — ხარხარდა, ცრემლი დაბალუბით ჩამოსდის.

— დალიე და წავიდეთ, — მანქანის გასაღები და ღოჭი ერთად მიაწოდა რევაზამ.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, — მუცელზე მიიჭირა ხელები, იკლავება.

— ამაში როგორ გაუცვალე, გიგო? — ეკითხება ნიკა.

— ჩქარი სიარული იცოდა, კაცო, ფეხი ვერ ავუწყე, ვაგლახი იყო... ჩამომეცალე, წყალი უნდა ჩავაცეცხლო.

— ეს ერთხელ აკი გყავდა, მაიმი? — რევაზამ უთხრა.

— მყავდა კი არა, ისა...

— აი, ფეხზე ხომ აქვს თეთრი ზოლი, კუდუსუნიც გადაღლეტილი აქვს.

— იმას მარჯვენაზე ჰქონდა ნიჭანი.

— მეც მანდა ვარ, — იტყვის მარჯვენაც ეს არის.

— ე?! — ჩააშტერდა გიგო, — ე, მართლა აქეთაა მარჯვენა?! — ვედროთი წყალი დაუდგა.

ცხენი დასწვდა თუ არა, ვედრო ააცალა ზურაბამ, გვერდზე გადადგა. მერე თოკი შეხსნა, დაიგრძელა, გადაჰკრა და მამას მიუბრუნდა!

— შენ შორიდან უყურე...

ცხენი ეზოდან გავიდა. ერთ ხანს თხრილის გასწვრივ მიდიოდა, შემდეგ შარა გადაჰკრა და... დაეწაფა წყაროს. უქანაც იმავე გზით დაბრუნდა, თავლასთან გაჩერდა.

გიგოს გაეღიმა, ცხენს მიუახლოვდა, ფაფარზე ხელი გადაუსვა და წყნარად, ძალიან წყნარად უთხრა:

— შენა ხარ, ვაგლახო!



სიკოსების კოლოკვიუმში, რომლებიც კარგად იცნობენ სამარის ბედუნიების სიმღერებს, ავრთვე ზალზურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას.

კოლოკვიუმში მოაწყო ნაციონალური განათავისუფლების ფრონტის კულტურის მუშა-კებმა. კოლოკვიუმზე მთავარი ადგილი დაეთმო ნაციონალური მუსიკის განვითარების საკითხს.

აშშ

რომანი ზრუჰლინის უმსახეზ

ახალგაზრდა მწერალმა ხიუბერტ სელბიმ გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „ბრუკლინის მეორე მხარე“.

„ჩემი მიერ აღწერილ ხალხს მე კარგად ვიცნობ, — განაცხადა სელბიმ ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტთან საუ-

ბარში, — დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდი მათთან. გავიდა წლები. მე მივხვდი, რომ ჩემი მთავარი თემა სწორედ „დაბალთა“ ცხოვრების აღწერა იყო. ბოლოს და ბოლოს ვიღაცას ხომ უნდა დაეწერა ამის შესახებ“.

რომანში რეალისტური ფერებით არის აღწერილი ნიუ-იორკის „ფსკერი“: სახელოღუშული, მკაცრი ახალგაზრდები, განგსტერები, სხვადასხვა ჯურის დეკლასირებული ელემენტები; აღწერილია მათი უმიზნო ცხოვრება, ლოთობა, პესიმიზმი. ამ ნაძირალების აზრით, ცხოვრება გროშადაც არ ღირს.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა მწერლის რომანში იგრძნობა ემილ ზოლასა და დრაიუერის კეთილისმყოფელი გავლენა. მათი აზრით, რომანის ავტორი მოშავალშიც გაახარებს მკითხველს ახალი, კარგი ნაწარმოებებით.

ბულგარეთი

გულასდლილი საუბარი მკითხველთან

ანდრეი გულიაშვის ბოლო რომანის — „ჩვენი ცხოვრების შეიდი დღე“ — მთავარი გმირი ინჟინერ-გეოლოგი ემილიანე ნამდვილი კომუნისტი, შტიციე ნებისყოფი ადამიანი, ხალხის კეთილდღეობისთვის დაუღალავი მებრძოლია. მიუსედავად ამისა, ემილიანე ზოგჯერ ადამიანებს ვერ ამჩნევს. მათ გრძნობებს ანგარიშს არ უწევს.

ცხოვრების გამოცდილება ემილიანეს დაარწმუნებს, რომ ახალ, სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა ინდივიდუალურად განწყობილი ადამიანი კრახს განიცდის.

როგორც კრიტიკა აღნიშნავს, მწერალი თავის ახალ

მიჩიან მიჩნელი

ღაიბაღა აღამიანი

ის ღაიბაღა,
ღალა მთვლეღარე
საღღაც ანაზღად იქცა მორეღად
და მოჰყვა თითქოს ტაღღას მღეღღარეს,
ზღვის ღადინჯეღა ზრღანა რომეღმაც.
ის ღაიბაღა, როგორც ღიმიღი,
გზეზღე მალღლი შუქის მომღენი,
და მიღღცღების გრღელი ზიღიღით
სახღში შემოღღის მთეღი სოფღიღი.
მსუზღუქ ზუმზღულში წეღს გასუსუღი,
წეღს ზაღღი
და არ გეღეღირს სრულეღით —
რომ იზაღღეღა ასე უღღღური
ყვეღაზე დიღი ღალა ზუნეღის.
თითქოს გამოჩნღა შორი ნაღირი, —
ის გაჩნღა, როგორც გზეზღის სისწორე,
ცხოვეროზს მარტივეღად, როგორც ზღაპარი
და გეწაღს — ზღაპრულღად ქვეყნღად იცხოვერებს...
მას ვაღი მართეღს სოფღლის წინაშე, —
მშობღლის ამაღით თასი ივსეღა
და მძივეზიან აკვნის რწევეღში
ისმის სიმღღერა მარაღღისოზის.
იღი მოვიღა, როგორც ამინღი —
სავსე მისის მზიღთ და ზაღაღით...
და უკან იხეღს ერთი ნაზიჯიღთ
დიღი მღინარის მღვრეღ ნაკაღი.





მოთხრობა

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსაცემად ამზადებს ცნობილი აფხაზი მწერლის მიხეილ ლავროვის მოთხრობების კრებულს. ვებუდავთ ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან.

ვისაც დიდი ხნით მიუტოვებია მხარე, სადაც დაიბადა და ჭაბუკობა გაატარა, მას უთუოდ გამოუცდია ის მღელვარება, სამშობლოში დაბრუნებისას რომ შეგიპყრობს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე ასეთი მღელვარება მატარებელში განვიცადე. ეს მატარებელი სამშობლოსაკენ, — ჩემი აფხაზეთისაკენ მიმაქანებდა.

ფანჯრიდან გადავყურებდი შორეულ ცისკიდურამდე გადაჭიმულ ზღვას. შეგცქეროდი თოვლიანი მთების მწვერვალებს, თვალის მომჭრელად რომ ეღვარებდნენ მხურვალე მზის სხივებში. იქ, სადაც უწინ გაუვალი ჭაობები იყო, ახლა თვალს ახარებდა ნაირფერი ყვავილების ხალიჩები, ნარინჯების თვალუწვდენი ბაღები. უნებურად ჩემი სამშობლოს წარსული მომაგონდა. თვალწინ დამიდგა ჩემი ძველი ნაცნობები და

მეგობრები. წინასწარ მატკობოდა მათთან შეხვედრის სიხარული. გამახსენდა ზოგი ჩემი ძველი ამხანაგი... უიღბლო იყო მათი ცხოვრების დასაწყისი. ხვალინდელი დღე ყველას როდი პირდებოდა დასახული მიზნის განხორციელებას, მაგრამ დიდმა ოქტომბერმა წაღმა შემოაბრუნა მათი ცხოვრება და ეს უბრალო ადამიანები თავიანთი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი გახადა.

სოხუმში სასტუმრო „აფხაზეთში“ დავბინავდი. ტანისამოსი სწრაფად გამოვიცვალე და ქუჩაში სასაიეროდ გავიდი. აქ ახლა ყველაფერს ახალი თვალით ვუცქერდი, თითქოს ამ ქალაქში პირველად ვიყავი. ჩემი ყურადღება ფილარმონიის ახალი შენობის წინ თავმოყრილმა ხალხმა მიიპყრო. ისინი შუმანის მუსიკის მოსასმენად მოსულიყვე-

ნენ. გადაწყვიტეთ. ამ კონცერტს მეც დაგსწრებოდით.

დარბაზში ტევა არ იყო. სამოცი კაციანაგან შემდგარ სიმფონიურ ორკესტრს მთელი სცენა ეჭირა. კომპოზიტორ შუმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საინტერესოდ ილაპარაკა მუსიკათმცოდნე სვეტლანა ქეცბამ. მერე სცენაზე დირიჟორი გამოვიდა. მას ტაშით შეხედნენ. დირიჟორმა ხალხს თავი დაუკრა და სანოტედან პატარა თეთრი ჯოხი აიღო. ტაშის ცემა მიანიც არ შეწყვეტილა.

დირიჟორი სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო. მის ლამაზ, ჭაბუკურ აღნაგობას შავი ფრაკი ძალიან უხდებოდა. მისი შავგვრემანი, სანდომიანი პირისახე და შთაგონებით გაბრწყინებული შავი თვალები უცბად მოინადირებდა კაცის გულს. შევხედე თუ არა, თავში გამიელვა, სადღაც მინახავს-მეთქი.

კონცერტი დაიწყო. ამ ახალგაზრდა დირიჟორს მთელი ორკესტრი ისე ეჭირა ხელში, თითქოს ძველი გამოცდილი მესტრო ყოფილიყოს. ეტყობოდა, შუმანის მუსიკა ღრმად ესმოდა და მისი ყველა ნიუანსი უკლებლად მიჰქონდა მსმენელის გულთან. ვცქერდი ამ ახალგაზრდა ჯადოქარს და ვცდილობდი გამეხსენებინა, სად და როდის მენახა იგი.

მუსიკა შეწყდა. ისევ იგრიალა ტაშმა. დირიჟორი ხალხისაკენ შემობრუნდა, თავი დახარა და... აი სწორედ მაშინ გამახსენდა...

თვალწინ დამიდგა სხვა კაცის სახე. იმ კაცს ოდესღაც ძალიან ახლო ვიცნობდი და სოხუმში ჩამოსვლისას ყოველთვის მოვინახულებდი ხოლმე. ეს იყო ვინმე კონსტანტინე კოვაჩი, აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის შემგროვებელი. კოვაჩი უნგრელი იყო. აფხაზეთის მუსიკალურ კულტურის ისტორიაში მან პირველმა შეაგროვა და ნოტებზე გადაიღო ორასზე მეტი აფხაზური სიმღერა, რითაც აფხაზ ხალხს დაუფასებელი ამაგი დასდო.

კოვაჩთან უკანასკნელად რომ ვიყავი, იქ ერთი გამხდარი, თვალბეჭტირალი ბიჭი ვნახე. დამინახა თუ არა, მაშინვე

დაიმორცხვა და წასვლა დააპირა, მაგრამ კოვაჩმა შეაჩერა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— გაიცანი, ეს ჭაბუკი ჩემი ახალგაზრდა მეგობარია, ჯერ კიდევ შარშანწინ ცხვარს მწყემსავდა იალაღებზე, რიწის ტბასთან. ახლა კი მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს, ნიჭიერი ბიჭია, მუსიკა ძალიან უყვარს.

ის ბიჭი მართლაც ძალიან მომეწონა. ვკითხე, რომელ საკრავზე სწავლობ-მეთქი.

ჭაბუკმა ცოტა ხნით იყუჩა, მერე ჩუმად მითხრა:

— ჯერ ვიოლინოზე.

— ოო! — ხმამაღლა გაიცინა კოვაჩმა. — თქვენ ჯერ არ იცით, რა შორს მიფრინავს ნურის ოცნება, — მერე თვალი ჩამიკრა და ცნობილი აფორიზმი მითხრა:

შორს მისცურავს ათინელთა ხომალდები,
მაგრამ მათი ფიქრები უფრო შორს მიდიან.

— როდესაც ნურის პირველად გამოველაპარაკე, — განაგრძო ჩემმა მეგობარმა, — მან იცი, რა მითხრა? ყველა საკრავი უნდა შევისწავლო, ყველაზე უნდა დაფუკრა, რომ ბევრი მუსიკოსის წინ დავდგე და ჯოხი ვიქნოო...

მე გამეღიმა:

— მაშ, შენ დირიჟორი გინდა გამოხვიდე?

ნურიმ ისევ დაიმორცხვა და ჩურჩულით მითხრა:

— მინდა.

იმ დღის მერე იგი არ მინახავს.

ეს ყველაფერი რომ გამახსენდა, იმწამსვე კულისებში გავედი და ახალგაზრდა დირიჟორს პირდაპირ ვკითხე:

— თქვენ ნური ხართ, არა?

— ნური ვარ, — მიპასუხა მან და ხელი ჩამომართვა: — ნური ჯერდენია. თქვენ პირველ რიგში იჯექით. როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე გიცანით. ჩვენ ერთმანეთი ჩემმა პირველმა მასწავლელ-

მიხეილ ლაკერბაი
ბზის ჯოხი

ბელმა — კოვჩმა გაგვაცნო. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ!

კონცერტი რომ დასრულდა, ნურიმ საეხსმოდ შინ მიმიწვია.

სანამ გაშლილ სუფრას მივუსხდებოდით, ნურიმ ფლანელის ნაჭერი ამოიღო. დირიჟორის ჯოხს გადაუსვა და თაროზე შემოსდო. მე ყურადღება მივაქციე, რომ ეს ჯოხი ცოტა უფრო გრძელი იყო იმ ჯოხებზე, დირიჟორები რომ ხმარობენ. როცა ნურის ეს ვუთხარი, მან ღიმილით მომიგო, მართალი ხართ.

— ეს ბზის ჯოხი მართლაც ცოტა გრძელია. იგი ჩემმა ბაბუამ გამოთალა და მეც არ დავამოკლე. დავტოვე, როგორც იყო. ამ ჯოხმა სხვანაირად შეაბრუნა ჩემი ცხოვრება...

და იმ საღამოს მან მიამბო თავისი ბიოგრაფია.

ნური ჯერლენია მთაში დაიბადა, რიწის ტბასთან, იქ სადაც ტანმალალი ფიჭვები, როგორც სარკეში, იხედებიან ბროლივით კამკამა წყალში.

მოსუცმა სარქალმა ხარუნ ჯერლენიამ თავისი ობოლი შვილიშვილი, პატარა ნური ცხვარში წაიყვანა.

ხარუნი საუცხოოდ უკრავდა აჩარპანზე — აფხაზურ სალამურზე.

საღამო ხანს კარვის წინ ჩამოჯდებოდა პატარა ჯირკზე და პირდაპირ გადარეგდა კაცს თავისი ხელოვნებით. ტუჩების ერთი კუთხით რომ სალამურს უკრავდა, მეორეთი იმავე დროს სიმღერას ამბობდა. თანაც სიმღერის სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდა. ეს გასაოცარი ხალხური ხელოვნება თაობიდან თაობაში გადადიოდა აფხაზეთში.

ზურმუხტის ჩარჩოში ბრწყინავდა რიწის მოსარკული ზედაპირი. უხვად შემოვლებოდა ტბის ნაპირებს შქერის ოქროსფერი ყვავილები. ვეება ფიჭვები, ხარუნის კარავი, თავდაყირა დაცემული თოვლიანი მწვერვალები ნელა-ნელა ირხეოდნენ კამკამა წყალში.

ბევრი სიმღერა იცოდა ბაბუა ხარუნმა, მაგრამ ერთი ყველაზე მეტად უყვარდა და ყველაზე უკეთესად იმ სიმღერას მღეროდა, რიწის ტბის სიმღერას.

აყვავებულ ველზე ერთი მთის სოფელი მაღალ მთებთან ცხოვრობდა და ლავეარდიდან ცხრათვლა მზე დაჰყურებდა...

ღრო გარბოდა სიზმარივით...

ბედნიერი იყო აფსნი, მაგრამ ერთხელ მტრის შემოჭრა ქარიშხალის იყო მსგავსი.

ვადათელა მტერმა ველი და სოფელი ააოხრა, ყველაფერი აიბრა, ცას სწვდებოდა კაცის ოხერა...

დაიბრვიანა მოამ და ველი გაირღვა და ჩამოიქცა და იმ დღიდან იმ ადგილას საოცარი განადა რიწა...

ყვავილები ათასფერი არ ქანაობს ველზე ახლა, ჩამომდგარა ტბაზე ღამე და ქეთინებს ლურჯი ტალღა...

პატარა ნურის კი ყველაზე მეტად ერთი ძველებური სიმღერა მოსწონდა — „აუასა რხიუჯა“.

აფხაზი მწყემსები ამტკიცებენ, ცხვარი რავინდ დადლილი არ უნდა იყოს, ამ სიმღერას რომ გაიგონებს, მაშინვე წამოდგება და ბალახს მოედებო. ისე გამგელებული სძოვს, თითქოს მთელი კვირის მშვიერი იყოს.

მოსუცმა შეატყო თუ არა, რომ შვილიშვილს აჩარპანა უყვარდა, მთაში ლერწამი მოსჭრა და პატარა სალამური გამოუთალა. ნურიმ მალე ისწავლა სალამური და ახლა თვითონ შეიძლო „აუასა რხიუჯა“ დაეკრა და ალხაჯზე დაყრილი ფარა ისევ წამოეშალა საბალახოდ.

ის ჯერ კიდევ ბალღი იყო, ამიტომ ხშირად სასეიროდ უფრო წამოყრიდა ფარას, რომ ყოჩების ბრძოლა გაემართა. ნურიმ მრავალი ფანდი და ხერხი იცოდა — ყოჩები ერთმანეთზე როგორ წაექეზებინა, და როდესაც მათი რქების ჯახანს გაიგონებდა, მისი სალამურის ხმაც უცნაურად შეიცვლებოდა ხოლმე. ცეცხლს უკიდებდა ისედაც გადარეულ ყოჩებს. ეს გართობა ხშირად ძვირად უჯდებოდა ნურის. მოვარდებოდა ბაბუა

ხარუნი, ჯერ მოჩხუბარ ყოჩებს გააშვე-
ლებდა, მერე კი დაავლებდა ხელს შვი-
ლიშვილს და კარგად მიტყუებავდა.

— არა, არა! — ამბობდა მოხუცი, —
შენგან არასდროს არ გამოვა კარგი
მეცხვარე. არასდროს!

დალამდებოდა თუ არა, მწყემსები
ბრიალა კოცონს მოუსხდებოდნენ და
მუსიაფს გააბამდნენ.

ბევრი საინტიერესო თქმულება, ზღა-
პარი და თავგადასავალი მოუსმენია
ნურის ამ ღამეულ კოცონებთან, მაგრამ
ერთი ამბავი ღრმად ჩაებეჭდა მის ბავ-
შვურ გულს.

ეს მოხდა ოქტომბრის რევოლუციის
წინა დღეებში.

ერთხელ მოხუცი ხარუნის კარავში
უცნობი ყმაწვილი შემოვარდა:

— სტრაჟნიკები მომდევნენ, მოხუცო!
დამშალე, თუ შენს გულში ცოცხალია
ალამისი! — შეეხვეწა სტუმარი.

კარვის კუთხეში შვინდის ბურახისა-
თვის გამზადებული ვეება კასრი იდგა.
ხარუნმა ის ყმაწვილი იქვე ჩააჩოქა და
კასრი თავზე გადაამხო, თვითონ კი ნა-
ბაღზე წამოწვა.

კარავში სტრაჟნიკები შემოცვივდნენ.

— შენ აქ არავინ დაგინახავს? ერთი
ბიჭი გამოგვექცა! — ჰკითხა ერთმა.

— როგორ არ დავინახავდა, აქეთკენ
მორბოდა! — თქვა მეორემ.

მოხუცი წამოდგა, კარვიდან დინჯად
გავიდა.

— როგორ არ დავინახე, ბრმა კი არა
ვარ! აქ ჩაირბინა და ხეში მიიმალა.

სტრაჟნიკები სწრაფად გაჰყვნენ ნატ-
ყუარ კვალს.

გადარჩენილმა ყმაწვილმა მოხუცს
მადლობა გადაუხადა და ტყეში გაუჩი-
ნარდა.

გაიარა დრომ. უკვე ოქტომბრის რე-
ვოლუციის შემდეგ, როცა ძალაუფლება
ხალხის ხელში გადავიდა, ის ყმაწვილი,
სახელად ჩანაგუ, საბჭოთა აფხაზეთის
მთავრობას სათავეში ჩაუდგა. ამ ამბავ-
მა ხარუნი ძალიან გაახარა, მაგრამ
იმდენი ველარ მოახერხა, რომ მასთან
პირადად მისულიყო და გამარჯვება
მიელოცა.

ერთხელ, როდესაც ხარუნი შტაში
დასასვენებლად ამოსულ ბერიკაცებს
ესაუბრებოდა, უეცრად მის წინაშე
ჩანაგუ გაჩნდა.

— მიცანი, ბაბუა? — ჰკითხა მან მო-
ხუცს და მკერდზე ეამბორა.

ხარუნმა თვალები მოჭუტა და ერთ
ხანს სტუმარს მდუმარედ მისჩერებოდა.

მერე შუბლი გაეხსნა და შესძახა:

— გიცანი, როგორ არ გიცანი! კეთი-
ლი იყოს შენი მობრძანება, დად! —
მერე ისევ წარბები შეჰკრა, ვითომ
რალაცამ შეაშფოთათ: — რა, კიდევ
უნდა დავმალო?

— არა, ჩემო ხარუნ, — ჩანაგუმ გუ-
ლიანად გაიცინა, — ახლა ეს ქვეყანა
ჩვენია, ხალხის არის... თავადებისა და
მებატონეების შუე სამუდამოდ ჩაესვენა.
ასე არ არის, მეგობრებო? — მიუბრუნ-
და ჩანაგუ დამსვენებლებს.

— ჭეშმარიტი სიტყვაა!

— ეს კი შენ, ჩემო ხარუნ, იმ დღის
სამახსოვროდ, — თქვა ჩანაგუმ და მო-
ხუც მწყემსს მოზრდილი ფუთა გაუწო-
და. ფუთაში აღმოჩნდა ახალთახალი ნა-
ბადი, ბუხრის ქუდი, ტყავის ჩექმები და
სანადირო თოფი.

გახარებულმა, აღელვებულმა მოხუც-
მა სიტყვა ვერ იპოვნა მადლობის სათქ-
მელად. მხოლოდ ცრემლი მოადგა თვა-
ლებზე.

...მერე ყველანი ისევ ცეცხლს შემო-
უსხდნენ და საუბარი განაგრძეს:

— აი, უკვე ასმეჩვიდმეტე წელში გა-
დავდექი, — დაიწყო ხარუნმა, — და
იცით გული რაზე მწყდება? რატომ
ცოტა გვიან არ დავიბადე, რომ ამ ბედ-
ნიერ დროს უფრო ჯეელი შევსწრებო-
დი! რა იყო ჩემი წარსული ცხოვრება —
ასი ფუთი ტანჯვა და ერთი მისხალი
სიხარული.

— ნეტავი სადმე ისეთი კანტორა
იყოს, სადაც წლების გაცვლა შეიძლე-
ბოდეს! — თქვა მეორე მოხუცმა, — ერთ
ახალ წელში ათ ძველ წელიწადს მი-
ცემდი.

მიხეილ ლაკერბაი
ბზის ჯოხი

— ოცს კი არა? — ჩაიცინა მეორემ.

— მე იცი, რას ვფიქრობ? — თქვა ჩანაგუმ, — ჩვენი ხარუნი უკვე ასჩვიდ-მეტი წლისა ყოფილა. კმარა რაც იშრო-მა. ამიერიდან დაისვენე, ხარუნ, პენსი-აც გეკუთვნის.

— დასვენებას მერც მოვასწრებ, ჯერ რა მეჩქარება! — თქვა ხარუნმა.

საუბარი ამით დამთავრდა, წასვლის წინ ჩანაგუმ მოხუცი მწყემსი სოხუმში მიიწვია, ჩემი სტუმარი უნდა იქნეო.

— სიამოვნებით, — უთხრა ხარუნ-მა, — ჯერ ქალაქში ერთი დამეც არ გა-მითევია. ვნახო, იქაური ხალხი როგორ ცხოვრობს.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, მოხუცი მწყემსი ჩანაგუს ესტუმრა. ერთი კვირა რომ გავიდა, ხარუნმა მას-პინძელს უთხრა:

— გინდა კარგად დავიხვენო?

— მაშ, რატომ ჩამოგიყვანე, ბაბუ? — შეიკვირვა ჩანაგუმ.

— გაგიგონია ძველი აფხაზური ან-დაზა? — „როდესაც კოდალა ხეს ნის-კარტს არ უტაკუნებს, მას თავი სტიკი-ვალ“. მეც ასე ვარ, დად! როცა არაფერს არ ვაკეთებ, მეც თავი მტიკავა და უფრო ვიღლები, უსაქმოდ ყოფნა არ შემიძ-ლია.

— ბატონი ბრძანდები, — თქვა ჩა-ნაგუმ, — დაგებმარები, მხოლოდ ჯერ გაიარ-გამოიარე ქალაქში, ნახე, ვინ რას აკეთებს, გული საითკენაც გაგიწივს, მეც იმ სამუშაოზე მოვაწყობ.

მოუსვენარმა მოხუცმა მთელი ერთი კვირა ქალაქის ქუჩებში იხეტიალა, ათასი ჯურის ხალხს ესაუბრა, ათას-გვარ ხელოსანს გაეცნო, მაგრამ სათა-ვისო საქმე ვერაფერი შეარჩია, ყველ-გან წერა-კითხვა და ანგარიშის ცოდნა იყო საჭირო. დაღონდა მოხუცი, რო-გორც ჩანს, ქალაქს ვერ შეეწეოთბო.

იმ საღამოს შინ დაძმარებული დაბ-რუნდა. გზის შესამოკლებლად ბაღში შევიდა, რომ ამ დროს მუსიკის ხმა გაიგონა. მიიხედა — ესტრადაზე სამხე-დრო ორკესტრი უკრავდა. დამკვრელებ-ის წინ, ოდნავ შემადლებულ ადგილზე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მა-

ღალ-მაღალი კაცი იდგა და პატარა ჯოხს აქნევდა — მუსიკას აყოლებდა.

მოხუცმა თვალი ვერ მოსწავსტა იმ ჯოხს.

„აი საჩემო საქმე! მთელ ფარას ერთი კაცი ვუფლიდი, ამას როგორ ვერ შევძ-ლებ, დამკვრელების წინ დავდგე და პატარა ჯოხი ვაქნიო“, — გაიფიქრა მან და მუსიკა შეწყდა თუ არა, ღირიჟორ-თან მივიდა, ჯოხი მაჩვენეო, სთხოვა. სხვა არაფერი უკითხავს.

ჯოხი გამოართვა, დახედა და მაშინვე უკან დაუბრუნა.

„შინდისაა. მე კი ბზისაგან გამოვთ-ლი“, — ჩაილაპარაკა მან.

მეორე დღეს, როდესაც ჩანაგუმ მოხუ-ცის ოთახში შევიდა, მან დაინახა, რომ ხარუნი გულმოდგინედ თლიდა რალაც ჯოხს.

მაპინძელს გაეღიმა.

— გეტყობა, საქმე გიპოვნია, ჩემო ხარუნ.

— კი, შვილო, ვიპოვე! — გამოცოცხ-ლდა ხარუნი, — ახლა შენ იცი, თუ იმ სამუშაოზე მომაწყობ. — და მოხუცმა სულმოუთქმელად უამბო ჩანაგუს გუ-შინდელი ამბავი, რაც ბაღში ნახა და გულში ჩაუვარდა.

ბევრი უმტიკავა ჩანაგუმ — ღირიჟო-რობა ძალიან ძნელი და რთული საქმე არისო. ღირიჟორმა ყველა მუსიკალური საკრავი უნდა იცოდეს, მთელი მუსიკა-ლური მეცნიერება უნდა შეისწავლოს, სანამ იმ პატარა ჯოხს ხელში აიღებ-დესო...

— „ამ სამუშაოს“ ვერც შენ მოერე-ვი და ვერც მე! — დაასკვნა ჩანაგუმ და მოხუცს მხარზე ხელი მოუთათუნა.

უსაქმოდ დარჩენილმა ხარუნმა ქა-ლაქში მოიწვინა. ერთ დღეს გუდა-ნაბა-დი აიკრა და მთას მიაშურა. წავიდა და თან წაიღო ბზისაგან გამოთლილი ჯოხი.

— ასე დამთავრდა ჩემი ქალაქური ცხოვრება, — დასძინა ხარუნმა, რითაც მსმენელებს ღიმილი მოჰგვარა. მოხუცმა ცოტა ხანს იყუნა, მერე ამოიხორა და თქვა: — იმ ჯოხიან კაცს ალბათ კარ-გად შეასწავლეს მუსიკის ანბანი და ყვე-

ლა ინსტრუმენტზე დაკვრა. მე კი ვინ მასწავლიდა?!

სულგანაბული უსმენდა ნური მოხუცის სევდიან მოთხრობას. ხშირად შეეხვეწებოდა ხოლმე ბაბუას, ერთხელ კიდევ მიაშვენიდა სოხუმის ბაღში რაც ნახეო.

ნურის მუდამ თვალწინ ედგა გაჩახჩახებული ესტრადაზე ჩამწკრივებული მუსიკოსები. ესმოდა ლამაზი, ბრწყინვალა საკრავების ხმა... მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვის გულს ის კაცი იზიდავდა, შემადლებულ ადგილზე რომ იდგა და ჯოხს აქნევდა.

ამის შემდეგ ხარუნი თავის აჩარპანზე რომ დაუკრავდა, პატარა ნური მაშინვე წინ დაუდგებოდა და ჯოხის ქნევას დაიწყებდა.

გავიდა კიდევ ორი წელი. ერთ საღამოს მოხუცმა ხარუნმა დაიძინა და აღარ გაიღვიძა. პატარა ნური მარტო დარჩა ქვეყანაზე, მაგრამ ბავშვის მეოცნებე გულმა ვერა და ვერ დაივიწყა ის შორეული ქალაქი სოხუმი, სადაც ბაბუამისმა თავისი შესაფერი საქმე ვერ იპოვნა.

ერთ მშვენიერ დღეს ნურიმ პატარა აბგა მხარზე გადაიკიდა, ხელში ბაბუას სახსოვარი ბუხის ჯოხი დაიჭირა და მთიდან დაეშვა.

...ნური ჯერღენია გაჩუმდა, ღვინო დაისხა და მოსვა, მერე ისევ განაგრძო:

— ჩვენს ქვეყანაში უპატრონო ბავშვები არ არიან... ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე. სოხუმში რომ ჩავედი, საბავშვო სახლში მომათავსეს. ალერსი და ზრუნვა არ მომაკლეს. მერე ერთმა მასწავლებელმა შემატყო, რომ მუსიკა მიყ-

ვარდა. იგი ხშირად წამიყვანდა ხოლმე ბაღში ორკესტრის მოსასმენად. სწორედ იქ შეეხვედი პირველად კოვჩაგის მანთურმე დამინახა, თვალეგაბრწყინებული რომ მიგჩერებოდი ესტრადაზე ჩამწკრივებულ მუსიკოსებს, დირიჟორს, ზღაპრიდან გადმოსულ ჯადოქრად რომ მეჩვენებოდა.

ჩემმა ახალმა ნაცნობმა ყველაფერი გამომკითხა. მეორე დღეს იგი საბავშვო სახლში მოვიდა, მასწავლებლებს ელაპარაკა, მერე მე დამიძახეს და საღამურზე დამაკრევეინეს. მერე მითხრეს, იმღერეო. მეც ავდექი და ბაბუას საყვარელი სიმღერა წამოვიწყე. კოვჩამა მიმიწონა, მე უფრო გავთამამდი და ბაბუა ხარუნის ბუხის ჯოხიც გამოვჩინე.

კოვჩამა მითხრა, თუ შენი მასწავლებლები თანახმა იქნებიან, მუსიკალურ სასწავლებელში მოგაწყობო. რა თქმა უნდა, ყველანი დაეთანხმნენ. კოვჩამა იმ საღამოს თავის სახლში წამიყვანა.

— სწორედ იმ საღამოს მითხარით, — შევაწყვეტინე სიტყვა ნურის, — დირიჟორი მინდა გავხდე, ეს არის ჩემი ოცნებაო.

— როგორც ხედავთ, ნატვრა ამის რულდა! — თქვა ნურიმ.

ორიგენი გაჩუმდით. მერე მივბრუნდი და დირიჟორის ჯოხს შევავლე თვალი, მოხუცმა მწყემსმა ბუხისაგან რომ გამოთალა... და მერე ისევ თვალწინ დამიდგა მრავალი ჩემი თანამემამულე, რომელთა ბედი წაღმა შემოაბრუნა დიდმა ოქტომბერმა.


მიხილ ლაკერბაი
ბუხის ჯოხი





ჩვენ ზოგჯერ ჩუმი გვაწუხებს დარდი,
ხან მზე დგას, ხან კი ქარები ქრიან,
ყველა ვილაცის იმედით დადის,
ყველას ვილაცის იმედი ჰქვია.

ჩუმად მოსული ტკივილის გარდა
გული ხომ ათას სიხარულს ელის,
და ჩვენ ვიცინით, ვიცინით, რადგან
ვილაცას ჩვენი სიცილი შველის.



ყური დაუგდე, ჭრიალებს ფრთხილად
ჩემი ოცნების პატარა კარი,
შენი თვალეზით თენდება დილა,
შენი სიცილი მეძახის გარეთ.

მე გამოვრბივარ, შენი ხმა მესმის,
მაგრამ შენს ქუჩას შორიდან ვუვლი,
ისევ და ისევ წკრიალა ეყვნით
მეძახის შენი ბავშვური გული.

მე მხოლოდ შენი ბავშვობა მინდა
და მხოლოდ შენი მზიანი დარი...
ყური დაუგდე, ჭრიალებს ფრთხილად
ჩემი ოცნების პატარა კარი.




ახალსოფლის გზებზე

ასმათს

მე რა ვუმდერო კახეთს,
რა სინათლე და რა სიმწვანეა,
მე რა ვუმდერო ამ მთებს
(მათ მიღმა უკვე დაღესტანია)!
რალა წავართვა ალაზანს,
ან რა გაჩუქო შენ,
ასე კარგი და ასე ლამაზი!..
რა და.


უმთვარო ღამეში
მანქანის ფარით
განათებული
გაგაზი...



რამდენი

წლები გარბიან,
წლები გარბიან,
ლოდინიც მღლის და
დღეების თვლაც.
საქართველოში
რამდენი ხევია,
რამდენი ხევი,
რამდენი მთა.
ყოველ მწვერვალზე
ავჭრილვარ ოცნებით:
ყოველ მთის წვერიდან
გადევნებ თვალს...
გარბიან წლები,
აქედან შენამდე
რამდენი ხევია, რამდენი
მთა...





მითხრობა

რა, არ მიკვირს, მისტერ ბრედლი...
 ტუ შაოცებს, ისევ თქვენი განცვი-
 ფრება შაოცებს და არა ის, რაც ასეთი
 გულისტკივილით მაცნობეთ. დიახ, დიახ,
 რომ დაუფიქრდეთ, მგონი, თქვენც
 დამეთანხმობთ. თქვენზე უფრო ნაკლებ
 გამჭრიახ მეთვალყურესაც კი, ძვირ-
 ფასო მისტერ ბრედლი, შეეძლო —
 დიახ, ყოველ შემთხვევაში, ორმოცდა-
 ცხრა წელს, — შეეძლო წინასწარ გა-
 მოცნო, როგორ განვითარდებოდა მოვ-
 ლენები და რა სახეს მიიღებდა ყოვე-
 ლივე ეს ჩვენს დროში. ცხადია, ნაწი-
 ლობრივ ის გაგამართლებთ, რომ გერ-
 მანელი არა ხართ, უფრო მეტად კი,
 ის, რომ ამერიკელი ბრძანდებით.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ დედამიწის
 ზურგზე ამერიკელებზე ნაკლები პოლი-
 ტიკური აღლო არც ერთ ერს არ გააჩ-
 ნია? — ბრედლის ხმას, ცოტა არ იყოს,
 წყენა დაეტყო.

— არა, რასაკვირველია, არა, ძვირ-
 ფასო და პატივცემულო კოლეგავ, იმ
 მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც

ახლა ვიმყოფები, რამის თქმა რომ
 მინდოდეს, მარტო იმასლა გეტყოდით,
 ასე სულაც არ მიმაჩნია-მეთქი. ჩემი
 აზრით (არ მინდა ჩვენს შორის გამო-
 უთქმელი რამ დარჩეს), ამერიკელები,
 როგორც ყველა სხვა ერი (დაიხსომეთ—
 მე არ ვამბობ, „მეტადრე ამერიკელე-
 ბი-მეთქი“, თუმცა საამისო საფუ-
 ძველი მაქვს), — ჰოდა, ამერიკელები,
 როგორც ყველა სხვა ერი, არცთუ დიდი
 ხალისით ამჩნევენ თავიანთი სახელმწი-
 ფო წყობილების, ასე ვთქვათ, იდეა-
 ლურ სისტემაში რაიმე ნაკლს. ხშირად
 ამჯობინებენ თვალი დაუხუჭონ, ან უბ-
 რალოდ ზურგი შეაქციონ ამ ნაკლს, ვი-
 ნემ თავისი აზრი გამოთქვან. მართალი
 ვარ, მისტერ ბრედლი?

— შესაძლოა, შესაძლოა, პერ კრეჩ-
 მერ, მხოლოდ ვერ ვხედავ, რა კავშირია
 თავიანთი სახელმწიფოსადმი ამერიკე-
 ლების დამოკიდებულებას და იმას
 შორის, რაც დღეს გერმანიაში ხდება.

— ნუთუ?

სიბნელე იყო და ვალტერის გამჭირ-
 დავი ღიმილი ბრედლიმ ვერ შეამჩნია.
 ისინი კიჩოზე ისხდნენ, დახვეულ ბაგი-

რებს შორის, სადაც ქარი და ნისლი ვერ ატანდა, და საუბრობდნენ. უეჭველია, აქ უფრო თავისუფლად შეიძლებოდა ლაპარაკი, ვიდრე სალონებსა და ბარში, ვინაიდან უკანასკნელ ცნობათა გადმოცემის შემდეგ ატმოსფერო იქ დაძაბული, ნაკლებ სასიამოვნო შეიქმნა¹.

— თუ ასეა, — განაგრძო ვალტერმა, — საქმე უფრო რთულდება. ჩემთვის არცთუ ისე იოლია ამ საკითხის განმარტება.

ბრედლიმ იმთავითვე იაზრა, რომ ვალტერი მაღლიერი დარჩებოდა, თუკი იგი კამათს შეწყვეტდა, მაგრამ ბრედლი სულაც არ აპირებდა უკან დახევას.

— ჩემმა მეგობარმა დოქტორმა შტრაიტიმა მითხრა, რომ თქვენთან ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი, — სიტყვა ჩამოართვა ვალტერმა, — ნაწილობრივ ის მართალი არის, მაგრამ ნება მიბოძეთ, პატარა შესწორება შევიტანო: „ყველაფერზე ლაპარაკი“ ეს მართლმოდენ გერმანელებსა და გერმანიაზე ლაპარაკს არ ნიშნავს, თქვენ კი მხოლოდ ამას ელით ჩემგან. გერმანია, მისტერ ბრედლი, კონკრეტულ სამყაროში იმყოფება.

— მე თქვენი აზრი მაინტერესებს, პერ კრეჩმერ. თუმცა არ დაგვიმალავთ: თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისთანაც ჰეგელის ლაპარაკი შეიძლება, პოდა, მინდოდა, ამ საღამოს ჩემთან კონიაკზე მიმეწვიეთ.

— ნუ მიძრახავთ, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ამიტომაც ვზივარ ეს რამდენიმე საათი გემბანზე, თუმცა ცივა და ნისლიც დგას. კაიუტაში გულის რევა მეწყება. მგონი, ზღვის ავადმყოფობამ მეც მიწია.

— ოჰ, ამ ატლანტის ოკეანემ ასე იცის! აი, წყნარი ოკეანე კი მართლაც

წყნარია, მაინც რამდენ ხანს უნდა რჯდეთ აქ? არაფერი შეგემთხვეთ.

— მადლობას მოგახსენებთ, მთელი ღამე არ ვაპირებ აქ ყურყუტს. ცოლსაც უნდა მივხედო. კიდევ თხუთმეტი წუთი, მეტი არა.

— მეც აქ დავრჩები, პერ კრეჩმერ. ღელვა მატულობს — არ მინდა ზღვაში ამოჰყოთ თავი, ან გრიბი შეგეყაროთ. ამიტომ კონიაკიც თან წამოვიღე.

— გმადლობთ. კარგი ყმაწვილი ბრძანდებით, ბრედლი.

— თუმცა „ჯონი“ კი ვარ, არა?

— დიახ, დიახ, — გაეღიმა ვალტერს.

ბრტყელიძირა ბოთლი, რომელსაც საყოველთაო წარმოდგენით, ამერიკელი არასოდეს იშორებს, ვალტერის ხელში გაჩნდა.

— ორმოცდახუთში კი მაინცადამაინც დიდი სიყვარული არ გქონდათ ჩვენი, — ჩაესმა ბრედლის ხმა.

ვალტერმა რამდენიმე ყლუბი მოსვა და ბოთლი უკან დაუბრუნა.

— დამეთანხმეთ, რომ გამარჯვებულები არავის უყვარს და არც მისიონერები ეხატება ვისმე გულზე. თქვენ კი ერთიც იყავით და მეორეც. თქვენ ვაიძულეთ მთელი მსოფლიოს წინაშე აღსარება გეთქვა, თქვენს რჯულზე მოგქცეულიყავით და ჩვენი მოქცევის დამამტკიცებელი საბუთებიც წარმოგვედგინა.

— მაშ, რას ელოდით?

— თვითელი რაღაც თავისას ელოდა, თუკი საერთოდ რაიმე მოლოდინზე შეიძლება ლაპარაკი. რასაც თქვენ, ამერიკელები აკეთებდით, ყოველი გერმანელისათვის ის არ იყო, რასაც ელოდა. მერედა, რას აკეთებდით! გამარჯვებულთა ბედი ასეთია. თუმცა კი ისიც უნდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ, მალე მოხვედით გონს.

— სამწუხაროდ? თქვენ ეს ასე გესმით?

— დიახ, თქვენსავით. ამიტომაც თქვენი სიტყვები: „რა კავშირია. არ

¹ იგულისხმება 1961 წლის 13 აგვისტოს ამბები, როცა გდრ-მ ზომები მიიღო დასავლეთ ბერლინის საზღვრების დაცვისა და გამაგრებისათვის. ამის საპასუხოდ კანცლერმა ადენაუერმა მეორე დღეს თავის გამოსვლაში დასავლეთს მოუწოდა სოციალისტური სახელმწიფოთათვის ეკონომიური ბლოკადა შეექმნა.

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

მესმის“, მე უბრალო რიტორიკად ჩავთვალე. განა შეიძლება, მართლაც არ გესმოდეთ, რა კავშირია? თქვენ არ მედავებით, მასხადადამე, მეთანხმებით. თუ ასეა, უნდა გესმოდეთ, რომ თქვენი კითხვა მე მხოლოდ ნაწილობრივ მეხება. მეტსაც გეტყვით, სწორედ ჩემგან არ უნდა ელოდეთ პასუხს. რა თქმა უნდა, მაგ კითხვის წყალობით უფრო მიგიხვდით გულისნადებს. ჩემთვის ახლა უფრო ნათელი გახდა, რატომ ხართ დაინტერესებული გერმანიის პრობლემით. საქმე ის კი არაა, რომ განათლებით ისტორიკოსი ბრძანდებით, ყოველ შემთხვევაში, მარტო ეს არაა, საქმე ის ქვეშეცნეული შიშია, ამ საშინელი ომიდან შინდაბრუნებულმა თქვენი ორი წლის ბიჭის დანახვისას რომ განიცადეთ. ამ შიშმა გაიძულათ დაკვირვებით გედევნებინათ თვალი ყველაფრისათვის, რაც ევროპის ამ ნაწილში ხდება. თქვენი ისტორიული განათლება და საგნის ცოდნა კი დამატებითი საზრდო გამოდგა ამისათვის, თქვენ წიდან ბრძანეთ, ჩემი ვაჟი ახლა იმ ხნისაა, რა ხნისაც მე ვიყავი ოცდაცხრამეტ წელს და კვლავ იგივე ამბები მეორდებაო. აბა, რა გაპასუხოთ ამაზე, მისტერ ბრედლი? გამორიქხული არაა, რომ ბევრმა გერმანელმა, იქნებ იმაზე მეტმა, ვინემ ეს გერმანელი ხალხის მსაჯულთ, ჩემისთანა და თქვენისთანა ხალხს ჰგონია, ამ წუთას თქვას, ან გინდაც იფიქროს, არა, იგივე არ მეორდებაო. ამან უნდა გაგახაროთ. რადგან, თუ თქვენი ვაჟი დაიღუპა, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში კი არა, ჩვენთან ერთად მხარდამხარ ომში დაიღუპება.

— თქვენი გულისთვის...

კრემერმა ან ვერ გაიგონა, ან ყური მოუყრუა ამერიკელის ამ შენიშვნას.

— მხარდამხარ-მეთქი, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მთელ მსოფლიოს რომ ემუქრება.

— სისულელეა! ძველთაძველი მონაჭორია და მას უკვე მსოფლიოს ათეული მილიონი ადამიანი შეეწირა. ამერიკელებს სულ იოლად შეეძლოთ რუსებს მოლაპარაკებოდნენ გავლენის სფე-

როების დანაწილებაზე და არხიზნად მჯდარიყვენ ოკეანის გაღმა.

— შესაძლებელია. მეც გეთანხმებით, ვინაიდან, როგორც უკვე შენიშნავდით, მე მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისი გაგაცანით და ჩემი მხრივ კარგა შორი მანძილით დავიჭირე მისგან თავი. მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ ერთში შეცდით. ანუ თქვენი მთავრობა შეცდა თქვენს მაგიერ. თქვენ, ამერიკელებმა, კი არ ისურვეთ თქვენი აზრი გამოგეთქვათ ამაზე, არჩიეთ, თვალი დაგებუქათ ამ შეცდომაზე, ან იქნებ მართლაც ვერ შეამჩნიეთ იგი. დავუშვათ, ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მდგომარეობა ამ შეცდომის შედეგი გახლავთ. შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა კერძოდ მხოლოდ ერთი კითხვის დასმა შეიძლება: იმ კითხვის, რაც თქვენ მომეცით. იმეღია, ახლა მიხვდით უკვე, რომ მისამართი შეგეშალათ. იმ შეცდომის შედეგად (მოდით, ასე შევარქვათ და სემანტურ გარჩევას ნულარ დავიწყებთ), თქვენს ვაჟს, მისტერ ბრედლი, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გმირული სიკვდილი მოუწევს. ექვსგარეშეა, ეს უფრო საპატიო პერსპექტივაა, ვინემ თქვენ გქონდათ ჩვენთან ბრძოლისას. ასე გადაწყვიტა თქვენმა მთავრობამ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მისი გადაწყვეტილება სავსებით დაემთხვა ეგრეთ წოდებულ საშუალო გერმანელის შეხედულებას, ვისი პოზიციაც თქვენ აგრერიგად გაშფოთებთ. სწორედ იმ გერმანელის, ვინც ამერიკასთან კავშირმა იმდენად ჩამოაშორა მთელ მსოფლიოს, რომ ომის დამთავრებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ სულ დაავიწყდა, როგორია სიკვდილი. თქვენ, ამერიკელებმა, ერთობ შეუწყვეთ ამაში ხელი, და აჩონჩხილი სტუმარი ახალი სამოსელით შემოსეთ. თუმცა ის მუდამ ერთნაირად საზიზღარია. მე არ ვიცი, შეძლებს თუ არა თქვენი ვაჟი ამ სტუმრის წარმოდგენას, როცა ვითომდა საფრთხეში მყოფ სამშობლოს დასაცავად წავა. მაგრამ თუკი მამამისივით აზროვნების უნარი ექნა, მისი ცხოვრების ფილოსოფია კიდევ

ერთი მცნებით — სიკვდილის უაზრობის მცნებით გამდიდრდება. თქვენგან განსხვავებით ის მომავალ ომში სისხლის დასადგურებლად ამ გაგებით წავა. თქვენგან განსხვავებით — მეთქი, ვინაიდან თქვენ არა მარტო გწამდათ, მტკიცედ იცოდით: გერმანია თქვენს სამშობლოს ემუქრებოდა. არ შეიძლება არ გცოდნოდით, ფიურერმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ყოველი ამერიკელი დარწმუნებულიყო მის აგრესიულ ზრახვებში. თანაც მისმა მოკავშირე იაპონიამ უკვე ხელი წაგებოტინათ... ჰოდა, თქვენი ვაჟი, თუკი ის თქვენს შეხედულებებს იზიარებს...

— მე იმიტომ კი არ მეწადა თქვენთან საუბარი, რომ გეთქვათ, როგორ მოკლავენ ჩემს ვაჟს, — გაჯავრებით თქვა ბრედლიმ.

— არა? — ვითომ გაიოცა ვალტერმა, — უკაცრავად, მამ, რატომ?

— ახლა, როცა რადიომ გადმოსცა, რა დიდი ამბები ხდება თქვენს ქვეყანაში, მე მინდოდა გამეგო, როგორ უყურებენ ამას გერმანელები.

დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. ბრედლიმ კიდევ იფიქრა, კრეჩმერის პასუხი სწორედ ეს არისო. გემის რწევამ მოულოდნელად მასზეც იმოქმედა. საათს დახედა და წამოდგა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, — უთხრა ვალტერმა. — არ მინდა, იმ აზრით გაგიშვათ, თითქოს პასუხს თავს ვარიდებდე. თქვენ მკითხეთ, როგორ უყურებენ ამას გერმანელებიო? — ასეთი კითხვა კი პირდაპირსა და სრულ პასუხს ითხოვს. სწორედ იმაზე ვფიქრობდი, შევძლებ თუ არა პასუხის გაცემას-მეთქი. გარდა ამისა, ჩემი აზრით, ჩვენს წინა საუბარში, ავად თუ კარგად, უკვე გიპასუხეთ ამაზე. მაგრამ ახლა უფრო ნათლად გამოვთქვამ: ვფიქრობ, თუ ომი დაიწყო, გერმანელები ამას განგების ძალად ჩათვლიან. თანაც ეს, მგონი, ასე თუ ისე, ეთანხმება თქვენს თეორიას მისტიციზმით მოწამლული გერმანელის სულზე.

— როგორ უყურებენ ამას შეგნე-

ბული გერმანელები, თქვენისთანა გერმანელები?

— მაღლობას მოგახსენებთ, ვინაიდან რისათვის და ბოდიშსაც მოვითხოვ, თუ ცოტა უხეშად გამომივიდა. ეს შეგნებული გერმანელები მომავალ ომში იმ სახელმწიფოს პოლიტიკის ბუნებრივ შედეგს დანიხავენ, რომლის მოქალაქეც თქვენ ბრძანდებით. იმ სახელმწიფოს დანაშაულს, მისტერ ბრედლი. გეცინებათ? ნუთუ ჩემი სიტყვები მხოლოდ ღიმილს იწვევენ? დამეთანხმეთ, რომ ეს ცოტაა. სათქმელი კი არაფერი გაქვთ.

— უკაცრავად, ჰერ კრეჩმერ... ჩემს ღიმილს კამათში საბუთად ნუ ჩამითვლით. მე მხოლოდ იმიტომ გამეცინა, რომ ერთი რამ გავიფიქრე. სახელდობრ: როგორ იცვლება თვალსაზრისი მოთვალთვალის პოზიციის შეცვლის მიხედვით! ზუსტ მეცნიერებათა ეს კანონი დიდებულად მტკიცდება ფსიქოლოგიაშიაც, განსაკუთრებით გერმანიაში. თუ ორმოცდახუთ წელს გერმანელები, როგორც წესი, დუმდნენ, როცა მათ ბრალდებას წაუყენებდნენ, სამი წლის შემდეგ უკვე „მაგრამო“, აყოლებდნენ და ცდილობდნენ ყველაფერი ჰიტლერისა და მისი სახელმწიფოსათვის გადაებრალეზინათ. დანაშავე იყო ყველა: მოკავშირე სახელმწიფოები, ვერსალის ზავი, ყველა და ყველანი, გარდა გერმანელებისა. ომის შემდეგ მე დაკვირვებით ვკითხულობდი პუბლიკაციებს — ახლა ისინი უკვე იშვიათად გვხვდება — და იცით, რა აღმოვაჩინე? რომ ყველაზე კარგ ადამიანებსაც „გერმანელების დანაშაულზე“ ლაპარაკისას არ შეიძლება ეს „მაგრამ“ არ დასცდნოდით. უდიადესი და უპატიოსნესი გერმანელი თომას მანიც ცეიტბლომის პირით ამბობს: „მე ამაზე შედარებით მშვიდად ვლაპარაკობ, ვინაიდან ყველაზე მეტად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის მსგავსად მეც მიმანია, რომ ჩვენ საკადრისი სასჯელი დაგვედო.

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ხოლო თუ სასჯელი ჩადენილ ცოდვებს აღემატება, მაშინ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქარის დამთესი გრიგალს მოიმიკის. ხედავთ, ჰერ კრეჩმერ, „თუ სასჯელი ცოდვებს აღემატებაო“. თუმცა შეუძლებელია გამოინახოს საკმარისი სასჯელი იმ საშინელებისა და იმ მილიონობით დაღუპულ ადამიანისათვის, გერმანიის იმპერიამ მსოფლიო ბატონობის მისაღწევად თავის გზაზე რომ მოაფინა. მხოლოდ ერთი კაცი მელაპარაკა ამაზე „მაგრამის“ გარეშე. ეს დოქტორ შტრაიტიც ვახლავთ. მელაპარაკა საკუთარ დანაშაულსა და პასუხისმგებლობაზე — გესმით, ჰერ კრეჩმერ, საკუთარ პასუხისმგებლობაზე! იმ კაცმა, ვინც ჰიტლერის დიქტატურის დროს სიცოცხლის მეტი წილი ეკლიანი ღობის მიღმა გაატარა. დიახ, ჩვენ რომ დახაუში შევიჭერით, ასეთი ადამიანები მრავლად იყვნენ. ახლა კი...

— დოქტორ შტრაიტიც „მაგრამ“—ს ამატებს?

— არა, ეგ არა.

— მაშ რა?

ბრედლი ცოტა ხანს დუმდა, მერე თქვა:

— დასავლეთ გერმანია კვლავ გაძლიერდა და შტრაიტიც კენტად დარჩა.

— ყური მიგდეთ, მისტერ ბრედლი, კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ. თუ მაინცადამაინც გინდათ დამიმტკიცოთ, გერმანელები არ შეცვლილანო, ღვთის გულისათვის, ასეთ ბუნდოვან საბუთს ნულარ წარმომიდგენთ. ეს ხომ მეც ვიცი, მაგრამ ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ: ვისი ბრალია, რომ ეს მოხდა, რომ ჩვენ კვლავ გავძლიერდით? თქვენ ხომ მშვენივრად იცით, ვის ემაღლიერება მილიონობით გერმანელი სტამბოლი-ზაცისა და აყვაგებისთვის? ვის უმადლიან ბოლოს, რომ დამარცხება გამარჯვებად ექცათ. მაძლარ ცხოვრებას გერმანელები ხომ ყველაზე მეტად აფასებენ და ვერ ამჩნევენ, რომ ამ კეთილდღეობაში ყველაზე უმთავრესი შესაძლებლობა — ცხოვრების შესაძლებლობა მარხია, დიახ, დიახ, მისტერ ბრედლი. ჩვენ მორალურადაც და ფიზი-

კურადაც დამარცხებული ვიყავით. სულელებად და ფიზიკურადაც ისე უმწიფონი და ისე გამათხოვრებულები ვიყავით, რომ კაცი ყველაფერს მოგვიხერხებდა. ყველაფერი დამოკიდებულია გეზის არჩევაზე. როცა თქვენ თქვით, გერმანია კვლავ გაძლიერდაო, გულისხმობდით, რომ გერმანელები თავს კვლავ უდანაშაულოდ თვლიან, მაგრამ ვინ გაგაძლიერა ჩვენ? ჩვენ კვლავ საშოში ხალხი ვავხდით, რადგან დავრწმუნდით, რომ მსოფლიო ვერა და ვერ გაძლებს უჩვენოდ, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული ბორტმოქმედებანი არცთუ ისე დანაშაულებრივია, რაკი ხელი ჩაიქნიეს ამაზე, ეგრეთ წოდებული სამხედრო დანაშავენის კი სავსებით წესიერი ხალხია, რაკი ჯვაროსნული ლაშქრობის გუშინდელმა მისიონერებმა და რაინდებმა ხელახლა უხმეს მათ ახალი წყობილების სამსახურში. ამის შემდეგ კიდევ გიკვირთ, როცა გერმანელს ამ „ბორტმოქმედებაზე“ ეკითხებით და იგი გიპასუხებთ, არ ვიციო. თქვენ აი, აქ მომნახეთ, თავს დამადექით ამ სიზნულესა და ნისლში მჯდომ კაცს და მე, სწორედ მე, მეკითხებით, ჩემი ვაჟი რად უნდა დაიღუპოს გერმანელებისა და მათი ბინძური საქმიეების გამო? იმიტომ, მისტერ ბრედლი, რომ თქვენმა მთავრობამ ასე ისურვა, ხოლო თუ მთავრობასა და ხალხს გავიგივებთ, როგორც თქვენ ამას გერმანელების მიმართ სჩადით, მაშასადამე, თქვენ ასე ისურვებთ.

— თქვენ, ალბათ, ხუმრობთ, ან პოლემიკურ აზარტს აპყევით. „ასე ინდომეთ თქვენო...“ კმ, ჩემი აზრი ამა თუ იმ საკითხზე მე მხოლოდ არჩევნების დროს შემიძლია გამოვთქვა. მერე კი... მერე შემიძლია დავიძინო. ეს ვაყბატონები იმას აკეთებენ, რაც მოეპრიანებათ, მე არაფერს მკითხავენ, — გაისმა ბრედლის ხმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— ჩემი საქმე არაა დაგარწმუნოთ, რომ შესაძლოა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო. ეს უცნაური იქნებოდა იმ გერმანელის პირიდან, იმ ხალხის წარმომადგენლის პირიდან, ვინც საუკუნეების მანძილზე თავისი მთავრობის

უნებისყოფი იარაღი იყო. ის, რაც თქვენ ახლა ბრძანეთ, არა ნაკლებ უცნაურად ისმის იმ კაცისაგან, ვისაც სწორედ შემთანხმებლური პოზიცია მიანიხნია გერმანელი ხალხის მთავარ დანაშაულად. ვინაიდან, თუ ჩავუყვირდით, აღმოჩნდება, რომ „დანაშაულის წაყრუება“ მხოლოდ სინამდვილის აღიარება იყო, ამ სინამდვილეს კი იმთავითვე ასე აშკარა ბოროტული სხვა არა ჰქონია. ხოლო თუ ამ შესწორებას შევიტანთ, დავინახავთ, რომ ასეთი შემთანხმებლური პოზიცია მარტოოდენ გერმანელი ხალხისთვის კი არ არის დამახასიათებელი. ასევე შეიძლება თქვენც შეგვიტოხონ, რად წაუყრუეთ იმას, რასაც ამერიკელი პოლიტიკური გემის მესაჭენი სჩადიოდნენ? განა ესეც დანაშაულის წაყრუება არ არის? ვთქვათ, დანაშაული ჯერ კიდევ შეუმჩნეველი იყო და იმთავითვე ვერ შენიშნეთ, მაგრამ ნუთუ თქვენმა პოლიტიკურმა აღღომ არაფერი გამცნოთ? ნება მიბოძეთ, კიდევ რამდენიმე სიტყვა გითხროთ და ამით დავამთავროთ ჩვენი საუბარი ამ ნისლში, რადგან ამ საუბრისაგან არაფერი გამოვა, იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ნისლში ვსაუბრობთ და მყარი ნიადაგი გვაკლია, მისტერ ბრედლი, მრწამსის ის მყარი ნიადაგი, რაზეც, მაგალითად, ჩვენი საერთო მეგობარი დოქტორი შტრაიტი დგას.

ჩვენები და თქვენები ერთმანეთს იმიტომ კი არ შევეუდარე, რომ პოლემიკური ხერხი მენმარა, თუმცა შეიძლება თქვენ ეს გეფიქრათ. არა, მისტერ ბრედლი, ეს პოლემიკური ხერხი არ გახლავთ, ამას სიმწარე მალაპარაკებს. ამ ჩემმა გამწარებამ მეც კი გამაკვირვა, დიახ, მეც, ვინც ჩვენში ამერიკის კულტს შეჩვეული ვიყავ. მაგრამ ხომ სწორედ ეს კულტი გვიჩვენებს ნათლად, ვინაა ნამდვილი დამნაშავე, თუ საერთოდ, სიტყვა „დამნაშავე“ შეიძლება იხმაროს კაცმა იმ სინამდვილეზე ლაპარაკისას, რაც „ეკონომიურ სასწაულად“ არის აღიარებული. მე უკვე ავიხსენით, რომ სწორედ ამ „სასწაულ-

ში“ ვჭვრეტ გერმანელი ხალხის მიერ დაკარგულ შესაძლებლობებს, მათ რიგებში ჩემსადაც, მისტერ ბრედლი, როგორც მოგვხსენებთ, იმ ხანებში მე ყველაფერი ვიღონე, რომ არამზადა არ გავმზადარიყავი. მე მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი: ომი დამთავრდება და დადგება დრო, როცა ადამიანს ყოველგვარი ჭკუის ჭყდუტის გარეშე, უბრალოდ და თავისუფლად შეეძლება პატიოსანი დარჩეს-მეთქი. გეთანხმებით, რომ მაინცადა მაინც დიდი გმირული პროგრამა არ არის, მაგრამ მე ჩემი შესაძლებლობანი გადაჭარბებით არასოდეს შემიფასებია. ჩემი აზრით, მისტერ ბრედლი, ადამიანს მეტისმეტი მიმივე განცდები არ უნდა არგუნო, თორემ ვერ აიტანს. გმირად ყველა კი ვერ გამოდგება. ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა გმირობა არ არის, ამიტომაც შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ის ეპოქები, როცა გმირები ბლომად იზადებოდნენ, ბარბაროსობის ეპოქებია. სავსებით აშკარაა, რომ კაცობრიობის ამოცანას გმირების შექმნა არ წარმოადგენს. ადამიანს ერთი ელემენტარული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს: იყოს კეთილი და ამასთან კისერი არ მოიტეხოს.

მე მაშინ, მართლაც რაც შემეძლო, არაფერი დავიშურე, რომ ღორბოაში არავის ჩავეთრიე. სხვა არაფერი შემეძლო. ბიძაჩემს, ობერშტურმანფიურერს თავის დროზე რომ გადაეწყვიტა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, ესეცელთა ნაწილში მოვეწყვე, მე უთუოდ სამხედრო დამნაშავე გავხდებოდი. ახლა არხეინად ვიქნებოდი მოკალათებული თუ მთავრობაში არა, რომელიდაც სამხედრო სამინისტროში მაინც, ხოლო რომელიმე სხვა „უბიწო“ ვალტერ კრეჩმერს სინდისი დატანჯავდა იმის გამო, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩემს წარმომადგენლობაზე დათანხმდა. აი, როგორ მესმის მე დაკარგული შესაძლებლობანი, ესე იგი ის, რომ არ შემე-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ძლია ვიყო პატიოსანი კაცი, თუ ჩემი მთავრობის, საზოგადო აზრის და ჩემი სინდისის წინაშე წინააღმდეგობაში არ ჩავვარდი. ალბათ მკითხავთ, რად დავთანხმდი საზღვარგარეთ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლობაზე, რომელიც სულ უფრო მეტად ემგავნება ძველს, ოცი წლის წინათ არსებულს? მაგრამ სანამდე შეიძლება კაცი სამშობლოშიც ემიგრანტი დარჩეს?

თქვენ რომ ჩვენთან მოხვედით, ასე მეგონა, ძველი სამყაროს აღსასრული დადგა-მეთქი. ჩვენ არაფერს წარმოვადგენდით, მაგრამ ერთი მეტისმეტად კარგი შესაძლებლობა გავგაჩნდა: შესაძლებლობა იმისა, რომ შევეცვლილიყავით, ისეთი ერი გავმხდარიყავით, რომელსაც სხვა ერებთან მშვიდობიანი ცხოვრება ძალუძდა. შეიძლებოდა დაგვეტკიცებინა, რომ ჩვენ შევიცვალეთ და აღარ გვცვება ჩერჩილის სიტყვები: გერმანელებს შეუძლიათ ან ფეხქვეშ გაგეგონ, ან ყელში გწვდენო. თქვენ წაგვართვით ეს შესაძლებლობა, დაგვიტოვეთ მხოლოდ ის მეორე, რაზედაც ჩერჩილი ამბობდა: ჩვენ ხელახლა უნდა გწვდეთ ვიღაცას ყელშიო.

— როგორც ჩანს, ეს შესაძლებლობა თქვენთვის ფრიად მიმზიდველი აღმოჩნდა, რაკი ასე სწრაფად და ასეთი ენთუზიაზმით დათანხმდით ჩვენთან კავშირზე.

სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს სათქმელი მეტი აღარაფერი იყო. მაგრამ ამ გულისგამაწვრილებელ, პაუზის შემდეგ ვალტერმა ხელახლა წამოიწყო:

— აი, ამიტომაც არ ექნება ჩვენს საუბარს შედეგი. პასუხისმგებლობის ბურთს ისე ვისვრით ატეთ-იქით, თითქოს ჩოგბურთს ვთამაშობდეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. ეს საუბარი თქვენ წამოიწყო, ჰოდა, რაკი მე ის ადამიანი ვარ, ვისთანაც „ყველაფერზე ლაპარაკი“ შეიძლება, რა გავწყობა, გამომიყენეთ! იქნებ ხვალ ჩემთან ლაპარაკი უკვე არაფერზე აღარ შეიძლებოდეს. მე არ ვამტკიცებ, თითქოს ყველა გერმანელს მორალური აღორძინება სწყუროდეს, რაღაც იდეისკენ ილტვოდეს. მე

მინდა ვთქვა მხოლოდ, რომ ^{სადაც} ცხრას ორმოცდახუთში გერმანელებს ორგვარი წარსული ჰქონდათ: ^{მისთვის} ცხრას და ბანაკური. დიახ, ბანაკურიც, ვინაიდან საკონცენტრაციო ბანაკებში ასეული ათასი გერმანელი იჯდა. საქმე ის იყო, რომელ წარსულს ირწმუნებდნენ გამარჯვებულნი, ვისზედაც მაშინ თითქმის ყველაფერი იყო დამოკიდებული, რომელ წარსულს დაუკავშირებდნენ ჩვენს ხალხს. თქვენ მოგეხსენებათ, დოქტორი შტრაიტი კენტად დარჩა.

აგერ რამდენი წელია ლიზა ვალტერის ცოლია და მთელი ეს წლები მარტას შეხვედრის შიში მოსვენებას უკარგავს, არა და არ შორდება. არ შორდება ღამით, არ შორდება მაშინაც, თუ ნასადილევს თვალი მოატყუა, არ შორდება დღისით, როცა დაღლილი და მოღუნებულია. მაგრამ მოულოდნელად არასოდეს წაუსწრია, უმალ გაეღვიძებოდა, მთელ ნებისყოფას დაძაბავდა და საფრთხეს შეეჭიდებოდა. ამ დროს მისი ტვინი ზუსტად და გარკვევით მუშაობდა, საფრთხეს ამცნობდა. ლიზას მხოლოდ ასე შეეძლო ბრძოლა. იცოდა, თუ მტერი მოულოდნელად მოახელებდა, უკვე ვეღარ მოერეოდა. ახლა კი ეს სიზმარი ტლანქად შემოიჭრა სინამდვილეში. მაგრამ როცა დამარცხდა და შიშით თავზარდაცემული მიხვდა, რომ ვერაფრით ვეღარ გაიღვიძებდა, ამ საშინელ, ცხადად ქცეულ სიზმარს თავს ვერ გაართმევდა. სტიუარდი მიუახლოვდა და უთხრა, ის ქალი ინგლისელიაო. ლიზამ თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა უკვე შეუძლია ბოლომდე ნახოს ეს სიზმარი, ელდა აღარ ეცემა, გული აღარ შეეკუმშება, წარსულს გაბედულად გაუსწორებს თვალს, ხომ შეუძლია, როცა უნდა სტიუარდს დაუძახოს და გაამეორებინოს: ის მგზავრი ქალი ინგლისელია და საერთაშორისო კომისიის წევრებთან ერთად მოგზაურობსო.

„საერთაშორისო“, — გაელიმა ლიზას, ო, რარიც სძულდა მარია მანდელს ეს სიტყვა.

საწყალი მარია! მე რომ ხელახლა დავბადებულყავი, იმასვე გავიმეორებდიო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები სიკვდილით დასჯის წინ. ამ ოცი წლის წინათ კი იგი ასე ეუბნებოდა ზედამხედველ ანა ლიზა ფრანცს:

— იცი, ანჰენ, აქ ყოვლად ბრიყვული საერთაშორისო კომისია უნდა გვესტუმროს. გვინდა შენი რაზმი ვაჩვენოთ: შენი ხალხი უკეთ გამოიყურება, უკეთესი პირობები აქვთ. როგორმე ისეთი პატიმრები უნდა მივაჩქროთ, რომლებიც კითხვებზე ჯეროვან პასუხს გასცემენ. ახლავე უნდა ვიღონოთ რამე, რომ არავითარი ინციდენტი არ მოხდეს. როგორ გგონია, ის შენი საყვარელი პატიმარი ქალი არ გამოდგება?

უფროსი ზედამხედველი მარია მანდელის კითხვაზე ანა ლიზა ფრანცმა წესის მიხედვით უმალ ვერ მიაგება პასუხი. ლიზამ ხომ ისიც არ იცოდა, სული ედგა თუ არა მის „საყვარელ პატიმარს“. მარტას საავადმყოფოში წასვლამ, მისდა გასაოცრად, ერთგვარი შვება მოჰგვარა. ლიზამ თავისუფლად ამოისუნთქა. ლოდი მოეხსნა გულზე, როგორც ჯარისკაცს იმის გაგებისას, ზავი ჩამოვარდაო. ახლავა მიხვდა, რა მტანჯველიც ყოფილა ეს მათი უცნაური თამაში, მიხვდა და გადაწყვიტა, მოემორებინა მარტა, სხვა რაზმში გადაეყვანა, თუკი რაღაც სასწაულით ბანაკის საავადმყოფოში სიკვდილს გადაურჩებოდა.

მაგრამ რა უპასუხოს ახლა უფროსი ზედამხედველის კითხვაზე?

— ის საავადმყოფოშია.

— ტიფი აქვს?

— არ ვიცი. კარგა მაღალი სიცხე ჰქონდა.

— აფსუს. ეგ შენი მარტა კაცს თვალში მოხვდებოდა.

— ფრაუ მანდელ, საავადმყოფოდან ბანაკში რომ გადმოვიყვანოთ? რასაკვირველია, თუ ტიფი არ აღმოაჩნდა.

— ჩვენ რა ხელს მოგვცემს? — ჩაფიქრდა უფროსი, — ისინი უთუოდ საავადმყოფოს ნახვას არჩევენ.

— იქნებ ინდივიდუალურმა მოვლამ მეთად დაინტერესოთ.

რამდენიმე წამს უფროსი დაუფარავად ინტერესით შეჰყურებდა ანა ლიზას.

— ეგ არაა ურიკო აზრი, ანო, თანახმა ვარ. სნეული ბარაკში გადაიყვანცხადია, თუ ტიფი არ ექნა.

მარტას ტიფი არ აღმოაჩნდა. ბარაკში გადაყვანამ იგი უშეშველ სიკვდილს გადაარჩინა. დიახ, და ეს ზედამხედველ ანა ლიზას წყალობით მოხდა. მერე რა, რომ მიზეზი სხვა იყო? ვინ გაბედავს და ბრალს დასდებს ლიზას? მარტას გადაარჩენა მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა. რაც შემდეგ მოხდა, წინასწარ სულაც არ ჰქონდა განზრახული, რას წარმოიდგენდა, მარტასთან საავადმყოფოში თუ თადეუში დაუხვდებოდა?

უბრალოდ, ყველაფერი უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს. ლიზას მხოლოდ მარტას ბარაკში გადაყვანა უნდოდა, რაც შემდეგ მოხდა, ეს... ეს თადეუშის ბრალია. უფროსთან ლაპარაკის შემდეგ ლიზამ პირდაპირ საავადმყოფო ბარაკში შეიარა. შეიარა და მარტას საწოლთან თადეუში დაინახა. რად უღალატა ამ კაცს ძველი პატიმრის ინსტიქტმა? მარტა კარისკენ ზურგშექცეული იწვა და ლიზას ვერ დაინახავდა. ლიზა კარის ზღურბლზე გაჩერდა. თადეუშს, ეტყობა, დავიწყნოდა, სად იმყოფებოდა, დავიწყნოდა ყველაფერი. მარტასკენ გადახრილიყო, ელაპარაკებოდა და უღიმოდა კიდევ. ამ ღიმილში იმდენი სითბო, იმდენი სინაზე იგრძნობოდა, რომ ზედამხედველ ანა ლიზა ფრანცს გული გაეწურა. „თუ ქალისთვის ასე არავის შეუხვდავს, ის ქალი სიცოცხლეში დაჩაგრულია“, — აი, ეს იფიქრა იმ წუთს და არც შერცხვენია, როგორ ვიფიქრო. სიყვარული მხოლოდ ფიზიოლოგიური მოვლენა არ იყო მისთვის, მაგრამ სხვა სიყვარული მან არ იცოდა. ზედამხედველი ფრანცი მარტას უყურებდა და მის ბედს შენატროდა. შენატროდა ამ გლახაკ პატიმარს, ვინც არც კი იცო-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

და, ხვალ ცოცხალი იქნებოდა თუ არა. განა თადეუშმა არა თქვა: სიყვარული სიცოცხლესთან გაკავშირებს, აქ კი სიკვდილისათვის უნდა იყო მზადო. ახლა კი რატომ უღიმის? განა ამ სიტყვებს ეჩურჩულება მარტას? რაღად მოსულა აქ? რა თქმა უნდა, მან მხოლოდ ღიზას შუამავლობა, ზედამხედველის შუამავლობა არ ინდომა, მიუხედავად იდუმალ ზრახვებს და ამით მარტას დამორჩილების გზა მოჰსპო. ჰა, რა იქნება, ტაუბეს რომ გამოუძახოს? ნუთუ ეს „ნომერი“ მართლაც ვერ მოითქმენს. ტაუბემ მის საცოლეს რომ გაართყვას?

ღიზა ბარაკის მამასახლისთან შევიდა. — დამიძახეთ ავადმყოფის სანახავად მოსულ პატიმარს. თადეუში არ შეშინებულა. — ახლა რას იტყვი? — ჰკითხა ღიზამ.

თადეუში დუმდა. — იცით, თქვენს საქციელს რა შეიძლება მოჰყვეს? — დიახ, ფრაუ ზედამხედველო. — თავის გასამართლებლად არაფერს იტყვი?

— არა, ფრაუ ზედამხედველო. — დაფიქრდით, დუმილი ყოველთვის როდია საჭირო. — მე არაფერი გამამართლებს არც თქვენს, არც ბანაკის წესდების წინაშე. — საკუთარი სინდისის წინაშე კი მართალი ხართ?

— ფრაუ ზედამხედველო. აქ რომ მოდიოდით, ალბათ დაინახეთ ბარაკების გვერდით გვამების მთები. ზედ ვირთხები დარბიან, — თადეუშის პასუხი იძულებითი პასუხი იყო და ღიზას ამან სიამე მოჰგვარა, — ხვალ ისიც შეიძლება იქ აღმოჩნდეს. მე კი ვეღარ ვნახავდი თმა... თმაწამოზრდილს.

ღიზა ვითომც ვერ მიუხვდა გადაკრულს, სინამდვილეში კი შეჰზარა მისმა დაუნდობლობამ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გამოკეთდება, აღარ შეხვდებით?

— დიახ, სწორედ ამას ნიშნავს.

— შეგიძლიათ წახვიდეთ.

— ნება დამრთეთ, მარტა დავამშვიდო, რომ...

— მე თვითონ დავამშვიდებ მარტამ თუ კიდევ ერთხელ გნახეთ აქ, მაშინ აღარ მოვერიდები მარტას და შესაფერ ზომებს მივიღებ.

თადეუშმა ქუდი დაიხურა და გავიდა. ღიზამ ფანჯრიდან დაინახა, როგორ მოიხედა უკან. მერე მარტას საწოლს მიადგა.

— ხვალ ბარაკში გადაგიყვანენ, თორემ აქ შეიძლება ტიფი შეგეყაროს, — რაც შეიძლება დაყვავებით უთხრა მან ქალს.

მარტა არ განძრეულა, მისი თვალები სასოწარკვეთილებით იყო სავსე.

— მადლობასაც არ მეუბნები, შენზე რომ ვზრუნავ?

— გმადლობთ, ფრაუ ზედამხედველო, — მარტას თვალებში კვლავ შიში აისახა.

ღიზამ ცივად ანუგეშა: — ნუ სწუხარ, თადეუშს საფრთხე არ ემუქრება. ვინემ...

— ვინემ რა? — გაიმეორა ავადმყოფმა და მუდარით შეხედა ზედამხედველ ფრანცს.

მან კი ცივად ჩაიღიმა. — მე რაპორტს არ დავწერ, თუკი... მოკლედ, შენზეა დამოკიდებული, მიცემ თუ არა ამ საქმეს მსვლელობას. მარტამ ზედამხედველის გაფრთხილება სწორად რომ გაიგო, ეს მეორე დღეს გამოჩნდა.

ჩამობრძანდა ის იდიოტური კომისია. ვილაც შეედები და შევიცარელები იყვნენ, ნეიტრალიტეტისა და ჰუმანიზმის წყალობით ჯიბე რომ გაესქელებინათ. ღმერთო, რა თვალით უცქერდნენ ბანაკის გერმანელ თანამშრომლებს, მგონი, კაციჰამიებადაც კი თვლიდნენ მათ. ზედამხედველი ანა ღიზა ფრანცი ძლივს იკავებდა აღშფოთებას. თავს დიდად შეურაცხყოფილად გრძნობდა. რა უფლების ძალით? რა იციან ჩვენზე? გულწრფელად ებრალებოდა მარია მანდელი, კომისიას რომ დაატარებდა, თანაც აღტაცებული იყო ამ ქალის თავდაჭერილობითა და სიმშვიდით.

ყველაფერი მშვენიერად ჩატარდა, თითქოს წინასწარ მოწყობილი ყოფილიყო. სინამდვილეში კი თითქმის არაფერი მომზადებულა; ერთმა შემთხვევამ დაასრულა ეს წარმოდგენა და სრულყოფილი სახე მისცა მას. მარტასთვის წამლები ესესელთა აფთიაქში ეშოვა ლიზას.

— რა სჭირს ამ ავადმყოფს? — იკითხა ერთმა ცხენისთავა კაცმა.

— ფილტვების ანთება.

— რამდენი ხანია წამლებს აძლევთ?

— დღეიდან.

— აქამდე რას უყურებდით?

მარია მანდელს გული მოუვიდა.

— იძულებული ვარ გაგახსენოთ, რომ ახლა ომია. ეს წამლები არც ჩვენი ჯარისკაცებისთვისაა ყოველთვის ფრონტზე.

კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს:

— დიდი ხანია ბანაკში ხართ? — ჰკითხა ერთმა მარტას.

— წელიწადნახევარია.

— პირველად გახდით ავად?

— დიახ, — მიუგო მარტამ ოდნავი დაყოვნების შემდეგ.

— როგორ? ამ წელიწადნახევარში ერთხელაც არ გამხდარხართ ავად? — გაუკვირდა იმ კაცს, — არც გაცივიბულხართ, არც გრიპი ან სურდო შეგყრიათ?

მარტამ მაშინდა შეხედა მას, კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა, დიახ, თვალებით ლაპარაკობდა. რატომ ვერაფერს გაიგონა? იმდენი დაცივდა, ისეთი აშკარა ირონია იხატებოდა მის თვალღებში, რომ ის კაცი ყველაფერს მიხვდა. ოდნავ წამოწითლდა და მხერამოარიდა. ჯერ ბანაკის კომენდანტს შეხედა, მერე ლიზას.

— რაზე მუშაობს ეს პატიმარი?

— მწერალი გახლავთ, — თავაზიანად მიაგება ლიზამ, — ჩემს რაზმშია, ნივთების საწყობში.

— მომქანცველია ეს სამუშაო?

მარტამ ისევ ისე შეხედა. „არა, ასე არ შეიძლება, ამას ბოლო უნდა მოე-

ლოს“, — გაიფიქრა ლიზამ და სასწრაფოდ ჩაერია საუბარში.

— ჩვეულებრივი კანტორული შაოა, ხომ მართალია, მარტა?

— ჩვეულებრივი კანტორული სამუშაოა, — მექანიკურად გაიმეორა მარტამ.

კომისიის წევრებმა აღარ იცოდნენ, რას გამოადევნოდნენ:

— შინიდან რეგულარულად იღებს წერილებს?

— დიახ.

— ნათესავებს შეუძლიათ პატიმრების ნახვა?

უფროსმა ვეღარ მოითმინა.

— გეგულებათ კი ისეთი ქვეყანა, სადაც ეს ხდება? — ცივად იკითხა მან, — ჩვენ აქ პოლიტიკური პატიმრები გეყავს...

— ისიც კმარა, — სიტყვა გააწყვეტინა ლიზამ უფროსს, აბა, რას წარმოიდგენდა, თუ მის ამ დაუდევარ საქციელს ეს შედეგი მოჰყვებოდა? — ისიც კმარა, რომ ზოგ შემთხვევაში პატიმრებს უფლება აქვთ ერთმანეთი ინახულონ, თუ ნათესავები არიან.

— მაინც რა შემთხვევებში? — აშკარად დაინტერესდნენ კომისიის წევრები.

— მაგალითად, თუ ავად არის ვინმე, — მიუგო ლიზამ, ცალი თვალით მარია მანდელს გადახედა და მისი განცვიფრებული მხერა დაიჭირა.

— ჰოო? იქნებ ამ შემთხვევაშიც ასეა? — იკითხა ერთმა.

მარტას ფერი წაუვიდა. წამით ლიზას სახეზე შეაჩერა თვალი. ლიზა შეშინდა. ეს ქალი უარს იტყვის, და არათუ უარს იტყვის, მოჰყვება კიდევ, როგორც იყო საქმე. დაცდა აღარ შეიძლებოდა.

— დიახ, ამ პატიმარს აქ საქმრო ჰყავს. ისიც პოლიტიკური პატიმარია. სწორედ გუშინ ინახულა.

ახლა ყველა მარტას მისჩერებოდა: კომენდანტიც, უფროსიც, კომისიის წევ-

ზოფია პოსმიში

მგზავრი ქალი

რებიც. მარტა დუმდა. სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა. არა, ლიზამ რაღაც უნდა ილონოს, მანამდე ათქმევინოს პასუხი, ვიდრე გონს მოვა და რამეს გადაწყვიტს.

— რას გაჩუმებულხარ, მარტა! გვი-
თხარი, გინახულა თუ არა შენმა თადეუ-
შმა? — ვითომ უწყინრად გაეხუმრა
ლიზა.

— დიახ, — ძლივს გასაგონად გაისმა
სიჩუმეში.

კომისიის წევრები მარტო კომენდატ-
მა გააცილა. უფროსი ზედამხედველი
ქალი დარჩა.

— ყოჩაღ, გოგონი, — ხარხარებდა
იგი, — ეს დიდებული იყო! დაწინაუ-
რება უკვე ჯიბეში იკულფე. შენმა მარ-
ტამ კი... დიახ, დიახ, თქმა არ უნდა,
„პრომიინენტების“ ჯგუფში გადაყვანა
დაიმსახურა; დაამთავრე აქ პრაქტიკა
და მიუნჰაუზენში გასწიე.

— არ შეიძლება, მარტაც თან წავი-
ყვანო? — ჰკითხა ლიზამ და ამ კითხვამ
თვითონვე გააკვირვა, — მე მგონია, ჩვენს
პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები ყო-
ფილა.

— მესმის, მესმის. მშვენივრად შე-
გითვისებია ჭეშმარიტება: დავიმორჩი-
ლოთ ტყვეები მათივე დახმარებით.

მართლა ეს ედო გულში ლიზას,
როცა უფროსს სთხოვა მარტას თან
წავიყვანო? არა, მისი თხოვნის ასე
გადახურდაგება ფრიად პრიმიტიული და
არასწორი იქნებოდა. როცა იკითხა, არ
შეიძლება მარტაც თან წავიყვანოთ,
არავითარი ფარული ზრახვა არ ედო
გულში. თვალწინ მხოლოდ ერთი სუ-
რათი ედგა: მარტა და მისკენ თავდახ-
რილი თადეუში. ლიზა სულაც არ აპი-
რებდა მათ დაშორებას. ასე თუ ისე,
ისინი მაინც შორს იყვნენ ერთმანეთი-
საგან, არა იმიტომ, რომ ბანაკში სას-
ტიკი რეჟიმი იყო გამეფებული, არამედ
იმიტომ, რომ თვითონ გადაწყვიტეს ასე.

კომისიის წასვლის შემდეგ მარტა,
ცხადია, მიხვდა, რომ ბანაკი სამიჯნუ-
რო ადგილი არ იყო. ზედამხედველი
ანა ლიზა ფრანციც მიხვდა, რომ
მარტასთან ამ უაზრო ბრძოლაში ეს

უკანასკნელი მოგებული პარტია იყო
მაშ, რით უნდა აიხსნას ეს უცნაური
თხოვნა? აკი ამ ორი დღის წინაშე მტკე-
ცედ გადაწყვიტა, მარტას თავიდან მო-
ვიშორებო. ლიზამ ვერც მაშინ ახსნა ეს
და ვერც ახლა.

თუმცა... თუმცა საკმარისია, სტიუ-
არდს დაუძახოს ან ხმამაღლა თქვას, ის-
ქალი ინგლისელიაო, რომ ყველაფერი
თავის რიგზე დადგეს. მაშასადამე,
შეუძლია ბოლომდე უცქიროს ამ სიზ-
მარს და იმის შიში არ ჰქონდეს, თუ
ძალიან საზარელი იქნა, ვერ გავიღვი-
ძებო. შეუძლია დაუბრუნდეს წარსულს,
ნახოს საკუთარი თავი, როგორიც იყო
ამ ოცი წლის წინათ, ნახოს ის ახალ-
გაზრდა იდეალისტი, ვინც საკონცენ-
ტრაციო ბანაკში ცდილობდა ცალკეულ
პატიმრებზე კერძო გამარჯვების პრინ-
ციპით ემოქმედა. ახლაც კი ესმის ლიზას,
რომ მისმა მაშინდელმა ბრიყვულმა
თხოვნამ ამ პრინციპს გამანადგურებე-
ლი ლახვარი ჩასცა. თუმცა ამ პრინ-
ციპის უსუსურობა უფრო ადრე გამო-
აშკარავდა. გამოაშკარავდა მაშინ, რო-
ცა ლიზამ უპატიოსნო ხერხს მიმართა.
და მარტას დასამორჩილებლად მისი
სიყვარულის გამოყენება გადაწყვიტა.
შემდეგი საფეხური შანტაჟი იყო, მერე
კი ტერორის მეტი არაფერი დარჩენო-
და, რადგან მარტას ახალ ბანაკში გა-
დაყვანა სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ
არ ტერორი? ახლა მათი დამოკიდებუ-
ლება მხოლოდ ამას ეფუძნებოდა.
სხვანაირად არც შეიძლებოდა. ლიზამ
რომ ესესელებთან სამსახური დაი-
წყო და საკონცენტრაციო ბანაკში
ჩამოვიდა, თან სულელური იდეალის-
ტური შეხედულებები ჩამოიტანა, თუმ-
ცა კი თვითონ სულ სხვა აზრისა იყო
ამაზე. კერძო გამარჯვებების მისი უზად-
რუკი თეორია, უმჭველია, სისუსტის
გამომჟღავნება იყო. ყოველი რიგითი
ესესელი ხელად დაუსვამდა ამ დიაგ-
ნოზს. მაგრამ ლიზას მაინც უნდა მოე-
ხადა ეს სენი. მხოლოდ ამის წყალობით
შეიტყო, რაც სხვებისათვის სამსახურის
პირველი დღიდანვე იყო აშკარა: ერთად-
ერთი გზა ტერორია. ლიზა არ იყო კარ-

გი ესეგელი. უბრალოდ, ვერ გამოდგა ამ საქმისათვის. თურმე არ კმარა კეთილი ზრახვები, თუნდაც ისინი ფიურერისადმი რწმენით იყოს განმტკიცებული. საჭიროა ვაბედო და იმას გადააბიჯო, რასაც სენტემენტალური დოკუმენტები „ადამიანობას“ უწოდებენ.

ლიზამ ეს ვერ მოახერხა. მოკლულთა ნივთების დახარისხება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ... არა, ეს მეტისმეტია, უნდა გაიღვიძოს!

— ის ქალი ინგლისელია, — ხმამალა წამოიძახა ლიზამ, — ინგლისელია და არაფერი იცის, არაფერი! იმ ბნელ პოლში ყველა მგზავრს შეეძლო შემოსვლა და სინათლის ანთება. ყველა სხვას შეეძლო პირადი მოტივებით იმ სულელური სიმღერის შეკვთა, რამაც ასეთი თავზარი დამცა.

საერთოდ, კაცმა რომ გამოიკვლიოს მუსიკის ზეგავლენა ადამიანზე და არა მარტო მსუბუქი მუსიკისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მსმენელთა განცდებთან, არამედ თუნდაც ურთულესი მუსიკისაც კი, — წმინდა ესთეტიკური ემოციების მომხრეთა თავზარდასაცემად აღმოჩნდება, რომ მისი აღქმა დიდად არის დამოკიდებული გარეშე არამუსიკალურ ფაქტორებზე. თუ მარტა ცოცხალია, განა შეიძლება „ტანგეიზერის“ მოსმენამ იგივე სურათი არ ამოუტივტივოს მეხსიერების სიღრმიდან, რაც აგერ უკვე რამდენი წელია კვლდაკვალ დასდევს ლიზას საკონცერტო დარბაზებში? დიახ, დიახ, განა შეიძლება მანაც არ დაინახოს თავგადახოტრილი დამკვრელები, რომელთაც ცისფერზოლანი ქურთუკები აცვიათ? პო. ზედამხედველმა ფრანცმა ძალით წაიყვანა მარტა მამაკაცთა ბანაკში კონცერტზე. ეს გახლდათ მორიგი ნომერი ლიზას მიერ ახლად აღმოჩენილი და, როგორც დამტკიცდა, ერთადერთი შესაძლებელი პროგრამის — ტერორისა. ზედამხედველმა ფრანცმა შესანიშნავად იცოდა, რომ მარტას არ უნდოდა იქ წასვლა. არ უნდოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს მხოლოდ კაპოსა და მამა-

სახლისების პრივილეგია იყო. მარტა კი მათში გარევა არ სურდა. მეორეც, იმიტომ, რომ ერთ ასეთ კონცერტში, როგორც წამოსცდა ლიზასთან, აქ მუსიკის ადგილი არ არისო. ლიზამ მაინც წაიყვანა იქ, იმ ერთადერთ, ასე ვთქვათ, საკონცერტო დარბაზში. დიდებული იყო ეს სიმფონიური კონცერტი. ნეტამც ერთი მოესმინათ იგი იმ კომისიის წევრებს, კოსმოპოლიტურ ტიპებს, ჰუმანურობის საკითხის სპეციალისტებს. აჰ, როგორ ასრულებდნენ ვაგნერს ეს პოლონელები! მიუნჰენის სახელგანთქმულ ორკესტრს ტოლს არ უგდებდნენ. ლიზა და მისი ქმარი ჰენრიხი ერთად დაეჭრნენ მიუნჰენში ამ კონცერტს. უკვე რამდენიმე თვეა ჰენრიხი აღარაფერს იტყობინება. არა, ლიზა სულაც არ სწუხს. დიდი ხანია უკვე გული აიყარა ქმარზე. უბრალოდ, უცხოები გახდნენ. თუკი შიგადაშიგ მაინც გაახსენდებოდა ქმარი, უფრო მოვალეობის გრძნობა უკარნახებდა ამას. რაც არ უნდა იყოს, ჰენრიხი ფიურერის ჯარშია და სამშობლოსათვის იბრძვის. საერთო ჯამში რა მნიშვნელობა აქვს იმას, თავის ნებით იბრძვის, თუ არა. აი ახლაც წამით გაიხსენა ქმარყოფილი და მყისვე გულიდან გადავარდა. მძლეობამლე ხმების ქარაშოტი დაეძგერა ზედამხედველ ანა ლიზა ფრანცს და ყველაფერი დაავიწყა დაავიწყა, რომ ომია, რომ საკონცერტო დარბაზების მუდმივ მოტრფიალეთა ნაცვლად გვერდით მწვანემუნდირიანი ხალხი უზის. მათ მუხლებზე ფორმის ქუდები უდევთ, თუმცა ეს საზოგადოებაში არ არის მიღებული, და ამ ქუდებზე ყოვლად მახინჯი ემბლემა უკეთიათ; დაავიწყდა, რომ თავი სტიკვა დამწვარი ხორციის სულისშემხუთველი სუნისაგან, რასაც აგერ ერთი კვირაა მოუტყავს მთელი ბანაკი; რომ ცოცხალი ხორციით დატვირთული ახალ-ახალი ეშელონები რკინიგზებზე მოქრიან და რომ „აქ მუსიკის ადგილი არ არის“; დაავიწყდა მარტაც. განა მარტა იმი-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ტომ არ მოიყვანა აქ, რომ ვაგნერის მუსიკის წყალობით ერთხელ კიდევ დაერწმუნებინა გერმანული სულის ძლიერებაში? მარტა ახლა ალბათ სადღაც უკან ზის, „პრომინენტების“ რიგში. დაძაბული, მაგრამ გარეგნულად მაინც მშვიდი.

ლიზამ თვალბზე ხელი აიფარა, როგორც მელომანებს სჩვევიათ, და ნეტარებით ჩაიძირა ხმების სამყაროში. რამდენიმე ხნის შემდეგ შემთხვევით ასწია თავი, დაინახა ღირიჟორი ბანაკის ზოლებიან ფორმაში და უეცრად მარტა გაახსენდა. გაახსენდა და მოუნდა შეეხედა მისთვის. თავი მოაბრუნა, მაგრამ ქალს ვერსად მოჰკრა თვალი. სამაგიეროდ თადეუში დაინახა. დარბაზის კუთხეში კედელს მიყრდნობოდა და მოპირდაპირე მხარეს იცქირებოდა. ლიზამ მის მზერას თვალი გააყოლა და მარტა აღმოაჩინა. მარტა ისე გადმოწეულიყო სკამიდან, თითქო უნდა თადეუშს მიუახლოვდესო. სახე კი მშვიდი და უსიკოცხლო ჰქონდა.

ამჯერად კი იგრძნო თადეუშმა ლიზას მზერა. მაგრამ არ შეშინებულა. პირი არ მიუბრუნებია. რამდენიმე ხანს უტიფრად და ურცხვად მისჩერებოდა თვალბში. ნუთუ... ნუთუ ისიც კითხულობს ლიზას ფიქრებს? ლიზამ ხელით კარისკენ ანიშნა. თადეუში მყისვე გავიდა. ახლა ისევ შეხედა ლიზამ მარტას. წელან ხომ თადეუშის მზერის წყალობით აღმოაჩინა მარტა, ახლა მარტას მზერას გააყოლა თვალი და... თადეუში ფანჯრის უკან პატიმრებში დამდგარიყო და იყურებოდა. ფანჯრის მინა მისი ანაორთქლით იბურებოდა, ორთქლის წვეთები ქვევით მიწანწკარებდა და დაკლაკნილ გზას ტოვებდა. ეს ორი კი ერთმანეთს მისჩერებოდა, სხვა ვეღარაფერს ხედავდა. მათ მკვდარ სახეებზე თვალებილა ცოცხლობდა.

უეცრად ბანაკის ორთქლმავლის კივილი გაისმა. რამდენიმე ესესელი, მათ შორის ბანაკის კომენდანტი ჰესი, წამოხტნენ. გასვლისას ჰესმა დარჩენილებს ხელი დაუქნია, ნუ მოცდებითო. დარ-

ბაზში კვლავ სიჩუმე გამეფდა. „ტანკერი“ ზეიმობდა.

კაიუტაში სინათლის ზოლი ^{განათლებული} ^{მხატვარი} ^{მხატვარი} ^{მხატვარი} რა. ლიზა გამოერკვა. კარებში ვალტერი დაინახა. „ასე გვიანააო?“ — უნდოდა ეკითხა, მაგრამ ხმამ უმტყუნა. ვალტერი რაღაც უცნაურად იტყუოდა: დიდის სიფრთხილით მიხურა კარი და თითისწვერებზე შეიპარა თავის ოთახში. აი, ტანთ გაიხადა, დაწვა. ახლა ალბათ გააბოლებს — ძილის წინ მუდამ სიგარეტს ეწევა. ეტყვის თუ არა, „ძილენებისაო?“ ლიზამ სმენა დაძაბა, მაგრამ ვალტერის ოთახში სიჩუმე იყო, უჩვეულო სიჩუმე, თითქო ვიღაც მიმალულა და იცდისო. ლიზას თავზარი დაეცა, ვაითუ ისე დაიძინოს, არაფერი მითხრასო და დაიძახა. „ვალტერ“, შემდეგ უფრო ხმამალა გაიმეორა, „ვალტერ!“

ცხადია, ვალტერმა თავი მოიძინარა, ლიზამ დასამშვიდებლად გულში რამდენჯერმე გაიმეორა, „ინგლისელია, ინგლისელიო“, მაგრამ ამ შელოცვამ ახლა აღარ გასჭრა. მაშინ აკანკალებული ხელით ღამის ნათურა აანთო, მაგიდის უჯრაში ხელი ჩაჰყო, კოლოფიდან ჯერ ერთი აბი ამოიღო, მერე მეორე, მესამე, გადაყლაპა, უსიამოდ დაიღრჩა და ცივი ჩაი დააყოლა.

ლიზა ტელეფონის დაჭინებულმა წკრილმა გააღვიძა. განათებულიყო. ჩამოშვებულ ფარდებში მზის სინათლე იჭრებოდა. ლიზამ მიიხედ-მოიხედა, თუმცა ჯერ გამოფხიზლებული არ იყო. ვალტერი კაიუტაში არ ჩანდა. ლიზამ ყურმილი აიღო.

— საუზმეს ხომ არ ინებებთ, ქალბატონო? — მოესმა მილში, — თქვენმა მეუღლემ დამავალა...

ლიზამ საათს შეხედა. ისარი თერთმეტს უახლოვდებოდა.

— კარგით, თხუთმეტი წუთის მერე მომიტანეთ.

წამოდგა, მაგრამ ფეხზე ვერ დადგა, დაბარბაცდა. თავი დამძიმებოდა, შუბლი წამისწამ ეცვარებოდა. გაჭირვებით ჩაიცვა. ტურები შეიღება, თმა დაივარც-

ხნა. სტიჟარდმა საუზმე შემოიტანა. ლიზამ ერთი ჭიქა ყავა დალია, ერთი-ორი ლუკმის გადაყლაპვასაც შეეცადა. კაიუტაში ვალტერი შემოვიდა. სვიტერი ეცვა, ხელში ტენისის რაკეტა ეკავა. არც კი მიესალმა, ისე უთხრა:

— კარგა ხანს გძინებია.

ლიზას ეწყინა.

— დილა მშვიდობისა, ვალტერ!

— დილა მშვიდობისა...

ერთმანეთს შეხედეს და მყისვე თვალი აარიდეს.

— ისაუზმე?

— ჰო.

— უკეთ ხარ?

— როგორც მხედავ.

— ფერი არ გადევს.

— ალბათ გამიგლის,

— რა თქმა უნდა! მთავარია, არ აპყვე. ვალტერი ჯიქურ უყურებდა და ღუმელად. ლიზას ცუდად გაუხდა გული.

— ვალტერ, გემუდარები! ასე რად მიყურებ?

— დაწყნარდი, ისეთი არაფერია. უბრალოდ მინდოდა წარმომედგინე მუნდირში. თუმცა არც ვიცი, ქალებს როგორი ფორმა გეცვათ. ფოტოსურათები არ გაქვს?

— ფოტოსურათები?!

— კარგი, გული ნუ მოგივა...

— ვალტერ!

ვალტერი მის პატარა მაგიდასთან მივიდა, კოლოფი აიღო.

— ძილის წამალი დალიე?

— ჰო.

— აქამდე არ დაგიღევია.

— აქამდე ძილის წინ „ღამე მშვიდობისაო“, მეუბნებოდი, ადგებოდი და „დილა მშვიდობისას“ მისურვებდი, — ხმა აუკანკალდა ლიზას, თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებინა.

ვალტერმა შეამჩნია ეს და გული სიბრაღულით აეცხო.

— არ მინდოდა გამეღვიძებინე.

— ტყუილია! მე არ მეძინა. შენ იცოდი, რომ გელოდი...

— ლიზა, მოდი, ვილაპარაკოთ.

— იმის შემდეგ, რაც გიამბე, ასეთი საქციელი არაადამიანურია! მე ვენდე.

შენ კი ჩემი ნდობა ბოროტად გამოიყენე.

— ლიზა, გემუდარები, თავს შეწყვიტე. ნურც მე მდებ ბრალს. ბოლოს და ბოლოს...

— რაც არ უნდა ყოფილიყო, ერთი სიტყვის თქმა მაინც შეგეძლო.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ვალტერი, — ოღონდ მე ის სიტყვა ვერ ვთქვი, გესმის? — მან ხმას აუწია, — სწორედ ის ერთი სიტყვა ვერა ვთქვი.

ლიზამ ქმარს შეხედა. ვალტერი წამოწითლებულიყო, თვალები აღზნებოდა, ქუთუთოები დასიგებოდა.

— დალიე? ამიტომ დალიე?

— რა მნიშვნელობა აქვს. თუმცა არ დაგიმალავ, მომტეხა კაცი. მე ყველაფერი მესმის, მაგრამ ეს ვერაფერს მშველის. ამიტომ ნუ გამამტყუნებ, თუ ერთბაშად ვერ მოვიწილე.

— ვალტერ, მე არ გამტყუნებ, მაგრამ შენ ხომ იცი ყველაფერი, იცი, რომ ისეთი არაფერია...

— ვიცი! ვიცი! მაგრამ ის ერთი ფაქტიც კმარა, რომ ბანაკში მსახურობდი. ისიც სად, საკონცენტრაციო ბანაკში! ეს არის გერმანიის ისტორიის უსაზარლესი ფურცელი, რომელსაც ადამიანის მეხსიერებიდან ვერაფერი ამოშლის. გუშინ თვალს გადავწიე. ამ საზიზრობას მე სუფთად გადაუფრწი, ამიტომ არ მსიამოვნებს, რომ ომის დამთავრების თხუთმეტი წლის შემდეგ ჩემს ცოლს რაღაცის უნდა ეშინოდეს.

— სცდები, მე არ გავტყულებარ გერმანიიდან იმთ მსგავსად, ვისაც... ვისაც დასვრილი ჰქონდა ხელი. რადგან არაფრის არ მეშინოდა! ან რისა უნდა მეშინოდეს. პატიმრისთვის ერთხელაც არ გამირტყამს, ჩემს ხელს ჭუჭყი არ მოსცხებია.

ვალტერი რამდენიმე წამს დაძაბული მისჩერებოდა ცოლს:

— მჯერა, მჯერა შენი, ლიზა. უნდა დაგიჯერო. თუ არადა...

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

კაიუტაში ისეთი-სიჩუმე ჩამოვარდა, რომ საკუთარი სუნთქვა ესმოდათ.

— თუ არადა, რა? — წაიჩურჩულა ლიზამ.

— დალახვროს ეშმაკმა, — შეპყვირა ვალტერმა, — ამ სისაძაგლის შემდეგ გერმანელობა არცთუ ისე სასიამოვნოა. ნორმალურად, ადამიანურად ველარ გილაპარაკია ხალხთან. იმავე წუთს შენი მოსაუბრის თვალბეჭედი ამოიკითხავ: „ნეტავ ვიცოდე, შენ სად იყავი მაშინ? ვის კლავდი?“ სურვილი გეზადება, რომ გულზე დაფა ჩამოიკიდო წარწერით: „გესტაპოში და ესესში არ მიმსახურია, პარტიაში არ ვყოფილვარ“. სამწუხაროდ, ამას ვერ გააკეთებ. გინდა არ გინდა, თავიდან უნდა მოჰყვე ყველაფერს. ილაპარაკო და ილაპარაკო, არ გაბრაზდე, არ აღშფოთდე, როცა მოსაუბრე სექსტიკურად გიყურებს და გულში ფიქრობს: „რა წმინდად, რა უმანკოდ გამოიყურებიან ეს გერმანელები! საინტერესოა, ის ხალხი სადღა არიან?“ საშინელია პირდაპირ! სერიოზული პრობლემა სინამდვილეში გრამატიკულ წესებზე დავად გადაიქცევა ხოლმე. საკმარისია სიტყვა ჩამოაგდო მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიაზე და იმ თაობაზე, ვინც პირსისხლიანი მანიაკის ეტლს შეუბეს, რომ გამოტყვერება ვილაც ბრედლი და ენათმეცნიერის პედანტიზმით თავაზიანად გაგისწორებს: ვნებიითი გვარი ტყუილად იხმარეთ, შეუბეს კი არა და შეებო.

— გუშინ ბრედლისთან იყავი?

ვალტერმა თავი დაუქნია.

— ასეთ საკითხზე მას არ უნდა ელაპარაკო.

ვალტერმა გაოგნებით შეხედა, იმდენად საჭმინად იყო ეს ნათქვამი. აღელვება უცებ დაუცხრა და მოღლილად თქვა:

— საქმე ეგ არ არის. საქმე ისაა, რომ... ეს... ეს გრამატიკული დავა მოქმედებითსა თუ ვნებით გვარზე არსებითად შენ გამო იყო.

— გამაღობო, ვალტერ. მან იცის?

— არა. ჯერჯერობით არაფერი იცის.

— არც საჭიროა იცოდეს.

ვალტერმა ხელახლა შეხედა.

— ცხადია, საჭირო არ არის.

მერე დივანზე დაჯდა და მუხლებს დაეყრდნო.

— რომ შემძლოს ჩემს გრძნობას ვძლიო, — ახლა უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვინემ ცოლს, — მინდა გაპატიო, გაპატიო არა მარტო გონებით, არამედ გულითაც. წარმოდგენის უნარი მეც გამაჩნია და ის მკარანხობს, რაც მოხდა იქ, რა წამება და ტანჯვა გადაიტანე იმ თვეებში.

— გამაღობო, ვალტერ.

— და... და მაინც გულში რაღაც ხინჯი მრჩება. ამოვირეცხავ კი? ამას დრო უნდა გესმის, დრო!

— ვიცი, ვალტერ, ვიცი და...

— ძალიან მიმიძმს, ლიზა, ერთ ხანს ალბათ ორივეს გაგვიჭირდება. უნდა გადავხარშოთ ეს და ერთმანეთი არ დავკარგოთ. დაშორებას აზრი არა აქვს. ჰო, მე მგონი, დაშორებას აზრი არა აქვს.

უკანასკნელი საათების ტანჯვამ მოტეხა ლიზა. ქვითინი აუფარდა:

— რა კეთილი ხარ, ვალტერ, რა სულგრძელი, მე კი, გუშინ შენს ოთახში უხმოდ რომ შეხვედი, მეგონა...

— თავს დაგანებებდი?

ვალტერს თვითონაც გული აუჩქროლა ამ ფიქრმა. ცოლთან მივიდა და სავარძლიდან წამოაყენა.

— აბა შემომხედე, ლიზა. მე ხომ კარგად გიცნობ. მაშინ ომი იყო. მას აქეთ თექვსმეტი წელი გავიდა. ჩვენ უფლება გვაქვს დავივიწყოთ, საბოლოოდ და სამუდამოდ დავივიწყოთ ყველაფერი.

— ჰო, ვალტერ.

— ჩვენ კარგა ხნით მივემგზავრებით გერმანიიდან. ეს გვიშველის.

— ჰო...

— მე ახლა ყველაფერი ვიცი და შევეცდები კვლავ აღარ გავიხსენო ეს ამბავი. არასოდეს არ გავიხსენო. ეს ერთადერთი გზაა, ლიზა, ვიცხოვროთ ისე, თითქო არაფერი ყოფილიყო, არც ომი, არც საკონცენტრაციო ბანაკები, არც შენი სამსახური.

ლიზა უხმოდ, შვებით ტიროდა, ვალტერმა იგი ისევ სავარძელში ჩასვა და თავის ოთახისკენ გაემართა. კართან მობრუნდა და დასძინა:

— ჰო, მართლა! ის ქალი, შენ რომ ასე უდროოდ დროს მოგაგონა წარსული, თურმე ინგლისელია, ბრიტანეთის მშვიდობის დაცვის რომელიღაც კომიტეტის წევრი.

— ელაპარაკე?

— არა. უბრალოდ ჩემსობას კაპიტანს გამოელაპარაკა. წმინდა შოტლანდიური კილო აქვს. გერმანულად ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

დიდებული მეჯლისი მოეწყო. დამკვრელები მშვენივრად მიხვდნენ, რას მოითხოვდნენ მათგან. გემოვნებით მორთულ საზოგადოებაში ყმაწვილკაცობა თითქმის არ ერია. მეტწილად შუახნის დარბაისელი ხალხი სჭარბობდა. ამიტომ იყო, რომ გიჟურ თანამედროვე ცეკვებს მხოლოდ შიგადაშიგ უკრავდნენ. ისიც რეპერტუარის მრავალფეროვნებისათვის. როგორც ოცი წლის უკან, მეტწილად ტანგოს, ვალს-ბოსტონსა და სლოუფოქსს ცეკვავდნენ.

ვალტერი მაგიდას უჯდა და ილიმეზობდა. ლიზა მთავრად ცეკვავდა კაპიტანთან. დღეს ის კარგ გუნებაზე იყო. ვალტერს იგი ასე მხიარული ჯერ არ ენახა, კიდევ გაუკვირდა, ამდენი მღელვარებისა და განცდების შემდეგ ნეტავ რა გულით მხიარულობსო. მოცეკვავეთა შორის თვალით დაუწყო ლიზას ძებნა.

— ცოლი მოგტაცეს, ჰერ კრემერ? — მოესმა ამ დროს ბრედლის ხმა.

— დიახ, და კრინტიც ვერ დამიძრავს. მერე არ იკითხავთ ვინ? „ღვთის შემდეგ პირველმა კაცმა!“

— რას ბრძანებთ? ნუთუ კაპიტანმა? — ბრედლიმ გადაიხარხარა. უკვე მოესწრო გადაყურებვა და ცოტა ადგუნებულ გუნებაზეც იყო. რაკი ლიზა აქ იყო, გერმანული პრობლემა, ცხადია, აღარ აწუხებდა. — თქვენს ადგილას ასე არხეინად ვერ ვიქნებოდი.

— რატომ? ასე თუ ისე, ესეც მისი მოვალეობაა — მგზავრების მიმართ ყურადღებიანი უნდა იყოს.

— ისიც დაამატეთ, მგზავრი ქალაქის მიმართთქო.

— აბა, მე და თქვენ მისი მინცადამინც არ გვესაჭიროება.

ორივეს გაეცინა.

— ლამაზი ცოლი გყავთ, — თქვა ბრედლიმ. — ალბათ ბრაზილიაში საზრუნავი არ მოგაკლდებათ.

ვალტერს მოწყალებდ ჩაეღიმა.

— დიდი ხანია ჯვარი დაიწერეთ?

— თოთხმეტი წელია.

— მერე და, შთამომავლობა?

ვალტერს სახე დაეღმიჭა.

— შაპატიეთ, გეთავყა! — ბრედლი უცებ დადინჯდა, — ილიოტი უნდა იყო, კაცს ეს რომ შეეკითხო.

„ან არადა, იანკი, ვალეშილი იანკი,“ — გაივლო გუნებაში ვალტერმა. ხმამაღლა კი თქვა:

— სისულელე! მოგეხსენებათ, ჩემთან „ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი“.

ვალტერის ხუმრობა ამერიკელს გულზე მოხვდა.

— ეშმაკმა დალახვროს! ვერ გავარკვიე, მართლა შეიძლება თუ არა თქვენთან გულახდილად ლაპარაკი...

— ვერ გავარკვიეთ?

— ვერა. მართალია, გული შეგიწუხებთ, მაგრამ დარწმუნებული მაინც არა ვარ. ეს კი მწამს, რომ ჩემს ნაცნობ გერმანელებს შორის ყველაზე სიმპათიური კაცი ბრძანდებით... ამ შემთხვევაში შტრაიტსაც კი ვერ შეგადარებთ.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— დიახ, შტრაიტი მუდამ დაღვრემილია, თითქმის არ იცინის, მაგრამ თუ გაეცინა, ყაი ამ სიცილს, ტირილი მოგინდება კაცს. თან არც ცოლი ჰყავს ლამაზი. მაგრამ მე მგონი, მაინცადა მაინც არაფერი სასიამოვნოა იყო ისეთი ადამიანი, ვისთანაც ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი. მერე თავს ვეღარ იხსნით ჩემისთანა ყბედი და აბეზარი ტიპებისაგან... ამ მხრივ თქვენს ცოლს შეუძლია არხეინად იყოს.

ზოფია პოსმიში

მგზავრი ქალი

— დარწმუნებული ხართ?

— დიახ. ვერ გაბედავ და კითხვებით გულს ვერ გაუწყალებ, მყისვე იარაღს აგყრის. მას ყველაფერზე ვერ ელაპარაკები.

— თქვენი თქმისა არ იყოს, ჩემს ცოლს არ უყვარს „ყველაფერზე“ ლაპარაკი.

— ბუნებრივიც გახლავთ. ჰერ კრეჩმერ.

— ჰო? — ვალტერი მისდაუნებურად უფრო დაკვირვებით უკვებდა ყურს ამერიკელის ყბედობას.

— გიკვირთ?

— გამოგიტყდებით, რომ მიკვირს. თქვენ ხომ ეს ბუნებრივად არ მიგაჩნიათ, პირიქით.

— ყველა წესს გამონაკლისი აქვს.

— რასაკვირველია.

— არ გაინტერესებთ, რად ვაკეთებ გამონაკლისს თქვენი მეუღლისთვის?

ვალტერს ამ საუბარმა საკმაოდ მოაბეზრა თავი.

— არა, მაგრამ ალბათ საამისო საბაზი გაქვთ.

— ცხადია, მაქვს. მე უფრო მეტი ვიცი თქვენს ცოლზე, ვინემ გგონიათ.

ამერიკელი წუთით დადუმდა. ვალტერმა გაკვირვებით შენიშნა, რომ ყველა საგანი უცებ თვალში აერია და ბუნდოვანი გახდა.

— ვიცი, ჩვეულებრივი ქალი არ არის, მეტად ფაქიზი და მგრძობიარე ბუნებისაა, — განაგრძო ბრედლიმ, — იმასაც ვხვდები, რომ მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ჩვენ ორივემ ვიცით, რაც არის ომის წლებში გატარებული ბავშვობა. აი, ამიტომაც უნდა დავინდოთ და „ყველაფერზე“ არ ველაპარაკოთ. საამისოდ იგი მეტისმეტად ახალგაზრდაა. მეტისმეტად... — გაიმეორა მან და ვალტერს ნაღვლიანად შეხედა. მისტერ ბრედლი უკვე საკმაოდ შეზარხოშებული იყო.

— წავიდეთ ბარში, — შესთავაზა ვალტერმა.

— ფრაუ ლიზა? უკაცრავად, თქვენი მეუღლე რომ...

— მოგვძებნის, ნუ გეშინიათ. „ღმერ-

თის შემდეგ პირველი კაცი“ უნებლად მოგვეგვის მას.

მაგრამ სწორედ ამ დროს ^{ამერიკელი} თრჟესტრმა დაკვრა შეწყვიტა და ლიზა მაგიდას მიუჯდა. კაპიტანმა ქალს თავი დაუკრა და წავიდა.

— თუ ასე ხშირ-ხშირად მივგატოვებთ, ჩვენ სხვა კომპანიას მოვძებნით, — ხუმრობით დაემუქრა ბრედლი.

— ბატონი ბრძანდებით, — ღიმილით მიაგება ლიზამ. ცეკვით სახე წამოსწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა.

ვალტერმა მისდამი ადრინდელი სინაზე იგრძნო.

— მაშ, ნებას მაძლევთ? — განაგრძო ამერიკელმა, — ძალიან კარგი. შემდეგ ცეკვაზე ჩემს მეზობელს გაგიწვივ. მართლა და მართლა, ხომ მაქვს უფლება, აკი ყოველდღე ვესალმები. თქვენ რას იტყვით, კრეჩმერ?

ვალტერს გაეცინა.

— სჯობს ჩემს ცოლს ჰკითხოთ. მე ამ საკითხში ვერ ვერკვევი.

თქვა და მაშინვე ენაზე იკბინა, ეს რა წამომცდაო. ლიზას ბაგეზე ღიმილი შეეყინა. ვალტერს გუშინდელი სცენა მოაგონდა. არა, ეს რა ხუმრობა იყო. ბრედლის მეზობელი ხომ ის ქალია, ვისმა გამოჩენამაც ლიზას უნებურად აღსარება ათქმევინა. მართალია, ახლა ცდილობს მხიარულად იყოს, მაგრამ არ შეიძლება არ გრძნობდეს, რა საბედისწერო შეიძლება გამოდგეს ეს მისთვის. ვალტერი შეეცადა ეს უკბილო ხუმრობა მიეფუჩჩებია, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ბრედლი ლიზას მიუბრუნდა:

— ფრაუ კრეჩმერ, თქვენ რას იტყოდით, ვთქვათ, ჩემისთანა კაცმა, რომელიც ყოველ დღე გესალმებათ, ერთ მშვენიერ საღამოს მეჯლისზე, სადაც ყველა მხიარულობს...

— არა მგონია, ეს საკმაო საბაზი იყოს, — ისე ცივად და უსიამოდ შეაწყვეტინა ლიზამ, რომ შეზარხოშებული ბრედლი ერთბაშად გამოფხიზლდა.

— მგონი ისევ რაღაც სისულელე წამოვროშე. მაპატიეთ, ძალიან ვნანობ, — თქვა მან და წამოდგა.

— დიდი უბედურება არ მომხდარა.

დაბრძანდით, — ხუმრობით ჩაერია ვალტერი, მაგრამ თხოვნამ ბრედლიზე არ იმოქმედა.

— წავალ და ბარში რამე გამოსაფხიზლებელს დავლევ.

ბრედლიმ თავი დაუკრა მათ და ბარისკენ გასწია. გასასვლელში იმ უცნობ ქალს შეეჩხა, მიესალმა და თითქოს გამოლაპარაკებაც დააპირა, მაგრამ ქალმა თავი დაუკრა, ოდნავ გაუღიმა და უხმოდ გაეცალა. ამ ღიმილის დანახვაზე ლიზას თითქოს სისხლი გაეყინა ძარღვებში.

— დამისხი... — სთხოვა ვალტერს.

— მეტი ხომ არ მოგივა?

— არა მგონია.

— იქნებ გაწყინოს. გუშინ ხომ ბრომი დაღიე.

— მართალი ხარ. მაშ, მაშ, ახლა რა გქნათ?

— ხედავ, უკვე მოგეწყინა ჩემთან. იქნებ ტყუილად მოვიშორეთ ბრედლი?

— ის მე არ მჭირდება.

— არც მე. მეტიმეტად აშკარად გეარსიყება.

ლიზამ მხრებილა აიჩჩია. საშინელი დაღლილობა იგრძნო. ძვირად დაუჯდა ეს უდარდებლობის ნიღაბი და შიშთან ჭიდილი. ის უცნობი ქალი სულ თვალწინ უტრიალებდა. ეს აუტანელი იყო. ლიზას აქ დარჩენა აღარ უნდოდა, საერთოდ არც უნდა მოსულიყო. მაგრამ რა ექნა? აკი ვალტერმა უთხრა, ისე ვიყოთ, თითქოს არაფერი მომხდარაო. გასამხნევებლად სასმელს მიეძალა. იქნებ მეტიც მოუვიდა. დრო კი საოცრად ნელა გადიოდა. ლიზამ საათს დახედა, მაგრამ ისრების დანახვამ შვება ვერ მოჰგვარა.

— ჯერ ადრეა, მეჯღლისი ალბათ ღამის ორ საათამდე გასტანს, — უთხრა ვალტერმა.

— განა ბოლომდე უნდა დავრჩეთ?

— ეგ შენზეა დამოკიდებული. ან რატომაც არ უნდა დავრჩეთ? შესანიშნავად გამოიყურები. თუმცა გასაკვირი არაა, თითქმის მთელი დღე გეძინა.

ორკესტრამა სლოუფოქსი დაუკრა. ეს გახლდათ ერთ-ერთი იმ პოპულარულ

სიმღერათაგანი, სადაც მუსიკაცა და სიტყვებიც ერთნაირად ბანალურად ჟღერს. მაგრამ ამ სიმღერას ცხელი ფრანგი მომღერალი ქალი ისე ასრულებდა, რომ სიტყვები „მარადიულ და უტკნობ სიყვარულზე“ გულწრფელად და რაღაც ახლებურად ჟღერდა. მოცეკვავენი ცდილობდნენ ესტრადას მიახლოვებოდნენ, რომ სიმღერა უკეთ მოესმინათ. ანაზღად ლიზამ თვალი მოჰკრა უცნობ ქალს, ცეკვის დროს თითქმის გვერდით რომ ჩაუარა მას. ლიზა გაოგნებული დარჩა, ქალის სახე მკვდრის ნიღაბს წააგვდა, როგორც იმ კონცერტზე ბანაკში, სადაც „ტანგეიზერს“ ასრულებდნენ და მარტა ფანჯრის მიღმა მღვარ თადეუმს უყურებდა. ამ სახეზე თვალებილა ცოცხლობდნენ, საოცრად მეტყველი თვალები და ეს თვალები ლიზას მისჩერებოდნენ. ლიზამ სცადა ქალისთვის თვალი გაესწორებინა, მაგრამ ვერ შეძლო და პირი იბრუნა.

— ლიზბენ, შენ მიგყავარ თუ მე? — შეაჩერა იგი ვალტერმა და შემობრუნდა. უცნობი ქალი წუთით გაქრა, იგი ახლა მეორე მხარეს მოექცა. ქალი თვალს არ აშორებდა ლიზას. ბოლოს ეს ვალტერმაც შეინშა.

— თურმე თელეპათიური ნიჭი გქონია, — უთხრა მან ცოლს.

— რაზე ამბობ? — ძლივს ამოღერდა ლიზამ.

— იმ ქალზე, გუშინ რომ მითხარი, მგონი, ნაცნობიაო. მაშინ შენ აკვირდებოდი, დღეს კი ის არ გაცვილებს თვალს. ლიზამ მიიხედა, თითქოს ქმრის სიტყვებს ამოწმებო.

— ის... ინგლისელი?

— სწორედ ის. ვერ შეამჩნიე, რომ გითვალთვალე?

— ვერა. იქნებ მოგეჩვენა?

ცეკვა უსიტყვოდ დაასრულეს. ლიზამ სთხოვა, ბარში წავიდეთო.

— ცეკვა აღარ გინდა?

— რატომ არა, კიდევ ვიცეკვით. ოღონდ ჯერ დავლიოთ რამე.

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

— კი მაგრამ, იქ ხომ ბრედლი იქნება. მოცეკვავეებს ძლივს დააღწივს თავი. უცნობი ქალი და მისი პარტნიორი ალბათ ისევ ცეკვავდნენ. ლიზამ შვებით ამოისუნთქა. სამმა ყმაწვილმა ქალმა კისკისით მიიჩინა ვალტერთან. ლიზამ ხელი დაუქნია ქმარს, აღარ დაელოდა მას და ბარში შევიდა. „მადამ!“ — დაუძახა ვილაყამ. სტიუარდი იყო. უცნობი ქალის ამბავი რომ მოუტანა.

— მაზაგრანს არ იხებებთ? — ჰკითხა და მერე ჩუმად ჩასაჩურჩულა: — ჩემი ინფორმაცია მთლად სწორი არ გამოდგა, მადამ... ის მგზავრი ქალი ინგლისელი არ ყოფილა, თუმცა ბრიტანეთის ქვეშევრდომია.

— ინგლისელი არ ყოფილა?.. — ძლივს გასაგონად გაიმეორა ლიზამ, — მაშ... ვინ არის?

— ეტყობა, პოლონელია. — უთხრა სტიუარდმა და ჭიქა მიაწოდა. — პოლონურ წიგნებს კითხულობს. მოახლეს უნახავს მის კაიუტაში.

ეტყობა, ჭიქა მარჯვედ ვერ მიაწოდა. რადგან იგი წკრიალით დაიმსხვრა და მეტრდოტელიც სასაყვედუროდ სტიუარდისაკენ გამოქანდა. ლიზა გასასვლელისაკენ გატრიალდა. კართან ვილაყამ იდაყვზე შეახო ხელი. ლიზა შეკრთა.

— ეს მე ვარ, — გაეცინა ვალტერს, — სად მიჩიხარ?

— მინდა დავისვენო...

— ჩვენ ხომ ბარში წასვლას ვაპირებდით, ლიზენ!

— ახლა გადავიფიქრე.

— გადაიფიქრე? რატომ?

— მეტიმეტი მომივიდა.

— კი მაგრამ, ჩემო კარგო, ცეკვები ახლა დაიწყო.

— არა, ვალტერ. შენ თუ გინდა, დარჩი...

— ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ლიზა სულ იმ ქალს უტკეროდა. იგი ვალტერს მოჰყვებოდა უკან. ვალტერი რომ გაჩერდა, ქალიც შორიახლო დადგა და ახლა ორივეს, არა, არა, მარტო ლიზას უყურებდა. ვალტერი კი თითქოს განზრახ აჩერებდა ლიზას. თითქოს უნდოდა უცნობ ქალს უკეთ გაესინჯა იგი.

— ნუ მაჩერებ, ვალტერ, ცოტას დავისვენებ და ისევ მოვბრუნდები.

— ყოველგვარი სიამოვნება მამაშამო, — უთხრა ვალტერმა და მის ხმას წყენა დაეტყო.

უცნობი ქალი მათკენ წამოვიდა. ჯიქურ უყურებდა ლიზას. კიდევ წუთი და...

— ვალტერ, ღმერთი იწამე, გამიშვი! — ისტირთულად აუკანკალდა ხმა ლიზას, — საშინელება არ მოხდეს!

ვალტერმა ხელი უშვა. მისმა სახემ შეაშინა, უნებურად უკან მიიხედა, რა მიზეზია, ასე უცნაურად რომ იტყევო, მიიხედა და ის უცნობი ქალი დაინახა. ახლა ისევ ლიზასკენ შებრუნდა და უყოყმანოდ უთხრა:

— წამო!

კაიუტისაკენ ხმამაღულდებლივ გაემართნენ. ღერფენებში წყვილები დაფუსფუსებდნენ, ორკესტრის ხმა და მხიარული ჭრიამული აქ ყრუდ აღწევდა. ლიზა ოთახში შესვლისთანავე საგარძელში ჩაემხო. ვალტერი ერთ ხანს ჩუმად იდგა, მერე ყრუდ თქვა:

— მაშ, ყველაფერი არ გითქვამს, არა?!

— დაბრუნდი მეჯლისზე. — ხმადაბლა უთხრა ლიზამ, — სალამოს ნუ ჩაიმწარებ.

პასუხის ნაცვლად ვალტერმა სკამი მიაჩოჩა. ცოლს გვერდით მიუჯდა და მისი პატარა ხელები ხელში აიღო.

— ყური მიგდე, ლიზა, არა სჯობს შენ თვითონ მითხრა, თუკი დარჩა რამე, რაც... რაც მე სხვა წყაროებიდან შემოძლია გავიგო?

ლიზა დღუდა.

— უარესი იქნება, რომ სხვამ ამიხილოს თვალი. შენც ხომ ამის გეშინია? — გაუმეორა მან და ხმას აუწვია.

ლიზამ ხელები ყურებზე აიფარა.

— ნუ ყვირი, ნუ!

ვალტერმა მხრებში წაავლო ხელი.

— დაწყნარდი, გესმის! ახლავე დაწყნარდი! — უბრძანა მღელვარებისაგან ფერწასულმა. მერე ისევ გვერდით მოუჯდა და მშვიდი, თუმცა დაძაბული ხმით განაგრძო: — გამიგონე, ლიზა,

შიში ვერაფერს გიშველის. კარგად დაფიქრდი. თუ რამე სერიოზულია, მე უნდა ვიცოდე. თუნდაც იმიტომ, რომ შექმლო თავი დავიცვა და შენც გამოგიყვანო მაგ უხერხული მდგომარეობიდან. ხომ გამიგე? ის ინგლისელი ქალი კარგად რომ გიცნობს, ეს ჩემთვის ცხადია, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ გაზინებს ეს ასე.

— ის ინგლისელი არაა, — წაიჩურჩულა ლიზამ.

— ინგლისელი არაა? მაშ, ვინაა?

— პოლონელია.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. ისიც იქ... იყო?

ლიზამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მაშ, რა მოხდა? — ჩაძიებით შეეკითხა ვალტერი და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. — ის... მარტა... აკი დაიღუპაო.

ლიზა ხმას არ იღებდა.

— განა ასე არ მითხარი?

ლიზამ სწრაფად ასწია თავი. სახე გამძვინვარებული ჰქონდა.

— შე ეგ არ მითქვამს. — ცივად თქვა მან, — ოსვენციმიდან რომ წამოვედი, მარტა მაშინ ცოცხალი იყო, — და უცებ მუშტები მიიჭირა სახეზე, მიიჭირა და აკივლდა: — ცოცხალი იყო, ცოცხალი, გესმის!

ვალტერმა სკამი გასწია. წელანდე-ლივით ახლაც ილუმინატორს მიადგა, გაიხედა, თითქოს რაღაცას ეძებსო, თუმცა გარეთ ბნელოდა და მხოლოდ ქარის ზუზუნის ისმოდა. ვალტერი პასუხს ეძებდა, გამწარებით ეძებდა პასუხს. მერე სწრაფად შებრუნდა ლიზასაკენ.

— შენ ხომ სიკეთე გინდოდა! — თითქმის მუდარით შეჰყვირა მან. — ხომ სიკეთე გინდოდა, მაშ, რაშია საქმე?... — ლიზა სავარძელში ჩამძვრალიყო, თავი ჩაელუნა. — იქნებ... იქნებ იმ ბუნკერში... — ჩაფიქრებით თქვა ვალტერმა.

— არა! იქ ჩემი მიზეზით არ ჩაუსვამთ. წარმოდგენაც არ მქონდა, რატომ ჩასვეს. ესეც კია, უკვე რამდენიმე დღე ვამჩნევდი, მის თავს რაღაც იყო, მაგრამ განა სიტყვას წამოაცდევინებ-

დი, ეტყოდი რამეს? არაფერს ამბობდა, ჰკითხავდი — არ გიპასუხებდა, გიქვივით იქცეოდა. საათობით იჯდა ბანაკის წინ, ერთ წერტილს მიშტერებოდა, გეგონებოდა, ჰორიზონტზე წამომდგარ მთებს თვალს ვერ სწყვეტსო. არად აგდებდა ბანაკის წესებს. ალბათ არც დამლამობით ეძინა, თვალები დასწითლებოდა, გუგები ნარკომანიებით გაფართოვებოდა. ისიც შევამჩნიე, რომ სხვა პატიმრები ფეხაკრეფით უვლიდნენ გვერდს. ერთხელ გავიგონე, როგორ ეხვეწებოდნენ, ჭამეო.

კაპოს დავუძახე:

— რა დავმართა მარტას?

— არ ვიცი. პირს არაფერს აკარებს, არაფერს არ ჭამს.

ყველაფერი იმავე დღეს გაირკვა. საღამოს საწყობში პოლიტიკური განყოფილების გამგე გრაბნერი გვეწვია. არ გამკვირვებია, მარტა ფენზე რომ წამოუდგა. წესდების თანახმად ასეც უნდა მოქცეულიყო. აზრდაც არ მომსვლია, გრაბნერის მოსვლის მიზეზი მარტა თუ იქნებოდა. მან კი იცოდა. როგორც კი გრაბნერი ნომრის შესამოწმებლად მიუახლოვდა, ხმაამოუღებლივ კარისკენ გაემართა. ჩემკენ არც გამოუხედავს, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი. თითქოს ამ წუთს მოუთმენლად ელოდაო. პოლიტიკური განყოფილება კი რაც იყო, ყველა პატიმარმა მშვენივრად იცოდა. გრაბნერთან მე ახლოს ვიყავი და ამიტომ წუთით შევაჩერე:

— ასეთი რა ჩაიღინა?

— სწორედ ეს უნდა გამოვიკვლიო ახლა, — არობროხდა გრაბნერი.

არ მეამა, მაგრამ რაღაც ლოდი კი მომცილდა გულზე:

— მაშ... მაშ, სხვა მიზეზი არ არის?

— მიზეზი ყოველთვის მოინახება, — გრაბნერი ჩემკენ გადმოიხარა, — აქ საქმრო ჰყავს. იგი ჩავსვით, პოდა, ეს ქალიც უნდა დავაპატიმროთ, რომ იმას არ ეწყინოს, მე რად ვზივარ და ის

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

რად დასვირნობსო... ან პირიქით, — ისევ გადაიხარხარა გრანბერმა.

— დიდი ხანია? — ვკითხე.

— რა?

— დიდი ხანია, რაც მაგის საქმროს ბუნკერში ზის?

— რამდენიმე დღეა.

— იმან გასცა?

— ეეე... საბუთები გვაქვს, რომ ბანაკში სწორედ მაგ საქმროს გამო ამოჰყო თავი.

უკვე რამდენიმე დღეაო. აი, თურმე რა ყოფილა. ყველაფერი გასაგები გახდა. მარტამ შეიტყო ეს და საქმელზე უარი თქვა. იქნებ შიმშილით უნდოდა თავი მოეკლა? ასე ერთბაშად რატომ დაკარგა იმედი? მაშასადამე, იცის მისი დაპატიმრების მიზეზი, რაკი ცოცხლად გამოიტირა. რა მოუვიდა თადეუშს? ცოცხალია თუ არა? რა დღე ელის მარტას? ამ ამბების გამოსარკვევად პოლიტიკურ განყოფილებაში წავედი. გამოვარკვიე კიდეც, მაგ ქალს ჩვენი მტრების ზედი ეწევო, — მითხრა მაშინ გრანბერმა. მისი ზედი გადაწყვეტილი იყო და მე ვერაფერს გავხდებოდი. ვანა ის გერმანიის მტერი არ იყო? ბანაკში არალეგალური ორგანიზაცია აღმოაჩინეს. თადეუში თურმე ამ ორგანიზაციის წევრი იყო. ხედავ, ვალტერ, რა საშიშნი ყოფილან? პატიმრები იყვნენ და თავისას მაინც არ იშლიდნენ, შეთქმულებას აწყობდნენ... მარტამ კი უთუოდ იცოდა თადეუშის საქმიანობის ამბავი. ახლა ყველაფერი დამთავრდა. ბანაკში ჩემი პრაქტიკის ვადაც იწურებოდა, რაღაც სამიოდე კვირა დამრჩენოდა, მეტი არა. გადავწყვიტე აღმინისტრაციისათვის მეთხოვა ვადაზე ადრე გავგზავნე აქედან. ხელი არავის შეუშლია, ჩემი დაც ძალიან დამეხმარა. რაზმის საქმეებს გადავაბარებდი და... თავისუფალი ვიყავი.

— მარტა? მარტა აღარ გინახავს? — ჰკითხა ვალტერმა.

— ვნახე, — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მიუგო ლიზამ. ვნახე. იმანაც მნახა.

— მაშ. აღარ დახვრიტეს?

— ბირველი შემთხვევა იყო, ქალი რომ დაინდეს.

— მაშასადამე, ბუნკერს თავი დასაშინა?

— ჰო... — ოდნავ გასაგონად თქვა ლიზამ. — გამოვიდა. ალბათ იმიტომ, ერთხელ კიდეც რომ შეეხედა ჩემთვის, ერთხელ კიდეც რომ ვენახე...

ლიზამ კვლავ მიიფარა სახეზე პატარა ხელები. ის პატარა ხელები, ვალტერს ასეთ სინაზეს რომ ჰგვრიდნენ. ქმარს შეეცოდა ლიზა, კინაღამ უთხრა, ნულარ მოვიგონებთ წარსულს, მაშინ ხომ ომი იყო. დიახ, უნდოდა ეთქვა ეს, მაგრამ ვერ შეძლო. მას შემდეგ, რაც ლიზამ უთხრა: „ამ ქალს ბანაკიდან ვიცნობო“, რაღაც საშინელი წინათგრძნობა არ სცილდებოდა. ახლა კი სიმართლეს თვლებში უნდა შეხედოს.

— რომ შენ ენახე?.. სად?

ლიზა დუმდა, მაშასადამე, მტკიცდებოდა ის, რისიც ვალტერს ყველაზე მეტად ეშინოდა.

— ლიზა, ხომ გთხოვე, სიმართლე მითხარი-მეთქი, შენი პირით მითხარი. სჯობს, შენგან გავიგო, ვიდრე სხვისგან, ვიდრე იმ ქალისაგან. ახლა უკვე მჯერა, რომ ეს, ეს...

ლიზამ ველარ მოითმინა:

— ღმერთო ჩემო! ვანა სიკვდილს მე არ გადავარჩინე! მე რომ იქ არ დავსწრებოდი!

— სად იქ? — ვალტერმა თავს ძალა დაატანა, რომ ეს სიტყვები წარმოეთქვა, მაგრამ ლიზამ ყურიც არ ათხოვა მას და განაგრძო:

— ის უეჭველად ამოჰყოფდა თავს გაზის კამერაში. ბუნკერიდან ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს. ზედამხედველი ბორმანი სიხარულით გაგზავნიდა კრემატორიუმში. ესეც ელებს ყოფილი „პრო-მინენტები“ პატიმრებზე მეტად სძულდათ. მე რომ არ ჩაგრეთულიყავ... — ლიზამ თანდათან ხმას აუწვია. უფრო და უფრო გამწარებით ლაპარაკობდა. თუმცა ვეღარც ამას ამჩნევდა და ვეღარც ვალტერის სახეს. — მე რომ იქ არ დავსწრებოდი, დღეს ეგ აქ არ იქნებოდა. არ იქნებოდა, არა!

— სად... იქ? — გაუმეორა ვალტერმა. ლიზამ ქმარს შეხედა, თავს სძლია და უფრო დამშვიდებით განაგრძო:

— მე არასოდეს საერთო არაფერი მქონია ყველაფერ იმასთან, რამაც ოსვენციმის სიკვდილის ბანაკის სახელი მოუხვეჭა. სიკვდილით დასჯას არ დავსწრებივარ. ალბათ ამიტომაც გადაწყვიტა უფროსმა ზედამხედველმა, რომ ჩემს პრაქტიკულ სწავლებას რაღაც აკლდა. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრა, ანი, ხვალ სელექციაა და შენც უნდა მიიღო მონაწილეობა.

ვიგრძენ, რომ ფერი დაგვარგე. უფროსმა ალბათ შემამჩნია ეს და ციკად დასძინა. სამართლიანობა მოითხოვს, პასუხისმგებლობა ყველამ გავინაწილოთ. მიგხვდი, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე დავმარცხდით და ახლა საჭირო იყო, ყველას გაგვეყო დანაშაული. მეთქვა, სელექციაზე არ მოვალ-მეთქი? ამბობდნენ, ზოგი ასეც მოიქცაო. მაგრამ მათ ან თავი მოიკლეს, ან არადა, ჩემი წინამორბედი ეფინგერივით თვით გახდნენ საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრები. მე არც პირველი შემეძლო და არც მეორე. გმირად არ დავბადებულვარ. მაგრამ გერმანია უძლეველი სახელმწიფო რომ გახდეს? „დღეს რომს ვინ ჰკიცხავს კართაგენის დანგრევისათვის? — ხშირად იმეორებდა ჩემი უფროსი. — გამარჯვებულთ არ ასამართლებენ“.

კვირა დღე იყო. ეს დღე ალბათ ყოფილ პატიმართა მოგონებებში ბევრგან არის აღწერილი. პატიმრები დილიდანვე ჩაამწყრივეს სიის ამოსაკითხავად ეგრეთ წოდებულ საერთო შეკრებაზე. სამზარეულო, რა თქმა უნდა, არ მუშაობდა. საჭმელს მხოლოდ საღამოს დაარიგებდნენ. წვიმდა. რამდენიმე საათის ფეხზე ყურყურის შემდეგ ქალები პირწმინდად გალურჯდნენ. ჩვენც გაუნძრევლად ვიდევით ჩვენს ადგილებზე და ბანაკის კომენდანტის ბრძანებას ველოდით. ზედამხედველებს მხოლოდ საღამოხანს დაგვინაწილეს ბარაკები. ჩვენი ამოცანა იყო ბანაკის „მუშულმანთაგან“ გაწმენდა. „როგორ გამოვიცნო მაინც? გარეგნულად ყველა ჯანმრთელი ჩანს, ოღონ-

დაც ძალიან გამოფიტულები არიან-მეთქი“, ვიკითხე. ესეც ელემენტარული დამაყარეს. ტაუბემ მირჩია: „სიკვდილი რომის იმპერატორთა მსგავსად ოლიმპიდა მოაწყეთ, ფრაუ ფრანც. ვინც გაიმარჯვებს, ცოცხალი დარჩება, ვინც არა, ლუმელში უკარით თავი.“ მე და ზედამხედველ ბორმანს მეშვიდე ბარაკი გვერგო. სწორედ ის ბარაკი, სადაც ოსვენციმში ჩამოსვლისას ჩემი რაზმი შევარჩიე. მაშინ ჩემი არჩევანი იმას ნიშნავდა, რომ პატიმარს იმედი ეძლეოდა. გადახურულქვეშ ვიმუშავებ და ასე თუ ისე სიცოცხლეს შევინარჩუნებო. ახლაკი მათთვის სიკვდილი მომქონდა. არ მახსოვს, როგორ ჩავუარე რიგებს. პირველი რიგიდან ვერავის დავადე ხელი. ვერც მეორედან. მეორე რიგის ბოლოს რომ ჩავაღწიე, ბორმანმა ვედარ მოითმინა: ზედამხედველო ფრანც! ეს ლეში გამოვრჩათო, მითხრა და მორებივით ფეხებდასიებულ დედაკაცზე მიმითია. ვგრძნობდი, საცაა გული წამივიდოდა, თავზარი დამეცა. მგონი ესლა გავიფიქრე: „ტაუბე მართალია, უნდა რაღაც საშუალებით შევამოწმო-მეთქი“. შემდეგ ჩემი ხმა მომესმა: „მთელი მწკრივი სირბილით ქუჩის გასწვრივ გაიქცით და აი, იმ თხრილზე გადახტით!“ — ყველანი სწრაფად გაქანდნენ თხრილისაკენ. კაპო და ბარაკის მამასახლისები განზე მიათრევდნენ ყველას, ვინც ძირს დაეცემოდა. გულში მადლობა ვუთხარი ტაუბეს. მე არ ამირჩევია ისინი, ამ ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე ჩემი ხელის მოქნევაზე არ იყო დამოკიდებული.

„შემდეგი მწკრივი!“ — ბრძანება გავეცი მე და იმავე წუთს... იმავე წუთს მარტა დავინახე. მეგონა, შეეცადი, მეგონა მეღანდება-მეთქი, მარტა ხომ ბუნკერში იყო, აქ საიდან გაჩნდა! მარტა მე მიყურებდა, ჰო, მიყურებდა, იმთავითვე ვილაცის მზერას ვგრძნობდი, თურმე ის მიყურებდა. მის თვალებში ზიზღი, სიძულვილი და სინარული ამოვიკითხე. დიახ, დიახ, იგი ზეიმობდა, თითქოს

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ყველაზე დიდი ნატურა აუხდაო. მე მის წინ შეეჩერდი. აბა, დაფიქრდი, ვალტერ. ხომ მქონდა უფლება ეს ჩამედინა, იმიტომ რომ უმადური იყო, არ დამიფასა, იმიტომ რომ ვძულდი — ვძულდი მე, რომელმაც... მარტა უტიფრად, გამომწვევად, თავხედურად მიცქეროდა. თითქოს მთხოვდა, ჰო, გააკეთე, რასაც აპირებო. იცი, რას მთხოვდა? რომ მე თითი დამედო მისთვის. თავში გამიელვა, სული მიუდის, სანამ ამას ჩავიდენ, რადგან არ სჯერა, მართლა ჩავიდენ ამას თუ არა-მეთქი. წარმოიდგინე, რად მიღირდა ამის თქმა, გასწით საწყობში და მუშაობას შეუდექითო. აბა, იფიქრე...

— შენ შეცდი, — ცივად შეაწყვეტინა ვალტერმა, — ეგ რომ არა, ახლა ამ დავიდარაბას გადარჩებოდი და მოყვარული ქმრის ზურგს ამოფარებული უზრუნველად იცხოვრებდი. უკიდურეს შემთხვევაში, ვინმე იქაური რომ შეგხვედროდა, სენტიმენტალური ესესელის გულისამაჩუყებელ როლს გაითამაშებდი, იტყოდნენ, რომ სასიკვდილოდ განწირულ პატიმარს საუზმეს უყოფდი...

— ვალტერ! როგორ მიზედავ! — შეპკივლა ლიზამ და უმალ თავს სძლია. — შენ მართალი ხარ. რა თქმა უნდა, ეს ჩემი შეცდომა იყო. მე უფლება მქონდა ეს ჩამედინა. ჰო, ჰო! ეს უბრალოდ მისი ნატურის ასრულება იქნებოდა. მარტას ეს უნდოდა. სულ ტყუილად ვუმტიკებდი, რომ ყველა ესესელი ერთნაირი არ არის, რომ მე სხვებს არ ვგავარ. ეს მან ვერ დაინახა. ამიტომ უნდა დამეთმო. მოვალეც ვიყავი, ეს გამეკეთებინა. ვინაიდან ჩვენი მტერი გამოდგა, ჩვენი დაუძინებელი მტერი. ეს უკვე დამიმტკიცა... მალე კიდევ ერთი საბუთიც მომცა. თითქოსდა იმისთვის გადავარჩინე, რომ საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი, საბოლოოდ მეღიარებინა ჩემი დამარცხება.

მე მარტა გადავარჩინე. წარმოიდგინე, მადლობაც არ მითხრა, ერთი უბრალო „მადლობის“ ღირსიც არ გამხადა. და მაინც ჩემს რაზმში წავიყვანე. რატომ? ცხადია, წინანდელი სიმპათიის გამო არ მიქნია ეს. უბრალოდ არ ვიცოდი, რა-

ტომ და რისთვის. ზოგჯერ მებრალე-ზოდა, ერთხელ კიდევ ვუთხარი, „საწყალი თადეუმი-მეთქი“. მარტამ მისთვის მომიყრუა, თითქოს ვერ გაიგონა.

არა, ის ცოცხალ ადამიანებში აღარ ერია. მკვდარი თოჯინა იყო, რომელსაც ვერაფერი ააღელვებდა, ვერაფერი გააცოცხლებდა. ერთხელ სახლიდან მიღებული წერილი ვუნახე. წერილი მთელი კვირა გაუხსნელი ეგდო. ალბათ არც გახსნიდა, თუ რომ იძულების წესით პასუხის დაწერა არ მოგვეთხოვა.

ერთმა ამბავმა კიდევ უფრო ნათლად დამარწმუნა, რომ მარტას ყველა გრძნობა ჩაკვდომოდა. ბანაკში ახალი უფროსი მოგვევლინა, გვარად შულცი. მას პატიმრებიცა და ესესელებიც ყველა ვირთხაჭერიას ვეძახდით. ვირთხები იყომისი გატაცების საგანი. ზოგჯერ ასეთსეირსაც აწყობდა: გამოჰყრიდა ბარაკის ხალხს სოროების დასაჩურთავად და ვირთხების გამოსადგებად. თვითონ კარში ჩადგებოდა და დამფრთხალ ცხოველებს ტყვიით ხოცავდა. მერე რამდენიმე ვირთხას კუდში წააგვლებდა ხელს და ქუჩაში მიდიოდა. აქ რომელიმე პატიმარ ქალს დაუძახებდა და ლაპარაკს გაუბამდა, ნანადირევს კი ვითომ შემთხვევით ცხვირწინ უტრიალებდა, ბოლოს სახეში ისროდა. ქალებს ისტერიკა ემართებოდათ. ერთი ჰქუაზე შეცდა კიდევ. შულცი რამდენიმე ხნის შემდეგ მამაკაცთა ბანაკში გადაიყვანეს, მაგრამ მისთვის ცხოვრებამ ფასი დაკარგა, რადგან მამაკაცები მის ოინებს არადაგებდნენ. იმასაც ამბობდნენ, ზოგჯერ ისინი ამ ვირთხებს ჭამდნენო.

მაგრამ შულცის სახელი ქალების ბანაკს ტაუბზე მეტად სცემდა თავზარს. ვირთხაჭერია ახლოს არისო, რომ იტყოდნენ, მარტას სახე უმწვანდებოდა. ვირთხების სიკვებმდე ეშინოდა. თუმცა მეც ასე მემართებოდა. ჰოდა, ერთხელ მუშაობის შემდეგ ბარაკში რომ შევიარე, ტუჩის გარმონის წრიბინი მომესმა. ვილაც ქალი პოპულარულ სიმღერას, „როზამუნდას“ ასრულებდა. გამიკვირდა, ასე თავდავიწყებით რომ უკრავდა.

— ვატყობ, ერთობ მხიარულობენ. — ვუსხარი ბარაკის მამასახლისს.

— ოჰ, ფრაუ ზედამხედველო, მე ვაკვრეინებ ხოლმე, როცა ვირთხები გათავებდებიან, — თავი იმართლა მამასახლისმა.

არ ვიცი, როგორ გავუძელი ამ სურათს. დედამიწის ზურგზე ალბათ ამოდენა ვირთხებს ვერსად ნახავდა კაცი. ღუმელის წინ ოციოდე ვირთხას მოეყარა თავი. ცინდლებივით ყირას გადადიოდნენ, ვერავის ამჩნევდნენ, არავისი ერიდებოდათ და არც ეშინოდათ. ქალღალდის პატარა რულონს ათამაშებდნენ და ბურთივით ერთმანეთს ესროდნენ, დახტოდნენ, უკანა თათებზე დგებოდნენ, ტრიალებდნენ. გარმონი კი გაცოფებული უკრავდა. მეგონა, მუსიკის ხმა რომ ესმით, იმიტომ ცეკვავენ-მეთქი, და ისტერიულად ვიკივლე: „ჩუმაღ!“ — გარმონის ხმა შეწყდა და იმწამსვე ვირთხების ჭყვივლი შემომესმა. მართალი გითხრა, ცუდად გავხდი.

— ამიტომაც უკრავსო, — მითხრა მამასახლისმა და კარამდე მიმაცილა.

გასვლისას მარტა დავინახე. ღუმელთან იჯდა. ეს საზიზღარი ჯგრო კი ზედმის ფეხებთან დახტოდა. ქალი გაქვავებული შეპყურებდა მათ. ვირთხების აღარ ეშინოდა. ყურადღებასაც არ აქცევდა.

არ ვიცი, როგორ ვიტანდი ამ ქალის სიახლოვეს, მე ხომ ყოველ წუთს შემეძლო მისი თავიდან მოცილება. ვიცოდი, მასაც ისევე ვძულდი და ვეზიზღებოდი, როგორც მე იგი, მაგრამ მაინც არ ვიცილებდი. კაცი იფიქრებდა, თითქოს მეშინოდა, ცუდი არ გამიკეთოს, ან მოულოდნელად რამე არ ამიტეხოსო. მაგრამ ეს ასე არ იყო, თუმცა კი რაც შემდეგ მოხდა, თითქოს ადასტურებდა ამ ვარაუდს. მაგრამ ასე არ იყო, მე რომ მშინებოდა, იქვე დაეტოვებდი და გავემზავრებოდი. ჩემი გამგზავრება კი ცოტა გაჭიანურდა. ბერლინში ვერ მოასწრეს საბუთების გაფორმება, მაგრამ მე მაინც წასვლას ვაპირებდი და მარტაც უნდა გამომყოლოდა. დიახ, ისიც გააფორმეს, სხვა პატიმრებთან ერთად სიაში შეიტანეს. ეს ამბავი მარტასაც

ვუთხარი. ახრად არ მომსვლია მეკითხა, თანახმა იყო თუ არა. „მესმის“, — მითხრა მან, მაგრამ არ მეჯეროდა, ^{რამდენიმე} რულებდა. მაშინ მისგან კარგს არაფერს ველოდი. ჩვენდა შეუმჩნეველად მეშველ რაზმში ბევრი თანამდებობა პოლიტიკურმა პატიმრებმა იგდეს ხელთ. უცხრად აღმოჩნდა, რომ ბანაკში მათ რაღაც ძალა გააჩნდათ. ერთხელ ბანაკის კომენდანტის გადაწყვეტილებასაც კი საბოტაჟი გაუწიეს. ეჭვი მქონდა, რომ თუ მარტა წამოსვლას არ ისურვებდა, ყველა ღონეს იხმარდნენ, რომ ჩემი გეგმები ჩაეფუშათ.

ერთხელ ჩვენს ბარაკში გიჟივით შემოიჭრა შულცი. ყველანი დაეწყვეთო, უბრძანა ქალებს. პატიმრებს შიშის ცახცახი შეუღდათ. ჩემი ოთახიდან ვუსყურებდი ამ სურათს. შულცი ჭირივით მძულდა და ამას არ გავაბედიებდი, მაგრამ ამჯერად მას თურმე სხვა რამ ადარდებდა: სამკაულები, მედალიონები და კრიალოსნები უნდოდა. გაცოფებული აგლეჯდა ქალებს რის ვაივაგლახით გადამალულ მედალიონებს. მე არ ჩავრეულვარ. რა ჩემი საქმე იყო? ოღონდ გამიკვირდა, მარტა ასე რამ გააფითრამეთქი. უცებ გამახსენდა: თადეუშის მედალიონი. სხვებთან ერთად ისიც შულცის ჩანთაში მოხვდა. ვთხოვე შულცს, თქვენი ნადავლი მანახეთ-მეთქი.

— აი, ეს ზალთა კი მაჩუქეთ.

შულცს გაცეცინა და ხელი ჩაიქნია. „აფსუს, აფსუს! — გავიფიქრე მე, — მივცემ ამას. პო, ეს მაინც დარჩეს“. ბარაკისკენ წავიდი. რამდენიმე ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, რომ შულცის ღრიალი მომესმა:

— ოჰო, ხომ დაგიჭირეთ, წყეულო მჯღაბნელებო!

მოვიხედე. შულცი ორ პატიმარს ჩხრეკდა. გაჭიმულები, თავშიშვლები ედგნენ წინ. ერთი დინჯად რაღაცას ეუბნებოდა, შიში არ ეტყობოდა. ვიცანი, სწორედ ის ორნი იყვნენ — კაპო ვერნერი და პოლონელი მწერალი, მე ხომ ძაღლის

ზოფია პოსმიში
მეზავრი ქალი

მოკვლას მათ ვაბრალებდი! დავიცადე, შულცი ხომ არაფერს ნახავს-მეთქი. მაგრამ რა შვილები იყვნენ! შულცი სულ გაცოფდა.

— აქედან დაიკარგეთ! — იღრიალა, — ოცდახუთ-ოცდახუთჯერ რომ გადაგიჭირებთ მათრახს, მაშინლა მოეშვებით ამ ქალებს.

შულციზე გამეცინა, ვერა და ვერ ჩამხვდარიყო, რა იყო ოსვენციმი. ისიც არ იცოდა, მაგალითად, რომ ზოგ პატიმარს ყარაულის გარეშე შეუძლია სიარული და ვერაფერსაც ვერ დააკლებ, ვინემ დანაშაულზე არ წაასწრებ.

კანტორაში შევედი. მარტა იქ არ დამხვდა: მეზობელ ბარაკში იყო, ნივთებს ახარისხებდა. მის მოსაყვანად კაცი გავზავნე.

„მივცემ, უბრალოდ ამოვიღებ და წინ დავუღებ...“ — ფეიქრობდი მე. ფეხის ხმა გაისმა. მედალიონი ხელში დავიჭირე, მაგრამ მარტას ნაცვლად კაპო შემოვიდა.

— ფრაუ ზედამხედველო, საინტერესო რაღაც ვიპოვე, — კაპომ გულდაგულ დაკვიცილი ქაღალდი მომაწოდა.

— ეგ რა არის?

— საიდუმლო წერილი უნდა იყოს.

კაპო არ შემცდარა. გატალახიანებული ქაღალდი გავშალე და ლამაზად ჩაწიკწიკებულ ნაწერს დავხედე.

— პოლონურ ენაზეა, — მითხრა კაპომ.

მყისვე ვიაზრე.

— სად ნახეთ?

— ბარაკებს შუა, გზაზე, მეორე ბარაკის ახლოს.

— აბა მაჩვენეთ, სად!

წავედი. დიახ, ზუსტად ასეა, სწორედ ამ ადგილას ჩხრეკდა შულცი იმ ორს. ბარაკთან მარტა დავინახე. დავუძახე და კანტორაში წავიყვანე.

— ეს მითარგმნეთ, — ვუთხარი და წერილი გავუწოდე.

მარტამ წარბი შეიკრა. ნაწერის გარჩევა ძნელი იყო, კითხვა უჭირდა, მე ვიტყვოდი, — განზრახ უჭირდა, მაგრამ მაინც კითხულობდა და თარგმნიდა. ჯერ ბორძიკით, მერე ლაღად. სატრფი-

ალო წერილი გამოდგა. ლამაზი ^{გვით}, თუმცა მეტიმეტად პოეტურად დაწერილი. არის მანანებით მოფენილი, მარტა, წერდა ვიღაც ქალიშვილი, და ჩვენ ორივე ამ მთაზე ავალთ, ის იქნება ჩვენი სიყვარულის მოწმე, როცა ეს შესაძლებელი გახდებაო.

მართალი ვითხრა, ამ წერილმა მხოლოდ ცნობისწადილი აღმიძრა. ფეიქრობდი, ჩემი რაზმის ქალიშვილებიდან ეს ვინ დაწერა-მეთქი, სხვა არაფერი. რაზმი დავიბარე.

— მარტა, გადათარგმნეთ!

მარტა წინ წამოდგა.

— ეს წერილი ვიპოვნეთ. აბა, დახედეთ. — წერილი ჩამოსატარებლად გადავიცი. — გამოტყდეს, ვისი დაწერილია.

წერილმა მწკრივი ჩამოიარა. პატიმრები დუმდნენ.

— წერილში ისეთი არაფერია, თუმცა სულელური კია. თუ დამნაშავე თვითონ გამოტყდა, პატაკს არ დავწერ. თუ არ გამოტყდა, მთელ რაზმს კარცერში ჩავასვეინებ. ერთ დღე და დამეს გაძღვეთ მოსაფიქრებლად... და დამნაშავის აღმოსაჩენად.

ვადა რომ იწურებოდა, მარტამ მთხოვა, სალაპარაკო მაქვსო. გამეხარდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ავტორის ვინაობა იცოდა.

— სწორედ დრო არის, ერთი საათის შემდეგ უკვე გვიან იქნებოდა.

მარტამ რაღაც უცნაურად შემომხედა.

— მე... მინდა გთხოვოთ, რომ...

— მთხოვო?

— დიახ. სასჯელი თქვენ თვითონ დავგინიშნეთ.

— როგორ გავიგო?

— ჩვენ გთხოვთ, რომ პატაკი არ დაწეროთ.

— რაზმი მთხოვს? რაზმმა იცის ჩემი გადაწყვეტილება.

— მე გთხოვთ, ფრაუ ზედამხედველო.

ეს უკვე მეტიმეტი იყო. ვიგრძენი, რომ გავფითრდი.

— თავს ნუ გაკვივთ. დიახ! ვინ

ბრძანდებით, რომ პირადი თხოვნით მო-
მართოთ. თავისუფალი ხომ არა ხართ?
მარტას ფერი წაუვიდა.

— თავისუფალი ის არის, ფრაუ ზე-
დამხედველო, ვისაც დასაკარგი აღარა-
ფერი აქვს. ადამიანს სიცოცხლის წყურ-
ვილი ხდის მონად...

— საინტერესოა, — გააწყვეტინა
ვალტერმა. — რამდენი წლისა იყო ის
ქალი?

— ოცისა არც იქნებოდა.

— ეშმაკმა დალახვროს! გერმანელებს
ამას მაინც უნდა გვიმადლოდეს. მის
ასაკში ასეთი სიბრძნე...

— მაშინლა მომაგონდა მედალიო-
ნი, — განაგრძო ლიზამ. — ჯიბეში
მედო, ცხვირსახოცს რომ ამოვიღებდი,
ყოველთვის ხელში მხვდებოდა. მაგრამ
არა, არ დაფუბრუნებ, მარტას ეს არ
დაუმსახურებია.

— პატაკს დაწერ. თუ ხვალ დილის
თერთმეტ საათამდე დამნაშავე არ აღ-
მოჩნდება, მთელი რაზმი დაისჯება, —
მკაცრად ვუთხარი მე.

მაშინ რა ვიცოდი, რამდენად ღირსი
იყო მარტა ამ სასჯელისა, ვერც გავი-
გებდი, შემთხვევას რომ არ ეშველა. იმა-
ვე დღეს, კარგა დაღამებულზე, ჩემი დაი
და ზედამხედველი ბორმანი გაცოფე-
ბულელები მოკვივდნენ ჩემთან.

— ანი, — მითხრა პასემ, — იმ იდიო-
ტურ გადაცემაში ისევ ახსენეს ჩვენი
გვარები.

— რა გადაცემაში?

— განა არ იცით? — ხმა ჩაეხლიჩა
ბორმანს, — „ვეროპის ჯოჯოხეთში“.

არ აგდელვებულვარ, უბრალოდ ცნო-
ბისწადილმა ამიტანა.

— რა... რასთან დაკავშირებით? —
ვკითხე.

ბორმანმა ისე შემომხვდა, თითქოს მის
წინ გიჟი მდგარიყოს.

— უკანასკნელ სელექციასთან დაკავ-
შირებით, ზედამხედველო ფრანც.

გულმა რეჩხი მიყო.

— იციან კი? ესეც იციან?

— იციან. თანაც დაწვრილებით, —
გაცინა ბორმანს. — თქვენც გახსენეს.

— მეც? — ჩემი ხმა ვეღარ ვიცანი.

— თქვენც, თქვენც! პასე, ერთი უბნზე!

— ჰო, ანი. ასე თქვეს, სელექციაში
პირველად მიიღო მონაწილეობა მწველ-
ბის საწყობის რაზმის მეთაურმა, ზედა-
მხედველმა ანა ლიზა ფრანცმაო! სულ
მამაკაცების ბრალია! — შეჰყვირა პა-
სემ. — რამდენჯერ მითქვამს, ქალთა ბა-
ნაკში მამაკაცები არ გააჰაჰანოთ! ბა-
რათების გადაცემისათვის ბუნკერი და
სახარბოებლა მიუსაჯეთ-მეთქი.

ხმა არ ამომიღია, როცა წავიდნენ,
ჩანთიდან ის წერილი ამოვიღე. გამადი-
ლებელი შუშით სტრიქონ-სტრიქონ, ნე-
ლა-ნელა წავიკითხე. ბოლოს, სულ ქვე-
მოთ, უკანასკნელ სტრიქონში „რაზმი“
და „ანა ლიზა ფრანცი“ ამოვიკითხე.
თვალს არ ვუჯეროდი, მაგრამ იქ სხვა
ნაცნობ სიტყვებსაც წავაწყდი: „პასე“,
„ბორმანი“. „სელექცია“ რამდენიმეჯერ
მეორდებოდა. ციფრებიც იყო. დიახ,
ალბათ გაზის კამერაში გაგზავნილთა
რიცხვი. აი, თურმე რა მქონია ხელთ!
მაგრამ რადიოგადაცემაში რა გზით მოხ-
ვდა, თუკი... იმავე წუთს მოვისაზრე. ეს
ხომ ასლი იყო! ბანაკში დათქმულ ად-
გილებზე ალბათ რამდენიმე ასეთი წე-
რილი დააგდეს. იმ ორმა აიღო: კაპო
ვერნერმა და პოლონელმა. შულცი რომ
ღაინახეს, გადააგდეს და ტალახში ჩას-
რისეს. დედანი კი დანიშნულ ადგილას
მოხვდა. მაშასადამე, კვალს წავაწყდი!
არა, წერილი მარტას დაწერილი არ
იყო, ოღონდ მან შინაარსი იცოდა და
შეგნებულად მომატყუა. კვალს მივაგე-
ნი, მაგრამ... ძალა აღარ შემწევდა. თავისუფალი ისაა, ვისაც დასაკარგავი არა-
ფერი აქვსო. ასე არ მითხრა? მაშ, მარტა
თავისუფალია, თავისუფალი! თუმცა მის
ირგვლივ მავთულღობე, ძაღლები და
ესესელებია! მე რომ ეს წერილი გესტა-
პოში გადავცე, ვინ იცის, კიდევ რამდენ
ხანს გამაჩერებენ ბანაკში, ყოველ შემთ-
ხვევაში, ძიების დამთავრებამდე მაინც.
მე კი ყელში მქონდა მოსული ყვილა-
ფერი. გარდა ამისა, შეიძლება მეც
ხიფათში ჩაეგდებ. მარტა ხომ ჩემი

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

„საყვარელი პატიმარი“ იყო. წერილმა ჩემი რაზმი მოიარა. ჩემი რაზმი ბანაკის არალეგალურ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. ჩემი და მარტას წასვლა კი უკვე გაფორმებული იყო. არა, ძალა აღარ შემწევდა ხლართი გამეხსნა და ეს დაბურღული საქმეები მომეწესრიგებინა.

რა ზიზღით მივდიოდი მეორე დღეს ბანაკში! მე უნდა გადამეწყვიტა რაზმის საკითხი და კიდევ ერთხელ შევბამოდი მარტას. რად ვგრძნობდი თავს ასე უმწეოდ? ყველა საბუთი ხომ ჩემს ხელთ იყო.

თერთმეტ საათზე მარია მანდელის შიკრიკი ქალი მოვარდა.

— უფროსი ზედამხედველი გთხოვთ, ახლავე მოხვიდეთ.

მე ამას ველოდი. ჩემი პატაკი უთუოდ დააინტერესებდა. მთელი რაზმის კარცერში ჩასმა? ეს არც ისე ხშირი მოვლენა იყო.

უფროსმა მარტო ეს მითხრა:

— თქვენ პატაკს ხელი მოვაწერე. ამ საქმეს მიხედავენ.

მაგიდაზე ქაღალდები იდო და იმას ათვალიერებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მკითხა:

— გადაგითარგმნეს ის წერილი?

— რა თქმა უნდა.

უფროსმა თავი დამიქნია. მაგრამ ამ კითხვამ და თან ოფიციალურმა კილომ შემაშინა. პატაკში დავწერე: „ვიპოვე სატრფიალო წერილი და დამნაშავეს ჯიუტად მალაგენ-მეთქი“. — პატაკი რომ წარგადგინე, წერილის ნამდვილი შინაარსი მაშინ კიდევ არ ვიცოდი. მერე გავიგე და... რა გასაკვირია, თუ პასუხისმგებლობის შემეშინდა. მაგრამ ვაითუ ახლა გამოააშკარავეს ყველაფერი? უფროსი ზედამხედველი ქაღალდებს ათვალიერებდა, ზოგს განზე დებდა. თითქოს განგებ მარიდებდა თვალს. თავი ისე ეჭირა, შეკითხვა ვერ გაუზებდე. მაგრამ საქაღალდეზე მაინც გავარჩიე წარწერა: „ნივთების საწყობი“ და გული უარესად გადამიქანდა. ვთხოვე, ერთი წუთით გამიშვიტ-მეთქი. არ მეგონა, თუ გამიშვებდა. პასუხად რომ გავიგონე, ოღონდ

დიდხანს არ დაახანოთო, თითქმის გამიკვირდა. საპირფარეოში შევიდი და ერთხელ კიდევ დახვდე წერილს. მერე კი ნაკუსტებად ვაქციე.

უფროსი ზედამხედველის კაბინეტში უკვე ბანაკის კომენდანტი და ფერდაკარგული, აღელვებული ტრუდა ვენიგერი დამხვდნენ.

— იცით, რაზეა ლაპარაკი? — მკითხა უფროსმა: — თურმე თქვენს რაზმს ებრალი ბავშვი გადაუმალავს და მერე ჩუმად გაუპარებიათ. აქამდე ვერ მიაგნეს მის კვალს.

ტანში გამაცია. აი თურმე რა ყოფილა.

მე არ მიამბნია, ვალტერ, შენთვის, ვერ მოვასწარი, რომ ოსვენციმის საშინელებათა შორის ყველაზე საზარელი ბავშვების დახოცვა იყო. ეს ყველაფერს აჭარბებდა. იმასაც კი, თუ რა დღეში ჰყავდათ ბავშვები. მაგალითად, ერთხელ ვნახე, როგორ ამოუშანთეს ძუძუწოვარა ბავშვს ხელზე ნომერი. ვნახე, როგორ გლეჯდნენ დედას მკერდიდან შვილს, ეგრეთ წოდებულ საოჯახო ეშელონებით ჩამოსულთ, პოლონელებს და რუს დედებს. მათ ისე ჰყავდათ ბავშვები გულში ჩაკრული, რომ ძალით უნდა გამოგეგლიჯათ ხელიდან. ქალები დამთხვეული ცხოველებივით იქცეოდნენ. მათი ღმუილი კარგა ხანს აყრუებდა მთელ ბანაკს. თუმცა თვითონაც კარგად უწყობდნენ, მაჟ შეილებს სიკვდილი არ ელოდათ. ბავშვებს საბავშვო სახლებში აგზავნიდნენ. დედებსაც უნდა გახარებოდათ ეს. ოსვენციმი მართლა არ გამოდგებოდა ბავშვებისათვის. ერთი-ორი თვის შემდეგ მაინც ბალღინჯოების მსხვერპლნი გახდებოდნენ. ბალღინჯოებს ვერაფერს ვუხერხებდით. ასეთი წამლები ჩვენ სად გეჭონდა. ბალღინჯოები პირდაპირ სისხლს სწოვდნენ ბავშვებს. სხეული სულ დადუღდუღებული ჰქონდათ. დუღდუღოები სივდებოდა, ჩირქდებოდა... მაგრამ ეს საზარელი, ეს კოშმარული სურათი, როცა დედებს შვილებს ართმევდნენ — უფროს ზედამხედველსაც კი არაერთხელ ცრემლით ავსებია თვალები — არ შეედრებოდა

იმას, რისი მოწმეც ებრაელთა ეშელო-
ნების ჩამოსვლისას ყოველ ცისმარე
დღე ვიყავი.

ზოგს გერმანელ ბავშვებში ვერც კი
გამოარჩევდი, ისეთივე ქერა, სწორი
თმა და ისეთივე ცისფერი თვალები
ჰქონდათ. თვალს ვერ ვაცილებდი, რო-
ცა ბალახებში კოტრიალოზდნენ, ბურ-
თაობდნენ, ცელქობდნენ. ვერა, ვერ
ვწყვეტიდი თვალს. აღარ შემძლო მათი
ჰყიპინის, სიცილის, ყრიაზულის, ტირი-
ლის გაგონება. ჩვენს შესახებ სიმართ-
ლეს ვერასოდეს ვერავინ შეიტყობს,
ვალტერ. განა გამიგებ, რას ვგრძნობდი
ამ ბავშვების შემყურე? საბედნიეროდ,
მარტას გარდა ეს არავინ იცოდა. იმი-
ტომაც გაბედა და...

იმ დღეს კვირა იყო. მზე კაშკაშებდა.
რა ლამაზი სანახავი იყო კრემატორიუ-
მის უკან არყის ჭალა. ქალთა ბანაკის
ჭიშკართან ორკესტრი უკრავდა. აი, იმ
სიმღერას, ბარში რომ იმღერეს, ვალ-
ტერ. მარტა ჩემს გვერდით იდგა — მა-
შინ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვგძულდა ერთ-
მანეთი ასე საშინლად — იდგა და რკი-
ნივზის ლიანდავის გასწვრივ მომავალ
ხალხს გაჰყურებდა. ახალი ეშელონი
ჩამოდგა. ხალხი ტაატიტ მოდიოდა და
ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იცქი-
რებოდა. ზოგი იმ მელოდიასაც სტვენ-
და, ორკესტრი რომ უკრავდა. საუსხოო
კოლორატურული სოპრანო კი არაკრა-
კებდა: „მინდა, რომ მუდამ მიჯნური
ვიყო, ვსვა და ვიმღერო, ვსვა და ვიმ-
ღერო“. ხალხი ბლომად ჩამოეყვანათ.
უფრო ქალები და ბავშვები ჭარბობ-
დნენ. საბავშვო ეტლები კი... ღმერთო,
რამდენი იყო... და ყველა კრემატორიუ-
მისაკენ მიგორავდა. იქ უკვე ბოლი ამო-
დიოდა. მერე კი, მერე... ცარიელებს
ჩვენს საწყობში ხელისკვრით შემოაგო-
რებდნენ. იმ დღეს ეშელონთან ზედა-
მხედველი ვენიგერი მორიგეობდა. უფ-
როსები იმასაც კარგი თვალით უცქე-
როდნენ. ვენიგერი ჩემთან მეგობრობდა.
სამთავემ — ტრუდამ, მარტამ და მე —

დავინახეთ, როგორ ჩავგიქროლა თავი
სურულმა საბავშვო ეტლმა. სხვა ეტლები
ბიც ხომ იყო, მაგრამ რატომღაც უკვე
ში ის ერთი მოგვხვდა.

— იქ ბავშვი უნდა იყოს, — გაციცნა
ტრუდას, — ალბათ ვიღაცამ გამოაპარა.

— ნუ სულელობ, — ვუთხარი მე, — მა-
გის შნო მაგათ ვინ მისცა? სისულელია.
მარტამ ერთი ამომხედა.

— წავალ, ვნახავ, — თქვა მან.

მე თავი დავეუქნიე.

— გაიქციეთ... მერე ზედამხედველ
ვენიგერს მოახსენეთ.

ტრუდამ თვალი დამაშტერა:

— ძალიან კი ენდობი ამ ქალს.

არ მესიამოვნა.

— იმაზე მეტად არა, რასაც იმსახუ-
რებს, — მივუბე გულგრილად, — თუმი-
ცა ახლა შენ მორიგეობ, წადი და შეა-
მოწმე. აბა, შენ იცი!

ტრუდამ ისევ ყოყმანით შემომხედა.
იმავე წუთს ჩვენ... — არა, მე, მარტო
მე — ჩვილის სუსტი ტირილი მომესმა.
მაგრამ არა, ალბათ მომეჩვენა. ბავშვს
რომ ეტირა, ტრუდა ხომ კისრისტეხით
გაიქცეოდა... იგი ხომ სამსახურში მუ-
დამ დიდ მუყაითობას იჩენდა. ახლა კი
ფეხს არ იცვლიდა და ისე მიყურებდა,
თითქოს ჩემში რაღაც საინტერესო აღ-
მოაჩინაო. მხოლოდ რამდენიმე წამის
შემდეგ გადაწყვიტა:

— კარგი, წავალ და ვნახავ.

მაგრამ მარტა უკვე ბრუნდებოდა.
ნელა მოდიოდა, ხელში ბავშვივით აეტა-
ტებინა რაღაც. მე სუნთქვა შემეკრა.

— ინებეთ, ესეც თქვენი ზონდერ რაზ-
მის! ბრიყული ოინი, — მითხრა და
შეხევეული მომაწოდა.

მე შეგკრთი, ტრუდამ გადაიკისკისა.
მარტას ხელში დედოფალა ეჭირა.

წამით მე და ამ „ნომერმა“, ამ მონამ,
თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს.
შიშმა ამიტანა. ისინი ხომ ყველაფერს
იკადრებენ! ახლა ეჭვი სულ გამიქრა.
ვინ იცის, ეს დედოფალა მართლა იყო
იმ ეტლში, ან იქნებ მარტამ იქ დაყრილ

1 პატიმართა განსაკუთრებული რაზმი, რო-
მელიც კრემატორიუმს ემსახურებოდა.

ბრძანდებით, რომ პირადი თხოვნით მომართოთ. თავისუფალი ხომ არა ხართ?

მარტას ფერი წაუვიდა.

— თავისუფალი ის არის, ფრაუ ზედამხედველო. ვისაც დასაკარგი აღარაფერი აქვს. ადამიანს სიცოცხლის წყურვილი ხდის მონად...

— სიანტიერესოა, — გააწყვეტინა ვალტერმა. — რამდენი წლისა იყო ის ქალი?

— ოცისა არც იქნებოდა.

— ეშმაკმა დალაზეროს! გერმანელებს ამას მაინც უნდა გვიმადლოდეს. მის ასაკში ასეთი სიბრძნე...

— მაშინდა მომაგონდა მედალონი, — განაგრძო ლიზამ. — ჯიბეში მედო, ცხვირსახოცს რომ ამოვიღებდი. ყოველთვის ხელში მხვდებოდა. მაგრამ არა, არ დაფუბრუნებ, მარტას ეს არ დაუმსახურებია.

— პატაკს დაწერ. თუ ხეალ დილის თერთმეტ საათამდე დამნაშავე არ აღმოჩნდება, მთელი რაზმი დაისჯება, — შეკაცრად ვუთხარი მე.

მაშინ რა ვიციოდ, რამდენად ღირსი იყო მარტა ამ სასჯელისა. ვერც გავიგებდი, შემთხვევას რომ არ ეშველა. იმავ დღეს, კარგა დაღამებულზე, ჩემი დიდი და ზედამხედველი ბორმანი გაცოფებულელები მოკვივდნენ ჩემთან.

— ანი, — მითხრა პასემ, — იმ იდიოტურ გადაცემაში ისევ ახსენეს ჩვენი გვარები.

— რა გადაცემაში?

— განა არ იცით? — ხმა ჩაეხლიჩა ბორმანს, — „ვეროპის ჯოჯოხეთში“.

არ ავლელვებულვარ, უბრალოდ ცნობისწადიღმა ამიტანა.

— რა... რასთან დაკავშირებით? — ვკითხე.

ბორმანმა ისე შემომხედა, თითქოს მის წინ გიჟი მდგარიყოს.

— უკანასკნელ სელექციასთან დაკავშირებით, ზედამხედველო ფრანც.

გულმა რეჩხი მიყო.

— იციან კი? ესეც იციან?

— იციან. თანაც დაწვრილებით, — გაეცინა ბორმანს. — თქვენც გახსენეს.

— მეც? — ჩემი ხმა ვეღარ ვიციანი.

— თქვენც, თქვენც! პასე, ერთი უამბე!

— პო, ანი. ასე თქვეს, სელექციაში პირველად მიიღო მონაწილეობა ნინოთების საწყობის რაზმის მეთაურმა, ზედამხედველმა ანა ლიზა ფრანცმაო! სულ მამაკაცების ბრალია! — შეჰყვირა პასემ. — რამდენჯერ მითქვამს, ქალთა ბანაკში მამაკაცები არ გააჰყვანოთ! ბართების გადაცემისათვის ბუნკერი და სახარზობელა მიუსაჯეთ-მეთქი.

ხმა არ ამომიღია, როცა წავიდნენ, ჩანთიდან ის წერილი ამოვიღე. გამადიდებელი შუშით სტრიქონ-სტრიქონ, ნელ-ნელა წავიკითხე. ბოლოს, სულ ქვემოთ, უკანასკნელ სტრიქონში „რაზმი“ და „ანა ლიზა ფრანცი“ ამოვიკითხე. თვალს არ ვუჯეროდი, მაგრამ იქ სხვა ნაცნობ სიტყვებსაც წავაწყდი: „პასე“, „ბორმანი“. „სელექცია“ რამდენიმეჯერ მეორედვოდა. ციფრებიც იყო. დიახ, ალბათ გაზის კამერაში გაგზავნილთა რიცხვი. აი, თურმე რა მქონია ხელთ! მაგრამ რადიოგადაცემაში რა გზით მოხვდა, თუკი... იმავე წუთს მოვისახრე. ეს ხომ ასლი იყო! ბანაკში დათქმულ ადგილებზე ალბათ რამდენიმე ასეთი წერილი დააგდეს. იმ ორმა აიღო: კაპო ვერნერმა და პოლონელმა. შულკი რომ დაინახეს, გადააგდეს და ტალახში ჩასრისეს. დედანი კი დანიშნულ ადგილას მოხვდა. მაშასადამე, კვალს წავაწყდი! არა, წერილი მარტას დაწერილი არ იყო, ოღონდ მან შინაარსი იცოდა და შეგნებულად მომატყუა. კვალს მივაგენი, მაგრამ... ძალა აღარ შემწვედა. თავისუფალი ისაა, ვისაც დასაკარავი არაფერი აქვსო. ასე არ მითხრა? მაშ, მარტა თავისუფალია, თავისუფალი! თუმცა მის ირგვლივ მავთულღობე, ძაღლები და ესესელებია! მე რომ ეს წერილი გესტაპოში გადავცე, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გამაჩერებენ ბანაკში, ყოველ შემთხვევაში, ძიების დამთავრებამდე მაინც. მე კი ყელში მქონდა მოსული ყვილაფერი. გარდა ამისა, შეიძლება მეც ხიფათში ჩავეგდე. მარტა ხომ ჩემი

ზოფია პოსმიში

მგზავრი ქალი

„საყვარელი პატიმარი“ იყო. წერილმა ჩემი რაზმი მოიარა. ჩემი რაზმი ბანაკის არალეგალურ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. ჩემი და მარტას წასვლა კი უკვე გაფორმებული იყო. არა, ძალა აღარ შემწვედა ხლართი გამეხსნა და ეს დაბურღული საქმეები მომეწესრიგებინა.

რა ზიზღით მივდიოდი მეორე დღეს ბანაკში! მე უნდა გადამეწყვიტა რაზმის საკითხი და კიდევ ერთხელ შევბოდი მარტას. რად ვგრძნობდი თავს ასე უმწეოდ? ყველა საბუთი ხომ ჩემს ხელთ იყო.

თერთმეტ საათზე მარია მანდელის მიკრიკი ქალი მოვარდა.

— უფროსი ზედამხედველი გთხოვთ, ახლავე მოხვიდეთ.

მე ამას ველოდი. ჩემი პატაკი უთუოდ დააინტერესებდა. მთელი რაზმის კარცერში ჩასმა? ეს არც ისე ხშირი მოვლენა იყო.

უფროსმა მარტო ეს მითხრა:

— თქვენ პატაკს ხელი მოვაწერე. ამ საქმეს მიხედავენ.

მაგიდაზე ქაღალდები იდო და იმას ათვალიერებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მკითხა:

— გადაგითარგმნეს ის წერილი?

— რა თქმა უნდა.

უფროსმა თავი დამიქნია. მაგრამ ამ კითხვამ და თან ოფიციალურმა კილომ შემაშინა. პატაკში დავწერე: „ვიბოვე სატრფიალო წერილი და დამნაშავეს ჯიუტად მალავენ-მეთქი“. — პატაკი რომ წარვადგინე, წერილის ნამდვილი შინაარსი მაშინ კიდევ არ ვიცოდი. მერე გავიგე და... რა გასაკვირია, თუ პასუხისმგებლობის შემეშინდა. მაგრამ ვაითუ ახლა გამოააშკარავენ ყველაფერი? უფროსი ზედამხედველი ქაღალდებს ათვალიერებდა, ზოგს განზე დებდა. თითქოს განგებ მარილებდა თვალს. თავი ისე ეჭირა, შეკითხვა ვერ გავუბედე. მაგრამ საქაღალდეზე მაინც ვაგარჩიე წარწერა: „ნივთების საწყობი“ და გული უარესად გადამიტანდა. ვთხოვე, ერთი წუთით გამიშვიტ-მეთქი. არ მეგონა, თუ გამიშვებდა. პასუხად რომ გავიგონე, ოღონდ

დიდხანს არ დაახანოთო, თითქმის გამიკვირდა. საპირფარეოში შევედი და ერთხელ კიდევ დახვადე წერილს. მერე კი ნაკუწებად ვაქციე.

უფროსი ზედამხედველის კაბინეტში უკვე ბანაკის კომენდანტი და ფერდ-კარგული, აღელვებული ტრუდა ვენიგერი დამხვდნენ.

— იცით, რაზეა ლაპარაკი? — მკითხა უფროსმა: — თურმე თქვენს რაზმს ებრძელი ბავშვი გადაუმალავს და მერე ჩუმად გაუპარებიათ. აქამდე ვერ მიაგნეს მის კვალს.

ტანში გამაცია. აი თურმე რა ყოფილა.

მე არ მიამბნია, ვალტერ, შენთვის, ვერ მოვასწარი, რომ ოსვენციმის საშინელებათა შორის ყველაზე საზარელი ბავშვების დახოცვა იყო. ეს ყველაფერს აშარბებდა. იმასაც კი, თუ რა დღეში ჰყავდათ ბავშვები. მაგალითად, ერთხელ ვნახე, როგორ ამოუშანთეს ძუძუმწოვარა ბავშვს ხელზე ნომერი. ვნახე, როგორ გლეჯდნენ დედას მკერდიდან შვილს, ეგრეთ წოდებულ საოჯახო ეშელონებით ჩამოსულთ, პოლონელებს და რუს დედებს. მათ ისე ჰყავდათ ბავშვები გულში ჩაკრული, რომ ძალით უნდა გამოგეგლიჯათ ხელიდან. ქალები დამთხვეული ცხოველებივით იქცეოდნენ. მათი ღმუილი კარგა ხანს აყრუებდა მთელ ბანაკს. თუმცა თვითონაც კარგად უწყობდნენ, მათ შვილებს სიკვდილი არ ელოდათ. ბავშვებს საბავშვო სახლებში ავზავნიდნენ. დედებსაც უნდა ვახარებოდათ ეს. ოსვენციმი მართლა არ გამოდგებოდა ბავშვებისათვის. ერთი-ორი თვის შემდეგ მაინც ბალღინჯოების მსხვერპლნი გახდებოდნენ. ბალღინჯოებს ვერაფერს ვუხერხებდით. ასეთი წამლები ჩვენ სად გვქონდა. ბალღინჯოები პირდაპირ სისხლს სწოვდნენ ბავშვებს. სხეული სულ დაღუღუღებული ჰქონდათ. ღუღუღოები სივდებოდა, ჩირქდებოდა... მაგრამ ეს საზარელი, ეს კოშმარული სურათი, როცა დედებს შვილებს ართმევდნენ — უფროს ზედამხედველსაც კი არაერთხელ ცრემლით ავსებია თვალები — არ შეედრებოდა

იმას, რისი მოწმეც ებრაელთა ეშელო-
ნების ჩამოსვლისას ყოველ ცისმარე
დღე ვიყავი.

ზოგს გერმანელ ბავშვებში ვერც კი
გამოარჩევდი, ისეთივე ქერა, სწორი
თმა და ისეთივე ცისფერი თვალები
ჰქონდათ. თვალს ვერ ვაცილებდი, რო-
ცა ბალახებში კოტრილობდნენ, ბურ-
თაობდნენ, ცელქობდნენ. ვერა, ვერ
ვწყვეტიდი თვალს. აღარ შემეძლო მათი
ჰყიპინის, სიცილის, ყრიაშულის, ტირი-
ლის გაგონება. ჩვენს შესახებ სიმართ-
ლეს ვერასოდეს ვერავენ შეიტყობს,
ვალტერ. განა გამიგებ, რას ვგრძნობდი
ამ ბავშვების შემყურე? საზედნიეროდ,
მარტას გარდა ეს არავინ იცოდა. იმი-
ტომაც გაბედა და...

იმ დღეს კვირა იყო. მზე კაშკაშებდა.
რა ლამაზი სანახავი იყო კრემატორიუ-
მის უკან არყის ჭალა. ქალთა ბანაკის
ჭიშკართან ორკესტრი უკრავდა. აი, იმ
სიმღერას, ბარში რომ იმღერეს, ვალ-
ტერ. მარტა ჩემს გვერდით იდგა — მა-
შინ ჩვენ ჯერ კიდევ არ გეძულდა ერთ-
მანეთი ასე საშინლად — იდგა და რკი-
ნიგზის ლიანდაგის გასწვრივ მომავალ
ხალხს გაჰყურებდა. ახალი ეშელონი
ჩამოდგა. ხალხი ტაატით მოდიოდა და
ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იტყი-
რებოდა. ზოგი იმ მელოდიასაც სტვენ-
და, ორკესტრი რომ უკრავდა. საუცხოო
კოლორატურული სოპრანო კი არაკრა-
კებდა: „მინდა, რომ მუდამ მიჯნური
ვიყო, ვსვა და ვიმღერო, ვსვა და ვიმ-
ღერო“. ხალხი ბლომად ჩამოეყვანათ.
უფრო ქალები და ბავშვები ჰქარბო-
დნენ. საბავშვო ეტლები კი... ღმერთო,
რამდენი იყო... და ყველა კრემატორიუ-
მისაკენ მიგორავდა. იქ უკვე ბოლი ამო-
დიოდა. მერე კი, მერე... ცარილეებს
ჩვენს საწყობში ხელისკვრით შემოაგო-
რებდნენ. იმ დღეს ეშელონთან ზედა-
მხედველი ვენიგერი მორიგეობდა. უფ-
როსები იმასაც კარგი თვალით უძქე-
როდნენ. ვენიგერი ჩემთან მეგობრობდა.
სამთავემ — ტრუდამ, მარტამ და მე —

დავინახეთ, როგორ ჩაგვიქროლა თავდა-
ხურულმა საბავშვო ეტლმა. სხვა ეტლ-
ბიც ხომ იყო, მაგრამ რატომღაც თვალ-
ში ის ერთი მოგვხვდა.

— იქ ბავშვი უნდა იყოს, — გაეცინა
ტრუდას, — ალბათ ვილაცამ გამოაპარა.

— ნუ სულელობ, — ვუთხარი მე, — მა-
გის შნო მაგათ ვინ მისცა? სისულელია.
მარტამ ერთი ამომხედა.

— წავალ, ვნახავ, — თქვა მან.

მე თავი დავუქნიე.

— გაიქეციო... მერე ზედამხედველ
ვენიგერს მოახსენეთ.

ტრუდამ თვალი დამაშტერა:

— ძალიან კი ენდობი ამ ქალს.

არ მესიამოვნა.

— იმაზე მეტად არა, რასაც იმსახუ-
რებს, — მივუბე გულგრილად, — თუ-
ცა ახლა შენ მორიგეობ, წადი და შეა-
მოწმე. აბა, შენ იცი!

ტრუდამ ისევ ყოყმანით შემომხედა.
იმავ წუთს ჩვენ... — არა, მე, მარტო
მე — ჩვილის სუსტი ტირილი მომესმა.
მაგრამ არა, ალბათ მომეჩვენა. ბავშვს
რომ ეტირა, ტრუდა ხომ კისრისტეხით
გაიქეციოდა... იგი ხომ სამსახურში მუ-
დამ დიდ მუყაითობას იჩენდა. ახლა კი
ფეხს არ იცვლიდა და ისე მიყურებდა,
თითქოს ჩემში რაღაც საინტერესო აღ-
მოაჩინაო. მხოლოდ რამდენიმე წამის
შემდეგ გადაწყვიტა:

— კარგი, წავალ და ვნახავ.

მაგრამ მარტა უკვე ბრუნდებოდა.
ნელა მოდიოდა, ხელში ბავშვივით აეტა-
ტებინა რაღაც. მე სუნთქვა შემეკრა.

— ინებეთ, ესეც თქვენი ზონდერ რაზ-
მის! ბრიყვეული ოინი, — მითხრა და
შეხვეული მომაწოდა.

მე შევეკრთი, ტრუდამ გადაიკისკინა.
მარტას ხელში დედოფალა ეჭირა.

წამით მე და ამ „ნომერმა“, ამ მონამ,
თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს.
შიშმა ამიტანა. ისინი ხომ ყველაფერს
იკადრებენ! ახლა ეჭვი სულ გამიქრა.
ვინ იცის, ეს დედოფალა მართლა იყო
იმ ეტლში, ან იქნებ მარტამ იქ დაყრილ

1 პატიმართა განსაკუთრებული რაზმი, რო-
მელიც კრემატორიუმს ემსახურებოდა.

სათამაშოებიდან აიღო. მე გარკვევით შემომხსმა ტირილის ხმა. დრო კიდევ იყო, ეს უსიტყვო შეთქმულება ჩამეშალა, ამ ქალისთვის ჭკუა მესწავლებნა, დედოფალით ხელში წინ რომ მედგა და თვალსა და ხელს შუა მატყუებდა, დამემტკიცებინა ვენიგერისთვის, რომ მარტას იმაზე მეტად არ ვენდობი, რისი ღირსიც იყო. მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ ესა ვთქვი:

— გამოართვი, ტრუდა, შენი „შვილიკო“. წესით შენია და შენ გეკუთვნის. განა ტრუდა მოვალე არ იყო ბარაკის ბოლოში წასულიყო და ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა? მაგრამ არა, შეფუთული თოჯინა ჩამომართვა და საბანო სიცილით გახსნა, თითქოს ოსვენციში მარტო იმიტომ ჩამოსულიყო, დედოფლობა ეთამაშა.

ახლა კი ამ ქალს ჩემი დაღუპვა გადაეწყვიტა. სხვა გზა არ მქონდა. კიდევ ერთხელ უნდა მეხსნა მარტა.

— მარტაო? — გაუკვირდა ვალტერს. — მე მგონი, პირველ ყოვლისა, ამით შენი თავი უნდა გეხსნა.

— ჩემი ხსნა ეს მარტას ხსნა იყო, ეს ბავშვის ხსნა იყო, და კიდევ ბევრი სხვა ვინმესი. მარტამ უემპეელია იცოდა, სად იყო ბავშვი. გესტაპოში რომ წაეყვანათ...

— აქამდე ბავშვზე არაფერი გითქვამს, — ჩუმად ჩაილაპარაკა ვალტერმა.

— ვერ მოვასწარი. თუმცა, მართალი გითხრა, ახლალა გამახსენდა. მოკლედ, უფროს ზედამხედველს რაც შემეძლო მშვიდად გუპასუხე:

— ჩემს რაზმში? აქ რალაც გაუგებრობაა.

— არა, — შოლტივით მომწვდა უფროსის ხმა, — ზედამხედველი ვენიგერი მაშინ მორიგე იყო და არ უარყოფს, რომ შეიძლებოდა ეს მომზადარიყო.

— თუ ზედამხედველ ვენიგერს მიაჩნია, რომ მისი მორიგეობის დროს შეიძლება...

— აბა, გაიხსენე! — გამაწყვეტინა ტრუდამ. — შენც ხომ იქ იყავი. მე მაშინვე გითხარი, იმ დახურულ ეტლში

ბავშვი-მეთქი, შენ კი... იმან დედოფალა მოიტანა და შენც...

ტრუდას მღელვარებისაგან ვერცხედივს და. წუთის დაყოვნებაც არ შეიძლებოდა.

— არა, არ მახსოვს. არც დახურული ეტლი, არც დედოფალა არ მახსოვს. ჩემსობას არ შეიძლება მსგავსი რამ მომზადარიყო.

— ენა როგორ გიბრუნდება! — მეცა ტრუდა.

— მე სავესებით ვენდობი ზედამხედველ ფრანცის სიტყვებს, — მიუბრუნდა უფროსი ბანაკის კომენდანტს. — მოგახსენებთ, რომ რაზმში მას რკინისებური დისციპლინა აქვს...

ამ სიტყვებზე უფროსმა ქალადების დასტა გაუწოდა კომენდანტს. ეს დასტა... — ღიზა წუთით შეჩერდა, მერე ისევ განაგრძო: — კომენდანტმა ხელი ჩამომართვა...

— ის რა დასტა იყო? — ჰკითხა ვალტერმა.

ღიზამ პასუხი დააყოვნა: — ჩემი... პატაკი. უფროსმა ის-ის იყო ხელი მოაწერა.

— აკი თქვი, დასტაო.

— შემცდა.

ვალტერმა დიდხანს არ მოაშორა თვალი. მერე წყნარად თქვა:

— და იმ ერთმა ქალადმა სასწორი ერთბაშად შენს მხარეზე გადასწია? მას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ყველა ეჭვი ჩამოგაცილა? ან იქნებ ვცდები? იქნებ არ ჩამოგაცილა?

ღიზამ ყური არ ათხოვა მის სიტყვებს.

— ჰო. ბანაკის კომენდანტმა მადლოზა გადამიხადა მუშაობისათვის და ახალ ადგილზე წარმატება მისურვა. მაგრამ, როგორც იცი, იქ მე აღარ გავმგზავრებულვარ. ჩემს დას ბერლინში გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა და გათავისუფლება მომიხერხა. მე უკვე აღარაფერში გამოვდგებოდი. ოსვენციმმა ბოლო მომიღო.

— იმ ვენიგერს რა ზედი ეწია?

— ვერ გეტყვი. კაბინეტიდან გამოსვლისას მისი ტირილი მომესმა. შემეცოდა კიდევ. მაგრამ ვისი ბრალი იყო?

რა ეგონა, ის დედოფალა რომ დაიტოვა და დივანზე წამოასკუბა? თან ყველასთან ენა წაიგდო, ებრაელი ბავშვის სანაცვლოდ მივიღე და მოგებულაც დავრჩიო. ახლა ჩემი დაღუპვაც მთინდომა. და მაინც ძალზე უსიამოვნო გრძნობა დამიტოვა იმ ამბავმა, ჩემი თავი ღამის შემოზიზღდა. აღარ შემეძლო კანტორაში უდომა, მარტას გაქვავებული სახისა და თვალების ცქერა. თერთმეტ საათზე რაზმს გამოვუძახე:

— უკანასკნელ საშუალებას გაძლევთ. პატაკის უკან დაბრუნება კიდევ შეიძლება.

შემზარავი დუმილი გამეფდა. ერთმა ქალმა ვეღარ აიტანა და აქვითინდა.

— ჩვენ მართლაც არ ვიცით...

— რა გაეწყობა, — ვთქვი მე. — არ დაიშალოთ. თხუთმეტი წუთის შემდეგ რაპორტფიურერი მოვა. — შემდეგ მარტას შევხედე და ზუსტად ისე, როგორც მაშინ, სელექციის დროს, ვუთხარი: — წადით სამუშაოზე!

მარტამ თვალებში შემომხედა. დიახ. თვალებით გამანადგურა.

— მე რაზმში ვმუშაობ, ფრაუ ზედამხედველო, — მითხრა წყნარად.

წერილი გამახსენდა.

— მაგას ჯერ კიდევ ვნახავთ.

მარტა პირველ მწკრივში დარჩა. ფანჯრიდან დავინახე, როგორ მოვიდა რაპორტფიურერი და გამჭირდავად რაღაც უთხრა პატიმრებს.

— ერთი წუთით ჩემი მწერალი გამომიგზავნეთ, — დავუძახე მე მას.

მარტა ნელა მოწყდა მწკრივს. ფეხები უკან რჩებოდა. წინ დამიდგა გაჭიმული. მე გონი მოვიკრიფე და თავს ძალა დავატანე...

— მშვენივრად იცით, რომ რაზმზე ასჯერ მეტი ბრალი მიგიძღვით და სასჯელის ღირსი ხართ. მთა, ყვავილები თუ სხვა რამ სისულელეები იქნებ კი გიწერიათ სხვა წერილებში, მაგრამ იმ... იმ წერილში სულ სხვა იყო. როგორც მოგეხსენებათ, საამისოდ ბუნკერში აყუდებენ. თქვენ იქ ერთხელ უკვე ბრძანდებოდით. აირჩიეთ: ან ბუნკერი, ან რაზმის

დატოვება და ჩემთან ერთად წამოსვლა დაფიქრებისთვის ხუთ წუთს გაძლევთ.

მარტა წუთითაც არ დაფიქრებულასა — მე რაზმის წევრი ვარ, ფრაუ ზედამხედველო.

ჩემს პასუხს აღარ დაელოდა, გატრი-ალდა და წავიდა. წუთიც და პირველ რიგში მიაბიჯებდა. ცხვირსახოცის ამოსაღებად ჯიბეში ხელი ჩავყავი. პატარა, ცივი საგანი მომხვდა, ამოვიღე და რაც შემეძლო, შორს გადავისროლე.

კაიუტაში აღიონმა შემოიჭყიტა. იმ დამეს ლიზასა და ვალტერს თვალი არ მოუხუჭავთ. ეს ბოლო საათები უბრად გაატარეს. „აი, ვალტერმა პაპიროსი გააბოლა, აი, ბოთლს ეძებს სიბნელეში. ისევ კონიაკს სვამს“, — შიშით ფიქრობს ლიზა, მაგრამ ვერაფერს ამბობს, ლაპარაკი არ შეუძლია, უნდა უცადოს მხოლოდ, განაჩენს უცადოს. ქუთუთოები დაუსივდა და ეწვის, „ნეტა დამეძინოს“ — ფიქრობს იგი. ძილის წამლის დაღვევას რა უნდა, მაგრამ განძრევის ეშინია, ვაითუ ვალტერმა ახლავე გამოუტანოს განაჩენი, დაძინებისაც ეშინია, ვაითუ ძილში რამე გამოეპაროს. ასე ჰგონია, თუ ფიზიკად იქნა, ვალტერის ფიქრებს როგორღაც შეებოჭავს. მიხურულ ილუმინატორში მზის პირველი სხივი შემოსრილდა. ლიზამ სავარძლის ზურგზე გადადებული თავისი საღამოს კაბა დაინახა. გაოცდა, ნუთუ ეს ჩემი კაბააო, ვეღარ წარმოედგინა, თუ ოდესმე ხალხში, საზოგადოებაში ტრიალებდა, საღამოს კაბას იცვამდა.

კაპიტანს წყენა დაეტყო.

— მე კი რა იმედი მქონდა, თქვენს მეუღლესთან კვლავ ვიცეკვებდი ჩვენს მეჯლისებზე... იქნებ ჩვენმა ექიმმა უშველოს რამე?

— არ მინდა რისკი გავწიო. ერთხელ ასე ვიმოგზაურეთ, ზღვაზე ნიავეი არ ქროდა და მაინც სიყვითლე გამოაჩნდა.

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

— ცხადია, ცხადია, — კაპიტანი მიუხვდა, რისიცი ეწინოდა ვალტერს. — რაკი ასეა, ამ ნახევარსფეროში უკანასკნელი სადგური ლისაბონია. მერე კი...

— ველარავინ იტყვის, გააჩერეთ, უნდა გადმოვიდეთ, — გაელიმა ვალტერს.

— სწორედ, სწორედ.

— ხომ არ იცით, კაპიტანო, დაახლოებით როდის მიფრინავს ლისაბონიდან თვითმფრინავი, ან რამდენი ეღირება მგზავრობა? იცით... მე სამუშაოდ მივდივარ, ამიტომ ჯერჯერობით საზღვარგარეთულ ბანკებში ანგარიში არ მაქვს გახსნილი. საგზაო ფული კი მომცეს, საკმაოდ ბლომადაც, მაგრამ ეს უეცარი ამბავი...

— მესმის, ყოველივეს ახლავე დაგიზუსტებთ, რომ მერე არაფერზე შეწუხდეთ.

— საოცრად თავზიანი ბრძანდებით.

— სულაც არა, — გაელიმა კაპიტანს. — უბრალოდ, ჩვენი გემების კომპანია მგზავრების დიდი ნდობით სარგებლობს, ეს კი ჩვენც ვალდებულს გვხდის მათ წინაშე. მამ ასე... — კაპიტანმა ცნობარში ჩაიხედა. — ლისაბონიდან თვითმფრინავი რიოსაკენ ორი დღის შემდეგ მიფრინავს. მაშასადამე, სასტუმროს, სამი დღის საჭმლისა და, რა თქმა უნდა, თვითმფრინავის ბილეთის ხარჯი უნდა ვიანგარიშოთ. რაკი კომპანია თქვენი მეუღლის ბილეთის ღირებულების ნაწილსაც დაგიბრუნებთ, დაახლოებით ორას დოლარს იზარალებთ.

— ჰოო, — ჩაფიქრდა ვალტერი, — ამას, მგონი, გავწვდები, თუკი...

— თუკი სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი არ გამოტყვრა?

— დიახ, დიახ! მოდით, ასე მოვიტყუო, გცადოთ და ჩვენი ნომერი...

— თქვენთვის ერთადგილიან კაიუტაზე გავცვალოთ, არა?

— სწორედ მაგას ვფიქრობდი.

— ო, ეგ იოლი სამსახური გახლავთ. ახლავე რადიოგრამა მივცეთ და პასუხს ნახევარ საათში მივიღებთ.

— დიდად მაღლობელი დავრჩები!

— მიხარია, რომ ცოტათი შენც დაგეხმარეთ. თქვენი მეუღლე მომდევნო-
ვსკენსაღი
გინდოთყუქა

— გმადლობთ.

ვალტერი კაიუტაში დაბრუნდა.

ლიზა ისევ იდგა ილუმინატორთან, როგორც გუშინ ვალტერი, თავი არ მოუბრუნებია. მზის სხივებზე თმა ოქროსფრად უპრიალებდა. უძრავად იდგა და ზღვას გაჰყურებდა. უეცრად იგი ისე ძლიერ შეკრთა, რომ ვალტერს გული შეეკუმშა. ვერ მიმხვდარიყო, ქალი ასე რამ შეაშინა. თუმცა მალე იაზრა, რაშიც იყო საქმე, რადგან ილუმინატორის წინ სწორედ იმ ძაღლმა ჩაირბინა, მაშინ გემბანზე რომ იყო. „ემმაკმა დალახვროს! ნეტა ისეთს რას აკონებს ეს ძაღლი?“ — გაიფიქრა ვალტერმა და იმავე წუთს მიხვდა, რომ თვითონაც ძლიერ შეცვლილიყო. იმ სინამდვილეს, ირგვლივ რომ ეხვია, ახლა მრისხანედ ეცვალა იერი. ყოველმა საგანმა, აქამდე ჩვეულმა და შეუნიშნავმა, თითქო უეცრივ გამაოამხურა თავისი იდუმალი ბუნება. ვალტერი მიხვდა, რომ ამიერიდან მისთვის ყველაფერი ორაზროვანი და საეჭვო გახდა.

— კაპიტანი ძალიან შეწუხებულია შენი ავადმყოფობით. ექიმის გამოგზავნას აპირებდა.

ლიზა მისკენ შეტრიალდა:

— იმედი მაქვს, აუხსენი, რაშიცაა საქმე.

— კი. ისიც ვუთხარი, რომ გადავწყვიტეთ თვითმფრინავზე გადავჯდეთ-მეთქი.

— თვითმფრინავზე? — თვალები გაუზრწყვინდა ლიზას.

— რამდენიმე საათში ლისაბონში ვიქნებით, — ვალტერი თვალეებში არ უყურებდა. — მე მგონი, ყველაფერს სჯობია გემიდან ჩასვლა.

— ჩასვლა? — ლიზა გამოცოცხლდა. — რა თქმა უნდა, ვალტერ. უფრო ჩქარაც მივალთ.

— ჰო, შენ უფრო ჩქარა მიხვალ.

— მე? რას ნიშნავს ეს? შენ კი?

— განა ვერ მიხვდი? — გაოცდა ვალტერი, — მე აქ, გემზე დავრჩები.

— მარტო? უჩემოდ? მე კი მეგონა...

— ფული არ გვეყოფოდა და...

— მარტო მე? — გაიმეორა ლიზამ, — რა უნდა გქნა იქ შენს ჩამოსვლამდე?!

— ლისაბონიდან ტელეგრაფმა გავფუგავანოთ შენს დას. ის რიოში დაგხვდება. შენ მასთან დარჩები, ვიდრე...

— ერთად რატომ არ უნდა გავფრინდეთ? ეგ ტყუილია, რომ ფული არ გვეყოფა!

— გამიგონე, ლიზა, — ვალტერს ნერვიულობა დაეტყო. — პირველ ყოვლისა მინდა, რომ სიმშვიდე არ დაკარგო.

— კარგი, — მოულოდნელად ცივად თქვა ლიზამ. — მას ასე, შემდეგ როგორღა მოვიტყეო?

ვალტერმა ოდნავ შესამჩნევად ამოიოხრა:

— შენ ლისაბონში ჩახვალ, ღამეს სასტუმროში გაათვე, ორი დღის შემდეგ თვითმფრინავზე დაჯდება... შემდეგ რიოში ჩახვალ. იქ შენი და... ჰასე დაგხვდება.

ვალტერი შეჩერდა, ლიზამ საქმიანად დააბოლოვა:

— მე ჰასესთან მივდივარ და... იქ ვრჩები. — ერთ ხანს იყუჩა და მერე დასძინა, — შენს ჩამოსვლამდე, არა?

ვალტერი შეაცბუნა ლიზას ჯიქურმა მზერამ.

— ჰო, — თქვა მან ყოყმანით.

— მესმის.

— ხომ ხედავ.

— მე მეტი მესმის, ვინემ შენ გგონია.

ვალტერმა წაუყრუა. ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ მყისვე თვალი აარიდეს. ერთსა და იმავე დროს სიგარეტებს მისწვდნენ. ლიზას ეგონა, ვალტერი ასანთს მიაწოდებდა, მაგრამ, ეტყობა, იმას ზრდილობის წესი დავიწყებოდა. ვალტერმა სიგარეტს მოუკიდა და ილუმიანტორს მიადგა, ცოლს ზურგი აქცია. ლიზამ ასანთი აიღო, ხელი უკანაკალებდა.

— მე ერთი მიკვირს, — თქვა დუმილის შემდეგ, — რა იოლად გამოგდის ყველაფერი.

— მაინც რა?

— რა სწრაფად აიღე ყველაფერი ხელი.

ვალტერი მისკენ მიბრუნდა.

— შენ ასე გაიგე? სულ ტყუილად. მე მხოლოდ ჩინიდან გამოსავალი ვიპოვე. მეტი არაფერი.

— შემდეგ რა?

— ამ ხნის განმავლობაში მოვიფიქრებ. ვიცი მხოლოდ, რომ „ჰოს“ გადაწყვეტ თუ „არას“ — ჩემთვის ორივე ძნელი იქნება.

— ეს საშინელებაა. განა გუშინ არ იყო...

— ლიზა, — გააწყვეტინა ვალტერმა. — გუშინ მე ვთქვი, უნდა შევეცადოთ და დავივიწყოთ-მეთქი. მაგრამ დღეს მდგომარეობა შეიცვალა.

— განა დღეს გუშინდელზე უფრო დამნაშავე ვარ? საერთოდ, არც ვარ დამნაშავე! მე მხოლოდ...

— კარგი ზედამხედველი იყავი და პატიოსნად იხდიდი შენს პატრიოტულ ვალს, არა?

— მეც შენსავით მინდოდა, კარგი გერმანელი გყოფილიყავი.

ვალტერმა გულწრფელი გაოცებით შეხედა.

— დავიჯერო, განსხვავებას ვერ ხედავ?

— ვერა! ამ თოთხმეტი წლის მანძილზე ერთხელაც არ დაინტერესებულხარ, რას ვაკეთებდი. ახლა კი გინდა მიმატოვო. მიმატოვო იმ მიზეზის გამო, რაც შენთვის საერთოდ არ არსებობდა! მე ამას ვერ შევეურიგდები! ასე რომ მოხდეს... მას მარტა მართალი ყოფილა, როცა მითხრა, ოდესმე შენც მიხვდები.

— რას? — თითქმის ჩურჩულით ჰკითხა ვალტერმა.

— რომ თავისუფალი ის არის, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვსო. ნუ დამარწმუნებ ამაში, — ლიზას ხმა აუკანკალდა, — მაშინ, მხოლოდ მაშინ დავმარცხდები და გამარჯვება მას დარჩება!

— ლიზა... — შეძრწუნდა ვალტე-

ზოფია პოსმიში

მგზავრი ქალი

რი, — მე ხომ არაფერი გადამიწყვეტია. მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ იმ ამბების შემდეგ ერთად ცხოვრება ისე გაგვიჭირდება, როგორც... ჩემი ცხოვრების პროგრამა...

— შენი პროგრამა! — შეპყვირა ლიზამ. — რატომ იყავი გაჩუმებული, როცა მსოფლიო ჩვენ გვიკუთვნოდა? განა ჩვენი მოწინააღმდეგეებივით საკონცენტრაციო ბანაკში იჯექი?! განა ხმა აღიმალღე იმ სისაძაგლეთა წინააღმდეგ, რაც ხდებოდა?! რას აკეთებდი შენი პროგრამის მიხედვით?

ვალტერმა ძალიან ჩუმად თქვა:

— განა ცოტაა დარჩე ნამდვილი ადამიანი იმ ეპოქაში, როცა სხვები ერთმანეთს არააღამიანობაში ეჯიბრებოდნენ? შენ მე მსჯავრი დამდე, — ვალტერს გაეღიმა, — სასაცილოა, რომ სწორედ შენ დამდე მსჯავრი და დამდე იმიტომ, რომ შენი წარსული არ გამოვიძიე. იქნებ მართალიცა ხარ? ჰო, მაგრამ მე მიყვარდი. ვიფიქრებდი კი ოდესმე, რომ მაგ ხელეგმა სელექცია ჩაატარეს? ეშმაკმა დალახვროს, სიტყვაც როგორ ჟღერს, — სელექცია! — ვალტერმა იყუჩა და მერე დასძინა: — მე მიყვარდი და შენ სწორედ ამას მსაყვედურობ.

იგი სავარძელში ჩაჯდა და თავი ჩაპკიდა. ლიზა ერთბაშად მოიკუნტა.

— მე მაიძულეს, ვალტერ, მე ვერ შევძელი გმირი ვყოფილიყავი.

ვალტერი არ განძრეულა.

— საოცარია, მაგრამ ეგ სიტყვები ძალზე მეცნობა. ნეტა მისტერ ბრედლისთვის ხომ არ მითქვამს მსგავსი რაღაც? კი, ვუთხარი. მხოლოდ იმიტომ, რომ შენსავით მეც ვიძახდი: გმირად არა ვარ დაბადებული-მეთქი. შენთან პატიმრად არ მოვხვდი, ნიშნავს კი იმას, რომ.. რომ შესაძლოა მე შენს გვერდით იმავე როლში ვყოფილიყავი?

ლიზამ თავი ველარ შეიკავა და დივანზე ქვითინით დაემხო.

— ვალტერ, ვალტერ... — იმეორებდა იგი.

ვალტერი ადგა და კარისაკენ გაემართა, თითქოს გაქცევა უნდაო. მაგრამ

კაიუტიდან არ გასულა, შეჩერდა და ვედრებით თქვა:

— ლიზა, ნუ გაართულებს ^{საქონლის} დამიჯერე, მეც ცუდ დღეში ვარ. მე მეგონა, კარგი გერმანელი ქალიშვილი ვითხოვე, ვინც ომის წლებში ბევრი ტანჯვა იწვნია-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, რომ შენ ესეული იყავი? საშინელია, ასე მოტყუედე. თუმცა ხომ შეიძლებოდა, უარესიც მომხდარიყო. ხომ შეიძლებოდა, რომელიმე პასესა თუ ელზა კოხს გადაგყროდი. იმ ხელებს, სელექცია რომ ჩაატარეს, დაღი არ დარჩენია. ხომ შეიძლებოდა, ის ხელები მე მომხვეოდა. ეშმაკმა დალახვროს! შეიძლება ითქვას, მთლად არ გამწირა ბედმა.

ლიზა ვალტერს მივარდა.

— შენს გარდა არავისი მსჯავრი არ მაშინებს; არავისი! გამკიცხე, მაგრამ არ მიმატოვო, ვალტერ!

— ლიზა... მე ნუ მთხოვ, მსჯავრი დაგდო. არ მინდა შენი მსაჯული ვიყო.

— განა მსაჯული არა ხარ? — უთხრა ლიზამ დუმლილის შემდეგ.

— სცდები, ლიზა. მე ჯერ... დამიჯერე...

— ვალტერ, ხელს ნუ მკრავ!

— არ ვიცი, — მოღლილი ხმით თქვა ვალტერმა და ლიზას ხელისაგან ხელი გაითავისუფლა. — ასე იქნება თუ ისე, შენ მანც ლისაბონში უნდა ჩახვიდე. თუ არ გინდა, რომ იმ ქალმა...

ლიზა ერთბაშად დაწყნარდა.

— კარგი, ჩავალ, — გააწყვეტინა მან, — მხოლოდ შენი ხატრით მოვიქცევი ასე. ხომ იცი, მე საშიში არაფერი მელის.

ლიზა ბარგის ჩალაგებას შეუდგა. გულდაგულ გასინჯა ტუმბები და უჯრები, ჩააწყო ტანსაცმელი. ფეხსაცმლის ჩასალაგებელი ცელოფანის პარკი სადღაც გამჭრალიყო. ეძებდა, ეძებდა და მონახა. მარტო წვრილმანებიღა დარჩა ტუალეტის მაგიდაზე. სწორედ იმათ ალაგებდა, როცა კარზე დააკაკუნეს. სტიჟარდი იყო.

— უკაცრავად, თუ შეიძლება... არ მინდა აქ დამინახონ, დღეს ტურისტებთან ვმორიგეობ, მაგრამ მე მგონია, ფრიალ მნიშვნელოვანი რამ უნდა...

— გისმენთ.

სტიჟარდმა ხმა დაიდაბლა:

— გავიგე, რომ ორმოცდამეხუთე კაიუტის მგზავრი ლისაბონში გადადის.

ლიზამ განცვიფრება ვერ დამალა.

— როგორ? თქვენ აკი თქვით, შორს მიემგზავრებაო...

— ეგრე იყო, მაგრამ ახლა გადასვლა გადაწყვიტა.

— ნამდვილად იცით?

— ნამდვილად. საუზმეზე მოვკარი ყური. ინგლისური კარგად მესმის. ლაპარაკობდნენ, შემდეგ გზას თვითმფრინავით განავრცობსო.

— ჰოო, — ძლივს თქვა ლიზამ. — მაგრამ ეს მხოლოდ შეიძლება ვარაუდი იყოს.

— მაპატიეთ. ყველაფერი შევამოწმე. ერთი საათის წინ ბარგის გატანა ითხოვა. ლისაბონში გადადის.

ვალტერი გემბანზე ბოლთას სცემდა. რამდენიმეჯერ ჰკითხა ოფიცერს, ლისაბონში მალე თუ მივალთო.

ბოლოს ჰოლში შევიდა და სავარძელში ჩაჯდა.

— მომიტანეთ ყაბა და პაპიროსები, — უთხრა მან სტიჟარდს.

ვალტერი დაილალა. აქ, ჩრდილშიც კი სტიკოდა თვალები, შავი სათვალე ხელახლა გაიკეთა.

ჰოლში ერთი წრიალი იყო. მგზავრები და მომსახურე პერსონალი ფუსფუსებდნენ. ჩემოდნები გამოჰქონდათ. ჩემოდნებს შორიახლოს აწყობდნენ და ვალტერიც ნება-უნებლიედ ათვალერებდა მათ, თვალში ერთი ლამაზი, ნაცრისფერი ჩემოდანი მოხვდა. ზედ სავიზიტო ბარათი მიემარებიათ. გვარი ვერ გაარჩია, სამაგიეროდ გემის დიდი ჟეტონი დაინახა. შავი ნომერი მკაფიოდ ჩანდა: ორმოცდახუთი იყო. წუთით გაუნძრევლად უტკივრა, მერე ადგა და მიუახლოვდა. „მისის მარტა...“ ამოი-

კითხა. გვარი მესხიერებაში არ ჩარბა, ჩვეულებრივი ინგლისური გვარი იყო. დაჰყურებდა და შავი სათვალეს მიჰყურებდა და გასამდა ეს სახელი.

— თქვენი ბარგი მოიტანეს? — ჰკითხა ჩემოდნების მომტანმა მეზღვაურმა. — ლისაბონში ჩაბრძანდებით?

ვალტერი გამოერკვა.

— არა. უბრალოდ ჩემოდანს დაჰყურებდი. ძალიან ლამაზია. ესენი... ესენი ლისაბონში ჩადიან?

— დიას. აქ ბევრი ჩადის.

ვალტერი დერეფანს გაჰყვა. ჯერ ჩქარა მიდიოდა, მაგრამ კაიუტასთან მიახლოებისას ნაბიჯი შეანელა. კართან გაჩერდა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო. სახელურს წაეტანა, მაგრამ არ გამოსწია. ასე იდგა ერთ წუთს, მერე მოწყდა, თითქმის სირბილით გაბრუნდა უკან. გემბანზე გავიდა და დახვეულ ტროსზე ჩამოჯდა. ციოდა, ქარი ქროდა. ვალტერი კი წამდაუწუმ ოფლს იწმენდა შუბლიდან. ფიქრებს წაეღო, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

— გაცოდებით, — დაუძახა ოფიცერმა და გვერდით ჩაუარა.

ვალტერი წამოდგა, ნელა გასწია კაიუტისაკენ. ლიზა სავარძელში იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. თავახლილი ჩემოდანი დივანზე იდგა.

— მზად ხარ? — ჰკითხა ვალტერმა.

— როგორც მხედავ.

— მაშ ასე... — ვალტერი დაჯდა და თვითონაც გააბოლა. — ლისაბონიდან პირველი რეისით გაფრინდები...

— არ ვიცი, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ლიზამ.

ვალტერს გაუკვირდა:

— რა არ იცი?

— არ ვიცი... გადავალ თუ არა ნაპირზე.

— არ იცი? ჩვენ ხომ...

— კაცმა რომ თქვას, გასაქცევი არაფერი მაქვს.

— მგონი, შევთანხმდით, რომ...

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

— მე მისი არ მეშინია, — განაგრძობ ლიზამ.

— არ გეშინია? ორი დღეა სხვას არაფერს აკეთებ... მიკვირს კიდევ. ახლა ორმოცდახუთი წელი არაა, როცა ყოფილ ესესელებს ცოფიანი ძაღლებივით დასდევდნენ.

— თუ მეშინოდა, შენს გამო მეშინოდა.

— ოჰო, ეს ახალი ვერსიაა. მაშასადამე, ჩემს გამო, არა?

— შენ კარგად იცი...

— ვთქვით, ვიცი, ახლა კი?

ლიზა დუმდა. ვალტერმა თითქმის ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— მესმის. შენ გინდა თქვა, რომ ახლა შეგიძლია ჩემთვის აღარ შეიწუხო თავი, ხომ? ჩინებულია. ეს მეც მათავისუფლებს. მაშასადამე, ლისაბონში არ ჩადიხარ?

ლიზა მიხვდა, რომ შეცდა, ხმა აუკანკალდა.

— ვალტერ, მომისმინე!

ვალტერი არ უსმენდა.

— თუ ასეა, მე ჩავალ. ჯერ კიდევ გვიან არ არის.

ვალტერმა თაროდან ჩემოდანი ჩამოიღო და ჰაიპარად ჩაჰყარა, რაც ხელში მოხვდა.

— ვალტერ! — მივარდა ლიზა და ხელები დაუჭირა. — შენ... შენ არ ჩახვალ! ეს არ შეიძლება! არა, არა!

ვალტერმა უხმოდ ჩამოიშორა ცოლი.

— ვალტერი! მომისმინე! — ევედრებოდა თავზარდაცემული ქალი. — მე ერთი ამბავი გავიგე. ეს ყველაფერს სცვლის.

— რა ამბავი?

— მე გაქცევა აღარ დამჭირდება. ის ქალი თავად ჩადის ლისაბონში!

ვალტერს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა.

— ჩემი აზრით, ეს არაფერს არ ცვლის! — უთხრა ბოლოს. — არ ცვლის იმასაც, რაც შენ ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნია. ლისაბონიდანაც შეუძლია ყველას, მთელ ქვეყანას ამცნოს: „გფრ-ს მთავრობის ახლად დანიშნული წარმომადგენელი, დოქტორი ვალტერ

კრემერი თავისი მეუღლით, ყოფილი ესესელით...“ ეს ცნობა რიოში შეიძლება ჩვენზე ადრე ჩავიდეს. ჩვენ უნდა ცალ-ცალკე უნდა ვიმგზავროთ.

ლიზა თითქმის სიბრაღულით შეჰყურებდა ქმარს.

— რას მოგვცემს ეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავშორდებით?

— კვალს არეგს, გარდა ამისა, თუკი ყველაზე საშინელი რამ მოხდა, უფლება გვეძლევა მისი ცნობები უარყუთ.

— შენ ერთში სცდები: ის ლისაბონში არ დარჩება.

— განა არა თქვი, რომ...

— არა. ის თვითმფრინავით აგრძელებს გზას. მე მგონი, სწორედ იმ თვითმფრინავზე მოახერხებს დაჯდომას, რითაც ერთ-ერთი ჩვენთაგანი გაფრინდება. ვინ იცის, იქნებ მას ხელს ეს უფრო აძლევს, რომ თვითმფრინავით შენ გაფრინდე.

ვალტერმა კვლავ ილუმინატორისკენ იბრუნა პირი.

— ყური მიგდე, ვალტერ, — ლიზას ხმაში კვლავ მუდარა გაისმა. — გამოსავალი ერთია: გემზე დაგრჩეთ. ლისაბონის მერე მშვიდად ვიქნებით, მთელი სამი კვირა. იქ კი, თუ მაინცაღამაინც მოინდომა, ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ მე, მე ვარ. ამას ვერ დაამტკიცებს, ახლა ის ქალი ჩადის, ჩვენ გადავრჩით.

ვალტერმა ისე შეხედა, რომ ლიზას სახე მიტკალივით გაუხდა.

— ვერაფერი ვერ გაიგე. — უთხრა ხმადაბლა, — ვერაფერი. ჩვენ აღარაფერი არ გეიშველის! როგორც არ უნდა მოიქცეს იგი.

რამდენიმე წამს თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ლიზას თაბაშირის ნიღაბივით თანდათან გაეყინა სახე.

— დაფიქრდი, — ჩუმად ჩაილაპარაკა მან, — კარგად დაფიქრდი...

ვალტერმა პალტო საკიდიდან ჩამოგლიჯა და კაიუტიდან გავარდა. გემი ნაგსამელს უახლოვდებოდა.

მარტა გვერდის გემბანზე დახვდა. მოაჯირს დაყრდნობოდა და ნაპირს გაჰ-

ყურებდა. მარტო იყო. თანამგზავრები
პოლში უტყდოდნენ. ვალტერმა ყველანი
დაინახა წელან. მარტა აქ მარტო იყო,
თითქოს ვიღაცას ეძებდა თვალით. ვალ-
ტერიც დადგა და შორიდან მიაჩერდა
აშკარად, დაუფარავად უყურებდა. ქალ-
მა რამდენჯერმე გაოცებით მოხედა.
ვალტერმა ნაბიჯი გადადგა, მაგრამ
მარტამ უკვე იბრუნა პირი. გემიდან
ტრაპი ჩაუშვეს. ქალმა საათს დახედა
და ხელთათმანების ჩაცმა დაიწყო. ნე-
ლა, გულდასმით იცვამდა, სხვა აღარა-
ფერი ახსოვდა. ანაზღად გემბანზე ღიზა
გამოვიდა. ვალტერმა მაშინლა შეამჩნია.
როცა ცოლმა გვერდით ჩაუარა. ღიზამ
მარტა დაინახა; წუთით შეყვამნდა,
მერე ჩქარი ნაბიჯით გაემართა მისკენ.
„ღიზა!“ — მიაძახა ვალტერმა. მაგრამ
ღიზამ არ მოხედა. შეშფოთებული ვალ-
ტერი უკან გაეკიდა.

— სად მიდიხარ?
— იმასთან.
— გაგიჟდი!
— მე მინდა ვალი დამიბრუნოს, —
ღიზა ვალტერს არ უყურებდა.
— რას ბოდავ? რა ვალი?
— მადლობა, ოსვენციმს რომ ცოც-
ხალი გადაურჩა.

ამ დროს მარტამ მოიხედა და დაუ-
ფარავი ცნობის მოყვარეობით მიაჩერდა
მათ. ვალტერს ფერი ეცვალა.

— ახლავე წადი კაიუტაში.
ღიზამ პასუხად გაიცინა.
ვალტერი მხარზე წაეტანა:
— არ გესმის?

ღიზამ ყური არ ათხოვა, დაძაბული,
ნახევრად შეშლილი თვალებით მიშტი-
რებოდა მარტას. ვალტერს მართლა შე-
ეშინდა.

— რა გინდა?
— რომ მოვიდეს და მითხრას!
— ღიზა, — ვალტერმა სცადა განზე
გაეყვანა იგი, — გონს მოდი!

— თავი დამანებე! — ღიზამ ხელი
ჰკრა და ახალა შეხედა თვალებში. —
შენ ყველაფერი გააკეთე, რომ მე
მეწამა მისი სიტყვები: „მონად ადა-
მიანს მხოლოდ სიცოცხლის წყურვილი
ხდისო“. ის მართალი იყო. თორმეტი

წელი მე შიშის მონა ვიყავ. შენი სიყ-
ვარულის დაკარგვა. მაფრთხილებს ახლა
ბორკილი ამეხსნა.

— გასაგებია. გინდა დამღუპო.
— მე მინდა ანგარიში გავუწფორო.
ვალტერი განზე დადგა.

— ახლა კი გაგიცანი, — წყნარად
თქვა მან, — მხოლოდ ახლა მიგხვდი,
რომ ესეივლი ყოფილხარ.

ღიზას გაეცინა.
— ო, რა აურზაური ატყდება! უკვე
თვალწინ მიდვას გაზეთის სათაურები:
„ცნობილი ეკონომისტის, ბრაზილიაში
გფრ-ს საელჩოს ახალი მრჩეველის, დოქ-
ტორ ვალტერ კრეჩმერის მეუღლე სა-
კონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ზედა-
მხედველი გამოდგა“.

— ღიზა, — ვეღარ მოითმინა ვალ-
ტერმა. — შენ ამას არ მოინდომებ,
თუკი...

— კმარა! — მოუჭრა ღიზამ, — მეც
კარგად გაგიცანი.
ვალტერმა კვლავ მხარზე წაავლო
ხელი.

— შენ, შენს ჰკუაზე ვერა ხარ. წავი-
დეთ აქედან!

— არა. შენი სინდისი თორმეტი წელი
ღუმიდა, ის კარიერის შიშმა გააღვიძა.

— ღიზა, გემუდარები, ორთავე დაგი-
ღუპებით.

— დააგვიანე. ამაზე ლაპარაკი უკვე
გვიანაა. — ღიზამ უკან დაიხია და მოა-
ჯირს გაჰყვა. მარტასაგან ხუთ ნაბიჯში
გაჩერდა და დაჟინებით, გამომწვევად
მიაჩერდა. მარტა შემოტრიალდა.
ოავღამირველად სადღაც ზევით იყურე-
ბოდა, თუმცა კი სახე მისკენ ჰქონდა
მიქცეული. და უცებ თვალები მწვევად
შეანათა ღიზას.

რამდენიმე წამს ორივე ქალი უსიტ-
ყვოდ მისჩერებოდა ერთმანეთს. ვალტე-
რი შორიდან უყურებდა მარტას, მის
ზიზლით სახეს სახეს. შემდეგ დაინახა,
როგორ აუარა გვერდი მარტამ ღიზას
და უკანმიუხედავად განაგრძო გზა.
ვალტერი კედელს მიეყრდნო და შუბ-

ზოფია პოსმიში
მგზავრი ქალი

ლიდან ოფლი მოიწმინდა. შემდეგ შიდა დერეფნით ჰოლისკენ გაქანდა, იქიდან გემბანზე გავიდა. ისლა დანახა, როგორ დაუქნია უკანასკნელად თავი მარტამ გამცილებელთა ჯგუფს და ტრაპზე ავიდა.

გემი ისევ შუა ზღვაში იყო. ისინი ქიმთან იდგნენ და წყალს დასცქეროდნენ.

— გუშინ ამბობდი, უნდა ვეცადოთ და ყველაფერი დავივიწყოთო, — დაიწყო ლიზამ.

ვალტერმა თავი ასწია და ზღვას გახედა. მაგრამ, ეტყობოდა, მზემ თვალი მოსჭრა, რადგან შავი სათვალე გაიკეთა.

— ჰო, ვამბობდი.

— ჩვენ თოთხმეტი წელი ვიცხოვრეთ ერთად, ვალტერ.

— ჰო, — დაეთანხმა ვალტერმა ეს ცოტა არ არის.

უკნიდან ნაცნობი ხმა მოესმა. — შინებულნი კარისაკენ გაცვივდნენ. მაგრამ ვალტერმა ვერ მოახერხა დამალვა.

— მაღლობა ღმერთს! უკვე ნახევარი დღეა დაგეძებთ, ჰერ კრემერ. ტელეფონმა არ მიპასუხა... უკვე წაიკითხეთ? არგავონილი სკანდალია. გერმანიის მთავრობა ითხოვს... — აღელვებულმა ბრედლიმ გაზეთი გაუწოდა მას.

ვალტერმა ხელი განზე გაუწია.

— არა. სულ ტყუილად მიძებდით. გესმით? სულ ტყუილად. — მაგრამ ბრედლის განცვიფრებული სახის დანახაზე კილო შეარბილა. — როგორც ჩანს, თქვენ ვერავის დაელაპარაკებით ამაზე. დიახ, მეტად ვწუხვარ. რას იზამ, ბედი არ გწყალობთ, მისტერ ბრედლი.

თარგმან აშირან გაბესკირიამ



რომანში ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს.

კენედის სახელგონის პრემია

ლოს-ანჯელისში (ნიუ-მექსიკოს შტატი, აშშ) ჩატარდა მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის დევიზი იყო „მშვიდობისათვის!“ ამ ფესტივალზე ბულგარულ ფილმს „მზე და ჩრდილს“ კენედის სახელობის პრემია მიენიჭა. კენედის სახელობის პრემიით იმ ფილმებს აჯილდოვებენ, რომლებშიც უიურის შეფასების თანახმად საუკეთესოდ გამოხატავენ მშვიდობის თემას.

უიურიმ ზემოხსენებულ ფილმს მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ ეს ფილმი არის „მოწოდება ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი — ხელი შეუშალონ ატომურ სიკვდილს“.

ბანა

რასობრივი დისკრიმინაცია ციხის წინააღმდეგ

თეატრ „განა პლეიხაუზის“ სცენაზე განახორციელეს უიშინის პიესის „ლომის დღის“ დადგმა. ეს პიესა მიმართულია რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

პიესის მოქმედება ვითარდება სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ დასახლებაში. ახალგაზრდა აფრიკელ ქალიშვილსა და თეთრკანიან მოჯამაზირეს ერთმანეთი შეუყვარდებიან. ისინი თეთრ ბატონს ემსახურებიან. აპარტეიდის მკაცრ პირობებში სხვადასხვა ფერის კანისა და სიყვარულისა და პირადი ბედნიერების უფლება არ აქვთ. თეთრმა ბატონმა სახლიდან დაითხოვა ზანგი გოგონა თავისი ახლად დაბადებული ფერადკანიანი ჩვილით...

როგორც გაზეთები იუწყებიან, პიესას დიდი წარმატება ხვდა მაყურებელში.

გვრ

„დასჯის დრო“

დასავლეთ გერმანიის წიგნის ბაზარზე გაჩნდა ახალგაზრდა მწერლის პენრი ეგერის რომანი „დასჯის დრო“. ეგერს ეკუთვნის გახმაურებული რომანები: „სიმაგრე“ და „დაკარგული თაობის ამბოხი“. მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკარგული თაობა — ეს არის დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები ომისშემდგომი, ცხოვრებაზე გულაცრუებული ახალგაზრდობა. თავის დროზე ამ რომანმა დასავლეთ გერმანიის უურნალ-გაზეთების მხრი-

გაგრძელება იხ. გვ. 114.

ანდრო მიჩინაუშვილი

ვლადიმერ ზამბახიძის „ლიტერატურული წერილები“

ვლადიმერ ზამბახიძე ერთ-ერთი ნაყოფიერი მკვლევარი-მეცნიერია. მკითხველში ყოველთვის ღრმა ინტერესს აღძრავს მისი ნაშრომები, რომლებიც ხშირად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებად გამოდის. ვრცელია ვლ. ზამბახიძის კვლევა-ძიების სფერო. იგი თანაბარი გატაცებით იკვლევს ჩვენი წარსული კულტურული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორცაა ლიტერატურის ისტორია, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, პედაგოგია, ჟურნალისტიკა და სხვა. ასევე აქტიურად მუშაობს ლიტერატურულ კრიტიკაშიც და სისტემატურად ეხმაურება თანამედროვე ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს.

ვლ. ზამბახიძის ნაშრომებში, ვრცელი მონოგრაფია იქნება იგი თუ მცირე საგაზეთო სტატია, ყოველთვის იგრძნობა საკითხის ღრმა ცოდნა, მეცნიერული სიზუსტე, მაღალი ლიტერატურული გემოვნება, შემოქმედებითი შემართება და პუბლიცისტური სიმკვეთრე. ამავდროულად ხასიათდება ახლახანს გამოცემული მისი „ლიტერატურული წერილები“, რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილ ნარკვევების კრე-

ბულს. ეს ნარკვევები ჩვენი კულტურული ცხოვრების (წარსულისა და თანამედროვეობის) სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი, იგი დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით.

ჩვეულებრივ, ამგვარი წიგნები ხშირად მოსაწყენი ხდება, მკითხველს უჭირს მისი თავიდან ბოლომდე ერთიანი ინტერესით წაკითხვა, რადგან ერთი საზოგადოებრივ-კულტურული გარემოდან და მასთან დაკავშირებული პრობლემიდან მეორე, განსხვავებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსა და ახალ პრობლემაზე გადასვლა ყურადღების გაფანტვას იწვევს, აქვეითებს შეთვისების უნარსა და ზემოქმედების ძალას.

როგორც ვთქვით, ვლ. ზამბახიძის „ლიტერატურული წერილები“ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ნარკვევების კრებულს წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც შეუწყლბელი ინტერესით იკითხება და მკითხველში ცოდნის გაღრმავებასთან ერთად, ესთეტიურ სიამოვნებასაც იწვევს. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ ავტორი ხშირად მეცნიერულ კვლევა-ძიებას მხატვრული ნარკვევის ფორმაში აქცევს და მეორეს მხრივ, ეს

ცალკეული ნარკვევები რაღაც შინაგანად მაინც დაკავშირებულია ერთმანეთთან, არსებითად მაინც ერთი მთავარი პრობლემის ირგვლივ ტრიალებენ. ეს პრობლემაა: მე-19 საუკუნეში მოწინავე ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ბრძოლა რეალისტური ესთეტიკის მყარ საფუძველზე დამკვიდრებული მწერლობისათვის.

ვლ. ზამბახიძე საფუძვლიანად იცნობს ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებასა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი წლების მანძილზე იკვლევს და აზუსტებს გამოჩენილი სამოციანელების ბიოგრაფიის ცალკეულ დეტალებს, მეცნიერულად სწავლობს მის ნააზრევს. სარეცენზიო კრებულშიც მკვლევარს სამი შრომა აქვს შეტანილი. შრომებში ნ. ნიკოლაძის ცხოვრებამოღვაწეობის მრავალი საგულისხმო გარემოებაა ახსნილი და დაზუსტებული. ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა წერილი „ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურული მრწამსისათვის“.

ნ. ნიკოლაძემ, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსმა, დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც დღესაც მრავალმხრივ არის საინტერესო და რომლის საფუძვლიანი შესწავლა კვლავ მომავლის ვადაუდებელ ამოცანად რჩება. ვლ. ზამბახიძე აღნიშნულ წერილში ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს ძალზე მოკლედ ეხება და კონსპექტურად, უფრო სწორად, თეზისების სახით წარმოგვიდგენს. მიუხედავად ამისა, მკითხველს მაინც სწორი წარმოდგენა ექმნება ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მრწამსზე. საქმე ის არის, რომ მკვლევარს მოუხერხებია ნ. ნიკოლაძის ვრცელი კრიტიკული მემკვიდრეობიდან გამოეყო მთავარი და დამახასიათებელი, ეჩვენებინა მისი თეორიული საფუძვლები, გაერკვია მისი პრაქტიკული გამოყენების თავისებურებანი.

ნ. ნიკოლაძე წერდა: „იქ, სადაც თითქმის ერთიანად დახშულია ყოველი სხვა გზა განვითარებისა, მწერლობა ერთადერთი იარაღია საზოგადო სიყე-

თის დაცვისა და შემატებისათვის“. მკვლევარს მოაქვს ნ. ნიკოლაძის ეს სიტყვები და შემდეგ ნათლად ახსენებს, თუ რა გზებს უსახავდა იგი მწერლობას „საზოგადო სიყეთის დაცვისათვის“, ეროვნული თვითყოფობის აღორძინებისათვის ბრძოლაში. ნ. ნიკოლაძე თვითონვე ამბობდა, მწერლობაში გლადიატორი ვარო. და, მართლაც, იგი გლადიატორის თავგანწირვით იბრძოდა ყველა ეროვნული საქმის სწორად წარმართვისათვის, საერთოდ, და ქართული ლიტერატურის განვითარების სწორ გზაზე დაყენებისათვის, კერძოდ. მისი ბოლოქარი ბუნება ვერ ეგუებოდა ვერავითარ კომპრომისს იქ, სადაც საქმე ეხებოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს. მწერლობისგანაც ასეთ პირდაპირობას, მანკიერებასთან შეუირვებლობას მოითხოვდა. „ვის გაუგონია მწერლობაში მოახლური კილო, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — პირფერული სიტყვებით პირში მოქალაქუნება? ნამდვილ მწერლობას ყველგან და ყოველთვის პირდაპირი, პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა სჩვევია, არათუ საზოგადო საქმეების წაყვანასა და განხილვაში, არამედ უბრალო პოლემიკაში და სიტყვიერებაშიც“. ნ. ნიკოლაძე დაუნდობლად გმობდა ცხოვრებისაგან განსე გამოდგარ მწერლობას და ლიტერატურისაგან მოითხოვდა „თავისი დროის ცხოვრებისეული მოტივების, თავისი საუკუნის აღამიანთა ფიქრებისა და მისწრაფებების გამოხატვას“. მისი აზრით, „პოეზია ცხოვრების პასიური ჭკრეტა კი არ არის, არამედ მისი, ამ ცხოვრების ენერგია“.

ვლ. ზამბახიძე იკვლევს რა ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ ნააზრევს. თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ მივიდა იგი რეალიზმის ენგელსისეულ გაგებამდე, როდესაც მოითხოვა. „ტიპური ხასიათების, მოვლენების ტიპიურ გარემოში გამოსახვა“. ამავე ნაშრომში მკვლევარი ნათელ პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა ნ. ნიკოლაძე ლიტერატურულ კრიტი-

კას. მისი აზრით, „კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის“.

ერთ-ერთი მთავარი ღირსება ვლ. ზამბახიძის ნარკვევებისა ისიც არის, რომ ავტორი, რაც უნდა კონკრეტულ ფაქტს ეხებოდეს, მას მაინც განიხილავს მთლიანი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ვრცელ ფონზე და ამით უფრო სწორად განსაზღვრავს მის ადგილს, ხსნის მის მნიშვნელობას. ასე იქცევა იგი ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მრწამსის რკვევისას და ასევე იქცევა, როდესაც ეხება ერთ კერძო ბარათს, ილ. ჭავჭავაძის მიერ ნიკო ნიკოლაძისადმი გაგზავნილს.

1883 წ. 26 თებერვალს ილ. ჭავჭავაძეს ბარათი გაუგზავნია პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძისათვის და უთხოვნია იზრუნოს ქართული ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნასა და რუსულ ჟურნალებში დაბეჭდვაზე. ვლ. ზამბახიძეს ყოველმხრივ შეუსწავლია ეს ბარათი, გაუთვალისწინებია იმ დროის მთელი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება და ძალზე საინტერესო გამოკვლევაც დაუწერია. მასში მრავალ საყურადღებო გარემოებაზეა ყურადღება გამახვილებული, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ: პირველ რიგში წინა პლანზეა წამოწეული ილიას ზრუნვა ქართული ნაწარმოებების რუსულ და უცხოურ ენებზე თარგმნისათვის. ილია პირდაპირ წერდა ნ. ნიკოლაძეს: „თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწარმები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოსო“. იქვე მოთითებულია, თუ რა დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა ილია მთარგმნელს; ავტორი იშველიებს სხვა მასალებს და საინტერესო ცნობებს იძლევა ილ. ჭავჭავაძის ნაწარმოებების რუსულ და უცხო ენებზე თარგმნის შესახებ; აქვე აღნიშნულია, რომ ილიას პროზის პირველი მთარგმნელი იყო ნ. ნიკოლაძე.

და ბოლოს, აღნიშნული ბარათი ერთი მრავალმეტყველი დოკუმენტის ილიასი და ნ. ნიკოლაძის პიტერბურგში თიერთობის, შემოქმედებითი თანამშრომლობის გაცნობის თვალსაზრისითაც.

ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის პირადი ურთიერთობისადმი მიძღვნილი ცალკე ნარკვევი „ფურცლები მეგობრობის მატთანედან“. ეპიგრაფად მოტანილი სიტყვებიდანაც ნათელია, თუ როგორ აფასებდნენ ერთმანეთს ჩვენი ერის ეს ორი უდიდესი მოჭირნახულე. „მარადიული და უკვდავია საქმე, რომელსაც ილია მეთაურობდა და წინ მიუძღოდა“, — ამბობდა ნ. ნიკოლაძე, ხოლო ილია ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „შენ ჩვენი რაზმის ფალანგად გვეგულეობო“. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, ისინი ერთად ეწეოდნენ სამშობლოს სამსახურის მძიმე ტვირთს და ერთმანეთის მიმართაც ყოველთვის გულითადი მეგობრობით იყვნენ გამსჭვალულნი; ყოველთვის მხარში ედგნენ ერთმანეთს საქვეყნო საქმეში და პირად ცხოვრებაშიც უმწიკვლოდ მეგობრობდნენ. ამის დამადასტურებელი მრავალი დღემდე უცნობი, თუ ცნობილი ფაქტი მოაქვს ვლ. ზამბახიძეს და თვალწინ გვიშლის მართლაც დიდი მეგობრობის საგულისხმო ფურცლებს. სავსებით მართალია იგი, როცა წერს: „ილია ჭავჭავაძის მიერ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში წამოყენებული ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემები მძაფრ გამოხატულებას პოულობდნენ ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ შემოქმედებაშიაც“.

ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის გულითადი მეგობრობა არასოდეს მისულა ერთმანეთის განუსჯელ პანგიორიკამდე. პირიქით, მათ მეგობრობა სრულგებობითაც არ უშლიდათ ხელს, რომ ერთმანეთის მიმართაც კრიტიკულნი ყოფილიყვნენ. ეს ფაქტი კი თავისთავად იმას როდი ნიშნავს, რომ ქართველ

ანდრო მირიანაშვილი
ვლადიმერ ზამბახიძის „ლიტერატურული წერილები“

სამოციანელებში, საერთოდ, და ილიასა და ნ. ნიკოლაძეს შორის, კერძოდ, პრინციპული საკითხების გაგებაში რაიმე განსაკუთრებული სხვადასხვაობა ყოფილიყოს, შექმნილიყოს ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფები. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებულ ამ დებულებას კრიტიკულად უყუარებს ვლ. ზამბახიძე და პირდაპირი წყაროების მოწმობით უარყოფს მას. ნ. ნიკოლაძე უკვე ღრმა მოხუცებულობაში იგონებდა: „საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება ვანვიზრახე (1870-იან წ.), ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე, დღე-შეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევე ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში — ხუთჯერ მაინც ავსულვართ დღე-ღამე „გროვით“ ქართული მწერლობისა და აღორძინების მოტრფიალენი... ბევრჯერ დავგეპატიყინა: მეთაურად ვაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-მეთქი“. როგორც ცნობილია, ილიამ მათ მართლაც უწინამძღვრა და სასახლოდაც, მართალია ისიც, რომ ამ ჯგუფში ხშირი იყო აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობა, რაც ზოგჯერ საკმაოდ ცხარე შეხლა-შემოხლის ხასიათს იღებდა, მაგრამ ვლ. ზამბახიძის სამართლიანი შენიშვნით, „ეს შინაური დავა და შეხლა-შემოხლა კი არ ასუსტებდა ამ რაზმს, არამედ ეხმარებოდა კიდევ დასახული მიზნისათვის ბრძოლის უფრო სწორი გზებისა და საშუალებების გამონახვაში“. აკი ნ. ნიკოლაძე თვითონვე ამბობდა: „ჩვენ ყველას შემაერთებელი მიდრეკილება ბევრად უფრო მეტი გვებადა, ვინემ გამყოფი და წააქიდებელი“.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენისადმი მიძღვნილი წერილი „ივერიის“ დაბადება. მასში მოკლედ არის გადმოცემული ამ სახელგანთქმული ბუკდვითი

ორგანოს როლი და მნიშვნელობა. რადიკალური წერილი ერთხელ კიდევ ნათლად გამოხატავს, რომ დადგა დღევანდელი გადადგმა უკვე აღარ შეიძლება და აუცილებლად უნდა მოხდეს „ივერიის“ ყოველმხრივ მეცნიერული შესწავლა, უნდა შეიქმნას მასზე. მონოგრაფიები.

„თანაზიარობა სულისა“ — ასე უწოდებია მკვლევარს ნაშრომისათვის, რომელიც მიძღვნილია ლ. ტოლსტოისა და აკ. წერეთლისადმი. ყურადღების ცენტრში დგას წერილი, რომელიც აკაკიმ ლევ ტოლსტოის გარდაცვალების გამო გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთში“ (1910 წ. 10. XI. № 154). ვლ. ზამბახიძეს მოაქვს ამონაწერები აკაკის წერილიდან და ასკვნის: „უშკველია, უკვდავი მწერლის პროტესტანტულ, მეზობლ სულთან თანაზიარობამ და სიახლოვემ შთაავონა აკაკის ზემომოტიანილი სტრიქონებიო“. შემდეგ კი მოკლედ, მაგრამ საგულისხმოდ გვიჩვენებს ამ თანაზიარობისა და სიახლოვის კონკრეტულ ფაქტებს. აქ ვლ. ზამბახიძე როდი მისდევს იმ გზას, როდესაც მკვლევარები საგულდაგულოდ აჯერებენ ხოლმე ერთმანეთთან ორი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ერთმანეთის პარალელურად ამოწერენ ხოლმე მსგავსი აზრების გამომხატველ წინადადებებს. ვლ. ზამბახიძე ამ სიახლოვეს ეძიებს ორივე მწერლის მთლიან შემოქმედებით ბოზიციასში. უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა, ერთობის, თანასწორობის, სიყვარულის ქადაგება, „ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრის, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვის“ უარყოფა, რწმენა-სიციოხლისა და სიკეთის მარადიულობისა — აი, რაში ხედავს ვლ. ზამბახიძე ლ. ტოლსტოისა და აკ. წერეთლის სულის თანაზიარობას.

ასევე სწორი მეთოდით მიუდგა ვლ. ზამბახიძე ლ. ტოლსტოისა და ვაჟაფშაველას შემოქმედებას. წერილში „სიყვარულის მთესველი“ დაძებნილია ვაჟასი და ლ. ტოლსტოის გენიის შეხების წერტილები. აქ ბევრი საგულისხმო გარემოებაა გამოვლენილი, მაგრამ ეს საბაზს არ აძლევს მკვლევარს, რომ

უშუალო ლიტერატურულ გავლენებზე ილაპარაკოს და ერთი მწერალი მეორეს დაუმოწაფოს. პირიქით, სავსებით მართალია იგი, როცა წერს: „მართალია, ზოგიერთი ნიშნით ვაქას სიცოცხლის ფილოსოფია თითქოს ემთხვევა ლ. ტოლსტოის მიერ ამავე საკითხზე გამოთქმულ აზრებსა და შეხედულებებს, მაგრამ ეს დამთხვევა ერთისაგან მეორესადმი უბრალო მიბაძვა კი არ არის, არამედ ნათელყოფაა იმისა, რომ როგორც გოეთე იტყოდა ხოლმე, „ერთი და იგივე იდეები ყოველგვარი მიბაძვის გარეშეც შეიძლება ერთდრულად აღმოცენდეს ასი ადამიანის თავში, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ყვავილობის დროს ვარდები ყველგან იფურჩქნებიანო“. საჭიროა მსგავსი იდეების წარმომშობი საერთო საფუძვლების ძიება თვით ცხოვრებაში და ამ საერთო საფუძვლებზე მითითებს ვლ. ზამბახიძეც.

საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ლ. ტოლსტოის ურთიერთობის საკითხისადმი მიძღვნილი ნარკვევი „საქართველო და ლევ ტოლსტოი“. ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძის მეგობრულ ურთიერთობაზე კი ზამბახიძე მოგვითხრობს ცალკე წერილში „ილია ნაკაშიძე“.

ღრმა სიყვარულისა და აშკარა პატრიოტული აღფრთოვანების გრძნობით არის დაწერილი ნარკვევი „ბურჯი ეროვნებისა“, რომელიც მიძღვნილია ი. გოგებაშვილის „დედაენისადმი“ და დასრულებული მხატვრული ნაწარმოებებით იკითხება. სხვანაირად არც შეიძლება წერა წიგნზე, რომელიც მართლაც ეროვნების ბურჯად იქცა ჩვენი ქვეყნისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე ეპოქაში. ი. გოგებაშვილი ილიასთან, აკაკისთან, ნ. ნიკოლაძესთან და სხვებთან ერთად, რაინდული შემართებით იბრძოდა სამშობლოს

კეთილდღეობისათვის. დაუცხრომლად ილწვოდა მშობლიური ენის განმტკიცება-სრულყოფისათვის, რადგან ენის ნიერების დაუფლების ყველაზე სწორ მეთოდად დედაენაზე სწავლა მიაჩნდა. ამიტომ შექმნა მან სრულყოფილი სასკოლო სახელმძღვანელო „დედაენა“, რომელსაც ღღესაც მოწიწებით ასვენებს ყველა. „დედაენის“ დანიშნულებას ი. გოგებაშვილი მარტო იმაში კი არ ხედავდა, რომ ბავშვებისათვის უბრალოდ წერა-კითხვა ესწავლებინა, არამედ მოზარდი თაობისათვის თავიდანვე უნდა ჩაენერგა ის აუცილებელი თვისებები, რაც შემდეგ, დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისას მოეთხოვებოდა.

ქართულ საბავშვო პრესას და საბავშვო ლიტერატურას დიდი ამაგი დასდეს მარიამ დემურიაშვილმა და ნინო ნაკაშიძემ. ამ ამაგის შესახებ გულთბილად ესაუბრება მკითხველს ვლ. ზამბახიძე.

ვლ. ზამბახიძე, როგორც თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსი, წიგნი წარმოდგენილია სამი წერილით. იგი კრიტიკულად განიხილავს ს. კლდიაშვილის რომანს „მყუდრო სავანე“, კ. ლორთქიფანიძის მოთხრობას „ცაბუნია“ და ო. იოსელიანის რომანს „ვარსკვლავთცვენას“.

ვლ. ზამბახიძის ნარკვევები, მართალია, დაიწერა სხვადასხვა დროს და მკითხველმაც მაშინვე წაიკითხა ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ ახლა, ერთად თავმოყრილმა უფრო ნათლად დაგვანახვა ავტორის დამსახურება და უფრო საფუძვლიანად ჩავაფიქრა ჩვენი კულტურის ბევრ საშურსაჭირობოტო საკითხზე.

ანდრო მირიანაშვილი
გლადიმერ ზამბახიძის „ლიტერატურული წერილები“



დიდგორის ბრძოლის ეპოქა

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს — დიდგორის ბრძოლას მიუძღვნა პროფ. შოთა მესხიამ თავისი მონოგრაფია „დიდგორის ბრძოლა“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

დიდგორის ბრძოლამ თავისი მნიშვნელობით საქართველოს ისტორიაში სრულიად სამართლიანად დაიკავა მეტად საპატიო ადგილი. იგი იყო დასასრული იმ მრავალწლიანი სამართლიანი ომებისა, რომელსაც განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველო აწარმოებდა თავისი არსებობის შენარჩუნებისა და პროგრესისათვის.

XI საუკუნის მიწურული და XII საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია, როცა დავით აღმაშენებელი მოღვაწეობდა (1089—1125). ამ დროის საქართველო როგორც ტერიტორიულად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურდა, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა დიდგორის ველზე გამართულ ბრძოლამ და ქართველი ხალხის ძლევამოსილმა გამარჯვებამ.

თუმცა არაერთი ისტორიკოსი შეჩერებულა XII საუკუნის პირველი

მეოთხედის საქართველოს ისტორიის, და, კერძოდ, დიდგორის ბრძოლის საკითხებზე, მაგრამ ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვებოდა დიდგორის ბრძოლის ეპოპეის ამსახველი საგანგებო გამოკვლევა. პროფ. შ. მესხიას მონოგრაფია „დიდგორის ბრძოლა“ ამ ხარვეზს დიდად ავსებს.

წიგნში განხილულია წყაროები დიდგორის ბრძოლის შესახებ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება-მეფეთ-მეფისა დავითისი“, სომეხი ისტორიკოსის: მათე ურჰაელის „ქამთა აღმწერლობა“, სამუელ ანელის, ვარდან ბარძებრდელის, არაბი მეცნიერის იბნ-ალ-აზრაქ ალ-ფარიკის და სხვათა ცნობები და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ ომმა თავისი დიდი მნიშვნელობით არა მარტო ქართველ და სომეხ, არამედ საერთოდ, მთელი მაშინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიკოსთა საგანგებო ყურადღება მიიქცია¹. რევოლუციამდე თურევოლუციის შემდეგ საქართველოს ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო გამოკვლევებში დიდგორის ბრძოლასაც სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი.

პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც დიდგორის ბრძოლას შეეხო და მეცნიერულად ჩამოყალიბებული აზრი გამოთქვა მის შესახებ, ვახუშტი ბაგრატიონი იყო². შემდეგ, სხვადასხვა-

¹ შ. მესხია, „დიდგორის ბრძოლა“, გვ. 10.

² ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილი არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ტფ. 1855.

დროს, აღნიშნული საკითხით დაინტერესდნენ ალ. ხახანაშვილი¹, მ. ბროსე², ნ. ურბნელი³, დ. კარიჭაშვილი⁴, ივ. ჯავახიშვილი⁵.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის კვლევამ განსაკუთრებით წაიწია წინ აკადემიკოსების ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის ნაშრომების შემწეობით.

სამამულო ომის წლებში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ნაშრომები (სადაც დიდგორის ბრძოლაც იყო განხილული) გამოაქვეყნეს პროფესორებმა: ს. კაკაბაძემ⁶, ა. კიკვიძემ⁷ და ს. მაკალათიამ⁸. დიდგორის ბრძოლას, უმთავრესად, აღმოსავლური წყაროების მიხედვით შეეხორ. კიკვიძე.

პროფ. შ. მესხია საგანგებოდ ჩერდება იმ ისტორიკოსთა ნაშრომებზედაც, რომლებმაც დიდგორის ომი სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით განიხილეს (თ. დაღვეყელიანი, ვ. დონდუა და სხვ).

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს XI საუკუნისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობას. XI საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი (მანამდე ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს რომ წარმოადგენდა) უკვე ძირითადად გაერთიანებული იყო. იმ-

დროინდელმა სოციალურმა და ეკონომიურმა პირობებმა (ფეოდალიზმის განვითარების ახალმა საფეხურმა, მთავრობის სოფლის მეურნეობის ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებაში გამოიხატა) საფუძველი შეუქმნა ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას.

საქართველოს ზრდა-განვითარებასა და გაძლიერებას ბევრი დაბრკოლება ელობებოდა წინ (გაერთიანების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები, ბიზანტია, თურქ-სელჩუკები).

ახლად წარმოშობილ ერთიან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ძალების უკიდურესი დაძაბვა სჭირდებოდა, რათა წარმატებით გაერთიანებული რთული საშინაო და საგარეო პირობებისათვის. პროფ. შ. მესხია დაწვრილებით აგვიწერს საქართველოს სამეფო კარის ბრძოლას ამ მეტად სერიოზული მისიის განსახორციელებლად.

XI საუკუნის საქართველოს ძალა შესწევდა, რომ მომხდურ მტერს გამკლავებოდა, მაგრამ ქართველთა მობილუხაცია არ ხერხდებოდა. მეფესთან დაპირისპირებული დიდგვარიანი აზნაურები არათუ ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მტერს ეხმარებოდნენ. საქართველოს ციხე „შიგნიდან ტყდებოდა“. თურქებთან ბრძოლა მჭიდროდ გადაეხლართა კლასობრივ ბრძოლას⁹.

თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად გონიერი ხელმძღვანელი იყო საჭირო. გიორგი მეორე სამისო პირადი ღირსებებით არ იყო დაჯილდოებული. იმ დროს პროგრესულ მოღვაწეთა დაქინებული მოთხოვნის შემდეგ გიორგი მეორემ ტახტი თავის შვილს დავითს დაუთმო.

„ამიერიდან იწყეს ნიათა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოჰკრობად, ვინაიდგან ათორმეტ წელ ამათ თვით სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა

¹ ა. ხახანაშვილი, საქართველოს ისტორია (ფრანგულ ენაზე), პარიზი, 1900.

² მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, თბ., 1895.

³ ნ. ურბნელი, „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, „მოამბე“ — 1894. № 3-4-5.

⁴ დ. კარიჭაშვილი, საქართველო XII საუკუნეში, ტფ., 1902.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948.

⁶ ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1942, გვ. 205 — 217.

⁷ ა. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942.

⁸ ს. მაკალათია, დავით აღმაშენებელი, თბ., 1944.

⁹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, გვ. 160.

როინ მტერეველი
დიდგორის ბრძოლის ეპოპეა

შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათმან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმიითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისაგან და თვთ სამოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“¹ — ასე აგვიწერს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი.

პროფ. შ. მესხიას მონოგრაფიაში თანმიმდევრულად არის მოცემული ყველა ის ღონისძიება, რომლებიც დავით აღმაშენებელმა გაატარა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დაწინაურებისათვის. ავტორი საგანგებოდ ჩერდება სამხედრო რეფორმაზე, რომელიც ლაშქარში იქნა გატარებული.

აღნიშნულ საკითხზე ზედმიწევნით ყურადღების გამახვილება მოცემულ ნაშრომში გასაგებია, რადგან დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი კარგად ორგანიზებული საქართველოს ლაშქარი იყო.

როგორც ცნობილია, მეფემ შექმნა თავისი პირადი გვარდია, ე. წ. „მონასხა“. ჯარი დაიყო „ზამთარ-ზაფხულ დაუცხრომელ მოლაშქრებად“ და „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამპირველად“.

გამოკვლევაში ხაზგასმითაა მითითებული საქართველოს წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტისათვის მუდმივი ლაშქრის შექმნის აუცილებლობა. სათანადოდაა შეფასებული ყოჩაყთა ვადმოყვანის მნიშვნელობა.

„...საქართველოს სამეფომ, — აღნიშნულია ნაშრომში, — XII საუკუნის 20-იან წლებში გაიჩინა სამოცი ათასიანი მუდმივი ლაშქარი. ეს უმაგალითო ღონისძიება იყო ფეოდალური საქართველოს ისტორიაში. არც მანამდე და არც შემდეგ ფეოდალურ საქართველოს

ასე მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყოლია“².

მონოგრაფიის ავტორი ცალკე სახეში დაწვრილებით განიხილავს იმ მიზეზებს, რამაც დიდგორის ომი გამოიწვია. საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა სამეფო ხელისუფლებას აიძულებდა თურქი დამპყრობლებისთვის ვადამწყვეტი ბრძოლა გაემართა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მოპოვებული გამარჯვების განსამტკიცებლად დამპყრობლებთან ბრძოლა მას სახლვრებს გარეთაც გაეტანა. ეს უკვე შეტევით ომზე გადასვლას უდრიდა. თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა და მოპოვებული გამარჯვებები, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, დიდგორის ომის ძირითადი მიზეზი იყო. დაახლოვებით იგივე პირობას ასახელებენ დიდგორის ბრძოლის მიზეზად სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი და მაჰმადინი იბნ ალასირი. პროფესორი შოთა მესხია ცალკე გამოჰყოფს კონკრეტულ მიზეზებსაც, კერძოდ, საქართველოს სამეფო კარის დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი. ფეოდალური საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემაზე — შუა საუკუნეების ქალაქების და საქალაქო ცხოვრების საკითხზე პროფ. შ. მესხია აღრევს შეჩერდა³. „დიდგორის ბრძოლაშიც“ ხაზგასმულია, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ქალაქებს, განსაკუთრებით მისი მოსახლეობის ზედაფენას ოპოზიციური დიდგვარიანების წინააღმდეგ იყენებდა. რადგან მეფის ხელისუფლების გაძლიერება ქალაქებისთვის ხელსაყრელი იყო, ამიტომ ისინი გარკვეულ პერიოდში მეფის მოკავშირებად გამოდიოდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. მაგრამ როგორც კი გაძლიერდა სამეფო ხელისუფლება, რომელმაც დაამარცხა საეკლესიო და საერო ფეოდალები, თანდათან დაიწყო ბრძოლა თვით ქალაქების მორჩილებაში მოსაყვანადაც.

დავით აღმაშენებელი თბილისის მიმართ ფრთხილ და მოქნილ პოლიტიკას

¹ ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 323 — 324.

² შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 35.

³ იხ. მისი Города и городской строй феодальной Грузии. Тбилиси, 1959. მისივე, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962, და სხვა.

აწარმოებდა, რადგან თბილისს ამ დროს დამოუკიდებელი თვითმმართველობა ჰქონდა და ქალაქ-რესპუბლიკას, ქალაქ-კომუნას წარმოადგენდა.¹

მას შემდეგ, რაც ერთიანი თვითმმართველური ხელისუფლება შეიქმნა, დღის წესრიგში დადგა ქალაქ-რესპუბლიკების შემოერთება. დავით აღმაშენებელმა ქალაქ-კომუნების შევიწროება დაიწყო. მონოგრაფიის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თვითმმართველი მეფის წინააღმდეგ ემზადებოდა არა მარტო საქართველოდან ფეხადგმული თურქ-სელჩუკები, არამედ დამოუკიდებელი ქალაქი-კომუნები, მათი კავშირი — „ქალაქთა კავშირი“. ეს გახდა დიდგორის ბრძოლის უშუალო მიზეზი².

ქალაქ-რესპუბლიკების ძალები საკმარისი არ იყო საქართველოს მეფის შემოტევისაგან თავდასაცავად და ამიტომ დახმარებისათვის მათ სხვა ქვეყნებს მიმართეს, კერძოდ იმათ, ვინც ისედაც უპირისპირდება ძლიერების გზაზე განუხრელად შემდგარ საქართველოს სამეფოს.

ამრიგად, „დიდგორის ბრძოლა არსებითად იყო თბილისის, დმანისის და სხვა ქალაქების თავკაცთა ელჩობის შედეგი, დამოუკიდებელ „ქალაქთა კავშირისა“ და მის მიერ დამხმარედ მოწვეული ძალების უკანასკნელი ძლიერი ომი საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ“³.

ასეთი იყო ძირითადად ის შინაგანი პირობები, რომლებმაც დიდგორის ბრძოლა გამოიწვია.

„დიდგორის ბრძოლაში“ საგანგებოდაა განხილული მოწინააღმდეგე მხარეთა ლაშქრის შემადგენლობა, განხი-

ლულია ყველა წყარო და ისტორიკოსთა მოსაზრებები მის შესახებ. ნაშრომში მოცემულია მუხტლმწმმს კოალიციური ლაშქრის შემოსვლის გზაც. დავითის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ მტრის ურიცხვი ლაშქარი, „ვიითარცა ქვიშა ზღვისა“, მოვიდა „თრიალეთს, მანგლისს და დიდგორს“. მათე ურჩავლის ცნობით ილაზი, დუბეისი და მელიქი (თოღრული) განძიდან დაძრულან და „იქიდან საშინელი სიმრავლით შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქ. თბილისის მხარეს, მთაში რომელსა ჰქვია დეკორი (დიდგორი)“. სხვა ცნობა აქვს ალ-ფარისს, რომლის მიხედვით დიდგორთან შეყრილი კოალიციური ლაშქარი სამი მხრით მოსულა: ქართლიდან — თრიალეთის გზით, განძიდან და დვინიიდან.

აკად. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ მტრის ლაშქარი ქართლში მანგლის-თრიალეთის გზით არის შემოსული⁴.

საქართველოს ლაშქრის მზადების შესახებ ცნობები დაცული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელს არ გამოპარვია მტრის მოძრაობა და საგანგებოდ მომზადებული დახვდა მას.

საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დაცული მათე ურჩავლს, რომლის მიხედვით შემადგენლობა ასეთი იყო: ორმოცი ათასი ქართველი, ხუთმეტი ათასი ყივჩაყი, ხუთასი ალანი და ასი ფრანგი.

პროფ. შ. მესხია დიდგორის ბრძოლის შესახებ არსებული ყველა ცნობის ღრმა ანალიზის საფუძველზე დეტალურად აგვიწერს ამ ბრძოლას, მოწინააღმდეგეთა სტრატეგიულ და ტაქტიკურ სვლებს. 1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ დრომდე ყველა ისტორიკოსი, ვისაც კი დიდგორის ბრძოლის შესახებ რამე დაუწერია (მათ შორის დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე და სხვ.), მიუთითებენ, თითქოს მათე ურჩავლის ცნობით და-

¹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ. 1962.

² შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 45.

³ იქვე, გვ. 46

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 57.

როინ მეტრეველი
დიდგორის ბრძოლის ეპოპეა

ვით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში ხუთი ათასი ალანი (ოსი) გამოეყვანოს. „დიდგორის ბრძოლაში“ პროფ. შ. მესხიამ შენიშნა, რომ ეს არის მათე ურპაელის ცნობის არცთუ მთლიანად სწორი წაკითხვა და გაუგებარია, თუ რაზე არის დამყარებული ზემოთ დასახელებული მკვლევარების ასეთი მონაცემები. დიდგორის ომში გამოყვანილი ქართველთა ლაშქრის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ ცნობა მათე ურპაელის გარდა, არავის მოუპოვებია. ხოლო მათე ურპაელის თხზულების როგორც იერუსალიმის 1869 წ. ისე ვადარშაბატის 1898 წ. გამოცემაშიც, რომლებითაც ამ მკვლევარებს უსარგებლიათ, გარკვევით არის მითითებული დიდგორის ბრძოლაში არა ხუთი ათასი, არამედ მხოლოდ ხუთასი ალანის მონაწილეობის შესახებ.

ასევე გადმოწერა და თარგმნა ეს ცნობა თავის დროზე მარი ბროსემ, მაგრამ ესეც არ იქნა მხედველობაში მიღებული და დღემდე ქართველ საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მათე ურპაელის ცნობის არასწორი წაკითხვა. საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია. ლაშქრის ერთი ნაწილი თვით მეფის სარდლობით ნიჩბისის ხევით დასავლეთიდან უტევედა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძე დაეშვა თავისი ლაშქრით და მტერს მედვარად შეუტია. მტერმა ზურგი შეაქცია ბრძოლის ველს.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა სამიოდეს საათს გაგრძელდა. თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა.

ამრიგად, საქართველოს ლაშქარმა 1121 წლის 12 აგვისტოს თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ჯარებთან გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მონოგრაფიის ავტორი განიხილავს რა დიდგორის ბრძოლაში ქართველთა

გამარჯვების მიზეზებზე სხვადასხვა ისტორიკოსთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, დაასკვნის, რომ საქართველოს ლაშქრის თავგანწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოქმედებამ ხმალი, ქართველი გლეხისა და ხელოსნის მარჯვენამ და მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში.¹

პროფ. შოთა მესხია საგანგებოდ ეხება დიდგორის ბრძოლის შედეგებსა და მნიშვნელობას, ხაზს უსვამს, რომ დიდგორის ბრძოლაში დამარცხება განიცადა არა მხოლოდ თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა, არამედ იმ დამოუკიდებელმა ქალაქებმაც, რომლებიც ამ ლაშქარს საქართველოში იწვევდნენ.

დიდგორის ბრძოლის „მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა... და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახელად თვისად საუკუნოდ“. თბილისი ამიერიდან სამეფო ქალაქად იქცა. 1123 წელს აღებული იქნა ქალაქი დმანისიც. თბილისისა და დმანისის შემოერთებით ბოლო მოეღო უკანასკნელ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების ქალაქ-რესპუბლიკათა არსებობას საქართველოს ფეოდალური მონარქიის ტერიტორიაზე. დავით აღმაშენებელმა 1123 წელს ანისი გაათავისუფლა მტრისაგან, ხოლო შემდგომ შირვანიდანაც განდევნა ისინი.

დიდგორის ბრძოლამ ლახვარი ჩასცა თურქ-სელჩუკთა ძლიერებას, საბოლოოდ მოუღო ბოლო ამიერკავკასიის ხალხების დამორჩილების მათ გეგმებს. ამიერიდან ფართოდ გაიშალა ამიერკავკასიის ხალხების გამათავისუფლებელი ბრძოლები თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, განმტკიცდა მათი სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, რამაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა მათ კონსოლიდაციას საქართველოს მეთაურობით.

დიდგორის ბრძოლის ეპოპეა იმდე-

¹ შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, გვ. 76.

დად დიდმნიშვნელოვანი იყო და ისე ფართო გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ მსოფლიოში, რომ ამ ბრძოლა-სა და დავით აღმაშენებელზე შეიქმნა და გავრცელდა სხვადასხვაგვარი ლეგენდები.

ქართველმა ხალხმა დავით აღმაშენებელი იმ ადამიანად მიიჩნია, ვინც მძიმე ბრძოლებით ქვეყნის საზღვრები გააფართოვა, ვინც ერთიან პოლიტიკურ ერთეულად აქცია ამერი-იმერი და ქვეყნიდან გარეკა დამპყრობლები:

ვინ ნაჭარბაგვეს მეფენი თორმეტნი პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა
გარე გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა
შთაქსნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ვულზედან ჰერმანელნი
გვიღამეთქა და
დამესხნეს.

წლების მანძილზე, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ გვექონია დიდგორის ბრძოლის ეპოპეის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომი.

პროფ. შოთა მესხიას „დიდგორის ბრძოლა“ მეტად საჭირო წიგნია ქართველი ხალხის გმირული წარსულის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

**როინ მეტრეველი
დიდგორის ბრძოლის ეპოპეა**

დან დიდი თავდასხმა განიცადა.

გერის ახალი რომანი „დასჯის დრო“ მოგვითხრობს დასავლეთ გერმანიის ციხეებში გაბატონებული მძიმე პირობებისა და სასჯელის უმადლესი ზომების შესახებ. ავტორი აღწერს იმას, რაც თვითონ უნახავს და განუცდია. დემოკრატიული გაზეთების აზრით, რომანი მიწნად არ ისახავს, სენსაციო მოახდინოს. მასში მართლად არის სასული თანამედროვე დასავლეთგერმანული ცხოვრება. რომანის მთავარ გმირს სძულს მთელი ის სამყარო, რომელმაც იგი საზოგადოების „ფსიკერზე“ გადაიხროლა.

ავტორს უპირველესად იმ ფაქტზე აქვს ყურადღება გამახვილებული, რომ „აღმზრდელთა“ როლში გამოსული ყოფილი გესტაპოელები ციხეში მყოფთ ნორმალური არსებობის საშუალებას არ აძლევენ.

ისტორია მეორედმა...

როგორც ცნობილია, თავის დროზე ნაცისტებმა ბონის

უნივერსიტეტის საბატიო დოქტორთა სიდიდან ამოშალეს თომას მანის გვარი, შემდეგ კი იგი არაგერმანულ მოქალაქედ გამოაცხადეს და „სახელმწიფოს ღალატი“ დასწამეს.

მოსალოდნელია, დასავლეთ გერმანიაში იგივე ამბავი განმეორდეს. საქმე შემდეგში მდგომარეობს: ქალაქ მანჰეიმის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, „თანამედროვე ისტორიის საკითხებში დამსახურებისათვის“ თომას მანის ვაჟს პროფესორ გოლო მანს შილერის სახელობის პრემია მიაკუთვნოს. ამასთან დაკავშირებით, რევანსისტულმა გაზეთმა „ზოლდატენციტუნგმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „გერმანიის ღალატი?“ წერილის ავტორი ილაშქრებს მანჰეიმის მუნიციპალიტეტის „მცდარი“ გადაწყვეტილების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ პროფესორი გოლო მანი აშკარად ემხრობა პოლონეთსა და მის ხალხს და გარდა ამისა, იგი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ მოკავშირეების მხარდამხარ იბრძოდაო. დასასრულ, „ზოლდატენციტუნგი“

აცხადებს: „როდესაც გერმანიის მოქალაქე თავისიანებს იარაღით ხელში ებრძვის, ჩვენ ამ ამბავს „სახელმწიფოს ღალატს“ ვუწოდებთ!“

ისტორია მეორდება, ხომ მართალია?

ინგლისი

ძნელია იყო ჩაპლინის ქალიშვილი

„იყო ჩაპლინის ქალიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მაგრამ ძნელიცაა, მით უმეტეს, თუ მსახიობობა გაურს: ჩაპლინის ქალიშვილისგან ხომ მაყურებელი მეტს მოითხოვს, — ასე უპასუხა ოცი წლის შერაღლინა ჩაპლინმა დასავლეთგერმანულ ეფრნალ „რევიუს“ კორესპონდენტს.

„საშინელებაა იმის გაფიქრება, — განაგრძობს შერაღლინა, — რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ გიაგებ, წარმატებას თვითონ მიაღწიე, თუ მამის გვარი დაგეხმარა. კინოში ჩემი დებიუტის შესა-

გავრცელება იხ. გვ. 132.

ბისმარკი და ლებნერის ალორძინება

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირისა და ანტიფაშისტური კოალიციის სხვა ქვეყნების ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად ხალხებმა მოიპოვეს პროგრესის, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეების გამარჯვების რწმენა. სოციალიზმის ძლევამოსილი ბანაკის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ეს რწმენა რეალობად აქცია. რეალობად აქცია იგი გერმანიის ტერიტორიაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამაც, რომელმაც სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი იმპერიალიზმსა და მილიტარიზმთან.

ცნობილია, ამავე დროს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით დასავლეთ გერმანიაში გაბატონებული პოზიციები შეინარჩუნეს და განიმტკიცეს იმ საზოგადოებრივმა ძალებმა, რომელთაც დემოკრატიის ჩახშობის გზით ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულისათვის ხელთ იგდეს უზარმაზარი ფინანსური და სამრეწველო ძალაუფლება, რომლებიც აქტიურად მიისწრაფოდნენ მსოფლიოს გადანაწილებისაკენ და ბრძოლა ყბადაღებული „აღილისათვის მზის ქვეშ“ თავისი საგარეო პოლიტიკის დროშად გადააქ-

ციეს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონოპოლისტური წრეები, რომლებიც სიტყვიერ უარყოფენ ფაშოზმის გაკოტრებულ პრაქტიკასა და თეორიას, ვაცხარებით ეძებენ პრაქტიკულსა და იდეოლოგიურ საშუალებებს საკუთარი დიქტატურის, აღმავალი რევანშიზმისა და მილიტარიზმის შესანიღბავად და გასამართლებლად. ამ ვითომდა „ზნეობრივ გადაწყვეტილებათა“, „თვითაღზრდის“ იდეალთა ძიებისას, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და ყველა პროგრესული ძალის გააფთრებული დევნის პირობებში „ფასეულობათა გადამფასებელი“ თეორეტიკოსების მხერა არა მომავლის, არამედ წარსულისკენ არის მიმართული, რადგან მომავალი, როგორც ამას დასავლეთგერმანელი სოციოლოგი სტ. ლამბრეხტი აცხადებს, „...საიდუმლოებად რჩება“. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ მათი ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა მეორე იმპერიის „შემქმნელის“ თავად ოტო ფონ ბისმარკის ჰიპერბოლიზირებული ფიგურა.

მსოფლიო ისტორიაში ძნელად მოინახება სხვა სახელმწიფო მოღვაწე, რომლის შესახებაც იმდენი დაეწერათ.

რამდენიც „რკინის კანცლერის“ პიროვნებასა და მოღვაწეობაზე. თავისთავად აქ გასაკვირი არაფერია. მართლაც, ბისმარკის კანცლერობის დროს დასრულდა გერმანიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანების ხანგრძლივი და რთული პროცესი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რაკი გაერთიანება ვერ მოხერხდა რევოლუციურად, იგი განხორციელდა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად და სწორედ „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული საქმე“¹.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის გერმანიაში ბისმარკი ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწე იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ერთადერთი დიდი დიპლომატი. იგი მთელი თავით მალა იდგა იუნკრულ-ბურჟუაზიული ჭაობის „ბრწყინვალე წარმომადგენლებზე“, რომელთა შესახებაც ბისმარკმა თავისი შეხედულება უხეშად, მაგრამ ზუსტად ჩამოაყალიბა — „ჩემი თავლა“. ბისმარკმა შესაძლოა ერთადერთმა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ყაიდის ბურჟუაზიულ მოლაყბებზე უფრო სწორად გაიგო, რომ 1848 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი ამოცანა გერმანიის გაერთიანება იყო და მანაც პოპენცოლერნთა „საიდებლად“ და იუნკერთა სასარგებლოდ დაასრულა იგი. თანაც ისე დაასრულა, რომ ბურჟუაზიას, რომელმაც გაყიდა და შეარცხვინა რევოლუცია, ნადავლის ნაცვლად საქნიერი — დაუძლურებული და მორჩილი რაიხსტაგი შეაჩეჩა ხელთ. ამ თვალსაზრისით, ვაბატონებული „ელიტის“ ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მას, პრუსიული გონებაჩლუნგობისა და ქედმაღლობის პირმშოს, გასაოცარი კლასობრივი ალღო აღმოაჩნდა.

ურთულეს დიპლომატიურ არენაზე ერთდროულად „სუთი ბურთის ქონკლირებით“ ბისმარკმა შესძინა იმპერიას თითქმის ყველა ფასეული მონა-

პოვარი, რომელთაც მალა გაუხსნეს გერმანიის უმაღლეს წრეებს. ^{პროცესი} ^{გერმანიის} ^{კანცლერის} ^{პოპენცოლერნთა} რომ წარმატებები, რომლებიც თვით ბისმარკმა და მისმა აპოლოგეტებმა ლეგენდარული სამოსელით შემოსეს (ეს შესანიშნავად ჩანს პროფ. ა. ს. ერუსალიმსკის ცნობილ ნაშრომებში ბისმარკის შესახებ); გერმანელი ფილისტერის თვალში ბისმარკის შუბლს რაღაც ღვთაებრივი შარავანდედით მოსავდა.

მაგრამ ნეტარების თრთოლვით ატანილი ფილისტერი ვერ ამჩნევდა, უფრო სწორად, არც სურდა შეემჩნია თავაწყვეტილი რეაქციულობა, უპრინციპობა და ვერაგობა, არაერთგზისი და უდავო ჩავარდნები მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში (მოვიგონოთ თუნდაც სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების კრახი და ბისმარკის დიპლომატიური მარცხი 1875 წლის სამხედრო განგაშის დროს). გერმანიის იმპერიალიზმის განვითარების აგრესიული, ყაჩაღური ხასიათი და, საბოლოო ჯამში, პირველ მსოფლიო ომში მისი მარცხის გარდუვალობა სწორედ იმპერიის იმ ეკონომიურმა და პოლიტიკურმა საფუძვლებმა განაპირობეს, რომელთაც ბისმარკმა ჩაუყარა საფუძველი.

დასავლეთგერმანელ იდეოლოგთა მიზნები, რომელთაც სურთ „ეროვნული აღორძინების“ კვარცხლბეკზე დააყენონ ბისმარკის ფიგურა, სრულიად გულახდილად გამოთქვა ისტორიკოსმა ფრიდრიხ ჰაზელმაირმა თავისი მრავალტომიანი ნაშრომის „მეორე იმპერიის დიპლომატიური ისტორიის“ მესამე წიგნის წინასიტყვაობაში. იგი წერს: „გერმანელი ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიათ დღეს ერთხმად, საბოლოოდ დაინახონ ბისმარკში იმპერიის დამსახურებული შემქმნელი, მშვიდობიანი კანცლერი და მიუჩინონ მას თავიანთ გულეებში ისეთივე ადგილი, როგორიც ამერიკის შეერთებული

ნოდარ კიკვაძე

ბისმარკი და ლეგენდის აღორძინება

¹ ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 21. გვ. 114.

ლად შედგენილი და პოლიციის საფარველქვეშ მყოფი სამხედრო დესპოტიზმი“.¹

თანამედროვე დასავლეთგერმანელი თეორეტიკოსები, რა თქმა უნდა, არასგზით არ ეთანხმებიან ასეთ განსაზღვრას. მაგალითად, ისტორიკოსი, პროფ. ფეიტ ვალენტინი თვლიდა, რომ ბისმარკის საქმის ისტორიული წარმატების უზრუნველყოფელი ფენომენი იყო „...კავშირი პრუსიულ სახელმწიფოსა და ვერმანული სახალხო მოძრაობის ლიბერალურ-ნაციონალურ ძალებს შორის“. რომელმაც თანამედროვენი გააცოცა და რომლის სისუსტეს შეადგენდა მხოლოდ „დემოკრატიული უფლებრივი სახელმწიფოს იდეის ნაკლები სიმტკიცით გატარება, როგორც ამას მოითხოვდნენ სულიერად მომწიფებული გერმანული პარტიები“. პანს როტფელსი კიდევ უფრო „აკეთილშობილებს“ იმპერიასა და მისი კანცლერის სახელმწიფო მოღვაწეობას. ბისმარკის „ფრიად მარჯვე ეტატიზმის“ ძირითადი ღირსება, როტფელსის აზრით, ის იყო, რომ იგი „...ხედავდა პანგერმანიზმში არანაკლებ ბოროტებას, ვიდრე პანსლავიზმში“, იბრძოდა კლასობრივი და რასიული განხეთქილებების წინააღმდეგ და „...აღკვეთა ყოველგვარი დიდგერმანული ჩარევა თუ ნაციონალისტური პროპაგანდა საზღვრებს მიღმა“.

ისტორიული სინამდვილის ამგვარი დამახინჯებით არის წარმოდგენილი ბისმარკის დამოკიდებულებაც ევროპის 1848 წლის რევოლუციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, ბისმარკის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის „ოსტატობის“ კვლევა და, რაც მთავარია, ბისმარკის დამოკიდებულება „მუშათა საკითხთან“.

ვერნერ რიხტერი, ბისმარკის უახლესი „ფსიქო-სოციოლოგიური“ ბიოგრაფიის ავტორი (იგი, გამომცემლობის პარადოქსალური რეკლამის მიხედვით,

სწავლობს ბისმარკს „დისტანტირებულ სიმპათიით“ და მსჯელობს „ერთა შექმნილის, არამედ პიროვნების“ პოლიტიკის, არამედ ადამიანის“ შესახებ) პირდაპირ თავდაყირა აყენებს აღნიშნულ საკითხს. ვ. რიხტერის მიხედვით ბისმარკს სურდა, რომ შინაგან კლასობრივ წინააღმდეგობებს ხელი არ შეეშალათ მისი საგარეოპოლიტიკური აქტიურობისათვის, რისთვისაც საჭირო იყო (აქ ავტორი ცნობილ იტალიელ სოციოლოგს ბენედეტო კროჩეს იმეორებს) მუშათა ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით მათი „...სულების მიძინება და ნებისყოფის მოდრეკა“.

საერთოდ კი, ვ. რიხტერის მტკიცებით, ბისმარკი მუშებთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან — თავის შეურიგებელ მტერთან. მის წინააღმდეგ იგი ფ. ლასალთან ერთობლივ გამოსვლასაც გეგმავდა, თუმცა ეს გამოსვლა არ განხორციელებულა. ტყუილად ხომ არ განაცხადა ბისმარკმა ჯერ კიდევ 1865 წელს პრუსიის ლანდტაგში: „პრუსიის მეფენი არასოდეს არ ყოფილან უპირატესად მდიდარი მეფეებიო“.

ამრიგად, ვ. რიხტერის დახასიათებით, ბისმარკი წარმოგვიდგება რალაც მოლიბერალო მემამულედ, რომელიც მშვენიერად ათავსებს ლაყობას ადამიანთა მთელი მოდგმის „საუკუნო სულიერ ძმობაზე“ მისი მეურვეობის ქვეშ მყოფთა უმოწყალო ექსპლოატაციასთან. კეთილი სურვილებით როდია გამოწვეული ისტორიული ფაქტების ასეთი დამახინჯება. ყველაფერი ის, რის შესახებაც მსჯელობას ასე „მოკრძალებით“ არიდებს თავს ვ. რიხტერი — თავადებული დემაგოგია ცხოვრების დონის ამაღლებისა და კლასობრივი ბრძოლის ქრობის შესახებ, მუშებისა და მათი ლიდერების გამუდმებული დევნა და დაპატიმრებები და ბოლოს, კანონი სოციალისტების წინააღმდეგ,

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ. II, თბ. 1964, გვ. 29.

რომელიც თვით ბისმარკს კანცლერობის დაკარგვად დაუჯდა — საოცრად ჩამოკავეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დღევანდელ დღეს.

მაგრამ სიტყვიერი ეკვილიბრისტიკის მარგალიტები მაშინ ჩნდება, როცა საქმე ბისმარკის საგარეო პოლიტიკას ეხება. უნდა აღვნიშნოთ, რომ საგარეო პოლიტიკის ასპექტებით გატაცება, დიპლომატიური ინტრიგებისა და კომბინაციების აღწერა შინაპოლიტიკური ასპექტების მიჩქმალვის ხარჯზე როგორც წინათ ბატონობდა, ისე ახლაც ბატონობს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. გასაკვირი აქაც არაფერია. საგარეო პოლიტიკის ისტორიის ნიადაგი ნაკლებ მოლიპულია, აქ შედარებით ადვილია კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის სამოსელში გამოწყობა, „მთელი ერის“ სახელით ლაპარაკი და, ბოლოს, თვით ბისმარკის პიროვნება ქმნის ასეთი პირუტყბისათვის მოხერხებულ ასპარეზს.

ამ ყაიდის თხზულებათა ლაიტმოტივი „რკინის კანცლერის“ განსაკუთრებული „მშვიდობისმოყვარეობაა“. ფ. ჰაზელმაირი, მაგალითად, სათაურშივე უწოდებს 1871—1890 წლების ეპოქას „მშვიდობიანი კანცლერის ერას“ და კვლავ უპირისპირებს მას მომდევნო ეპოქას, რომელიც სერიის შემდეგ ტომებში ხასიათდება როგორც „ფლოტის კაიზერის ერა“ (ე. ი. ვილჰელმ მეორისა). ამავე დროს ცნობილია, რომ თვით ბისმარკი, რომელსაც თავისი დიპლომატიური თამაშის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მომგებიან საშუალებად უხეში „გულწრფელობა“ მიაჩნდა, სრულიადაც არ ცდილობდა თავისი არცთუ მაინცადამაინც ხალასი მშვიდობისმოყვარეობის ასე გულდასმით კამუფლირებას. თავის მემუარებში იგი გულახდილად წერდა: „...ორივე დიდი იმპერიული ორგანიზმის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკისას (ე. ი. გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის. ნ. კ.) ევროპული მშვიდობა გარანტირებული იქნებოდა 2 მილიონი ჯარისკაცის მიერ“. ხოლო საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულს ბერლინში დე-

გაბრიაეს 1871 წლის აგვისტოში კრევე უფრო გულახდილად ეუბნებოდა, რომ იგი დარწმუნებულია საფრანგეთის პოლიტიკაში რევანშისა და ახალი ომისაკენ და დასკვნინდა: „...ეს ომი პირველი იქნება იმ ომებში, რომლებიც გერმანიასა და საფრანგეთს შორის იფეთქებენ და რომ მას რიგი სხვაც მოჰყვება“.

ფ. ჰაზელმაირის კვლადაკვალ ბისმარკის საგარეო პოლიტიკის დამცველის როლში გამოდის მარტინ გორინგი. ფ. ჰაზელმაირსა და გორინგს კვერს უკრავს ჰანს ერის შტირიცი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბისმარკის პოლიტიკას საფუძვლად ედო პატიოსნება და ერთგულება და რომ „ბისმარკის იმპერია ჩაფიქრებული იყო, როგორც მშვიდობის ბურჯი ევროპაში“. ამასვე იმეორებენ ფედერაციული რესპუბლიკის რიგი ცნობილი თუ ნაკლებ ცნობილი ისტორიკოსებიც.

ამრიგად, ბისმარკს თურმე მიაჩნდა, რომ იმპერია „გაჯერებულია“, რომ ყოველი ომი, ყოველი დაპყრობა ნებისმიერი ტერიტორიისა სახიფათოა მისთვის. ერთადერთი, რაც კანცლერს სურს, ესაა ევროპული წონასწორობის, როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის საყრდენის შენარჩუნება და ა. შ. საბოლოო ჯამში, ბისმარკის საგარეო პოლიტიკის „გაკეთილშობილებისაკენ“ მისწრაფების გამო თითქოს „მივიწყებას“ ეძლევა პრუსიის ომები დანიასთან (1864 წ.), ავსტრიასთან (1866 წ.), საფრანგეთთან (1870 წ.), საფრანგეთის წინააღმდეგ პრევენტული ომის გეგმები და 1873-75 წლების საომარი განგაშები, ავსტრია-პრუსიის აგრესიული კავშირი ან კიდევ უფრო აგრესიული „სამთა კავშირი“ — ბისმარკის დიპლომატიური ხელოვნების გვირგვინი, რომელიც თვით კანცლერზე უფრო დღევანდელი გამოდგა. მაგრამ ისტორიის ასეთი „შელამაზება“, ცხადია, ვერ დაარწმუნებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობებში მცირედ ჩახედულ მკითხველსაც კი. ანალოგიური პოზიციებიდან განი-

ხილება გერმანიის, კერძოდ, ბისმარკისეული პერიოდის, კოლონიური პოლიტიკის სიუჟეტები. ერთ-ერთმა წამყვანმა დასავლეთგერმანელმა ისტორიკოსმა გერჰარდ რიტერიმა ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა: „გერმანიის კოლონიური პოლიტიკის ისტორიული გამოცდილება“. ვანიხილავს რა კოლონიურ პოლიტიკას ზოგად ასპექტებში, გ. რიტერი აღნიშნავს კოლონიური ექსპანსიის ხასიათის ცვლას XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და ამ ცვლილების ერთ-ერთ მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს ფინანსური და ინდუსტრიული კაპიტალის გაზრდილ ძლიერებას, რომელიც „თავისი ძალის და შესაძლებლობების“ გამოყენების ახალ სფეროებს ეძებდა, რადგან სამამულო ბაზარს აღარ შეეძლო სასურველ მოგებათა უზრუნველყოფა, მით უმეტეს, 70-80-იანი წლების ციკლური კრიზისების პერიოდში. მაგრამ ეს ზოგადი დებულება დავიწყებას ეძლევა, როგორც კი საქმე კონკრეტულად გერმანიას შეეხება. ირკვევა, რომ გერმანიის კოლონიური პოლიტიკა (რომელიც სწორედ აშკარა ფლიბუსტერული ხასიათით გამოირჩეოდა) სხვებისაგან განსხვავებით განხილულ უნდა იქნას „...როგორც გერმანიის ძლიერების გრძნობის გამოხატულება, რომელიც სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა 70-იან წლებში იმპერიის შინაგანი აგების დამთავრების შემდეგ“. ვანა შეეძლო ბისმარკს მთელი ერის იმედების გაცრუება, რამდენადაც მთელი ერი ესწრაფოდა კოლონიურ ნადავლს?

გ. რიტერსაც ასევე ნაკლებდამაჯერებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ კოლონიურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს მისწრაფება იაფი ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების მონოპოლიური დასაკუთრებისაკენ. მისი აზრით, ეს ძალზე „პრიმიტიული“ დასაბუთება იყო ბისმარკისათვის, რომელიც გულში თითქოს უარყოფითად ეკიდებოდა კოლონიურ დაპყრობებს. მაშ, რაღამ გამოიწვია ბისმარკში ძლიერი ლტოლვა კოლონიური ავანტიურ-

ბისაკენ? ვ. რიტერის აზრით, ეს რელიქტური მოსახლეობის კოლონიებში გადასახლების იდეა, სურვილი და სურვილი ტარიფებით დაზარალებული საშუალო ფოდების ადვგენისა ექსპორტის საშუალებით (?!), ლიბერალური ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო მანევრები და, ბოლოს, ინგლის-გერმანიის ურთიერთობათა ისეთი გაუარესების სურვილი, რომელიც წინასწარვე შეუკრავდა ხელებს მომავალ იმპერატორს — ანგლოფილ კრონპრინც ფრიდრიხს. ყველაფერი ეს მართლაც ძალზე „არაპრიმიტიულად“ გამოიყურება.

მაგრამ ზოგიერთი დასავლეთგერმანელი ისტორიკოსი გრძნობს ასეთი აშკარად ანტიისტორიული დებულებების მერყეობას და ცდილობს თითქოს უფრო ობიექტური პოზიცია დაიკავოს. მაგალითად, პროფ. გ. მანი თავის წიგნში „გერმანიის ისტორია XIX და XX საუკუნეებში“ მეტად მკაცრად აკრიტიკებს ბისმარკის საშინაო პოლიტიკას, თუმცა ეთანხმება სხვა ავტორებს მისი საგარეო პოლიტიკის შეფასებაში. იგი წერს, რომ იმპერიის შექმნა ინტრიგებითა და მეზობლებთან ჩხუბით არ იყო ბრძნული ნაბიჯი. ეს შედეგი საბოლოოდ არავის არ აკმაყოფილებდა: ერთნი პრუსიის გაბატონებულ მდგომარეობას წყევლიდნენ, მეორენი — სამხრეთგერმანული სახელმწიფოების განსაკუთრებულ უფლებებს, უკმაყოფილონი იყვნენ თვით ძალაუფლების მქონენიც. ბისმარკის ოცქლიანი კანცლერობა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ გ. მანს საერთოდ დაკარგულ დროდ მიაჩნია, რამდენადაც ბისმარკს თითქოს აღარ ჰქონდა პოზიტიური მიზნები. იგი უკიდურესობებს შორის ბალანსირებდა მხოლოდ და ამ თვალსაზრისით იგი „...არა ძალზე ადრე წავიდა, არამედ ძალიან გვიან“. აღსანიშნავია, რომ ბისმარკის წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან ავ-


ნოდარ კიკვაძე
ბისმარკი და ლეგენდის აღორძინება



- 1) „გერმანიის იმპერიალიზმი და მეორე მსოფლიო ომი“. მოსკოვი. 1961 (რუს. ენაზე).
- 2) „გერმანიის ისტორიის ნარკვევები“. მოსკოვი. 1959 (რუს. ენაზე).
- 3) „დიპლომატიის ისტორია“. ტ. I. მოსკოვი. 1959 (რუს. ენაზე).
- 4) „დიპლომატიის ისტორია“. ტ. II. მოსკოვი. 1963 (რუს. ენაზე).
- 5) ფ. ა. როტშტეინი. საერთაშორისო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასასრულს. მოსკოვი-ლენინგრადი. 1960 (რუს. ენაზე).
- 6) ა. ს. ერუსალიმსკი. გერმანიის იმპერიალიზმი: ისტორია და სინამდვილე. მოსკოვი. 1964 (რუს. ენაზე).
- 7) თ. ბისმარკი. აზრები და მოგონებანი. ტ. I — III. მოსკოვი. 1940 — 1941 (რუს. ენაზე).
- 8) „ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკოსათვის დასავლეთ გერმანიაში“. ბერლინი. 1962 (გერმ. ენაზე).
- 9) ფ. ჰაზელმარი. მეორე იმპერიის დიპლომატიური ისტორია 1871 — 1918 წწ. მშვიდობის კონკლერის ერა (1871 — 1890 წწ.). ტ. I — III. მიუნხენი. 1956 — 1959 (გერმ. ენაზე).
- 10) ფ. ჰაზელმარი. მეორე იმპერიის დიპლომატიური ისტორია 1871 — 1918 წწ. ფლოტის კაიზერის ერა (1890 — 1918 წწ.). ტ. IV — V. მიუნხენი. 1961 — 1963 (გერმ. ენაზე).
- 11) მ. გორინვი. ბისმარკის მექვიდრენი. 1890 — 1945. გერმანიის გზა ვილჰელმ II ადოლფ ჰიტლერამდე. ვისბადენი. 1959 (გერმ. ენაზე).
- 12) ჰ. როტფელსი. ისტორიული დაკვირვებანი. გეტინგენი. 1959 (გერმ. ენაზე).
- 13) ვ. მომზენი. დასავლეთ ევროპის ისტორია საფრანგეთის რევოლუციიდან თანამედროვეობამდე. 1789 — 1945. მიუნხენი. 1951 (გერმ. ენაზე).
- 14) ჰ. ე. შტირი. გერმანიის ისტორია მსოფლიო ისტორიის ჩარჩოებში. ფრანკფურტი მიანზე 1959 (გერმ. ენაზე).
- 15) ბ. შვერტფეგერი. ბრძოლაში სასიოცხოლო სივრცისათვის. გერმანიის ბრძოლის 70 წელი 1870 — 1940. პოტსდამი. 1940 (გერმ. ენაზე).
- 16) ფ. ჰარტუნვი. გერმანიის ისტორია 1919. ლაიპციგი. 1939 (გერმ. ენაზე).
- 17) ფ. ვალენტინი. კნაურსის გერმანული ისტორია. მიუნხენი — ციურხი. 1960 (გერმ. ენაზე).
- 18) გ. ა. რაინი. რევოლუცია ბისმარკის პოლიტიკაში. გეტინგენი — ბერლინი — ფრანკფურტი მიანზე. 1957 (გერმ. ენაზე).
- 19) ლ. ფონ შურალტი. ბისმარკის პასუხისმგებლობა. გეტინგენი — ბერლინი — ფრანკფურტი მიანზე. 1957 (გერმ. ენაზე).
- 20) ე. ცხილინი. ბისმარკი და გერმანიის იმპერიის შექმნა. შტუტგარტი. 1960 (გერმ. ენაზე).
- 21) ვ. რიხტერი. ბისმარკი. ფრანკფურტი მიანზე 1962 (გერმ. ენაზე).
- 22) „ფრანგული დიპლომატიური დოკუმენტები 1871—1914“. I სერია. ტ. I. პარიზი. 1929 (ფრანგ. ენაზე).
- 23) ბ. რასოვი. გერმანიის პოზიცია დიდ სახელმწიფოთა წრეში 1887 — 1890 წწ. ვისბადენი 1959 (გერმ. ენაზე).
- 24) ჰ. როტფელსი. ბისმარკი, აღმოსავლეთი და იმპერია. შტუტგარტი. 1960 (გერმ. ენაზე).
- 25) გ. ბინდერი. გადაწყვეტილებათა ეპოქა. XX საუკუნის ისტორია. შტუტგარტი. 1960 (გერმ. ენაზე).
- 26) გ. რიტერი. გაცივლებული წარსული. ნარკვევები ისტორიულ-პოლიტიკური თვითგარკვევისათვის. მიუნხენი. 1958 (გერმ. ენაზე).
- 27) გ. მანი. გერმანიის ისტორია XIX და XX საუკუნეებში. ფრანკფურტი მიანზე. 1958 (გერმ. ენაზე).
- 28) ე. ფრანცელი. ბისმარკიდან აღენაურამდე. იდეოლოგია, ილუზია და რეალაში გერმანიის პოლიტიკაში. ბერნი. 1957 (გერმ. ენაზე).
- 29) ჰ. გ. ფონ. შტუდნიცი. ბისმარკი ბონში. შენიშვნები საგარეო პოლიტიკის შესახებ. შტუტგარტი. 1964 (გერმ. ენაზე).
- 30) ი. დიტრიხი. ბისმარკი, საფრანგეთი და ჰოქენცილერენების კანდიდატურა ესპანეთის ტახტზე. 1870 წ. „ომის ბრალდების საკითხი“. მიუნხენი. 1962 (გერმ. ენაზე).
- 31) ჰ. პლაშკე, დ. კლაინი. ბონი — პარიზი. მონოპოლიათა ლერძი. ბერლინი. 1964 (გერმ. ენაზე).



დაიდა თაბუკაშვილი



ხელოვნება პატარებვისათვის

ჭეშმარიტად გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ ქართული წიგნის გრაფიკამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე.

საბავშვო ლიტერატურის მხატვრული გაფორმების საძირკვლად იოსებ გაბაშვილის უაღრესად თვითმყოფადი, დახვეწილი ხელოვნება იქცა. იგი შესანიშნავ ეროვნულ ტრადიციად განვითარდა და გამრავალფეროვნდა. საბავშვო წიგნის მხატვრობაში, ისევე როგორც ქართული სახვითი ხელოვნების ყველა დარგში, მოვიდნენ სხვადასხვა ინდივიდუალობისა და ხედვის ნიჭიერი

შემოქმედნი. მათ მრავალმხრივობას და დიაპაზონის სიფართოვეს მოწმობს პირველყოვლისა ის, რომ ისინი როდი არიან შემოფარგლულნი სახვითი ხელოვნების ერთი რომელიმე სფეროთი. ჩვენი მოქანდაკეები, ფერმწერლები წარმატებით მუშაობენ გრაფიკის სხვადასხვა დარგებში, კერძოდ, ისეთ რთულ, ფაქიზ და თავისებურ დარგში, როგორცაა საბავშვო ლიტერატურის მხატვრობა. და თუ გასაყიდად გამოსული საბავშვო წიგნების თაროებიდან მალე ქრება ხოლმე ესა თუ ის წიგნი, ამის მიზეზი ისიც არის, რომ ხანდახან დიდებიც ეცილებიან ხოლმე პატარებს მათთვის განკუთვნილ იმ წიგნებში, ვინაიდან უფროსებსაც ხიბლავს ჩვენი მხატვრების მიერ ლამაზად გაფორმებული საბავშვო ნაწარმოებები. ქართული საბავშვო წიგნების მაღალი მხატვრული და პოლიგრაფიული დონე ბოლო წლებში უკვე მეტად თვალსაჩინო გახდა.

ქართული წიგნის გრაფიკის სწორედ

ამ უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია შალვა ცხადაძე — ფერმწერი და გრაფიკოსი. თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერმწერის ფაკულტეტი მან 1942 წელს დაამთავრა, ხოლო 1943 წლიდან ისევ აკადემიის კედლებში ეუფლებოდა გრაფიკული ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების ტექნიკურ საიდუმლოებებს.

ამავე წლიდან იგი უკვე მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებზე. ამ პერიოდში მხატვარმა ლითოგრაფიასა და აკვარელში ძველი თბილისის ხედებისა და სვანეთის პეიზაჟების მთელი სერია შექმნა. ამ ნამუშევრებით თვალნათლივ გამოვლინდა შემოქმედის მახვილი, პოეტური თვალი და ფაქიზი გემოვნება. ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან სახოვანი კომპოზიციური წყობით და ფერადოვანი პარმონიით, შესრულების მაღალი ტექნიკური ოსტატობითა და მასალის გრძნობით. ამ დაზგურმა გრაფიკულმა ფურცლებმა მოუტანეს პირველი აღიარება შალვა ცხადაძეს, როგორც შემოქმედს.

ოცი წლის წინათ მოვიდა შალვა ცხადაძე საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქციაში. ოცი წელია, რაც მისი ხელმძღვანელობით აფორმებენ პატარების აღმზრდელ ჟურნალს, რომელიც ასე დიდ ხელოვნებას მოითხოვს არა მარტო მწერლისაგან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მხატვრისაგან. თავდაპირველად მხატვრის ნახელავს აღიქვამს ბავშვი. იგი ხდის თვალსაჩინოს მწერლის მონათხრობს, რომლის ემოციურობა ხელშესახებად ცოცხალმა და ადვილად გასაგებმა პლასტიკურმა ფორმამ უნდა განსაზღვროს. მხატვრის ხელოვნება ბავშვის შეგნებაში აყალიბებს სილამაზის სიყვარულს, სამყაროსადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას.

დროთა მანძილზე შალვა ცხადაძემ ჟურნალის ირგვლივ შემოიკრიბა მხატვართა დიდი კოლექტივი. ამ კოლექტივის ყოველი წევრი საკუთარი, ამასთან მეტყველი და გასაგები ენით უსურათ-

ხატებს პატარა მკითხველებს ლექსები-სა თუ მოთხრობების სახეებს.

გარდა თვით ჟურნალ „დილას“-ითავსებული ცალკეული ილუსტრაციებისა, შალვა ცხადაძე საბავშვო გამომცემლობა „ნაკადლის“ მიერ გამოშვებული მრავალი საბავშვო წიგნის სამხატვრო გაფორმების ავტორია. თუ ვადავენებთ თვალს მის შემოქმედებას ამ დარგში, არ შეიძლება გამოკვეთილად არ დავინახოთ მხატვრის ნათელი მხატვრულ-იდეური მიზანსწრაფვა: ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათისა და სულისკვეთების შესატყვისი სახვითი გადაწყვეტისათვის ზრუნვა. თუ აღარაფერს ვიტყვით მხატვრის თვით წმინდა პროფესიულ ოსტატობაზე — ნახატისა და აკვარელით წერის სრულყოფილად და თავისუფლად ფლობაზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი, როგორც შემოქმედის, უფრო თვალსაჩინო ღირსებები — სადა და ხატოვანი პლასტიკური ენა, მხატვრული ტაქტი და ალლო, მდიდარი ფანტაზია, გონებამახვილობა და თბილი იუმორი. თუმცა მის მიერ გაფორმებულ პირველ და ბოლო წიგნს შორის თხუთმეტი წელია სხვაობა, თუმცა აშკარაა მხატვრის ზრდა სახვითი საშუალებების მომარჯვებისა და ახალი ხერხების ძიების თვალსაზრისით, მაგრამ შემოქმედებითი გზის დასაწყისიდან დღემდე მთელი ეს გზა აღბეჭდილია თანმიმდევრული, სწორი მიზანდასახულებით — შექმნას პატარებისათვის ადვილად გასაგები, ამაღლელებელი, პოეტური სახეები.

შ. ცხადაძის მხატვრობის კიდევ ერთი თვალსაჩინო ღირსება — ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების შინაგანი რიტმის შესატყვისი ფორმის მიგნება. პროზას მხატვარი უფრო სხვაგვარად ასურათებს, ვიდრე ლექსებს, სადაც პოეტური სახეები დინამიკური სისწრაფით ცვლიან ერთმანეთს.

შავი და თეთრი ფერთაა შესრულებული ილუსტრაციები მაყვალა მრგვლიშვილის წიგნისათვის „გოგია და ტოლია“ (1955). ეს ნამუშევრები უფ-

რო ჩინახატის ხასიათს ატარებს და მოხდენილადაა განაწილებული ლექსის სტროფებს შორის. ორი პატარა ბიჭუნას თავგადასავალი, რომელზეც პოეტი მოუთხრობს ბავშვებს, მხატვრის მიერ ასევე ცოცხლადაა დასურათებული.

მსგავსი პრინციპითაა გადაწყვეტილი, მაგრამ უკვე ფერებში, მყვალა მრეველიშვილის მეორე ნაწარმოების ილუსტრაციები — „კიკლი კიკლი კიბესა“. აქაც ილუსტრაციების სახვითი ენა მოქნილი და სხარტია. მხატვარი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ვაშლილი გვერდების კომპოზიციის დინამიკურობას და გამომსახველობას, რათა გაჰყვეს ლექსთა წყობის რიტმს.

თხრობის უფრო დინჯი ტონი ახასიათებს ხალხური ზღაპრის „მელია და დათვის“ ილუსტრაციებს. მხატვარი აქ უფრო გულდასმით ამუშავებს მოცულობით ფორმებს, მეტ აკადემიურ სისავსეს აძლევს ნახატს, ფერს. ილუსტრაციებში შენარჩუნებულია ნახატის სიცხველე და სიხალისე. შესრულების ჩვეული თავისუფალი მანერით მკაფიოდ გამოყოფს სახასიათო მხარეს. მხატვარი ზღაპრის მთავარი პერსონაჟების ასახვისას, ხოლო რბილი ფერწერული გადასვლებით ამუშავებს ფონს, პეიზაჟს. შემოქმედი თვითეული ეპიზოდს სახვით ენაზე გადატანისას ამდიდრებს პატარა დეტალებით, რომლებიც თუმცა უშუალოდ არ უკავშირდება ეპიზოდს, მაგრამ ინტიმურობა და თბილი იუმორი შეაქვს სურათში.

თუ რა შესანიშნავად ეხერხება მხატვარს ცხოველებისა და ფრინველების ალაპარაკება ადამიანის ენაზე, ამის თვალსაჩინო ნიმუშია 1956 წელს გამოცემული „ჩიტი და მელა“. ვარკვანზე ვხედავთ ზღაპრის ორ მთავარ პერსონაჟს — ჩიტუნას და გაიძვერა მელიას, რომლებიც მხატვარს დედისა და ბოროტი კაცის სიმბოლოებად ჰყავს გააზრებული და ამიტომ მოსავს მათ ადამიანის სამოსით. ყდის მარცხენა ზემო ნაწილში გამოხატული ჩიტი-ჩიორა შეშინებული დაჰყურებს მელიას, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაუდგია, ბატონკა-

კურად დაბრძანებულა, კუდი ამკრავდ გამოუჩენია და ყალიონს აბოლებს. მისი პირის მოხაზულობაში აღმოცენდება რად მოჭუტულ თვალებში ნათლად გამოკრთის ბოროტი სული. მხატვარს თავიდანვე შეჰყავს ბავშვი იმ ატმოსფეროში, რაზეც ზღაპარი მოუთხრობს. ზღაპრის შინაარსზე მიანიშნებს აგრეთვე ტიტულის ნახატი — ხის ტოტზე ფოთლის ქვეშ შეყუჟული სამი ჩიტუნია. შემდეგ მხატვარი მიყვება მოქმედებას და ასურათებს თვითეულ ეპიზოდს. ყოველ ილუსტრაციაში იგი პოულობს ახლებურ კოლორიტულ და პლასტიკურ საშუალებებს ეპიზოდის სახიერად ასახვისათვის.

სრულიად სხვა სახვითი ხერხებით არის დასურათებული ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ (1958 წ.). თუ „ჩიტსა და მელაში“ შეძრწუნებას იწვევს ლამაზი პეიზაჟების ფონზე ასახული ზღაპრის პერსონაჟის სიბოროტე, დაპირისპირებული პატარა არსებების კეთილშობილებისადმი, „რწყილსა და ჭიანჭველაში“ მხატვარმა სხარტად და თბილი იუმორით მოგვითხრო მეგობრობაზე. ილუსტრაციებში მთავარი პერსონაჟები — რწყილი და ჭიანჭველა პირობით პლანშია მოცემული (მათი გამოსახულება, ქცევა, მოძრაობა, მოქმედება პირობით-ზღაპრულია), ხოლო სხვა პერსონაჟები რეალისტურად. ასეთი ხერხი მხატვარს, როგორც ჩანს, დასჭირდა რწყილისა და ჭიანჭველას მასშტაბის გასაზრდელად, საამისოდ შეიტანა მან ილუსტრაციებში ორნამენტული მოტივებიც, რათა პროპორციების ეს შეცვლა დამაჯერებელი ყოფილიყო და ერთ ილუსტრაციაში რეალური და პირობითი ნიშნები ორგანულად შერწყმოდა ერთმანეთს. ამიტომაც თვალში აღარ გვხვდება რწყილის სიდიდე ღორთან და ძროხასთან შედარებით. ზღაპრის ეს პაწაწინა გმირი ინარჩუნებს იმ ზომას, რაც საჭიროა მისი როლისა და ფუნქციისათვის.

ლეილა თაბუკაშვილი
ხელოვნება პატარებისათვის

ძალზე პოეტური და მაღალმხატვრულია მირონ სურგულაძის ზღაპრის „როგორ მოიპარა მელა ბებიას თხამ“ ილუსტრაციები. ბევრი კარგი და ფაქიზი გემოვნებით აღბეჭდილი ნახატია გამოცემებში: „თხა და ვენახი“, „მამალი და კატა“, შარლ პეროს „წითელქუდა“ და „ჩექმებიანი კატა“, მყვალა მრევლიშვილის „ბიჭი-ბიჭუნა“, გივი ჭიჭინაძის „დათუნია დრუნჩა“ და სხვ. და ბოლოს მხატვრის მაღალი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია გასულ წელს გამოცემული ე. მეყელიაძის „ბაჭია-ბიჭუნა“, რომელმაც რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

თავისი ძრავალი წლის დიდად მკვლევარი შემოქმედებითი შრომა მხატვარმა მთლიანად ნორჩ თაგმანს დაუღწა. მისი ოსტატობა იმის საწინდარია, რომ მომავალში მისი შემოქმედება კიდევ უფრო ნაყოფიერი და საინტერესო იქნება.

დაე, მრავალი მისი ახალი წიგნი კვლავ ქვეყლიყოს პატარა მკითხველების სულიერ საზრდოდ, მრავალი ახალი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული განეცადოს ვრცელ შემოქმედებითს ვზაზე მხატვარს, ვისი ფუნჯითაც იქმნება დიდი ხელოვნება — პატარებისათვის.



ხებ მამა რას ფიქრობს, არ ვიცი. იგი ძალიან მკაცრი და მომთხოვნია. მამას ამის უფლება აქვს. მოკლედ, თუ ჩავფლავდი, მივალ მამასთან და უბრალოდ ვეტყვი: ვერ ვივარბე, მამა...

შობლებს სურდათ, უნივერსიტეტი დაემთავრებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, მემკვიდრეობამ თავისი გაიტანა... საიტერი და მუსიკა ბავშვობაშივე შევიყვარე. მამაჩემის ფილმებს ახლაც აღტაცებული ვუყურებ. ასე მგონია, ეს მომხიბლავი სახე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე გამჟღავნება, არასოდეს დამავიწყდება. ოჯახური ბუდიდან ყველაზე პირველად მე „გავფრინდი“, შემდეგ — მაიკლი. მაიკლი ლონდონის სამსახიობო სასწავლებელში სწავლობს. მალე უოლფენსას ჯგირიც დადგება. ოჯახში უოლფენსა ყველაზე ლამაზია. უოლფენსას ვიცი მიპყვება. ეს კი ნამდვილად შესანიშნავი მსახიობი გამოვა. ვიცი ძალიან ნიჭიერი.

ათიდან თხუთმეტ წლამდე მე (ასევე ჩემი უმცროსი დე-

ბი) სამონასტრო სკოლა-ინტერნატში ვსწავლობდი. შემდეგ საბალეტო სკოლა დავამთავრე. ამჟამად პარიზში ვცხოვრობ.“

კორესპონდენტის კითხვას — ჩაპლინმა თავისი ქალიშვილები სასწავლებლად მონასტერში რატომ მიიბარა, მას ზომ არასოდეს არ სწამდა ღმერთით — უერადლინამ უპასუხა: „მამას დისციპლინა უყვარდა და ეს „ნენი“ ყველას გადამოვდო. სახლში ღმერთს არავინ ასხენებდა, არც ლოცულობდა და პირველხარისხ არავინ იწერდა. მამა ამბობდა, ღმერთს სიამოვნებით ვიწამებდი, მაგრამ არ შემიძლიაო. მამა ილუზიებით არ ცხოვრობს და ჩვენც ასე გავვარდა. მე მიყვარს მამა და მეშინია კიდევ მისი; მეშინია არა იმიტომ, რომ იგი მკაცრი და მომთხოვნია, — ბოლოს და ბოლოს მამა ყოველთვის მართალია, — არამედ იმიტომ, რომ იგი ჩემთვის მაგალითი და შთაგონება იქნება მუდამ“.

ორი ბანკმშბი

ძაღვების კოსმეტოლოგიური კაბინეტის მფლობელი ენ სეიმორი ცოლად გააყვა სერ ეკტონ ჯილქესტერს. სეიმორმა ორი ბრწყინვალე ბანკეტი მოაწყო: ერთი — ქორწილზე მიპატივებული ხალხისთვის და მეორე — თავისი კლიენტებისთვის (პუღელებისთვის). დღესასწაულის ოთხფეხა სტუმრებმა ბევრი შემწვარ-მობრაკაული, სავანგებოდ დარჩეული ძვლები და თითო ჭიქა შამპანური მიირთვეს. როგორც ლონდონელები ამბობენ, ძაღვების ბანკეტი უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე ადამიანებისა.

ტანადღ

„უპატივცემულო ტანადღელები“

ამ სათაურით უფრანღ „მაკლინსში“ დაიბეჭდა წერილი სატირულ-მუსიკალური კომედიის შესახებ. ეს კომედია მასხრად იგდებს საარჩევნო

გაგრძელება იხ. გვ. 144.

რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა

1947 წელს მე გამოვაქვეყნე წიგნი სათაურით „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“. თავის დროზე ამ წიგნმა დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ ამის მიუხედავად, მალე იმის შეგნებამ იჩინა თავი, რომ მეცნიერებას ე. წ. „ევროპოცენტრიზმის“ გავლენით გამოეპარა დასავლური და მსოფლიო რენესანსის შესწავლისათვის მეტად საჭირო ცნება აღმოსავლური რენესანსისა. ჰეგელის ცალმხრივმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ ყალბად გაიგო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა აზროვნებისა და საზოგადოდ კულტურის საკითხებში და ყალბი საფუძველი ჩაუყარა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართებას. ამ გარემოებამ მოამზადა „ევროპოცენტრისტული“ თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ყოველი სასიკეთო წამოწყება კაცობრიობის ცივილიზაციაში ევროპას მიეწერებოდა, მათ შორის რენესანსიც.

ჯერ კიდევ 1941 წელს მე გამოვაქვეყნე წერილი „Восточный ренессанс и критика европоцентризма“ (თბ. მეცნიერებათა აკადემიის გამო-

ცემა) და ეს ტერმინი—„ევროპოცენტრიზმი“ მაშინვე შევიდა მეცნიერებაში ჩვენში და სხვაგანაც.

თანდათანობით შეგნებულ იქნა, რომ აღმოსავლეთის რენესანსის ცნება აუცილებელი ყოფილა მსოფლიო რენესანსისა და, კერძოდ, დასავლეთის რენესანსის შესასწავლად.

აღმოსავლეთის რენესანსის პრობლემის ასეთი ვრცელი დაყენებით დღესდღეობით არ ვაპირებ აღნიშნული საკითხის დამუშავებას. იგი ჩემთვის მორიგი საკითხია იმათ წინააღმდეგ გასალაშქრებლად, რომლებიც სარგებლობენ რა ჩემს მიერ წამოწყებული ძიებით, ზედმეტად აფართოებენ საკითხს. მინდა ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს, შეიძლება თუ არა რენესანსის ფარგლებზე ლაპარაკი და როგორ ესაზღვრება ეს საკითხი რუსთაველს, როცა ადრინდელი აღმოსავლეთის რენესანსი უკვე დადგენის პროცესში იყო შესული.

ჩვენი მეცნიერება შეუდგა საკითხის შესწავლას და გამოაქვეყნა თავისი თვალსაზრისი აღმოსავლეთის რენესან-

სის მნიშვნელობაზე. მაგ. საკავშირო აკადემიის წევრმა კონრადიმ („Проблема реализма и литература Востока“, „Вопросы литературы“, 1957, № 1) და საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მ. ჟირმუნსკიმ („Алишер Навои и проблема ренессанса в восточных литературах“, ლენინგრადის უნივერსიტეტის გამოცემა, 1961 წ.).

რამოდენიმე წლის შემდეგ აკადემიკოსმა ნ. კონრადიმ გამოაქვეყნა ახალი ნაშრომი შექსპირის იუბილესთან დაკავშირებით („Шекспир и его эпоха“, Новый мир, № 9, 1964 г.).

ჟურნალ „ღროშის“ მკითხველებს უკვე მოვახსენე, რომ სომეხმა მეცნიერმა ვ. ჩალოიანმა 1963 წ. გამოაქვეყნა გამოკვლევა სათაურით „Армянский ренессанс“, რომლის ჩემდამი მოძღვნაში ავტორი წერდა: „ჩემს ამხანაგს აღმოსავლეთის რენესანსისათვის ბრძოლაში“, მაგრამ თვით წიგნში ამ საბრძოლო ამხანაგობაზე ლაპარაკს დღემდე ამჯობინა. რაც შეეხება საკავშირო აკადემიის დასახელებულ წარმომადგენლებს, მათ პატივისცემით მოვახსენებ ჩემს მოსაზრებას, საიდანაც ნათელი გახდება, რომ ისინი ზოგ რამეს კიდევ უნდა ჩაუკვირდნენ აღმოსავლეთის რენესანსის მნიშვნელობის საკითხში, რაც მათ გადამეტებულად აქვთ წარმოდგენილი. თუ ჰეგელი შემცდარი იყო, როცა კულტურასა და აზროვნებაში ყველაფერს დასავლეთს უიწერდა, ასევე შემცდარია დღეს რენესანსის კულტურის საკითხში ყველაფრის აღმოსავლეთისათვის მიწერა.

ორივე დასახელებულ მეცნიერს, თუმცა ზოგ რამეში შეკამათებთან, არ ავიწყდება, რომ აღმოსავლეთის რენესანსის კვლევის უადრესი წამომწყები მე ვიყავი: ვ. ჟირმუნსკი წერს: „ხანდაზმული მომხრე აღმოსავლეთის რენესანსის იდეისა არის შ. ი. ნუტუბიძე (ვ. ჟირმუნსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 86). აკადემიკოსი ნ. კონრადიც ამბობს: „ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთის რენესანსის კვლევა აღმოსავლეთის მეცნიერმა შ. ნუტუბიძემ

დაიწყო“ (ვ. ჩალოიანის დასახელებული წიგნის ბოლოსიტყვაობა). მიუხედავად ამისა, მე არც ადრე ვფიქრობე და არც ახლა ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთის რენესანსი არის მსოფლიო რენესანსის დასაწყისი.

ეს წერილი გამოწვეულია დასახელებულ მეცნიერთა, განსაკუთრებით აკად. ნ. კონრადის კონცეფციით, რომელზეც მის ნაშრომში ნათქვამია, როგორც „მსოფლიო ჰუმანიტურ ლიტერატურაზე“, როგორც „კიდევ ერთ ეპოქაზე დიდი ლიტერატურული მთლიანობისა“. ეს მთლიანობა და გამოთქმა „კიდევ ერთი“ მიუთითებს ვესელოვსკის სტადიალურ პარალელობას ლიტერატურათმცოდნეობაში, რომლის მიხედვით, საქმე ნამდვილ განვითარებაში და მის კანონზომიერებაში კი არაა, არამედ წინასწარი სქემით გათვალისწინებულ პარალელებში, რომლის თანახმად მსოფლიო ლიტერატურაში თურმე არის ანალოგიური პირობები და გამომდინარე ანალოგიური ლიტერატურული მოვლენები (მათ შორის რენესანსიც), რომლებიც ვითომცდა ამ სქემის თანახმად მიმდინარეობენ.

როგორც ყოველი პარალელიზმი, ეს არაა მონისტურ-მატერიალისტური გაგება ლიტერატურულ-კულტურული მოვლენებისა და ვერაფრით სჯობს ფილიაციის „თეორიას“ (ნ. კონრადი, დას. ნაშრ. გვ. 72). იმავე წერილში და იმავე ადგილზე აკად. ნ. კონრადი აცხადებს: „იწყებს მას (მსოფლიო რენესანსს—შ. ნ.) ჩინეთი VIII — IX საუკ. აგრძელებს IX — XV ს. ს. შუა აზია და ირანი, ინდოეთის მოსაზღვრე ნაწილით; ათავენს XIV — XVI საუკუნეებში ევროპა“.

ასეთია ნ. კონრადის 1957 წლის ეს სქემა მსოფლიო რენესანსისა, ე. ი. ათი წლის შემდეგ ჩემი წიგნის გამოსვლისა.

მეორე შრომაში, რომელიც, როგორც ითქვა, 1964 წელს გამოვიდა („მექსიკის ეპოქა“) (Нов. Мир, № 9, გვ. 206), აკად. ნ. კონრადი, შენიშნავს რა, რომ „იტალიაში ასეთი ამაღლება (подъем)

დაიწყო XIV საუკუნეში, ირანში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთს ნაწილებში და შუა აზიაში IX საუკუნეში, ჩინეთში კი უფრო ადრე, VIII საუკუნეში“ (იქვე).

ამ დაჯგუფებებში შინაგანი აღრევაა. „ინდო-ირანულ-შუააზიურ რენესანსმა გამოიწვიაო ასეთივე მოვლენა ამიერკავკასიის ხალხებში“ (გვ. 207). ავტორი იქვე განაგრძობს: „ასე იყო ევროპაშიაც, სადაც იტალიის რენესანსმა მოიცილა დასავლეთი და ცენტრალური ევროპა და ამიერკავკასიის მხარეებშიაც შეიჭრა, მაგალითად სომხეთში“ (იქვე).

ერთი სიტყვით, ნ. კონრადი მსოფლიო რენესანსში ხედავს თავისებურ შეჯვარებას აღმოსავლეთის რენესანსთან, მაგრამ მთელი პროცესი წარმოდგენია ისე, რომ „მოძრაობა იწყება VIII საუკუნეში წყნარი ოკეანის ნაპირებზე და მთავრდება XVII ს. ატლანტიკის ოკეანის ნაპირებზე“ (იქვე, გვ. 206). როგორც ჩანს, ერთი საუკუნის მიმატება — XVI ნაცვლად XVII-მდე მაინც დასჭირდა ავტორს რენესანსის განვითარების მოსაგვარებლად.

არ ვეკამათები დღეს არსებითად არც პატივცემულ ვ. მ. ჟირმუნსკის, ჩვენი სკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, და არც ამავე აკადემიის წევრს ნ. კონრადს; ეს ჩემი მორიგი ამოცანაა, სადაც გაირკვევა, რომ ანალოგიებისა და პარალელიზმის ნიადაგზე აგებული სქემებით მსოფლიო რენესანსი და მისი ფარგლები არ დადგინდება. ორი ოკეანეს შუა გაშლა (წყნარი ოკეანიდან ატლანტიკამდე, როგორც ნ. კონრადი ამბობს) არსებითად მოხსნა რენესანსის ფარგლებისა და იგი ერთ მთლიან მოვლენად უნდა იქნას აღიარებული, ამ ვითომცდა უნივერსალურ მოვლენას რაღაც საფეხურები უნდა ჰქონდეს, რადგან იგი არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს იმ დიდ მთელში, როგორადაც ის ნ. კონრადსა და მის თანამოაზრეებს წარმოუდგენიათ.

ეს ერთადერთი მხარეა საკითხისა,

რომელსაც მინდა შევეხო ამ წერილში, სახელდობრ — მსოფლიო რენესანსი ერთი მთლიანი პროცესია, ^{გამოყოფილი} სხვადასხვა, ე. წ. რეგიონალური რენესანსიდან შედგება, რომლებიც თავისი საკუთარი შინაარსის მქონეა. თუ პირველს დავუშვებთ, ე. ი. თუ რენესანსი წყნარი ოკეანედან ატლანტიკამდე ერთი პროცესია, მაშინ უნდა არსებობდეს ამ ერთიანობის გასამართლებელი საბუთი, რომელიც სწორედ ერთობლივ შინაარსს უნდა შეიცავდეს. თუ ეს ასე არ არის და მაინც უნდა მსოფლიო რენესანსზე ვილაპარაკოთ, მაშინ ეს უკანასკნელი განყენებული ცნებაა, რომელიც განზოგადებული სახით უკუფენს რენესანსის რეგიონალურ, კონკრეტულ სახეს.

შემთხვევითი კი არაა, რომ მსოფლიო რენესანსის ცნების მომხრეებს ერევათ ერთი მეორეში სხვადასხვა მხრივ მოდენილი რენესანსი. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიაში რენესანსი თითქოს ორმხრივ გავლენას განიცდის — ა) ინდო-ირანულ-შუააზიურს და ბ) იტალიურს, რომელმაც თითქოს ცენტრალური და აღმოსავლურ ევროპაზე გავლით, იმავე ამიერკავკასიაშიც მიაღწია.

მსოფლიო რენესანსის მომხრეები და მათი თეორეტიკოსი ნ. კონრადი ამჩნევენ, რომ მეტად დახლართული პროცესი გამოუვიდათ და უკანასკნელმა მდგომარეობის გარკვევისათვის თავის კონცეფციას დაუმატა „თვითნაშობი“ (самородный) ან ავტოქთონური და უკუფენილი (отраженный) (ნ. კონრადი, „შექსპირი და მისი ეპოქა“, გვ. 207).

ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს საკითხს, რადგან საჭირო ხდება ამ ორი სახის ფაქტიური საფუძვლის მონახვა და დასაბუთება. საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ აღნიშნული განსხვავება საბოლო-

შალვა ნუცუბიძე

რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა

ოდ დამოუკიდებელ და ნასესხებ რენესანსის ცნებამდე მიდის.

კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას ის, რომ მსოფლიო რენესანსის ცნება მოითხოვს, რათა ყოველი თვალსაჩინო მოვლენა ამ მსოფლიო პროცესში ამართლებდეს მსოფლიო მოვლენის ღირებულებას. თუ მსოფლიო რენესანსი ერთი მთლიანი მოვლენაა, თვითწარმოშობა და ნასესხობა არ შეეღობა იმას, რომ ყოველი მოვლენა „მსოფლიო რენესანსისა“, რაღაცა მხრივ უნდა ეზიაროს ამ მსოფლიო ღირებულებას. ამის გამო ნ. კონრადი წერს: „ვანა არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ შექსპირი არა მარტო ინგლისელი გენიოსია, არა მარტო დასავლეთ-ევროპიული, ანუ მთლად ევროპიული, არამედ მსოფლიო სარენესანსო დრამატურგიისა“ (ნ. კონრადი, ციტ. ნაშრ., გვ. 208).

თუ აქ საკითხს სწყვეტს შექსპირის შემოქმედებითი სიდიადე, ე. ი. თუ მსოფლიო რენესანსისათვის მიკუთვნება წყდება აღებული შემოქმედის სიდიადის მიხედვით, მაშინ, ნათელია, აზრი ეკარგება მსოფლიო რენესანსის ზოგად მნიშვნელობას, ე. ი. მის უნივერსალობას (ოკეანედან ოკეანემდე) და ხელში გვრჩება ტრაფარეტული, ტრადიციული ცნება „მსოფლიო მნიშვნელობისა“, რომელსაც მსოფლიო რენესანსის მტკიცებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ცხადია, რომ ასეთი მარცხის დროს ჩნდება ახალი სიძნელე მსოფლიო და არამსოფლიო მოვლენით გამოწვეული და მსოფლიო რენესანსში ყველაფერი მსოფლიო აღარ იქნება, თავი რომ დაეანებოთ თვით ამ უხეირო კლასიფიკაციის განხორციელების სიძნელეს.

ესაა ზოგი საკითხი, რომელთა ირგვლივ და რომლის გამო მექნება კამათი „მსოფლიო რენესანსის“ თეორიის მომხრეებთან. ამჟამად საჭიროა იმის გარკვევა, აქვს თუ არა რენესანსს, როგორც კულტურულ-შემოქმედებით ღირებულებათა აღორძინებას, თავისი საზღვრები და, თუ აქვს, რასთანაა ეს

გარემოება დაკავშირებული. ეს საზღვრები, რომელიც გარკვეულად დამოკიდებული, დამთავრებული ვიფიქრებოდა და ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში, თავისთავად კი არ იქმნებოდა, მაგრამ მათი შექმნის და განვითარების პრინციპები შეიძლებოდა ერთნაირი ყოფილიყო. ეს იყო ადამიანი და მისი ორიენტაცია გარემოში, ყოფიერებაში.

იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათს იღებდა ადამიანის, „კაცის“, როგორც იტყოდა რუსთაველი, თვითშეგნება— ვითარდებოდა ის, რასაც ისტორიაში „ჰუმანიზმი“ დაერქვა (ლათინური სიტყვიდან ჰუმანუს—აქ „ადამიანური“). ადამიანის ორიენტირებას, თავის თავის პოვნას მსოფლიოში დიდი ისტორია ჰქონდა და ეს იყო ამ ისტორიას აზრი რომ აძლევდა, მისი ფილოსოფია, მისი „ისტორიოსოფია“ ან ისტორიის გაზრება რომ იყო. რელიგია და ფილოსოფია ადამიანის სამყაროში ორიენტირების საშუალება იყო, მაგრამ როცა იგი დოგმატური იყო და ადამიანს ჰბოჭავდა, წინააღმდეგობას იწვევდა.

ასეთ შემთხვევებში კაცობრიობის განვითარებული აზრი რელიგიის დოგმების მიღმა გადახედვას ლამობდა. „დაფარულის“, მისტიკურის „გაცხადებას“ ეძებდა. „დაფარულის გამცხადებელი“ აზროვნების გმირები ხდებოდნენ. ოფიციალური ინსტანციების მიერ ისინი „ერეტეიკოსებად“ ცხადდებოდნენ, რომლებიც ღმერთისაკენ უეკლესიო, უავტორიტეტო გზას ეძებდნენ, რათა ღმერთის განკაცების გზით კაცის გაღმერთებას, კაცის მიერ ღმერთის ადგილის დაკავებას ლამობდნენ. „ყოფნად მოწოდება“, რომელსაც დიდი ქართველი მოაზროვნის — პეტრე იბერის თქმით, ღმერთი ასრულებს კაცის მიმართ, უნდა გამხდარიყო თავისთავის „ძალითა მით ძლიერთა“ შექმნად. ამიტომ ეს გზა იაზრებოდა, როგორც კაცის მიერ თავისთავის შექმნა, ანუ გაღმერთება (ბერძნული სიტყვით „თეოზისი“), როგორც ამას მეტუთე საუკუნის ქართველი მოაზროვნე პეტრე

იბერი საბრძოლო ლოზუნგად აღიარებდა.

ამ აღრიდელ მოაზროვნეთა და მათ სწავლათა შესახებ საკმაო ცოდნა აქვთ მსოფლიო რენესანსის თეორიის მომხრეთ, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი ამის მნიშვნელობა. მთავარია იმის გაგება, — რომელ მხარეში და რომელ მსოფლგაგებას (დამოუკიდებლად იმისაგან, იყო ეს რელიგია როგორც პირველი საფეხური, თუ ფილოსოფია როგორც მეორე საფეხური) აღმოაჩნდა ერთგვარი სისტემის სახით შემუშავებული ადამიანის ორიენტაცია მსოფლშეგნებაში. თუ რენესანსი, როგორც შინაგანი სიძლიერის უაღრესად გამოვლენის ხანა, ერთი მთლიანი მსოფლიო მოვლენა იყო, მაშინ მას ეს შინაარსიც ერთნაირი უნდა ჰქონებოდა. გარკვეულად რომ ითქვას, საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ყოველ ლიტერატურულ-კულტურული აღორძინების ანუ რენესანსის შემქმნელ ხალხს საკმაოდ ხანგრძლივი, უწყვეტი ისტორია ჰქონებოდა, რომელიც თავის ანტიკურობას, მედიევალობასა და ახალ დროს შეიცავდა. ეს გარეგნული ამბავია, რომელიც ქრონოლოგიის იქით არ მიდის, საჭიროა კონკრეტული აზროვნების და შემოქმედების ისტორია, რომელსაც სათანადო ქრონოლოგიური საფეხურები აქვს. ამ შინაარსის გასაგებად საკმარისია არა „ისეთი პოეტების ლექსების გადაკითხვა, როგორც იყო პეტრარკა, რონსარი, რუდაქი, საადი და სხვ.“ აკადემიკოსი ნ. კონრადი ვილაციის მიმართ პოლემიკური პათოსით აცხადებს — „ეს (ასეთი ლექსების წაკითხვა — შ. ნ.) იქნებოდა გაცილებით უფრო დამარწმუნებელი საბუთი რენესანსის მსოფლიო მოვლენად აღიარებისათვის, ვიდრე ზოგიერთი ისტორიული გამოკვლევა“ (ნ. კონრადი, დასახ. ნაშრ. გვ. 206).

ეს აზრი ნაწილობრივ სწორია. რენესანსის თუნდაც მარტო პოეზიის ნიმუშების გადაკითხვას, რამდენადაც ეს ნიმუშები სხვადასხვა ერების პოეზიის

სარენესანსო ნაწარმოებია, გამოდგება ყოვლის უპირველეს რეგიონალური, ე. ი. ერთ კულტურულ ძირზე ^{რენესანსი} ^{მსოფლიო} ცნებულ რენესანსის შინაგანი ნათესაობის საჩვენებლად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ გზით მსოფლიო რენესანსის დადგენა მოხერხდეს. მსგავსება იქნება იქ, სადაც შინაარსობრივად ასეთი კრებადი პოეზია თვითონაა მსგავსი.

წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ მოვიყვანე რენესანსული პოეზიის ნიმუშები ირან-არაბულ-სომხურ-ქართული პოეზიისა და ამ გზით ბუნებრივი ნიუანსებით გარემოცული საერთო სარენესანსო განწყობა ნათელი გახდა დაფარულის გაცხადებისათვის უშუალო გზის, ხედვის გამოყენებისა, ადამიანის ღმერთამდე ამალღების და ღმერთის ადგილზე თავისი მყარობის ძიებისა და სხვ. მაგრამ ეს რეგიონალური რენესანსის ფარგლებში თავსდება, რომლის ამოსავალს ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობის ევრო-აზიული შევსება ედო საფუძვლად და რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთისაკენ ანათებდა. ყველა ეს ერთ ძირზე ამოსული და გარკვეულ რეგიონში (რკალში) გაშლილი რეგიონალური რენესანსის ამბავი იყო.

ეს რეგიონალობა ოდნავადაც არ გამორიცხავს ამ რკალის, ამ წრის გარეშე სხვა ქვეყნებში მსგავსი მოვლენების არსებობას, მაგრამ ეს მოვლენები არ საჭიროებენ, რომ ისინი ერთი და იგივე იყვნენ. აკადემიკოს ნ. კონრადის კონცეფცია ამ მდგომარეობის ასახსნელად, როგორც აღინიშნა, მიმართავს რენესანსის ავტოქთონურ თვითწარმოშობის და უკუფენის (ანუ ნასესხობის) ცნებას. „ასე იყო, — წერს ნ. კონრადი, — შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ჩინურმა რენესანსმა გამოიწვია რენესანსული მოვლენები კორეაში, იაპონიაში“... ამის მაგვარ შემთხვევებს ხედავს ნ. კონრადი შუა აღმო-

შალვა-ნუცუბიძე
რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა

სავლეთშიაც, სადაც, როგორც ზემო-
თაც იყო ლაპარაკი, ინდო-ირანულ-
შუაზიურ რენესანსს თითქოს გამოუ-
წვევია ამიერკავკასიის ხალხთა რენე-
სანსი (იქვე, გვ. 207).

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ
იმ საკითხთა ხასიათსა და მათ გადაჭ-
რის ცდას, რომელსაც მიმართავენ
მსოფლიოში ერთი მთლიანი, ოკეანიდან
ოკეანემდე რენესანსული გრიგალის
(ШКВАЛ) მომხრენი, რათა მკითხველ-
მა ნათლად წარმოიდგინოს, თუ რაა
დღეს ჩვენთვის საბრძოლო მსოფ-
ლიო რენესანსის თეორეტიკოსებსა და
რეგიონალური რენესანსის თვალსაზ-
რის შორის. ამიტომ, ამ შემთხვევაშიაც
ბრძოლას არ ვაწარმოებ მათთან —
არამედ მივუთითებ, თუ რა უნდა დაამ-
ტვიცონ ასეთ შემთხვევაში.

მართლაცდა, თუ „გამოწვეული“ რე-
ნესანსი ისეთივეა, როგორც გამომწვე-
ველი, რატომ არ უნდა ეკუთვნოდენ
ისინი, გარკვეული განსხვავების ფარგ-
ლებში, ერთსა და იმავე კულტურული
რეალის რენესანსს? ხოლო თუ მათ
ისეთი ნიშნები გააჩნიათ, რაც ხელს
უშლის მათი ამრიგად ერთი რეგიონ-
ისათვის მიკუთვნებას, რატომ არ უნ-
და მოიძებნოს მათი ნამდვილი და არა
მხოლოდ დეკლარაციული მიკუთვნების
არე?

სომხეთი, მაგალითად, რომელსაც
სავანებოდ ასახელებს აკადემიკოსი
ნ. კონრადი ამიერკავკასიის ხალხთა
შორის, მე მივაკუთვნე რენესანსის
ერთ რეგიონს, საქართველოსა და სხვა
მეზობლებს შორის აღმოსავლეთ-და-
სავლეთის მიჯნაზე.

არა პოლემიკის, არამედ მითითების
სახით მოვასხენებ აკადემიკოს ნ. კონ-
რადს და მის თანამოაზრეებს, რომ
მათი „მსოფლიო რენესანსი“ სომხურ
რენესანსს, სხვათა შორის, იტალიურ
რენესანსისაგან აწარმოებს, მაგრამ რა
ვქნათ, თუ რუსთაველი გვეტყვის, რო-
გორც ეს ქვემოთ ვაირკვევა, რომ იმ
დროს იტალიის რენესანსის ხსენებაც
არ იყო?

ერთი სიტყვით, რეგიონალური რე-

ნესანსის, ე. ი. გარკვეული პირობებით
გამოწვეულ ერთნაირი ნიშნების მქონე
რენესანსის მორიგებას, მის გამოწვე-
ვულ დამოკიდებულებას სხვა ქვეყნის
რენესანსთან, მსოფლიო რენესანსის
თეორია ვერ ახერხებს. სამწუხაროა,
რომ მას აქ სიდიდის განსხვავების მე-
ტი, რომლის ძალით დიდი ერები, რომ-
ლებიც „მოიცავდნენ“ (захватывали,
ციტ. ნაშრ. გვ. 206) პატარა ერებს და
იწვევდნენ (вызывали) რენესანსს, სხვა
დასაყრდენი არ გააჩნია. ასეთ კულტუ-
რულ იმპერიალიზმამდე შეუძლია მიიყ-
ვანოს სრულიად კეთილმზრახველი
მკვლევარებიც კი უმართებულო ამო-
სავალმა წერტილმა, როცა ისინი სავსე-
ბით ლოდიკურადაც კი მსჯელობდნენ.

ირკვევა, და დღეს-დღეობით ამის
მეტი არაა საჭირო, რომ უნივერსალუ-
რი, ყოვლის მომცველი და „ხელში
ჩამგდები“ მსოფლიო რენესანსის ამბა-
ვი არ უნდა იდგეს სწორ თვალსაზრის-
ზე, თუნდაც იგი სავსებით გულწრფე-
ლად და ენერგიულად უჭერდეს მხარს
„აღმოსავლეთის რენესანსის“ იდეას
და მას მთელი კულტურული მსოფ-
ლიოს გასწვრივ რენესანსის ჩასახვა-
განვითარებად თვლიდეს.

ამ სახით წარმოსდგება საკითხი რე-
ნესანსის ფარგლების შესახებ. ეს საკი-
თხი ახალი საკითხია, რამდენადაც აღ-
მოსავლეთის რენესანსის საკითხმა, რო-
მელიც ოციოდე წლის წინათ წამოვი-
ყენე, შინაგანი აუცილებლობით გამოი-
წვია რენესანსის ფარგლების საკითხი.
თავის დროზე ამ ცნებას გამოვხატავდი
ფორმით: „დასავლეთის რენესანსის აღ-
მოსავლური ძირები“. ეს ნიშნავდა არც
მეტს არც ნაკლებს იმისა, რომ დასავ-
ლეთის რენესანსი, რომელიც მანამდე
მხოლოდ დასავლურ მოვლენად ითვ-
ლებოდა, გამოხატავდა დასავლეთის
კულტურის განდიდებას, „ევროპოცენ-
ტრისტული“ მიდგომით, ამ ცალმხრივ
დებულებას ასეთივე ცალმხრივი დე-
ბულება კი არ დავუპირდაპირე — თით-
ქოს რენესანსი მხოლოდ აღმოსავლუ-
რი მოვლენა ყოფილიყო. ჩემი დებუ-
ლება იყო — რომ ეს რეგიონალური

რენესანსი, რომელსაც ბერძნული ანტიკურობა უდევს ისტორიულ საფუძველად, თავისი დამოთავრებისას გადადის საშუალო საუკუნეთა სტადიაზე, საიდანაც ანტიკური მსოფლგაგების საკითხები ერთგვარ გადაწყვეტას აღწევენ იმ მიჯნაზე, სადაც ამ მიღწევათა ნიადაგზე, მასში ჩაბმულია როგორც აღმოსავლეთის ინდო-ირან-არაბულ, — ქართულ-სირიულ-სომხური, ისე დასავლური ქვეყნები — ბიზანტიის კრებადი კულტურის ნიადაგზე. ამ სახით ვითარდება ამავე რეგიონალურ კულტურულ სფეროში შემავალი დასავლეთის რენესანსი.

ეს კონცეფცია აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებას არ გულისხმობს და ამდენად იგი ერთი სარენესანსო კომპლექსია. ამას საფუძველად დაედო ანტიკურობის მიერ გადაუტრეულად დატოვებული ადამიანის საორიენტაციო საკითხები, რომელთა დალაგება არეობაგეტიკაში აღმოჩნდა მიღწეული და რამაც მთელი საშუალო საუკუნეთა განვითარება განაპირობა და რენესანსს საფუძველი მოუმზადა აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ

ეს ამბები არ აქვთ ნათლად გათვალისწინებული მსოფლიო რენესანსის „ისტორიულ-ტიპოლოგიურ“ ნიადაგზე მსოფლიო რენესანსის საფუძველმდებელთ — ვ. მ. ყირმუნსკის, ნ. კონრადს და სხვ.

არც ერთს ამათვანს არ აქვს სწორად გაგებული ჩემი წიგნის „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსის“ მიზანდასახულობა. ეს ენება, უწინარეს ყოვლისა, რენესანსის ფარგლებს, რაზეც ლაპარაკია ჩემს წიგნში. სახელდობრ, აქ გამიზნულია იმ რეგიონალური რენესანსის ამბავი, რომელშიც შედის ერთი ნაწილი აღმოსავლურ ხალხთა რენესანსული ლიტერატურისა, ხოლო მეორეს მხრივ — დასავლეთის ლიტერატურათა. ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აქ ლაპარაკია ადრინდელ რენესანსზე, და, მაშასადამე, იტალია, როგორც ევროპოცენტ-

რისტების მიერ მიღებული ცენტრი რენესანსისა, ჯერ არა ჩანს.

აკად. ნ. კონრადს წარმოუდგენია რომ რუსთაველი ქართული რენესანსის გამომსახველად უნდა იყოს მოხმობილი ჩემს წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი“ (ნ. კონრადის ბოლოსიტყვაობა ვ. ჩალოიანის წიგნისა). ასე რომ ყოფილიყო, ჩემს წიგნს პირდაპირ ვუწოდებდი „რუსთაველი და ქართული რენესანსი“. საკითხთან სულ ცოტა სიახლოვე იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ რუსთაველი სულ სხვა როლს თამაშობს ჩემს წიგნში — მის შემოქმედებაში მოცემულია ყველა ის ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ რეგიონალურ რენესანსს, როგორც აღმოსავლეთის და დასავლეთის კომპლექსურ რენესანსს. ამის საბუთი იქნება ის, თუ რუსთაველს თვითონ აქვს წარმოდგენილი რეგიონალური რენესანსი სწორედ აღმოსავლეთ-დასავლეთის კომპლექსის სახით.

ვიდრე აღინიშნებოდეს რუსთაველის წარმოდგენა რენესანსის საზღვრების შესახებ, რისთვისაც საჭირო შეიქნა მსოფლიო რენესანსის თეორეტიკოსების შეხედულებათა თვალის გადავლება, უნდა ბაზგასმით ითქვას, რომ როდესაც ლაპარაკია რეგიონალურ, ე. ი. გარკვეულ მხარეთა რკალის რენესანსის შესახებ, ეს არა თუ არ გამოირიცხავს მსოფლიო რენესანსს, არამედ გულისხმობს მას. ამდენად, ნ. კონრადის კონცეფცია მსოფლიო რენესანსისა, რომელიც ფაქტიურად ამოზრდილია აგრეთვე აღმოსავლეთის რენესანსიდან, მნიშვნელოვანი მოვლენაა მეცნიერებაში.

კიდევ მეტი, შეიძლება ითქვას, რომ აკად. ნ. კონრადის კონცეფცია აღმოსავლეთის რენესანსის შესახებ უფრო ტყვადი და რადიკალურია, ვიდრე ჩემს მიერ უფრო ადრე (1942 წლიდან — წერილში „აღმოსავლეთის რენესანსი

შალვა ნუცუბიძე
რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა

და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“) წამოყენებული თეორია. სადავო აკად. ნ. კონრადისა და აკად. წევრ-კორესპ. ვ. მ. ჟირმუნსკისთან ის მაქვს, რომ მსოფლიო რენესანსის, როგორც ერთი მთლიანი ნაკადის ვაგება და ისიც მისი მიწერა მხოლოდ დიდი და ძლიერი, ისტორიულად ხანდაზმული სახელმწიფოებისათვის,—დამოკიდებულ და მეორეხარისხოვან მოვლენად აღიარებს აღმოსავლეთ-დასავლეთის იმ რეგიონალურ რენესანსს, რომელსაც თავისი საკუთარი ამოსავალი მომენტები გააჩნდა ბერძნულ-რომაულ ანტიკურობაზე აღმოცენებული, რომელსაც თავისი რენესანსული იდეოლოგიაც და მასზე დამყარებული მსოფლშეგრძნება და ლიტერატურა ჰქონდა.

გასაგებია, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მაშინ, როდესაც მსოფლიო რენესანსის უნივერსალური თეორიის გამომხატველი ისტორია დაიწერება, თუნდაც ისეთი, როგორც ვცადე წამომეყენებინა აღმოსავლურ-დასავლური რეგიონალური რენესანსისათვის. მე გარკვეულად დავადგინე, რომ ანტიკური მსოფლგაგების სისტემა მოცემულ იქნა ისეთ ნააზრევში, სადაც მის მიერ დასმული, მაგრამ ვადაუწყვეტელი საკითხები დამუშავებული იქნა ისეთი სისტემით, რომელიც უსასრულობის, დიალექტიკის, მისტიციზმის და ადამიანის გაღმერთების პრინციპს შეიცავდა. ეს პრინციპები შეთვისებული და გადაუშავებული იქნა საშუალო საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლეთში და დასავლეთში, მათ თავისებური იერი მისცეს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაჭრას, ხელი შეუწყვეს ერეტიკულ სისტემების შექმნას და ადამიანის გაღმერთებამდე მიყვანით ჰუმანიზმი არნახულ სიმაღლემდე ასწიეს.

მე ვცადე აღმოსავლეთის ლიტერატურაში ამ სააზროვნო მომენტის შემოქმედებაში განსახიერების ნიმუშები მეზონა და მათი უმაღლესი ფორმა რუსთაველის შემოქმედებაში აღმოჩინა. რუსთაველმა თავის დროზე ვერ

მიადწია ისეთ აღიარებას, როგორც მასმა ფილოსოფიურმა მეზობარმა პეტრე იბერმა (ფსევდო-ლიონის) რადგან იბერი მაშინდელ გარკვეულ რეგიონისათვის საერთაშორისო ენაზე — ბერძნულზე წერდა. რუსთაველის მსოფლიო აღიარებას დაავგვიანდა. ფ. ენგელსის მიერ „ადამიანის გაღმერთების“ „ზეციერ სამეფოს მიწაზე გაღმერთებით“ შეცვლის გზით უფრო ფართო საზღვრების მქონე რენესანსის დროს რუსთაველი ითარგმნება სხვადასხვა ენებზე და ფართო აღიარების საგანი ხდება.

დანტემ შეამჩნია „ზეციერ სამეფოში“ საშუალო საუკუნეების მოაზროვნეთა საზეიმოდ მომავალი ჯგუფი და მისი თანმხლების პირით თითოეულ ამათვანის დახასიათება მოისმინა: აქ იყო მითითებული ფსევდო-ლიონისეს უპირატესობაზე, რომელსაც ყველაზე დიდი ჩირაღდანი მოჰქონდა და რომელიც, იმავე თქმით, „მეცნიერ იყო ზეციურ და მიწიერ საფეხურებისა“.

ამ დროს „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ფსევდო-ლიონისეს მსოფლგაგების პოეტური განსახიერება იყო, უკვე ასწელიწადზე მეტი ხნის დაწერილი იყო და ამ დრომდე შეუმჩნეველი. სხვა ენებზე თარგმნის შემდეგ რუსთაველში უფრო ადრინდელი დანტე შეამჩნიეს.

დადგა დრო და ამ ამბებს კონკრეტული გამოყენება უნდა, როცა მსოფლიო რენესანსის საკითხი წამოიჭრა, აღმოსავლეთის რენესანსის მეცნიერული აღიარების შედეგად.

რენესანსის რუსთველური ფარგლების კვლევა შემზადებულად უნდა ჩაითვალოს. რუსთაველს, როგორც ცნობილია, რენესანსის შესახებ, ისე როგორც რაიმე სხვა საკითხზე, ტრაქტატები არ დაუწერია, მისი, როგორც პოეტის, იარაღი იყო სინამდვილის მხატვრული ასახვა. აქ, ასეთი ასახვისას, რამდენადაც იგი მის პოემაში შედიოდა, რუსთაველს შეეძლო ტექსტში შეეტანა ისეთი რამეები, რაც არც პოემის ფაბულასთან

და არც მის აღნაგობასთან უშუალო კავშირში არ იყო.

ასეთი საავტორო დანართები მოიპოვება რუსთაველის პოემაში. ჩანართები არაა დიდი მოცულობის, მომეტებულად თითო სტროფით ამოიწურება და მეტად სუბიექტური შეფერილობის და ელემენტური განწყობის მქონეა. მათ შესახებ ვწერ ჩემს ნარკვევში „რუსთაველის შემოქმედება“ და აქ მათზე არ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

მთავარია ზოგი დანართი, რომელიც ხასიათდება მით, რომ იგი ჩანართისაგან განსხვავებით, ფაბულას უკავშირდება და მის გაღრმავებას, გააზრებას წარმოადგენს.

ასეთი დანართია „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“, რომელშიც ფაბულარულია მხოლოდ სამი სტროფი (952, 933, 934), ხოლო სუბიექტური განწყობითი სტროფი 965, 966, 967. რაც შეეხება უკანასკნელს — სტროფს 963-ის დანართის აპოთეოზია, რომელსაც ბუნების მიერ ავთანდილის ღრმა განცდებისადმი თანაგრძნობის გვერდით მეტად ფასეული საორიენტაციო სულ ორიოდ ხანა აქვს დართული.

აქ არაა საჭირო შევლითა მნათობთა ჰიმნის საგანგებო განხილვა. ამკარაა, რომ აქ რუსთაველი აღწევს სიყვარულის კოსმიური წვდომის მწვერვალს, სადაც სარენესანსო განწყობა მნათობთა დიდებითაა განსახიერებული. მაგრამ მიჯნურობასთან დაკავშირებული ჰირო როგორც რუსთაველისა, ისე ავთანდილისა ერთი და იმავე იარაღითაა აღწერილი, მხოლოდ ერთი ჰიროთა დასაწყისის მიეკუთვნება, ხოლო მეორე მრავალ ჰიროს „ამბავთა წერაა“.

რუსთაველი სტრ. 4 —

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ
დათხელი,

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე
ნა რხეული:

ავთანდილი სტრ. 962 —

დაჯე წერათ ჰიროთა ჩემთა, მელნად მოცემ
ცრემლთა ტბასა.

პოეტურად აქ ერთი და იგივე განწყობაა, ხოლო მოძალებული ჰიროთა ამბავი უკვე მელნადაა გადაჭედილი, ხოლო კალამი თმამდეა გაწყობილი, რომელიც მინანქართა უმაღლეს ოსტატობის გამოსახატავად იხმარებოდა.

თუ რუსთაველი და ავთანდილი ერთი მეორეს ახლო არიან, თითქმის ერთხვევიან ერთი მეორეს არა მარტო „წერად ჰიროთა“, არამედ ისეთი დიდი პასაჟების გადმოსაცემად, როგორცაა „ანდერძი ავთანდილისა“, „ლოცვა ავთანდილისა“, „წერილი ავთანდილისა ფრიდონთან“ და სხვ. არ რჩება არავითარი ეჭვი, რომ ავთანდილი რუსთაველის „მეორე მე“-ა („ალტერ ეგო“). უადგილობის გამო არ ვაღრმავებ ამ საკითხს, რომელიც ცალკე კვლევის საგანი უნდა იყოს. რამდენადაც ავთანდილის პირით ნათქვამი აზრები „ანდერძში“, „ლოცვაში“, „წერილში“, ტარიელთან დიალოგში, რომელიც პლატონის დიალოგის სიმალღზე დგას და სხვ., „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენს, ურომლისოდაც იგი არ წარმოიდგინება. ამდენად სრულიად ნათელია, რომ მნათობთა ჰიმნში, აგრეთვე რუსთაველის იდეურ-მხატვრული მსოფლიოა გაშლილი.

რუსთაველისათვის ისტორიულ მონაცემთა მიხედვით ცნობილი უნდა ყოფილიყო ჰომიროსიდან მომდინარე გმირთა წყვილულის ამბავი, რომელთაგან ერთი სიბრძნის, ხოლო მეორე ვაჟაკობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ბერძნულ მსოფლიოში «ვაჟაკობა» („ანდრეია“) თავაშვებულ და ამორალურ მოვლენას კი არ გულისხმობდა, ეს ნიშნები მან რაინდულ ჰეროიკამდე დაიცვა (შეაღარე „სიმღერა როლანდზე“). მართალია რუსთაველთან ქართული ხალხური პოლიფონიის გავლენით „სამთა გმირთა“ შემხე სიმღერაა მოცემული, მაგრამ

შალვა ნუსცუბიძე

რუსთაველი და რენესანსის ფარგლებს
პრობლემა

ქართული ვარიანტით პრინციპში გმირობა და სიბრძნეა წამყვანი.

თუ ნათქვამი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ავთანდილი არის რუსთაველის მესტიყვე, მაშინ 968 სტროფი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, თუ როგორაა ორიენტირებული სიყვარულის სიმბოლური ელერით შესრულებული ჰიმნი შვიდი მნათობისა. როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა თვით ამ ჰიმნის სიმბოლიკის გაშლას. მთავარია ორიენტაციის საკითხი — სადაა ადგილსამყოფი თვით მომღერალისა.

ამის ნათელსაყოფად გადამწყვეტია — ვინ მოდიან ავთანდილ-რუსთაველის მოსასმენად და, რაც მთავარია, „შესამკობლად“. 967 სტროფი ჰიპერბოლურია. ეს ბუნებრივია, რადგან პირველი, რაც აქ უნდა მომხდარიყო — საკვირველების გამოწვევი უნდა ყოფილიყო, რასაც ჰიპერბოლა ემსახურებოდა. გაკვირვება (ბერძნულად „თავმაზია“) სიბრძნის წყარო იყო ელინურ ცნობიერებაში. რუსთაველმა კარგად იცის, რომ აქედან „დაფარულის გაცხადებამდე“ შორს არაა და პირველი საფეხური ავთანდილის სიმღერაზე რეაქციისა (ქების მხრივაც კი!) ეს უნდა ყოფილიყო.

ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის — ატირდიან...

უკანასკნელ 968 სტროფში განმეორება კი არაა 967 სტროფისა, რადგან აქ უკვე ჰიპერბოლის და გაკვირვების მომენტი გავლილია და შემკობაზე მიმდგარი საქმე. მართალია, ინერტულად აქაც დაცულია ჰიპერბოლის ელემენტი, რომელიც შემამკობელ ყოველ სულიერს ეხება, მაგრამ ყურადღების ცენტრი 968 სტროფისა ისე ზუსტადაა მოფიქრებული და დალაგებული, აშკარაა, რომ თანმიმდევრობას რუსთაველი მთავარ საქმედ თვლიდა.

ეს სტროფი, შემორჩენილი ჰიპერბოლური მომენტის გამოკლებით, იკითხება ასე:

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით უფლი
სულიერი
სტროფის
მესტიყვე
გინჯიანთქა
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და
მალრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით
მევეპატელნი.

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ აქ რუსთაველს სიყვარულის რენესანსული ჰიმნის შემამკობელნი განლაგების ორი პრინციპით აქვს წარმოდგენილი: ერთი მათგანია აღმოსავლეთით დაწყებული და დასავლეთზე განვრცობილი. სწორი ხაზი, რომლითაც შემამკობელთა რიგად გაშლილი, იწყება ინდოეთით, მიდის არაბეთით და საბერძნეთით ანუ „მაშრიყით“, ე. ი. კვლავ აღმოსავლეთით. ეს, ასე ვთქვათ, ერთი დიმენზიონალობა ანუ განზომილებაა.

საბერძნეთი ამ მწყობრში კონკრეტულად თითქოს ინდო-არაბეთთან არის მიკრული, მაგრამ იგი დასავლეთიცაა და ამდენად განმეორებულ ზოგად გაზომვაში იგი მაშრიყსა და მალრიბს შუა უნდა იგულისხმებოდეს. ამავე დროს ზოგადი მოხაზვა დასავლეთითა იმის მაჩვენებელია, რომ რუსთაველი გვაგრძნობინებს, რომ იქ — დასავლეთში, აღრინდელი რენესანსის დროს, რომელსაც ავთანდილის სახით უმღერის რუსთაველი, არაა ჯერ საკმაოდ გამოვლენილი რენესანსი, როგორც ეს აღმოსავლეთშია.

რუსთაველი რომ სწორედ ასე ფიქრობს, ე. ი. რომ ის იწყებს რენესანსის რკალს აღმოსავლეთით, რომელშიც შედის საბერძნეთი, როგორც ანტიკის, ცხადია, და არა XII ს. საბერძნეთის სახით, საბოლოოდ მტკიცდება მეორე განმსაზღვრელი პრინციპის გამოყენებისას. ეს მეორე პრინციპი უკვე არასწორი ხაზია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამტარი, არამედ რკალი, რადგან მას — რუსთაველს — უეჭველად სურს რენესანსის რეგიონალობის ხაზგასმა. აღმოსავლეთის რენესანსის პრინციპს რუსთაველი აქაც არ დალატობს, რადგან რკალზე პირველად აღ-

ნიშნული უნდა იყოს სწორედ აღმოსავლეთის მხარე და ასე შემდეგ ჩრდილოეთზე გავლით დასავლეთისაკენ და იქიდან სამხრეთისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ეს ასეა, და ყოველგვარი საბუთის ძალით ეს ასე უნდა იყოს, მაშინ აქამდე არსებულ ტექსტში „ვ. ტ.“-ისა მეოთხე ხანა 968 სტროფისა არ შეიძლება სიტყვა „რუსნი“ დაწყებულყო. სწორზაზოვანი გაზომვით აღმოსავლეთ-დასავლეთის რენესანსის იმავე სტროფის მესამე ხანაში რუსთაველმა გამოტოვა „სპარსნი“ და იშვიათი სიზუსტით, როცა ანტიკურობიდან ამოსულ რეგიონალურ რენესანსზე ლაპარაკი დაიწყო, აქ აღმოსავლეთის პირდაპირ „სპარსნი“ უნდა ყოფილიყვნენ და არა ინდოეთი, რომლის ჩინეთიდან წამოსული რენესანსის არედ გამოცხადებას აკად. ნ. კონრადიცი კი მოერიდა და მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლით დაკმაყოფილდა, რომელიც ჩინეთს მხოლოდ აკრავდა.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ 968 სტროფის მეოთხე ხანაში უნდა მოხდეს გადასხმა — „სპარსნი — აღმოსავლეთით, რუსნი — ჩრდილოეთით, მოფრანგენი — დასავლეთით და „მეგვიბტენი“ — სამხრეთით.

რუსთაველის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის რენესანსის სფეროს მოხაზვაში ისეთი სიზუსტე, როგორცაა დასავლეთში „მოფრანგეთა“ გამოჩენა, ე. ი. ფრანგთა რენესანსის ხსენება, იმ გარემოების დამამტკიცებელია, რომ მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. როგორც ცნობილია, დასავლეთში — კარლოს დიდის ფრანგთა მონარქიაში მართლაც ადგილი ჰქონდა ეგრეთ წოდებულს „კაროლინგურ რენესანსს“, რომელიც ევროპის ადრინდელი რენესანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. რუსთაველმა ეს იცის, ცხადია, და ამის გამო იტალიაზე არაფერს ლაპარაკობს, რადგან იტალიის რენესანსმა ჯერ კიდევ საუკუნეებს უნდა დაუცადოს.

ეს სიზუსტე რუსთაველისა „მოფრან-

გეთა“ ანუ ფრანგთა ადრინდელ რენესანსის შესახებ იმდენად დამანახაბებელია, რომ მას, რუსთაველს, ურთველს ჰქონდა ზოგიერთი ვარემოება მხედველობაში, როცა XII საუკუნეში რუსების შესახებ ლაპარაკობს რენესანსის ფარგლებთან დაკავშირებით.

XII საუკუნეში საქართველოში რუსები ცნობილი იყვნენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, სიძე გვყავდა რუსი — თამარის პირველი მეუღლე. სავაჭრო გზები აღმოსავლეთიდან (ხვარაზმიდან და სხვ.) რუსეთისაკენ საქართველოზე გადადიოდა. ამან შეიტანა რუსთაველის პოემაში სიტყვა „ხვარაზმული“, რომელიც რენესანსულ ძეგლში „იგორის ლაშქრობაშიც“ გვხვდება მიახლოებით იმავე დროში („Харалужный“).

რუსთაველისებური რკალი რენესანსის ასახვისა არ ნიშნავს მისი ქრონოლოგიური განვითარების წარმოდგენას. პორიზონტალურსა და რკალბრივ ასახვაში რუსთაველი აღმოსავლეთით იწყებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის რენესანსი ინდოეთიდან იწყებოდა. საბერძნეთი, რომელზეც რუსთაველი ლაპარაკობს, არ შეიძლება იყოს ბიზანტია, თუმცა იგი ინდოეთისა და არაბეთის შემდეგაა აღნიშნული რუსთაველ-ავთანდილის მნათობთა პიმნის შემამკობელთა ჩამოთვლაში. საბერძნეთი შუაშია მაშრიყსა და მალარიბს შორის და იგი თანაბრად მომქმედი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთისაკენ და დასავლეთისაკენ. თუ ეს ასეა და სხვა აზრით ამის გაგება შეუძლებელია, მაშინ „საბერძნეთი“ აქ ანტიკას უნდა ნიშნავდეს. XII საუკუნისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ წერის დროს, ანტიკური ფილოსოფია, არეოპაგიტულ მემკვიდრეობაში დაცული და გამარჯვებული, აღორძინებას განიცდის აღმოსავლეთ-დასავლეთში. აღმოსავლეთ — არეოპაგიტის მიერ ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა ძალაში შედის,

შალვა ნუცუბიძე

რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა

როგორც ბუდას ცხოვრების ქართული გადამუშავების გამარჯვება. ეს ძველი ქართულ ენაზე იქმნება VII საუკუნეში, მაგრამ საქართველოზე რუსთაველი არაფერს ლაპარაკობს, რადგან ეს ღერძია, რომლის ირგვლივ ტრიალებს მისეული რეგიონალური რენესანსი, რომლის საზღვრების გაშლისას იგი გვაგრძნობინებს, რომ XII საუკუნეში თვით ავტორი (და მისი ქვეყანა) საქართველოს შუაშია.

არაბების ზიარება რენესანსთან არისტოტელეს სახელით ცნობილი „მიზეზთა წიგნი“ სახიერდებოდა, რომელიც ქართულიდან ითარგმნა არაბულად, რადგან იგი სხვა ენაზე, როგორც ეს დღეს დადგენილია (იხ. *Бизант. Временник*, № 20), და მათ შორის არც ბერძნულზე, არ არსებობდა. „მიზეზთა წიგნი“ პროკლეს წიგნისაგან ამოკრეფილ ადგილებზე იყო აგებული, მხოლოდ ქართულად იყო დაწერილი, როგორც ამას იოანე პეტრიწი მოწმობს (ი. პეტრიწი, *შრომები*, ტ. II, გვ. 218.). ეს სიახლოვე ქართულ მწერლობასთან უნდა პოულობდეს თავის გამო-

ხატულებას რუსთაველის მიერ ავტობის უფრო ადრე ხსენებაში ინდოქა შემდეგ.

საბერძნეთი რუსთაველთან არ უდრია ბიზანტიას, ეს ნათელია იქიდან, რომ ბიზანტია მასში შემავალ ხალხთა კულტურა იყო და არა თვითნაშობი („ავტოქთონური“), როგორც ნ. კონრადი ამბობს. ამდენად, იმავე აკად. ნ. კონრადის განცხადება — თითქოს „ბიზანტია აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის იგივე იყო, რაც იტალია დასავლეთ და ცენტრალურ ევროპისათვის“ (იხ. ნ. კონრადის დას. ნაშრ. გვ. 203), უნდა გულისხმობდეს ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობას, რომელიც, პეტრე იბერის მიერ გადამუშავებულ, გადაეცა ბიზანტიას.

ასეთ მტკიცე საფუძველზეა აგებული რუსთაველის შეხედულება რენესანსის ფარგლების შესახებ, რომელიც განსხვავებით უნივერსალური მსოფლიო რეხესახისაგან მხარეთა გარკვეული რკალის რეგიონალურ რენესანსს გულისხმობს.



კომპანიის ორომტრიალს აშშ-ში.

ორმა „უპატივცემულო კანადელმა“ — ფრენკ პეპიატიმ და ჯონ ეილსუორტიმ — თანაონთ კომედიას საფუძვლად დაუდო მასალები პრეზიდენტის პოსტზე კენედის არჩევის შესახებ.

„საპრეზიდენტო ორომტრიალი“ (სათაური პირობითია) სატელევიზიო სპექტაკლი იქნება. მასში მთავარ გმირებად გამოყვანილია კენედის თითქმის მთელი საგვარეულო. აშშ-ს იუსტიციის ახლანდელი მინისტრის რობერტ კენედის ძირითად ქორეოგრაფიულ როლს დასის წამყვანი მოცეცავე შეატრულებს. როგორც იუწყებიან, ერთ-ერთი ძლიერი

ნომერი იქნება ათწუთიანი სატირული ცეკვა — „დემოკრატიული პარტიის ნაციონალური ყრილობა“.

კომედაში აღწერილი იქნება პრეზიდენტის მამის (მილიონერის) კულინებისმიღმა ცხოვრება. პრეზიდენტის როლის შემსრულებელი მსახიობი კომიკურ არიას — „მიზეველი“ — მაშინ მღერის, როცა იგი უკვე არჩეულია პრეზიდენტად და ამ ამბით აღმღვებული შეუღლებს სთხოვს შევლას.

როგორც შურნალი აღნიშნავს, „უპატივცემულო კანადელები“ ასევე უპატივცემულო საშუალებით დასცინიან არჩევნებს აშშ-ში.

ლივანი

პარძალული ფილმი

როგორც შურნალი „აღადიბი“ იუწყება, ადგილობრივმა მთავრობამ ლივანის კინოთეატრების ეკრანებზე ამერიკული ფილმის „ლოურენს არავისის“ ჩვენება აკრძალა. ამ ფილმის მიზანი იყო, სახელი და დიდება მოეტანა აღმოსავლეთ არაბეთის ქვეყნებში მომუშავე ერთი ინგლისელი მწვერავისა და ავანტურისტის საქმიანობისთვის.

დასასრული

სტუმრად მგობრებთან

ბულგარული ჩანაწერები

სპეციალური მატარებელი „მგობრობა“ შუადღისას გავიდა მოსკოვიდან. სამასზე მეტი საბჭოთა ადამიანი მიდიოდა რეისით — „მოსკოვი-სოფია“. მატარებელში ჩვენი დიდი საბჭოთა ოჯახის თითქმის ყოველ წარმომადგენელს ნახავდით: აქ იყვნენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, უზბეკები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, სომხები, მოლდაველები, ბალტიისპირელები და სხვები. მიდიოდნენ სხვადასხვა ეროვნების და პროფესიის ადამიანები, რათა მოქმე ბულგარეთში ჩატანათ საბჭოთა ხალხების გულითადი მოკითხვა და მოლოცვა, მიდიოდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ბულგარეთის გათავისუფლების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

6 სექტემბერს, საღამოს, მატარებელმა დატოვა სასაზღვრო სადგური უნგენი, გადასერა რუმინეთი და დილით მიადგა დიდებულ დუნიას, რომლის იქით იწყებოდა ბულგარეთი.

ჩვენი შთაბეჭდილებათა მოთხრობაც აქედან დაიწყო:

რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზე, მარცხენა ნაპირზე გაშენებულია რუმინული სასაზღვრო ქალაქი ჯურჯუ. ქალაქიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით სულ ახლახან აშენდა ევროპაში უდიდესი ორსართულიანი ხიდი, რომელსაც „მგობრობის ხიდი“ ეძახიან, რადგანაც იგი ბულგარეთს აერთებს საბჭოთა კავშირთან, ბალტიისპირა, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან.

მატარებელი ნელა გადის ხიდზე. ქვევით კი მიედინება დუნი, უზარმაზარი, გულსაყვ და ბარაქიანი, მკერდგანიერი, ძლიერი და ლამაზი, ისეთივე ლამაზი, როგორც მის ნაპირებზე გაშლილი ქალები და სერები, ისეთივე მიმზიდველი და მომხიბვლელი, როგორც მასზე თქმული მითები და სიმღერბია.

ჩვენი მატარებელი ქალაქ რუსეს სადგურზე ჩამოდგა. რუსე პირველი ბულგარული ქალაქია, საიდანაც ვიწყებთ მოქმე ქვეყნის გაცნობას. სადგურზე ზღვა ხალხს მოუყრია თავი საბჭოთა სტუმრების შესახვედრად. აქ არიან ქ. რუსეს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები, პროფკავშირების, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მგობრობის, „ბალკანტურისტის“ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე მისალმებელი სიტყვებით გამოდიან ადგილობრივი ამხანაგები, დელეგაციის ხელმძღვანელი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის ბაუმანის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ივანე ბუდინკოვი და ამ სტრიქონების ავტორი.

მცირე დროის მიუხედავად, ზოგიერთებმა მოვასწარით ქალაქის დათვალიერება.

საუკუნეების მანძილზე ინგრეოდა და ცკვავ ფერფლიდან დგებოდა ეს მრავალტანჯული ქალაქი, მაგრამ მაინც გადაურჩა ყამთა სიყვეს.

შავნელი წარსული ისტორიას ჩაბარდა. თანამედროვე რუსე შესანიშნავად დაეგმილი, სუფთა და ლამაზი ქალაქია, რომლის ეკონომიური და სამეურნეო მნიშვნელობა წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მატარებელი კვლავ ზღვა ხალხსა და ყვავილების წვიმაში მოხვდა. ეს პლევენია. კვლავ გულთბილი შეხვედრა და მისალმებანი.

ქალაქი პლევენი ჩრდილოეთ ბულგარეთის ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული ცენტრია.

დიდი მოწონებით სარგებლობს პლევენის ღვინო. აქედან ყოველწლიურად საქსპორტოდ მიდის ათას ვაგონზე მეტი უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინოები „ბოლგარი“ და „დიმიტი“.

ქალაქის სამხრეთით, ორიოდ კილომეტრის

დაშორებით, მდებარეობს შესანიშნავი პარკი, რომელსაც „კალიჯია“ ჰქვია. ამ პარკში მოთავსებულია კომფორტაბული სასტუმრო, რესტორანი, საცურაო აუზები, საწყლო-სანაოსნო სადგურები. აქ ბევრი გამოქვაბულია. შორეულ წარსულში ამ ადგილას თურმე სტოგოზიელთა დასახლება ყოფილა. ერთ-ერთ გამოქვაბულში მოწყობილია დიდი რესტორანი, რომელიც მნახველზე დაუვიწყარ შობაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენმა მატარებელმა ვეზი ბულგარეთის დედაქალაქისაკენ აიღო. ვაგონის ფანჯრებს არ ვცილდებით: თითქმის ეს-ეს არის წიფის გვირაბიდან გამოვედით და ჩხერიმელას ხეობას მივყევით, ისე ჰგავს აქაური ბუნება საქართველოსას. აქაც ბევრია კლდეებზე და მთის კოტორხებზე წამომართული საშუალო საუკუნეების ციხე-კოშკები; ასე გგონია, წერეთლებისა და აბაშიძეების ფეოდალურ ნაშახლარებს ხედავო, ზემო იმერეთის მთებზე მიმოვანტულს.

აი სოფია, — ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. სოფიის დაარსების ისტორია ძალიან წააგავს თბილისზე თქმულ ლეგენდას: აქაც მოჩუჩხუხებდა თურმე თბილი მინერალური წყარი, სადაც თრავიელთა ერთ-ერთმა ტომმა — სერდებმა ააშენეს ქალაქი და სერდიკი უწოდეს. უბრალო დასახლება სულ მალე მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრად გადაიქცა: რომაელებმა თრავია თავიანთ პროვინციად გადააქციეს და რადგანაც სერდიკი დიდი სავაჭრო და სამხედრო გზების შესაყარი გახდა, იგი ითვლებოდა ყველაზე უფრო კეთილმოწყობილ და ლამაზ ქალაქად მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

სოფიის ვაცობას რკინიგზის სადგურიდანვე ვიწყებთ. ბაქანზე უამრავი ხალხი გველოდება. „ძმები ესტუმრენ ძმებს!“ — ასე აღნიშნა სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე ერთ-ერთმა ორატორმა და ჰეშმარითად ეს ასეც იყო. ქართველები და აზერბაიჯანელები ერთ ჯგუფში მოეხვდით. ჩვენი გიდი — როსიცა — მაღალი, წარმოსადეგი ქალიშვილია, ავტობუსის მძღოლი ასენი — ჩაფსკენილი ვაჟაკი.

„მეგობრებო, ვიწყებთ მოგზაურობას ჩვენს ლამაზ ქვეყანაში. ამ მანქანით ჩვენ შემოვივლით თითქმის მთელ ბულგარეთს“, — ამბობს როსიცა.

როგორც სოფიაში, ისე სხვა ბულგარულ ქალაქებში, აქა-იქ თუ შეხვდებით ასფალტს, ქუჩებზე უმრავლესად თლილი ქვებია დაგებული. ქვები განსაკუთრებულ იერს და ლაზათს აძლევს გზებს. ქუჩებს აქ კი არ ჰგვიან, არამედ დამლაპობით რეცხავენ და ამიტომაც ქალაქში სანიმუშო სისუფთავეა.

მთხრანებულმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ სოფია გადააქცია საერთაშორისო მნიშვნელობის გზატკეცილების, რკინიგზების და საჰაერო ტრასების უდიდეს კვანძად და

შემთხვევითი როდია, თავისი მდებარეობის გამო მას ერთ დროს „სრედეს“ რომ ეძახდნენ. ქალაქი ზღვის დონიდან 550 მეტრზეა აშენებული. მას „კურორტქალაქსაც“ ეძახიან. ქალაქი მთლიანად მწვენიეშია ჩაფლული. ბულგარეთის სატახტო განთქმულია თავისი სისუფთავეთ, კეთილმოწყობით, სიმწვანით, — ამიტომაც იგი ითვლება ევროპაში ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად. სოფია ქვეყნის უდიდესი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია. პირველი ადგილი მრეწველობაში მანქანათმშენებელ და ლითონის დამამუშავებელ საწარმოებს უჭირავს. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა მოწყობილი სატრანსპორტო, ელექტროტექნიკური, დაზღვათმშენებელი და სხვა ქარხნები. საქვეყნოდ განთქმულია აქ დამზადებული სხვადასხვა კონსერვები და ნახევარფაბრიკატები.

სავაჭრო მაღაზიები განლაგებულია როგორც ქალაქის ცენტრში, ისე გარეუბნებშიაც; ზოგიერთ ქუჩაზე თითქმის სულ მაღაზიებია.

ვანიითარების მაღალ დონეზე დგას ნაციონალური ხელოვნების ნიმუშთა წარმოება. ბულგარულ ოსტატთა კერამიკა, ნაქსოვები, ლითონის ნაკეთობა და ხის მხატვრული კეთა-საქვეყნოდაა განთქმული. აქ ჩამოსული უცხოელი გულგრილად ვერ აუვლის ბულგარულ ხალხური შემოქმედების ნატივ ნიმუშებს, განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს კერამიკა.

70 წლის წინათ სოფიაში დაარსდა ცნობილი ბულგარელი განმანათლებლის კლიმენტ რიჩიდის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრში რუსულ ბულგარულ და ამჟამად ექვს ფაკულტეტს ითვლის: ფილოსოფიურ-ისტორიული, ფილოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური, იურიდიული, ბიოლოგიურ-გეოლოგიურ-გეოგრაფიული და ქიმიური. უნივერსიტეტს გარდა დედაქალაქში 16 უმაღლესი სასწავლებელია, სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბების პირველ წლებში ძალზე მწვავედ იგრძნობოდა ნაციონალური დრამატურგიის ჩამორჩენა. ლიტერატურის ეს დარგიც ამჟერად აღმავლობის გზით მიდის. სოფიაში 13 თეატრია, მათ შორის ერთი ოპერისა, შვიდი დრამატული, ორი თოჯინების, ორი ესტრადისა და ერთიც ოპერეტისა. სოფიის ოპერის თეატრის რეპერტუარში განსაკუთრებულ ადგილს უჭირავს რუსულ კლასიკას, თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორებს. სულ ახლახან თეატრმა მაყურებელს უჩვენა ბოროდინის „თავადი იგორი“, სადაც ცეკვები დადგა ნინა ულანოვამ. ვალიცკის როლი შენანიშნავად შესარულა ახალგაზრდა მსახიობმა, საოპერო მომღერლებს მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა ნიკოლოზ გიუზელოვმა.

დრო ძლიერ ცოტაა, სანახავი კი ბევრი. „ქველდურის ნახვას ვერ მოვაწყობთ, მთავა-

რია, მუხუდუმები დავათვალიეროთ“, — გვეუბნება როსიცა და ჩვენც, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით.

თურქულ მეჩეთ „ბუიუსის“ არქიტექტურულად საინტერესო შენობაში მოთავსებულია არქეოლოგიური მუხუდუმი, რომელიც 1892 წელს დაარსდა. აქ ხუთი განყოფილებაა: ისტორიამდელი, ანტიური, ადრინდელი შუა საუკუნეებისა, გვიანი შუა საუკუნეებისა და ნუმისმატიკის.

ეთნოგრაფიული მუხუდუმი ყოფილი მეფის სასახლის გვერდით კორპუსშია მოთავსებული. აქ მნახველი ეცნობა ბულგარელთა მატერიალური კულტურისა და ყოფის, ნაციონალური ტრანსაცმლის, ქსოვილებისა და მორთულობის, ხალხური შემოქმედებისა და არქიტექტურის ნიმუშებს.

სოფის გარეუბანში, მუშათა რაიონში დგას ერთი პატარა სახლი, სადაც 1888 წლიდან 1923 წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე გიორგი დიმიტროვი. ამ სახლში ახლა მისი სახლ-მუხუდუმია მოწყობილი, სადაც მნახველს შეუძლია გაეცნოს ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ექსპონატები მოვეითრობენ გიორგი დიმიტროვის — ბულგარელი ხალხის გროვნიული გმირის ბავშვობის, ქაბუკობის პერიოდზე, მის თავდადებულ ბრძოლაზე ხალხის კეთილდღეობისათვის.

ჩვენ ვნახეთ აგრეთვე სახლი, სადაც 1893 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ივანე ვაზოვი, დიდი მწერალი, ხალხის გულის მესიხლუმდე, საიკრად უყვართ იგი ბულგარეთში, უყვართ ისე, როგორც ჩვენ — დიდი ილია.

ჩვენი მანქანა ქალაქის ცენტრში ბრუნდება. როსიცა მოულოდნელად აჩერებს მანქანას ერთსართულიან შენობასთან, სადაც რუსეთ-ბულგარეთის მეგობრობის მუხუდუმია მოთავსებული.

მუხუდუმში წარმოდგენილია 10 ათასი ექსპონატი, — ნივთები, ილუსტრაციები, დოკუმენტები, რომლებიც მოვეითრობენ რუსებისა და ბულგარელების ერთობლივ ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. როგორც ოცნებილი მოწმე, როგორც თვითონ სიმართლავ, ისე მეტყველებს ეს მუხუდუმი რუსი და ბულგარელი ხალხის საბრძოლო მობაზე, საუკუნო მეგობრობაზე.

დარჩენილი დრო ისტორიული ძეგლების, ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშების დიდივალერებას მოვანდომეთ. სოფია სიძველეთა ლორსშესანიშნავი ძეგლებით არ არის მაინცადამიანც მდიდარი. მრავალჯერ დანგრეული და ხელახლა აღდგენილი ქალაქი, რა თქმა უნდა, ვერ შეინარჩუნებდა თავის ისტორიულ სიძველეთა ნიმუშებს, ამაში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე თურქთა ხუთსაუკუნოვანმა ბა-

ტონობამ. მიუხედავად ამისა, ქალაქში ბარც არის დარჩენილი ზოგიერთი ძეგლი. მათ შორის ღირსშესანიშნავია წმ. გიორგის სახელობის, რომელიც სოფის ყველაზე უძველესი არქიტექტურული ძეგლია.

დროს შემოუნახავს აგრეთვე ე. წ. „მარგალი კოშკის“ ნაწილი, ქალაქის ჩრდილოეთის გალავნის „სამკუთხოვანი კოშკის“ ნანგრევები, რომელიც ინახება სოფის ისტორიის მუხუდუმში, ამ სიძველეებს აკუთვნებენ III და IV საუკუნეებს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წმ. სოფის ტაძარია, რომელიც ქალაქის ცენტრში — ალექსანდრე ნეველის სახელობის მოედანზე მდებარეობს. იგი ძალზე საინტერესო, არქიტექტურულად პარამონიული და შთამბეჭდავი შენობაა. ტაძარი ჯვარდინი ბაზილიკითაა შესრულებული — გუმბათითა და სამი სამლოცველოთი. მისი ჩრდილო ნაწილი მიწისძვრას დაუნგრევია, მაგრამ შემდეგში აღდგენილი და ახლა სრულ არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. ბულგარეთის დედაქალაქმა სწორედ ამ ტაძრიდან მიიღო თავისი დღევანდელი სახელი — სოფია.

ოტომანთა იმპერიასაც დაუტოვებია სოფიაში თავისი არქიტექტურული ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია 1474 წელს აშენებული უზარმაზარი ბუიუკ-მეჩეთი. სოფის „მინერალურ წყლებთან“ მდებარეობს არაბული არქიტექტურის ულამაზესი ძეგლი — „ბანია-ბაში-მეჩეთი“, რომელიც 1576 წელს არის აშენებული. მუსულმანური ხელოვნების მშვენიერი ნიმუშია აგრეთვე ე. წ. „შვიი მეჩეთი“, რომელიც 1528 წელს აუგიათ სულთან სულეიმანის ბრძანებით, ცნობილი თურქი ხუროთმოძღვრისა და ინჟინრის ხოჯა მიმარ სინანის პროექტით.

თავისი გრანდიოზული მასშტაბითა და მხატვრული ღირებულებით ხუროთმოძღვრული დიდებულებით, სიდიადით და სინატიფით ყველაზე მეტად ალექსანდრე ნეველის ტაძარი გამოირჩევა, რომელიც მადლიერმა ბულგარელმა ახლმმა შეწირულებით ააშენა თურქეთთან ომში გამართულ დაიკემულ რუს მხედართა საპატივცემულოდ.

9 სექტემბრის სახელობის მოედანზე ჩვენი დეიგაცია დაესწრო ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ პარადს და მშრომელთა დემონსტრაციას. ზეიმის დამთავრების შემდეგ გვირგვინით შევიამკეთ ბულგარელი ხალხის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფია მწვანეშია ჩაფლული. აქ ძალიან ბევრი კეთილმოწყობილი პარკი, ბაღი და ხეივანია. მათ შორის გამოირჩევა თავისუფლებების პარკი, რომელიც

ამირან აბშილავა
სტუმრად მეგობრებთან

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი თითქმის 3 კილომეტრზეა ვადამიწული, პარკში მოწყობილია ჩოგბურთის კორტები, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები, ფეხბურთის სტადიონი, ველოდრომი, შაბიანი ხოკეის მოედანი, ხელოვნური ტბა, სადაც ზაფხულობით მუშაობს სანაოსნო სადგური, ხოლო ზამთრობით საციგურაო მოედანი. აქვე გასწვრილია საზაფხულო კინოთეატრი, ღია ესტრადა, ბაგშვთა მოედნები, რესტორანი. ტბიდან იწყება შესანიშნავი ხეივანი, რომელსაც მიყვავართ ფაშიშმთან ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ძეგლამდე.

სოფიდან სამხრეთ-დასავლეთით შეიდიოდეს კილომეტრის დაშორებით წამომართულან ულამაზესი მწვერვალები ვიტოშა და ლიულინი. ამ ბუნებურაზების კალთებზე მიმოფანტულია მწვანეში ჩაფლული სოფლები, აგარაკები, დასასვენებელი სახლები, შესანიშნავად მოწყობილი ტურისტული ბაზები და რესტორნები.

ვიტოშაზე ვნახეთ ბუნების ერთი საოცრება: ესაა „ქვის მდინარეები“. ასეული მებრძობით მანძილზე ჩამოდის ქვის მდინარეების კალაპოტები, რომელიც ავსებულია გრანიტის და სიენიტის უზარმაზარი ლოდებით. ათასწლეულების მიღმა ეროზიას, ქარსა და წყალს შეუქმნია ბუნების ეს სასწაული. არც ბულგარეთში და არსად სხვაგანაც, არც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით მსგავს საოცრებას.

ბრწყინვალედაა მოწყობილი ტურისტული ბაზა „ალეკო“, რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო ბულგარეთში ტურიზმის პირველი ორგანიზატორის, ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის ალეკო კონსტანტინოვის პატივსაცემად.

ჩვენმა ავტობუსმა გეზი პლოვდივისაკენ აიღო. ვზატყეცილი მთის მდინარე ისკირის ლამაზ ხეობაში მიიკლავება. აქედან იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე მაღალი მთის მსიფი—რილა. სოფიიდან მეხუთმეტე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი პანჩარევო, რომელიც განთქმულია თავისი მინერალური წყაროებით. აქვეა დიდი ხელოვნური ტბა, იგი რწყავს სოფლის დაბლობის მასივს. ტბის ნაპირას შენდება აგარაკები, სპორტული ბაზები, დასასვენებელი სახლები. ასე რომ, პანჩარევოსულ ძალე ერთ-ერთი კეთილმოწყობილი მთის კურორტი ვახდება.

რილის მთის ძირას მდებარეობს პატარა, მაგრამ ძველი ქალაქი სამოკოვო, რომელიც ოდითგანვე განთქმულია რკინის საბადოებით. სამოკოვოდან 9 კილომეტრის დაშორებით, რილის ჩრდილოეთ კალთებზე, მარად მწვანე ფიქვნარში ახლად ნაშენი თეთრი სახლები გამოჩნდა,— ეს ბოროვეცი, ერთ-ერთი საუკეთესო მთის კურორტი ბულგარეთში. საუცხოო აგარაკი ზამთარ-ზაფხულ საესვა დამსვენებლებით, ტურისტებით და სპორტსმენებით. ბოროვეცი ითვ-

ლება სათილამერო სპორტის ცენტრად რესპუბლიკაში.

რილის მთებს თრაკიელები დუნაქიქუნეშაქიდნენ, რაც მათ ენახე „წყალმარავაქლქნიშნისეს. მწვერვალ მუსალაზე მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური.

ჩვენმა მძღოლმა ასენმა (რომელსაც უკვე გავეშინაურდით და არსენა შეეარქვეთ) მშვიდობით გადაგვატარა უღელტეხილი. მანქანა ისეე სოფლა-სტამბოლის შავისტარლზე გავიდო. ცოტა კიდევ და ზემოთრაკის დაბლობზე ჩავედით. გზა ისევე მარიცას დინებას მიჰყვება, შორით ლეგენდარული სპარტაკის მშობლიური როდობის ქედი გამოჩნდა. და აი, პლოვდივიც.

მარიცის ბარაქიან ქალებში, პლოვდივის ოლქში დიდად განვითარებულია სოფლის მეურნეობა. მიწა აქ ძალზე მაღლიანია და ბელგარეული გლეხები უხვ მოსავალს იღებენ. თამბაქო, ბამბა, ბრინჯი, ზეთის კულტურები, ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული, ხილი,— რა არ ხარობს ამ დალოცვილ მიწაზე. ამიტომაც ქალაქში ძალზე განვითარებულია მრეწველობა. აქ მუშაობს სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ავტოსარემონტო ქარხნები, საქსოფ-სართავი კომბინატები, თამბაქოს, კონსერვების, შაქრის ლუდის, მანქანათმშენებელი, ელექტროდნადგარების, ტყავის გადამამუშავებელი, ფეხსაცმლისა და სხვა ფაბრიკა-ქარხნები.

პლოვდივი ქვეყნის მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრადაც ითვლება. საერთო განათლების და პროფესიონალური სკოლების გარდა, ქალაქში ოთხი უმაღლესი სასწავლებელია.

პლოვდივის საოპერო და დრამატული თეატრები ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივებად ითვლებიან რესპუბლიკაში. საზაფხულო თეატრი, რომელიც ახლახან აშენდა, 2100 კაცს იტევს და შესანიშნავი თანამედროვე ნაგებობაა. პლოვდივის მღიდარი სამხატვრო გალერეა აქვს. გალერეის ფონდი ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკების უამრავ ნაწარმოებს ითვლის. საქვეყნოდ არის ცნობილი პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობა. იგი 1933 წლიდან ეწყობა, ხოლო 1936 წლიდან ითვლება საერთაშორისო ბაზრობების კავშირის წევრად. ბაზრობა ეწყობა სექტემბრის მეორე ნახევარში, როცა აქ ოქროს შემოდგომა დგას, კარგი ამინდია და პლოვდივის მხარეც გულუხვად უმასპინძლებდა სტუმრებს თავისი მაღლიანი ჭირნახულით.

სწორედ ბაზრობის ვახსნის წინა დღეებში დავათვალიერეთ გამოფენა. მიუხედავად იმისა, რომ პავილიონებში ვახსნის სამუხადისის ფუსფუსი სუფევდა და ექსპონატებიც დალაგებული არ იყო, საბაზრო ქალაქმა და მთელმა რიგმა პავილიონებმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებულ ყურადღებას საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების პავილიონები იქცევენ. ყარგადაა მოწყობილი აგრეთვე ამერიკის

შერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის პავლიონები.

ძველი პლოვდივი ჩვენს ნარიყალას მოგავიწყდება, მის კალთებზეც მერცხლის ბუდესავით შეფენილან ადამისდროინდელი სახლები და ვიწრო ქუჩაბანდები. თავად წერეთელევის ქუჩაზე ვნახეთ ფრანგი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალფონს ლამარტინის სახლ-მუზეუმი,

ჩვენ მაშინვე ვიკითხეთ, საიდან გაჩნდა პლოვდივში თავად წერეთელევის ქუჩა, ეს ხომ ჩვენთვისაა წერეთელი? (სხვათა შორის, პლოვდივის მახლობლად არის სოფელი „წერეთელოვო“). როსიცა ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს.

თბილისში დაბრუნებისას გავეცანი სათანადო მასალებს და გამოირკვა, რომ თავადი ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი (1848—1883 წწ.) ყოფილა დიპლომატი და ლიტერატორი. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გამგზავრებულია თურქეთსა და სერბიაში. უმუშავნია ბელგრადში რუსეთის გენერალურ საკონსულოს მდივნად. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე ალ. წერეთელი სამხედრო სამსახურში პირდაპირ ცეცხლის ხაზზე გამოცხადებულია. შემდეგში იგი მონაწილეობდა ადრიანოპოლისა და სან-სტეფანოს საზავო მოლაპარაკებაში. ხელშეკრულების დადებისთანავე მას წინშეაყენებოდა პლოვდივში გენერალურ კონსულად.

ასეთია მოკლე ცნობები თავად ალექსი წერეთლის შესახებ, რომლის უანგარო სამსახური ბულგარულ ხალხს დაუმახსოვრებია და სათანადო პატივი მიუზღავს.

პლოვდივში რამდენიმე მუზეუმი, მათ შორის აღსანიშნავია არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც 15000-ზე მეტი ექსპონატი ინახება, ზოგიერთი მათგანი უნიკალურად ითვლება.

ძალზე საინტერესოა აგრეთვე ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც გამოფენილია უიშვიათესი ექსპონატები: ხმარებიდან გამოსული ძველი სამეურნეო და საომარი იარაღები, ძველებური ტანსაცმელი, ქალის სამკაულები, საოჯახო ნივთები და მორთულობანი და სხვ. თვით მუზეუმის შენობაც გასული საუკუნის პირველი ნახევრის არქიტექტურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ძეგლად ითვლება.

როგორც სთვიაში, აქაც ერთმანეთში არეულია ქრისტიანული და მუსულმანური კულტურის ძეგლები. მათ შორის არქიტექტურული თვალსაზრისით აღსანიშნავია წმ. კონსტანტინეს და ელენეს ეკლესია. ტაძარი აშენებულია 1844 წ. ბაროკოს სტილში. იგი ცნობილია ძველებური ხატების ძვირფასი კოლექციით. საინტერესოა აგრეთვე წმ. ღვთისმშობლის და წმ. მარინეს ტაძრები.

არაბული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავ ნაგებობად ითვლება ე. წ. „ჯუმაია-მეჩე-

თი“, რომელიც XIV საუკუნეშია აშენებული, „იმარეთ-მეჩეთი“ და თურქული აბანო „ჩინეთი“ (XVI ს.).

ქალაქის ყოველი კუთხიდან მოჩანს მუსულმანური ვისუფლებელთა ბორცვი“. ბორცვზე აგებულია საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი ადგიბული ძეგლი, აქვეა იმ მეომართა ძეგლი, რომლებიც დაიღუპნენ ბულგარეთის გაერთიანებისათვის ბრძოლაში რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877—1878 წლებში. ამავე მთის მისადგომებზეა აღმართული დიდი რევოლუციონერი, ბულგარეთის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის იდეოლოგის ვასილ ლევსკის მონუმენტური ფიგურა. „გამათავისუფლებელთა ბორცვი“ მწვანეშია ჩაფლული და პლოვდივის მშრომელთა ერთ-ერთ საუკეთესო კულტურის და დასვენების კერად ითვლება.

პლოვდივში, არცთუ ისე დიდ ქალაქში, წარმოიდგინეთ 80 პარკია, თუ არ ჩავთვლით უმარავ ბაღსა და სკვერს, სადაც ბულგარელი ხალხის სახელოვანი შეილები ძეგლებია დადგმული.

ვისტუმრეთ ქალაქ სტარა-ზავორას. გულითადად შეხვედრის შემდეგ პარტის საქალაქო კომიტეტის მდივანი იორდან დემიროვი გვაცნობს სტარა-ზავორას, ერთ-ერთ უძველეს ბულგარულ ქალაქს.

ამ ქალაქმა სამშობლოს ბევრი ღირსეული შვილი გაუზარა. სტარა-ზავორელები სათუთად ინახავენ მარქსიზმის ცნობილი პროპაგანდისტების გიორგი ბაკაოვის, გიორგი კირკოვის, ნედელჩო ნიკოლოვის, შესანიშნავი პოეტისა და რევოლუციონერის გეო მილევის ხსოვნას. მილევმა მხეცურად აწამეს და დახვრიტეს ბულგარელმა ფაშისტებმა 1925 წელს.

ისევ წარმტაცი ველი, თამბაქოს პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები და... ვარდები, ვარდები. ჩვენ უკვე მივხვდით, — ეს კახანლიყის ველია, ზღაპრული კახანლიყის ველი.

ამ ადგილებში ვარდების მთელი მეურნეობები გაშლილი. საოცარი სანახავია იგი მაისში, როცა ვარდები იფურჩქნებიან. საქვეყნოდ ცნობილია აქ დამუშავებული ვარდის ზეთი, რომელსაც საქსპორტოდ აშხადებენ.

კახანლიყის ახლოს ერთ-ერთი ბორცვზე 1944 წელს აღმოჩენილი იქნა უძველესი სამარხი, ძველი ხელოვნების უიშვიათესი საგანძურთი. ამ სამარხში 2200 წლის წინათ დაღუპარხავთ რომელიღაც თრაკიელი ბელადი. სამარხის დიდი მხატვრული ღირსება ნათლად მეტყველებს იმდროინდელი მატერიალური კულტურის მაღალ დონეზე.

კახანლიყიდან ჩრდილო-დასავლეთით მეთორმეტე კილომეტრზე, სტარაბლანინას სამხრეთ

ამირან აბშილავა
სტუმრად მეგობრებთან

კალთებთან მდებარეობს ისტორიული სოფელი შიპკა. მდლიერმა ბულგარელმა ხალხმა რუსეთ-თურქეთის ომში დაღუპული რუსი მოზარდების უკვდავსაყოფად სოფელ შიპკაში ააგო მოიქროვილკაშობებიანი ეკლესია, რომლის გარეთა და შიდა კედლებზე, მარმარილოს ბარელიეფებზე წარწერილია მათი სახელები, რომელთაც თავი შესწირეს ბულგარეთის გათავისუფლების საქმეს ამ სასტიკ ომში.

ბარელიეფებზე რამოდენიმე ჩვენი თანამემოხლის სახელიცაა ამოტვიფრული. აი, ისინი: 24-ე არტილერიის ბრიგადის კაპიტანი თავადი ლეონ ვანჩაქ, მარკოზაშვილი და გრიგორაშვილი. ქართველი ვაჟაკები მამაცურად იბრძოდნენ რუსი და ბულგარელი ძმების წევრდით, მათი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა შიპკის მატიაშეში.

შიპკის ყველაზე მაღალ მთაზე კი წამომართულია რუს-თურქთა ომის ყველაზე დიდი ძეგლი, რომელსაც ხალხმა „თავისუფლების ძეგლი“ უწოდა.

გადაჭვრით შიპკის უღელტეხილი, ვეშვებით სტარაბალანინის ფერდობებზე და რამოდენიმე კილომეტრის შემდეგ მდინარე იანტრის ხეობაში მთის კალთებზე გამოჩნდა რელიეფურად გამოსახული თეთრი შენობები. ეს ქალაქი ვაბროვოა, რესპუბლიკის ერთ-ერთი სამრეწველო ცენტრი. ეკონომიკის, კულტურის და ვაჭრობის საქმეში იგი ტოლს არ უდებს ბულგარეთის სხვა სამრეწველო ცენტრებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით იგი კურორტის შთაბეჭდილებას ახდენს.

ოტლ-რესტორან „ბალკანში“ მშვენიერი სადღის შემდეგ ისევ ვაუფლდებით გზას. რა თქმა უნდა, დავიდალოთ. რომსიცა ეშმაკურად იღიმება. „წინ ტირნოვო... ეს ქალაქი, მერწმუნეთ, დალილობას გადაგაოქოვებს!“ ამბობს ის.

მართლაც, ჩვენს წინაშე ისეთი ლამაზი ქალაქი გადაიშალა, დალილობა არაგის ვახსენებია. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ტირნოვოში, მისი მესხერებოდან ეს თავისებური, ლამაზი ქალაქი არასოდეს წიშლდება.

გორაკს, რომელზედაც ქალაქი ტირნოვო მდებარეობს, „არწივის მაღლობს“ ემახიან. ნამდვილად არწივთა საბრძანებელს წააგავს ეს კოლორიტული და ვანუშეორებელი ქალაქი, სადაც ადამიანებს უხსოვარ ღრმადან უცხოვრიათ, უშრომიათ და სისხლი უღვრიათ.

სულ ახლახან ტირნოვო ვახდა ბულგარეთის რიგით მერვე საუნივერსიტეტო ქალაქი. აქ ვახსენა სლავური დამწერლობის ფუძემდებლების კირილე და მეთოდეს სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი — ისტორიის, რუსული ფილოლოგიის და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტებით.

ქალაქი იზრდება, შენდება და მშვენიდება. ისევ ვენახები და ისევ დახუნძლული ხეხილის ბაღები. ჩვენ ახლა ისევ საშხრეთისაკენ მივდივართ, უნდა გავიაროთ ქალაქი სლივენი,

აქედან 100 კილომეტრია საზღვაო ქალაქ ბურგასამდე.

აი, ისიც... სლივენი ისტორიულ ქალაქია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 1356 წელს დაარსდა. სლივენელი არაერთხელ აჯანყებულან დამპყრობთა წინააღმდეგ. მისი მამაცი შვილები ცნობილი რევოლუციონერები, საზოგადო მოღვაწენი გათავისუფლებისათვის ბრძოლის აენაგარეს წარმოადგენენ.

თანამედროვე სლივენი კეთილმოწყობილი სამრეწველო ჭაღაქია. ქალაქის აღმოსავლეთა გარეუბანი, რომელსაც „ლუზჯ ქვებს“ ემახიან, კურორტს წარმოადგენს.

ჩვენ მარცხნივ დავტოვეთ კურორტი და გეზი აღმოსავლეთით, შავი ზღვისაკენ ავიღეთ. ენახოთ რაგორია ჩვენი შავი ზღვა ბულგარეთის სანაპიროდან. სტარაბალანინას მთები თანდათან დაბლდება, მის უკანასკნელ ვანსტოვებაზე ერთი პატარა ქალაქიც ვავიარეთ, — ეს აიტოსია, ტიბიური რაიონული ცენტრი. აქვეა ცნობილი „მწვანე ანდუზიტის“ საბადოები და საწარმოები. გზა ისევ ვენახებში და ხეხილის ბაღებში მიდის. მარცხნივ მცირე ტყე გამოჩნდა, — ეს ბურგასის მინერალური აბანოებია. აქ აშენებულია მშვენიერად მოწყობილი სანატორიუმი, სადაც მინერალურ წყაროებთან ერთად ტალახითაც მკურნალობენ.

ქიღვე ცოტა და, ზღვიც გამოჩნდა. მაგრამ ეს ზღვა კი არა, ჩრდილოეთის მარილიანი ტბა აღმოჩნდა, რომელსაც „ათანასოვის ლიზანს“ ემახიან.

გზატყვილის მარჯვენა მხარეს ისევ ვენახები, ხეხილის ბაღები და ბოსტნებია. შემდეგ გზა შედის ფართო ხეივანში, რომლის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია დიდრონი სახლები:

ეს უკვე ბურგასია. ბურგასის ნავსადგური დაცულია უზარმაზარი ჯებირით და ერთდროულად შეუძლია მიიღოს რამდენიმე დიდი ხომალდი. იგი აღმუროვილი თანამედროვე ტექნიკით.

ბურგასი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. ბურგასელებმა შეხვედრა მოგვეწყვეს. დავიახლოვდა „რადიო-სოფის“ ბურგასის ოლქის კორესპონდენტ ნიკოლას მეთოდოვიც, რომელმაც მშვენიერად იცის რუსული ენა.

ბურგასის შემდეგ სოფელ კაბლეშკოვოს ვესტუმრეთ. ნიკოლას მეთოდოვიცმა გვიამბო, როგორ გადაწვეს და ააწიოკეს ეს მდიდარი სოფელი ფაშისტებმა 1944 წლის 11 მაისს. ამჟამად სიყვითით და სიუხვით სავსეა ნახანარალე ხეობა ადმოცენებული სოფელი კაბლეშკოვო.

შუადღეს ვადაცდა. ცხელია. ჩვენ ბურგასში ვბრუნდებით.

— ჩვენ ახლა დავათვალიერებთ ქალაქს, რომლის მსგავსი, არა მგონია, გენახოთ, — თქვა ნიკოლასმა და მანქანას გეზი შეუცვალა, ზღვისკენ მიაბრუნა.

თვალწინ არაჩვეულებრივი სანახაობა გადა-

ვეშალო: შუა ზღვაში ამბობთულა კუნძული, ეკლესიებითა და სამრეკლოებით, ადრინდელი და შუა საუკუნეების წითელკარამიტოანი და ჩუქურთმებიანი თეთრი სახლებით მოთვნილა. ეს ნესებრია. იგი ეიწრო სახმელეთი გზით არის დაკავშირებული ნაპირთან. კუნძული ძლიერ პატარაა, საკმარისია მის ტერიტორიაზე, რომელი მიმართულებითაც გინდა, რამდენიმე ნაბიჯი გადაადგა, რომ სალი კლდის უფკრულს მიაღგები, — წინ უკიდევანო შავი ზღვის ლურჯი სივრცით.

უფრო ლამაზია ნესებრი დამა, როცა უსაზღვრო ცის გუმბათზე ათასობით ვარსკვლავი კიაფობს, როცა ათასფერი ცეცხლით ელავს და ანათებს ეს შესანიშნავი ქალაქი.

ვერც კალამი, ვერც ფოტობიექტივი ვერ გადმოსცემს ნესებრის კოლორიტს, სილამაზეს — ნესებრი საყუთარი, თვალით უნდა ნახოთ!

ნესებრის ჩრდილოეთით, ზღვის ნაპირზე, ათეულ კილომეტრზე გადაჭიმული იყო ნამდვილი უდაბნო, ზღვისპირა უდაბნოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ცხელ ქვიშაზე მხოლოდ გველები და ხვლიკები ბინადრობდნენ.

ასე გრძელდებოდა უხსოვარი დროიდან ზღვისპირა უდაბნოს ცხოვრება, ვიდრე ახალი ბულგარეთის მკვიდრნი არ მოვიდნენ და ქვეწარმავალთა საბრძანებელი სულ მოკლე ხანში ამ ქვეყნის სამოთხედ არ გადააქციეს: ათხიოდენ წლის განმავლობაში ბულგარელმა არქიტექტორებმა, ინჟინერებმა და მუშებმა ამ ადგილებში ააშენეს 400 თანამედროვე, კომფორტაბელური სასტუმრო, უამრავი რესტორანი და მღაზია, თეატრი, კინოები, საავადმყოფოები, მოაწყვეს სამკურნალო პლაჟები, გაჩნდა მრავალი პარკი, ბაღი და სკვერი ქანდაკებებით, აუზებით, სპორტული მოედნებით დამშვენებული და ამ ადგილს უწოდეს „მზიური ნაპირი“ — შავი ზღვის თეთრი პატარძალი.

„მზიური ნაპირს“ მრავალი დამსვენებელი ეტანება. ვის არ შეხვდებით აქ, — გერმანელებს თუ პოლონელებს, ჩეხებს, სლოვაკებს და შვედებს, ფინელებს და ნორვეგიელებს, ფრანგებს, პოლანდიელებს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს.

თვალსა და ხელს შუა გაქრა დასვენების საამო დღეები. ერთხელ კიდევ გადავხედვ ბურგასის ყურეს, დაუფიყარ ნესებრს და ეკვლევ „მზიური ნაპირს“. გამოვთხოვეთ ახლა შევინო მეგობრებს და ჩვენი ავტობუსები ვარნის გზას გაუდგენენ.

ვარნა საერთაშორისო მნიშვნელობის ნავსადგურია. იგი დაკავშირებულია მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან საზღვაო წერტილთან. კარგი ქალაქია ვარნა, მაგრამ ჩვენ მისი გარეუბნებით უფრო მოვიხიბლეთ. სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილოეთით, ზღვისკენ დაქანებულ

მწვანეში ჩაფლულ ფერად თემზე უამრავი ავარაქი, დასასვენებელი სახლი და რესტორანია აშენებული, ხოლო ავტობუსები მცხერ კილომეტრზე მდებარეობს მთელი ერთ-ერთი ძველი კურორტი „მეგობრობა“, რომელიც სახალხო რესპუბლიკის მმართველობის პერიოდში ერთი-ათად დამშვენდა და გაიზარდა. ავარაქი ჩაფლულია ვენახებში, ხეხილის ბაღებსა და პარკებში. ზღვის ნაპირზე მოსჩქეფს ცხელი მინერალური წყლის შადრევანი. ფერდობი სავსეა ახალთახალი კომფორტაბელური სასტუმროებით, დასასვენებელი სახლებით და რესტორნებით.

„მეგობრობიდან“ 7 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი საზღვაო კურორტი „ოქროს ქვიშა“, სადაც დამსვენებელთათვის „ამქვეყნიური სამოთხეა“ შექმნილა. „ოქროს ქვიშის“ კალთებზე აგებულია ოტელიუმი. დასასვენებელი სახლები და ტურისტული ბაზები.

საღამო ხანს ავტობუსი ვარნაში ბრუნდება. ნავსადგურში შევდივართ. ყურეში თეთრად ქათქათებს საბჭოთა თომავალი „ფელიქს ქერქისკი“. მოგზაურობა მთავრდება. „ფელიქსი“ ხვალ დილით სამშობლოში ჩავიყვანს.

ვემშვიდობებით ძვირფას მასპინძლებს, რომლებმაც ძმური სიყვარულით მიგვიღეს, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ამ ნაწილში, ვისაც ერთი დღე მაინც გაუთენებია სოფიაში და ტირანოვში, პლოვდივში ან „ოქროს ნაპირზე“, ვისაც ერთხელ მაინც უყენოსია კახანლიყის სურნელოვანი ვარი, — მერწმუნეთ, ბულგარეთს გულით შეიყვარებს, არასოდეს დაავიწყდება.

ზაპოროელებმა და ყუბანელებმა, სმოლენსკელებმა და ნოვგოროდელებმა, ციმბირელებმა და კავკასიელებმა ვაყვაცებმა პლევენთან, რუსესთან, შიპკის უღელტეხილთან მშებნისთვის დაღვარეს სისხლი, ხოლო 20 წლის წინათ ჩვენმა მამებმა და მშებმა გაათავისუფლეს ფაშისტ ვანდალებისაგან ეს კურთხეული მხარე და კიდევ უფრო განამტკიცეს მამა-პაპათა დაწყებული საქმე — საქმე ამობისა, მეგობრობის და სიყვარულისა.

ნახვამდის, ბულგარეთო! შენი მიწა და მდინარეები ჰომეროსს და ოვიდიუსს, პინდარს, პორაციუსს და ვირგილიუსს ქებით მოუხსენებიათ. შენი ბუდიდან აფრენილან რომაელთა რისხვა სპარტაკი და მგზნებარე გიორგი დიმიტროვი, დაუცხრომელი კალიოანი და ბობოქარი ვასილ ლევსკი, კირილე და მეთოდე, ხრისტო ბოტევი და ივანე ვაზოვი. შენი ბედნიერი მომავლისათვის სიცოცხლე გაუწირავთ გეო მილევს და ლილიან დიმიტროვას, ათანასე მანჩევს, იორდანჯა ნიკოლოვს და ათასობით თავადებულ ახალგაზრდა პატრიოტს. დიდება მათ სსოვნას!

ნახვამდის, კარგო, დაუფიყარო ქვეყანა!

უკანასკნელი მანეთიანი

ახუთის შვიდწლიანი სკოლა რომ დაემთავრეთ, მე და ამირანს თხუთმეტ-თხუთმეტი წელი შეგვისრულდა.

— შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ, გიორგი. სწავლა უნდა განაგრძო. წადი ქალაქში. მე ვიცი, შენ ამის საშუალება არა გაქვს, მაგრამ საღამოს სკოლაში ისწავლე. არის ახლა ასეთი სკოლები. გახსოვდეს, გიორგი, ბეჯითობითა და შრომით აღამიანი ყველაფერს მიაღწევს. მაგრამ, გარდა დაუღალავი შრომისა, საჭიროა იყვე პრინციპული. წადი, ჩემო შვილო, და ისწავლე, ისწავლე... — მითხრა ჩვენმა მასწავლებელმა.

ამირანისა არ ვიცი, მე კი ეს სიტყვები, როგორც წმიდათა წმიდა, გულში შევიწინახე.

ამგავარად, მე და ამირანი ფოთში გავემგზავრეთ.

— ფოთში ნათესავი კი არა, ნაცნობიც არავინ გყავს, დედა შემოგველოს, და სად მიდიხარ? — წუხდა დედაჩემი.

მამამ კი მხარი დამიჭირა.

— ჩემი ბიჭი არსად არ დაიქარგება! მთავრობა დაეხმარება! მევე კიდეც, ამირანიც გვერდით ეყოლება. ის ბიჭი ათ ნათესავს გერჩიოს.

ბაზრობის დღე იყო. რა არ მიაქვთ ამ დღისათვის ახუთელებს ახალსენაკის ბაზარში: ქათმები და ინდაურები, ხილი და ღვინო, ჭვავილი და ჭყინტი ყველი...

გზას ურმით გავუძევეთ. კამეჩები ზღაპრით მიდიან, არც მათ პატრონებს ეჩქარებათ. მე და ამირანი კი ლამის ურმიდან გადმოვხტეთ და ფეხით გავიქეთ ქალაქში.

ახალსენაკიდან ფოთში მატარებლით წავედით. აი ეს მსმის! ოცი კილომეტრის გავლას

მხოლოდ ერთი საათი მოვანდომეთ. ზიხარ არხეინად ფანჯარასთან და ყველაფერს ხედავ...

ჩავედი. პირველ რიგში, რასაკვირველია, — გემების, ფელუკებისა და კარუპების სანახავად ნავსადგურში გავიქეცი. სულ არ გვახსოვდა, რომ ლამის გასათევი არსად გვექონდა. ან რა გავგახსენდებოდა, როცა ირგვლივ ამდენი უცხო და სინტერესო რამ იყო: თეთრი სამგზავრო გემები, იალქნიანი თურქული ფელუკები, ღუქნები, ყვახანები, მტვირთავეები და ათასი ჯურის მოხეტიალე ხალხი.

ნავსადგურში ტომრების მთელი მთა აღმართულიყო, იქვე ეწყო ყუთები, მაფრაშები, კასრები...

ჩვენ დილაადრიან ჩამოვედით. მკადითა და ყველით წვიხებნით. ერთ ხანს ვიხეტიალეთ და შემდეგ საღამოს სკოლის შენობის ძეხნას შევეუძევეთ. განა ამისთვის არ ჩამოვედით ფოთში?

ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა გვითხრა, ფოთში საღამოს სკოლები არა გვაქვსო. არის მუშფაკი, მაგრამ იქ მოსწავლეებს მხოლოდ ორი წლის სამუშაო სტაჟით იღებენო.

ესეც შენი ფოთი! ამ დალოცვილებმა ამდენი ხანი საღამოს სკოლა ვეღარ გახსენსე?

— თბილისში წავიდეთ! იქ ნათესავი მყავს, — მითხრა ამირანმა, — კიდევ კარგი, მისამართი ჩაწერილი მაქვს.

— ბილეთის ფული სად ვიშოვოთ?

— ვიმუშაოთ!

ნავსადგურში დავბრუნდით. გადავწყვიტეთ, გემზე მტვირთავებად გვემუშავა. ნავსადგურის ყველაზე სრულუფლებიანი პიროვნება, ჩვენი აზრით, იყო დარაჯი, ნესეების გროვას რომ ყარაულობდა.

— ეს ნესეები გემებზე გადასატანია? — ზრდილობიანად შევეკითხეთ ჩვენ.

— არა, დასამარილებელია, — უკმეხად მოგვიღო დარაჯმა.

— ჩვენ მართლა გვეკითხებით, — იწყინა ამირანმა, — არ გეწყინოთ, ბატონო, ჩვენ პირველად ვართ ფოთში.

დარაჯი ოდნავ დააბნია ამირანის ზრდილობიანმა მიმართვამ და კილო შეიცვალა:

— რატომ კითხულობთ?

ჩვენ იმწამსვე ვუამბებთ ჩვენი თავდადასავალი და ბოლოს მოშვების გეგმებიც ვაეცანით: თბილისში წასვლა გვინდა და ბილეთის ფული უნდა ემოვოთოთქო.

— მაგას ვერ მოახერხებთ, — გვითხრა დარაჯმა, — აქაური მტკვრთავეები ახლოს არ გაგაკარებენ, ყმაწვილებო. მავთ თვინათი არტლი აქეთ. ხლის გადაზიდვაზე ყველა სიამოვნებით იმუშავენ. აბა, ფქვილის ცალი ან თამბაქოს ყუთი წამოიკიდეთ! ვერ მოერევით. ასე რომ, ისევ სოფელში წადით, მამაჩემს აქვს ცხონება, ის გირჩევნით.

ამან დაგვალონა, მაგრამ ამ დროს თვალი მოვკაროთ, რომ მანდარინების სავსე პატარა ყუთების გვერდით ვიღაც კაცი ბოლთას სცემდა. დავაკვირდი, თითქოს საღდაც მინახავს ეს კაცი, მაგრამ საღ — ვერ მოვიგონე.

— ის არის, ის ბერძენია! — იყვირა უცებ ამირანმა და იმ კაცისკენ გაემართა. რასაკვირველია, მეც თან მივყვედი.

— გამარჯობათ, მია! ჩვენ ახუთიდან ვართ. გახსოვთ, ჩვენთან სოფელში რომ იყავით და მე და გიორგი ხლის გადაზიდვაში დაგეხმარეთ?!

— შეიძლება, შეიძლება ასეც იყოს! — გვიპასუხა ბერძენმა და თავისი მრგვალი თვალებით დაგვატყურდა.

— ჩვენ თქვენთან მუშაობა გვინდა. რამდენსაც გადაგვიხდით, მადლობას გეტყვით.

— ჰო, ჰო, ჰო, მერე მტკვრთავეები? იცით, რა დღეს დამაყრიან? ეშმაკაც წაილოს მაგათი თავი!

— თქვენც უთხარით, ესენი ჩემი დისწულებია და მეხმარებიანთქო, — გამოსავალი იპოვა ამირანმა.

— არ დამიჯერებენ, ბიძიკო, მე ბერძენი ვარ, თქვენ — ქართველები, საიდან საღაო! მაგრამ ვეცდით მაინც. ცოდეა ხართ. მე ვიტყვი, ჩემი ცოლი ქართველია-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩემო ძვირფასო ნათესავებო, გემი საცაა ნაპირს მოადგება და თქვენ ეს ყუთები გადაზიდეთ, რასაც მოასწრებთ...

ამსობაში გემიც მოახლოვდა. როგორც კი კიბე ჩამოუშვეს, მე და ამირანი ყუთებს ვეცით.

ჩვენი მწყალობელი ბერძენი ნერვიულად დააბოტებდა ნაპირზე, მოტყულებილ თავს წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდა და ცალი თვალს მტკვრთავეებისკენ ეპირა, აქეთ ხომ არ მოდიანო.

როცა უკვე არაქათი გამოგველია და შინ,

ახუთში დაბრუნების მეტი აღარაფერი გვესტრებოდა, ჩვენს წინ მტკვრთავეების წარმომადგენელი აღიმართა. ბერძენი აყვირდა:

— თქვენს პროფკავშირს ჩემი ზამკატრეშმა უნდა! გემი მოვიდა, მე გაცდენისთვის სამამაგად ვიხდი, თქვენი მტკვრთავეები კი ახლოსაც არ გაპაჰანებულან. უნდა გიჩივლოთ! ჩემი დისწულები რომ არ. მომშველებოდნენ, ნეტა არს მიპირებდით?! ა! ხედავთ, კაცის ფერი აღარ ადევთ! ბარე შეშკამეთ, ამხანაგო! სადაა შენი ხალხი? ჰა, ხმას არ იღებ?

ჩვენ გაშტრებული მივჩერებოდი მტკვრთავეების წარმომადგენელს, ბერძენი ყვირილისაგან სულ ერთიანად ოფლში იღვრებოდა, თვალნისაც ყსიღდად აბრიალებდა.

— არ სცალიათ, უცხოეთის გემს ტვირთავენ, საჩქარო საქმეა.

— უცხოეთის გემს, ხომ? საჩქაროა, ხომ? ჩემმა დისწულებმა წელი უნდა მოიწყვიტონ, ხომ? ხომ მომქლა ჩემმა ცოლმა — მაგათმა დეიდამ — ბავშვები რად ამუშავეო, ჰა?

— ბოდიშს ვიხდით, მოქალაქე სპანიდი, მაგრამ ნავსადგურის უფროსის ბრძანება იყო.

— ჰოო? უნდა შეემოწმო. აბა, წავიდეთ!

ისინი წავიდნენ და ჩვენ კი ჩვენი საქმე განვაგრძეთ, მეზღვაურებს შევეცოდეთ და, ღმერთმა უშველოთ, ისინიც მოგვეხმარენ.

— დაეჯეროთ, მართლა ამ კაცის დისწულები ხართ? — დაინტერესდა ბოცმანი.

ჩვენ ყველაფერი გულახდილად ვუთხარით, არც ის დაუფმალეთ, რისთვის გვეპირდებოდა ფული.

— მე მაშინვე ვიპაზრე, რაშიც იყო საქმე. სპანიდისთანა გაიძვერას ასეთი დისწულები ან კი როგორ ეყოლებოდა... აბა, გაბედოს და ფული წესიერად არ გადავიხადოთ! როგორ მორიდდით?

— არ ვიცით, ჩვენთვის არაფერი უთქვამს.

— ჰმ! შეხე ამ მუქთახორას! გემი დილით მიდის. შეგიძლიათ ღამე გემბანზე გაათიოთ!

როცა გემზე ყუთები მთლიანად ავზიდეთ, სპანიდიც მობრძანდა. ვითომ ჩვენ იქ არც ვყოფილვართ, ყურადღებასაც არ გვაქცევდა. ეტყობოდა, ცარიელ-ტარიელზე დატოვებას გვიპირებდა.

— ბიჭებს გასამარჯელო მიეცით! — ბოცმანის სიტყვები ბრძანებას უფრო ჰგავდა.

— თქვენ ვინ გვეკითხებათ?

— მიეცე-მეთქი, თუ არ გინდა პროფკავშირის წარმომადგენელს დაეუბრეო!

— კარგი, კარგი, მიცემ, რა მოგივიდათ? სპანიდომ ფული გადაგვიხადა. ბოცმანმა ფული გამოგვართვა და დაითვალა.

— ცოტა! — მუჭაობით უთხრა მან ბერ-

იასონ გერსამია
უკანასკნელი მანეთიანი

ძენს, — ბიჭებს ნათლარი რად უნდა დაუქარგო?

ბერძენმა ფული დაგვიმატა და კიბეზე წყველა-კრულეთი დაეშვა. იცოცხლეთ, ბოცმანმა მას ღლე დააყენა!

— მან ზუსტად იმის ნახევარი გადაგიხადათ, რაც გვეკუთვნოდათ! მაგრამ რაც არის, არის. არამი იყოს მასზე... ახლა კი დაისვენეთ, ბიჭებო!

ჩვენ ბრეზენტზე მივწვიეთ და მაშინვე დაგვექანა.

დღითი მზემ გამოგვალევიდა. გულთბილად დავემშვიდობეთ მეზღვაურებს. ბოცმანის გვარი ახლაც მახსოვს — რიბალყო იყო, ქერჩელი. თბილისის მატარებელი რომ ხუთ საათზე გადიოდა, ჩვენ ეს საღვურში გავიგეთ. რას იზამ, ვიყიდით ბილეთებს და მივადგებით ამირანის ნათესავს. მანამდე კი ჩვენ ამ ჩვენი მოწულეთი კალათებით ფოთის ქუჩებს დავივლით. კალათებში რა გვქონდა? წიგნები. საცელები და თბილი წინდები.

ძალიან გვშოიდა, მაგრამ ფულის დახარჯვისა გვეშინოდა, თუმცა კუჭმა ძალიან რომ შეგვაწუხა, ვიკადრეთ ჯიბეზე ხელის ვაგლებმა. გადავწყვიტეთ, თითო ულუფა ხარჩო გვექამა. ფაშაში ვაპარ ქალს შუა ბაზარში მაგიდა დაედგა და უსამოვნო, გამყვიანი ხმით ხალხს ეპატიებოდა. ჩვენ ერთი მრგვალი პური ვიყიდეთ და ისე გამოვეცხადეთ „რესტორანში“. დედაკაცმა მოზრდილი მათლაფები პირთამდე გავიგვის. რა გემო ჰქონდა, ვერ გეტყვით. აღარ მახსოვს, მაგრამ ეს კია, ისე მადიანად და ისე სწრაფად ვილუქმობოდი, რომ ქალი გავკვრებულთი მოგვერებოდა.

— თქვე საცოდავებო, არ მომკვდარხართ შიმშილით?!

ჩვენ ხმა არ გავვილია. ან სად გვეცალა პასუხისთვის. ქალმა ისევ გავივისო თეფშები.

— ჰამეთ, შვილებო. ამაში ფულს არ გამოვართმევთ!

ჩვენ დიდი მადლობა გადავუხადეთ.

— იცი რას გეტყვი? — მომიბრუნდა ნასადილევს ამირანი, — მართლა კარგი ყოფილა ეს ფოთი, ა?

მე მაშინვე დავეთანხმე.

ის საილი მაინც ჩაგვშამდა. ბილეთები ძალზე გვეძვირა, სალაროსთან დადევით და ჩვენი ფული გადავითვალეთ, მაგრამ რას ერთ ბილეთს ჰა და ჰა, ძლივს გვიყიდა. ცხვირ-ჩამოშვებულები დავდიოდით ბაქანზე, აღარ ვიცოდით, რა გველონა, მაგრამ ხდება თურმე სასწაული ამქვეყნად.

— რა ავი სულბივით დახეტებით აქ! — გავაჩერა ერთმა რკინიგზელმა და საეკვოდ აგვხელ-დაგვხელა.

ამირანმა ნაბიჯი წინ წადგა და სხაპასხუბით მოუყვა ჩვენი გასაქირი.

— რამდენი გაქვთ ფული? — გვეკითხა რკინიგზელმა.

ჩვენც ვუთხარი. კაცმა აბრეხილ ულვაშზე ხელისუფლებას და გვიბრძანა:

— ალით ვაგონში. მაგ ფულით მე ჩაგვიყენოთ თბილისში.

მატარებელი დაიძრა. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. ორი საღვური ისე გავიარეთ, კუბუში არავინ შემოსულა. მესამე გაჩერებაზე მგზავრი შემოგვემოსა. მოზრდილი ჩემოდანი და პატარა კალათა დააბინავა და ჩვენ შეგვეკითხა:

— თბილისში მიდიხართ?

— დიახ, თბილისში, — ვუპასუხე ოდნავ შემფოთებით.

— ნათესავებთან, ალბათ!

— დიახ, — დამასწრო ამირანმა.

მგზავრმა პიჯაკი გაიხადა. ეტყობოდა, ძალიან ჩქარა ევლო — სულ ერთიანად გაოფლიანებული იყო.

— ერთად ვისადილოთ, კარგი? — გვითხრა მან. პასუხის მაგივრად მე და ამირანი წინასწარ შეთანხმებულეზივით ფანჯარას ვეციოთ, — ვითომ ბუნების სილამაზემ გავგვიტაცა... ერთად როგორ უნდა გვესდილა, როცა ჩვენ ერთი ლუკმა პური არ გავაჩნდა და ჯიბეში გროში არ გვეგლო.

მგზავრმა კალათიდან დინჯად ამოალავა პური, მოხარული ხორცი, მწვანე ხახვი და ნიორი, ერთი ბოთლი ღვინო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭიჭიბიც კი.

— გეყოფათ ახლა ფანჯარაში ექვრა, დამეწვიეთ სუფრაზე, — გვითხრა მან და ღვინო მიამაწოდა. ჩვენ გემრიელად შევექვიეთ სადილს. ამასობაში მატარებელმა სვლას უკლო. ჩვენმა მეზობელმა ფანჯარაში გაიხედა, მერე დაჯდა, ისევ ადგა და ისევ გაიხედა, სახეზე შემფოთება დაეტყო.

— მე ახლად დავბრუნდები, ბარგზე თვალი გექიროთ. თუ ვინმე იკითხოს, ჩვენიათქო, უთხარიოთ, — გვითხრა მან, პიჯაკს და ქუდს ხელი დაავლო და კუბედან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. წუთს არ გაუვლია, ჩვენს კუბეში სამი კაცი შემოვიდა. ორი სამხედრო იყო, მესამე — ჩვენი გამცილებელი.

— სად წავიდა ის კაცი, აქ რომ იჯდა? — იკითხა სამხედრომ.

— სადღაც გავიდა, — მშვიდად ვუპასუხე მე.

— ეს ჩემოდანი ვისია?

— ჩვენი! — სწრაფად მიუგო ამირანმა.

მე სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა. ამირანს შევხედე. ამირანი კი ისე იჯდა, ვითომც აქ არაფერიყო, მისი სიმშვიდე მეც გადაემელო.

— სად მიდიხართ?

— თბილისში.

— საიდან მოდიხართ?

— ახუთიდან.



— მე ასეთი სადგური არ ვიცი. სად ჩაჯექით მატარებელში.

— ფოთში.

— თქვენ იცნობთ იმ კაცს?

— არა.

— აბა, ერთი თქვენი საბუთები მიჩვენეთ.

ჩვენ სოფლის საბჭოს ცნობა და მოწმობები გავუწოდეთ.

სამხედრომ ყველაფერი გულდასმით გადათვალიერა და გვეითხა:

— თბილისში რატომ მიდიხართ?

— სასწავლებლად! — ორთავემ ერთად ვუპასუხეთ.

სამხედრომ საბუთები დაგვიბრუნა. მერე ამირანს მხარზე ხელი დაჰკრა. — კარგი ბიჭები ყოფილხართო, და კუბედან გავიდა. დანარჩენებიც მას მივიყვანე.

მე და ამირანი მარტონი დავრჩით. მე შიშმა შემიპყრო.

— ამირან, რატომ მოვატყუეთ ის ხალხი? — ვკითხე მე.

— აბა, რა უნდა გვექნა?! — გაოცდა ამირანი.

— ამ ჩემოდნის პატრონი წმინდა წყლის არ უნდა იყოს.

— ეგ რა ჩემი საქმეა. კაცმა პურ-მარილი გაგვიზიარა, მერე ერთი უბრალო რალაც გვთხოვა და აბა, ამ დროს დღაღობი შეიძლება!

— იქნებ ვინ იყო ის კაცი, — არ ეცხრებოდი მე.

— თუ ქურდი და მამაძალღობი, მაინც დაიჭერენ! — მშვილად თქვა ამირანმა და დასაძინებლად წამოწვა.

მთელი დღე თვალი არ მომიხუტავს. სულ იმ ჩემოდანს მივჩერებოდი. ღერეფანში ვინმე რომ გაივლიდა, ფეხზე წამოვხტებოდი, მეგონა, ის კაცი დაბრუნდა-მეთქი, მაგრამ უცნობი არსად ჩანდა.

„ნეტავ რა უნდა ჰქონდეს ჩემოდანში?“ — ვფიქრობდი მე და ის ჩემოდანი ჯადოსნურ სიკვრივად მეჩვენებოდა.

თბილისში აღიონზე ჩავდივით. სანამ ვაგონი არ დაიკალა, კუბედან ფეხი არ გამოგვიდგამს. ვფიქრობდით, ან აგერ შემოვა ის კაცი და ან აგერო, მაგრამ უცნობი არ გამოჩნდა.

არ ჩაიღიხართ, ბიჭებო! — კუბეში თავი შემოკოყვით ვაგონის გამიძვლებელმა.

რალას ვიზამდით, ჩემოდანს ხელი წავავლე და დაბლა ჩავედი.

— რა ვუყოთ ახლა ამ ჩემოდანს? — ვკითხებ ამირანს.

ამირანმა მხრები აიჩინა:

— ვიცოდეთ მაინც, რა არის შიკ!

გამოვიტყუდებით და ცნობისმოყვარეობა მეც მოკლავდა.

— მოდი, გავხსნათ, რაც იქნება, იქნება! — თქვა ბოლოს ამირანმა.

ჩვენ ვაგზლის მიყრუებულ კუთხეში მივდევ-

ით. აქეთ-იქით ისე ვიხედებოდით, ვინც რომ დავენახეთ, იმავე წუთში მიხედებოდა, რომ ის ჩემოდანი ჩვენ არ გვეკუთვნებოდა. ამირანმა ჩემოდანს თავი ახალა. ლემა ირგვლივ მიმოვიხედეთ, ჩემოდანი ნაირ-ნაირი საკოსტუმე ქსოვილით იყო სავსე. ამირანს შეეხედე, ფერი დაჰკარგვოდა.

— რა ვქნათ ახლა? — ვკითხე შემინებულმა.

— მტკვარში გადავავლოთ! — ცოტა ხნის დღემილის შემდეგ მიიხრა ამირანმა.

— მერე, ცოლვა არ არის ასეთი საკოსტუმეების გადაყრა?

— აბა, თან ხომ არ წაივლივთ, ვინ დაგვიჯერებს, რომ არ მოვიპარეთ?

აღარ ვიცოდით, რა წყალში ჩავეარდნილიყავით.

— მოდი, მილიციას ჩაებაართო და ყველაფერი ვუამბოთ. — ეუთხარი ამირანს.

— რომ არ დაგვიჯერონ, რას ამირებ მერე! რალას ვიტყოდი. ამირანის სიტყვები სიმართლეს როდი იყო მოკლებული.

ვაგზალზე იმდენი ყურყუტიც აღარ შეიძლება. ჩემოდანს ხელი მოვკიდეთ და ქუჩაში გავედით.

ტრამვაიში ავედი და ის ჩემი ცოლვით სავსე ჩემოდანი კუთხეში მივდგით. თვითველ მგზავრს ეპვით შევცქეროდით, ვფიქრობდით, ან ახლა გვტაცებენ ხელს და ან ახლაო.

— ბილეთი ჩემოდნისთვისაც აიღეთ! — გვითხრა კონდუქტორმა.

რალას ვიზამდით, უკანასკნელი კაბიციც იმ ჩემოდანს შევალეთ.

უცბად ამირანმა ყურში ჩამჩურჩულა:

— ბიჭო, გაჩერებაზე ჩვენი კალათები ჩავიტანოთ და ჩავიდე. ჩემოდანი კი აქ მივატოვოთ.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ ტრამვაი გაჩერდა. კალათებს ხელი დავავლეთ და დაბლა ჩავედი. ის იყო, მოცოცხვას ვაპირებდით, რომ კონდუქტორის ხმა შემოგვესმა:

— ბიჭებო, ჩემოდანი დაგრჩათ!

ყველა ჩვენ შემოგვხედა, ტრამვის მგზავრებმაც და ქუჩაში ფეხით მოსიარულეებმაც.

ცივმა ოფლმა დამასხა. ამირანს თავი უფრო ყოჩაღად ექირა.

— ჩვენი არ არის, ბატონო!

— როგორ თუ თქვენი არ არის, თქვენ არ შეიძინეთ ბილეთი? — გაოცდა კონდუქტორი, — აბა, ვისია ჩემოდანი? — მიუბრუნდა მერე ხალხს.

ხმა არავის არ ამოუღია, ყველა ჩვენ შემოგვეცქეროდა.

— აქ რალაცაშოა საქმე! — იყვირა ერთმა. ორივეს ხელი გვტაცეს. ამ ჩონჩოლზე საი-

იასონ გერსამია
უკანასკნელი მანეთიანი

დანდაც მილიციელიც გამოჩნდა. მან ჩემოდანს ხელი დაავლო და ორთავე სამორიგეოში მიგვაბარძანა.

სამი დღე გვაყურუტეს, სანამ სიმართლეს დაადგინდნენ. ბოლო დღეს სამორიგეოში ის სამხედრო კაცი მოიყვანეს, ვაგონში რომ საბუთები შეგვიმოწმია.

— ეჰ, მე კარგი ბიჭები მეგონეთ, თქვენ კი ტყუილები გცოდნიათ, — გვითხრა მან.

სირცხვილის ოფლი გვასხამდა.

— ახლა წადით, მაგრამ იცოდეთ, მეორედ ასეთი რამე აღარ მოგივიდეთ. კაცის ღალატი არ ვარგა, მაგრამ ქურდები და კონტრაბანდისტები არ უნდა დაინდოთ.

კარგი აბანო მოგვიწყვეს და გამოგვიშვეს.

თბილისი რომ დიდებული ქალაქია, ამას რა ბევრი ლაპარაკი უნდა.

ჩვენ განსაკუთრებით ქალაქის შუაგული მოგვეწონა. მაღაზიებმა, სასადილოებმა და ტბილეულით სავსე ღუქნებმა ხომ თვალი მოგვკერა.

ახლა რანაირად ეცვათ! განსაკუთრებით ახლაგაზრდებს.

ქუჩას გავყევით და როგორც იქნა კითხვა-კითხვით იმ სახლს მივაგენით, სადაც ჩვენი იმედი, — ამირანის ბიძა ცხოვრობდა. ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

შუა ეზოში მიცვალბული ესვენა და ჭირისუფალი წვილ-კვილით ემშვიდობებოდა მოუსვლელში მიმავალ ცხედარს. მე და ამირანი გაშტერებული ვიდექით.

თან წამიყვანეთ, ევედრებოდა ჭკრივი მიცვალბული. უსინდისო, ვის ხელში მტოვებო! ეს ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, ახლა თუ არა, მალე მაინც წამიყვანეთ.

მერე მამაკაცებმა კუბო მხრებზე გაიდეს და ქუჩაზე გაიტანეს.

— ვინ მოკვდა, ბატონო? — ჰკითხა ამირანმა ხანშიშესულ ქალს.

— ვინა და ირაკლი ყიფიანი, შვილო.

— ბიძაჩემო?

— შენ იმისი ნათესავი ხარ? მაშ, აქ რაღას უდგებარ, ეგ კალათა ეგერ მიდგი და კუბოს გაჰყე, შვილო!

მონუტმა ქალმა რომელიღაც სახლში შეგვიყვანა, კალათები ჩამოგვართვა, მკერდზე შევარშიამშვიდებული სურათები დაგვაბნია და კუბოს უკან დაგვაყვანა.

— ესენი იმ ცხონებულის ნათესავებია, — უთხრა მან ძაძებში შემოსილ ქალბეს.

იცოცხლე, მე და ამირანს დამწუხრებელი სახეები გვქონდა! ხალხმა რა იცოდა, რა ცეცხლი გვტრიალებდა გულში. ხუმრობა ხომ არ იყო, ყველაფერი წყალში გვეყრებოდა. ვისი იმედითაც ამ უცხო ქალაქში მოგვეჩქარებოდა, ის ავერ ვაციებული ესვენა კუბოში.

სასაფლაოზე ქვრივთან მივიყვანეს. შეგვჩენდა თუ არა, ისეთი ტირილი მორთო, ვეღარ

გააჩერეს. აყევით ჩვენც. დაბალპით ჩამოგვდის ცრემლები. ამ ქალმა ქმარი დაკარგა, ჩვეუკი ბატონი და მომხედავი.

არჩვენულში

მერე შინ დავბრუნდით და მიცვალბულს „გაბატონებისა“, ესე იგი, ქელესს შევეუდეკით. კალათებს რომ მივაკითხეთ, სახლის ბატონმა ამირანის ვინაობა გამოგვითხა.

— ახუთელი ვართ, ბიძია, თუ გავიგონიათ, — მიუთო მწუხარე ხმით ამირანმა.

— ახუთელი? ვისი შვილი ხარ, შვილო?

ამირანმა მამის სახელი უთხრა.

— ე, ბიჭო, მე ვარ შენი ბიძა! ის ირაკლი ყიფიანი უბრალო მოგვარეა, ჩვენი ნათესავიკი არ ყოფილა. მეც ირაკლი ყიფიანი ვარ, ბიძაშენი, — თქვა და ორივე გადაგვეკონა.

იმ ღამე ამირანს მკვდრეთით ამღვარ ბიძის ფერხითი ემისა. ასეთი ვაუცინარი კაცი პერ არ მენახა, — ბიძაჩვენს სულ მუდამ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, სულ წარბშეკრული დადიოდა. მეორე დღით თბილისში ჩამოსვლის მიზეზი გვკითხა. საშუალო სკოლის დამთავრება გვინდაო, — მოგახსენეთ ჩვენ.

ირაკლი ყიფიანმა კევა მოიფხანა.

— მამასადამე, სწავლა ვინდათ?

ჩვენ თავი დავუქნით.

— ჰო, სადილობამდე არსად წახვიდეთ, მომიცადეთ, — გვითხრა და წავიდა.

მარტოც, მალე ვიდაც ახლაგაზრდა კაცმა მოგვაკითხა, ეტლში ჩაგვსვა, იპოდრომზე წავიყვანა და ერთ ჩიბუხიან კაცთან მივიყვანა. ამ კაცმა საჯინიბოში შეგვბრეკა და ისე ავახველდაგვხედა, თითქოს ჩვენც ცხენები იყავით.

— შენ იქნები ჟოკეი, — უთხრა მან ამირანს, — შენ მეჯინიბე. დაბან, დაასუფთავებ ცხენებს. ჩემი გვარი ლინდია, ოტო ლინდე. ქართველებს ძალიან უყვართ ცხენები. გუტ!

ოტომ ჩვენს თავი უფროს მეჯინიბეს ჩააბარა. ამირანს ორი ცხენი მისცეს მოსაველელად, მე — სამი.

მე და ამირანი აქაურ ცხენებზე ბევრად უარეს ბირთებში ვცხოვრობდით. ბინად ბნელი საკუქნო გვქონდა. დილის ექვს საათზე ვდგებოდით და ღამის თორმეტზე ვწევბოდით. სწავლობე კრინტიც ვერ დავძარი, არც არავი გვეკითხებოდა. საჯინიბოს მაღალ-მაღალი, მოხდენილი გარეგნობის კაცი ვანაგებდა, გვარად დამყოფი. ამბობდნენ, წინათ გრაფი იყო. ყოველ დღე თვითონ ათვალეირებდა ცხენებს და შემდეგ ოტო ლინდეს გერმანულად რალაცას ელაპარაკებოდა. მე ჟოკეების სასადილოში გვარიან სადილებს მივირთმევდი. ამირანის საქმე კი ართუო ისე სახარბიელო იყო — გასუქდებო, უთხრეს და დღეში მხოლოდ ორჯერ აქმევდნენ, ისიც ცოტ-ცოტას. ამიტომ საწყალი ბიჭი ძვალ-ტყავად იქცა.

მოუთმენლად ველოდი ჯამაგირის მიღებას. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც კი ფულს ხელში ვიგდებ, ამ წყუთლ საჯინიბოს მაშინვე

მიეტოვებ—მეთქი. ამირანი არ იყო ამის მომხრე — პროფკავშირის წევრები არ ვართ და არსად არ მიგვიღებენ, ბარემ ეს ერთი წელიწადი როგორმე მოვითმინოთ.

მე მაინც გადავწყვიტე წასვლა. სამუშაოზე მორწყობა ნუპ-ის წლებში მართლაც ძალიან ძნელი იყო. მაგრამ იზოდრომიდან ერთი შემთხვევის წყალობით დავივივრინე თავი.

პერმესი შესანიშნავი ცხენი იყო, იზოდრომის მშვენიება და სიამაყე.

მე არც გამოცდილი მეჯინიბე ვიყავი და არც მოჯირითე, მაგრამ ვხედავდი, პერმესს ვასათოვარი ქალივით კოპჩობა უყვარდა.

— ნუ ანებებრებ, თავს არ გაუვიდეს, — მაფრთხილებდა ხოლმე ოტო. ადვილი სათქმელია, „ნუ ანებებრებო“, პერმესის დამორჩილება გამოდლო კაცს გაუჭირდებოდა და აბა, ჩემსთანა ღლაბი მასთან რას ვახდებოდა? მით უმეტეს, პერმესის ოინები მე თვითონ მომწონდა და, ღმერთო შეგცოლდე, ყალყზე დღომასაც მე მივაჩვიე.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, ყოფილი გრაფის ნებარდვით, საჯინიბოში სტუმრებსაც უშვებდნენ ხოლმე. ასეთ დროს მეჯინიბეებს ცხენები სასეირნოდ გამოგვყავდა. სტუმრები სიამოვნებით და აღტაცებით შეჰყურებდნენ მოხდენილ იაბოებს.

ერთ შაბათს სტუმრები ისევ გვეწვივნენ. მათ შორის ერთი ქალიც ერა. მას ჰაეროვანი თეთრი კაბა და იმავე ფერის მარმასის ვეება ქული ეხურა. დაშკოვი განსაკუთრებით ელოლიავებოდა ამ ქალს.

— მეც მაჩვენეთ თქვენი ნაქები პერმესი! — წამლერებით თქვა ქალმა.

მე პერმესი გამოვიყვანე. გონიერი ცხენი მიხვდა, რომ საჩვენებლად გამოჰყავდათ და კოპჩიობა დაიწყო: კისერს იღერებდა, ფეხებს აბაკუნებდა, თვალებს ნაბავდა.

— რა მშვენიერია! უფრო ახლოს მომიყვანე! — მიბრძანა ქალმა.

მე კარგად მქონდა შესწავლილი პერმესის ხასიათი და ვიცოდი, როდის რას ჩაიდენდა. ამიტომ ცხენი რაც შეიძლება შორს დაიყვანე.

— აი, ჩერჩეტი! მე ვეუბნები ახლოს მომიყვანე—მეთქი და ეს კი სად გარბის.

აა, მე ჩერჩეტი ვარ, არა? კარგი, ბატონო! ცხენი შოვებარუნე და ჯიქურ წავიყვანე ქალისაკენ.

პერმესმა დაიწყო თავისი ოინები: ვითომ უცნობი ქალის ჩინურმა ქოლგამ დააფრთხო... მე ამით ვისარგებლე და სხვების შეუშინებლად აღვირი ოდნავ მოვზიდე, მივიხვდიო, თითქოს თვალებით მანიშნა პერმესმა და, ერთი მოხდენილი კამარით სწორედ იმ ქალის ცხვირწინ ყალყზე შედგა. ქალმა შეჰკივლა, უკან გადახ-

ტა, სკამს ფეხი წამოსდო და მიწაზე გაიშხლართა.

პერმესი მეორედ შედგა ყალყზე დაშკოვი დაიბნა, აღარ იცოდა, პერმესისათვის მიეხედა, თუ წაქეუულ ქალს მიშველდებოდა... კიდეც კარგი, ქალი თვითონ წამოდგა, მაგრამ... როგორ იღანდებოდა. პერმესი კი, ვითომც არაფერ შუაში იყო, მორჩილად გამოწყვა საჯინიბოში. ამ სურათის შუწყურე უოკეები და მეჯინიბეები სიცილით იფხრინებოდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემთან ოტო ლინდემ მოვიდა:

— გამეგ გიბარებს, იმ ქალს ბოდიში მოუხადეო.

— მე რა შუაში ვარ, პერმესმა შეაშინა!

— მაშინ სამუშაო დატოვე.

— კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით დაეტოვებო.

ოტო ლინდეს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა. მერე მოლბა და მითხრა:

— შენ, გიორგი, ძალიან კარგი ბიჭი ხარ, მოიხადე ბოდიში, რატომ უნდა დაკარგო სამუშაო?

ორშაბათს ანგარიში გამისწორეს კეთილმა ლინდემ ბუფეტში შემიყვანა, ლულით გამიმასპინძლა.

მერე სადგურში წავედი და ფოთის ბილეთი ავიღე. ფოთიდან კი სოხუმისაკენ გავწიე.

იმ საბედისწერო შემთხვევის დროს ამირანი იქ არ იყო, ტრიბუნების დასალაგებლად გავხავდნენ.

— წაივით, ბიჭო, სოხუმში, — შევთავაზე ამირანს.

— ბიძაჩემს მოველაპარაკებ, — მიპასუხა მან.

ბიძამ ამირანი არ გამოუშვა. რატომ? ამაზე მერე მოვახსენებთ. ერთი სიტყვით, მე მარტო გავემგზავრე.

დილით ადრე გემი „რუმიანცევი“ სოხუმს მიადგა. ნავსადგომი იმ დროს არ იყო. გემიდან მგზავრები ნავებით გადმოჰყავდათ ნაბირზე. იქ მებარგულები ხდებოდნენ. ესენი არტელის წყერები, ან უბრალოდ უმუშევრები იყვნენ.

მეც დავვეღ ხელი ვიღაც ქალის ბარგს, ქაპრით შევკარი, ზურგზე მოვიგდე და ის იყო ორიოდ ნაბიჯი გადავდგი, რომ ვილაცამ მაგარი მუჯღუგუნი წაქრა. მე ბარგიანად მიწაზე გავიშხლართე.

— თავს წიოლისავით წაგაცლი, აქ თუ კიდეც დავიანბე!

ჩემდა საბედნიეროდ, ბარგის პატრონმა ქალმა იმ კაცს ისეთი ამბავი დააწია, რომ მებარგულებიც კი აღტაცებაში მოვიდნენ.

„შე ასეთო და ისეთო, როგორ თუ შენ ჩემი

ამისწული წააქციეთ“, ასეთი „ტკბილმოუბარი“ მამიდის ყოლა აბა, რა სახარბიელო იყო, მაგრამ სხვა რაღა დამრჩენოდა? გავჩუმიდი, შევიფერე.

მებარგულმა ფარ-ხმალი დაყარა. ისევ ავიცილე „მამიდაჩემის“ ბარგი-ბარხანა და მთის ძირამდე დასუვენებლოე მივიტანე. ქალი ყასაბი აღმოჩნდა. აი სად გაუფარჯიშებია ხმა და ენა!

როდესაც ვაიგო, რატომ ვიყავი სოხუმში ჩამოსული, აგრაფინამ, — ასე ეძახდნენ ამ ქალს — საცხოვრებლად თავისი საუკუნაო შემომთავაზა.

მეორე დღეს, უთენია, ორი დღი კალათა ბაზარში მიმქონდა. კალათებში ოთხში ამოღებული თიანები ეწყო. შუადღისას წყალი მოვიტანე, შუშა დავაპე და მერე გემების შესახვედრად ისევ ნავსადგურში ვავიქეთე.

— ნავსადგურში რომ მიხვიდე, კეშა იკითხე. კეშა სახელია, გესმის? ჰოდა, ასე იკითხე. კეშას ნახვა მინდათქო, მიდი და უთხარი, აგრაფინამ გამომგზავნათქო. ხელს ვეღარავინ გახლებს და ათრიე, რამდენიც შეგიძლია, ბარგი.

კეშა მალალ-მალალი, გამხდარი, შუახნის კაცი იყო, ქუდიდან ოდნავ შექალარავებული ხვეუული თმა მოუჩანდა. ფაქობად და სუფთად ეცვა.

— უკაცრავად, კეშა თქვენ ბრძანდებით?

— რა გინდა?

— ჩემმა დიასახლისმა აგრაფინამ გამომგზავნა.

— შენ სადაური ხარ?

— ახალსენაკელი.

— ჩვენებური ყოფილხარ. მე ახუთიდან ვარ. ვაგიგონია ასეთი სოფელი?

— ოჰ, მეც ახუთელი ვარ.

— მართალ ამბობ? რა ერქვა თქვენს მღვდელს?

— ანტონი.

— კიდევ ცოცხალია?

— ცოცხალია, ცოცხალი, ღმერთმა დასწყევლოს მისი თავი.

— აბა, წავიდეთ!

კეშამ საბაქოს საწყობების უკან მიყუჟულ ფიცრულში მიმიყვანა.

მერე ჯავყით საზამთრო გაჭრა და თბილი პურიც მომაწოდა.

კეშა საბაქოს უფროს მტვირთავად მუშაობდა. ნავსადგურში ყველა პატვის სცემდა. თუ ვინმეს რამე უჭირდა, კეშას მიაშურებდა. მისი სიტყვა ყველასათვის კანონი იყო.

კეშამ ერთ მტვირთავთან მიმიყვანა:

— ეს ბიჭი ჩემი სოფლიდანაა, ვიორგი ჰქვია. ამანაც ზიდოს ბარგი.

— ვიორგი, ზიდოს! — მიუგო არტელის მამასახლისმა.

„ეს ხელობა არაა“, — ასე მითხრა ერთმა ჩასუქებულმა, სათვლიანმა მგზავრმა, როცა

მისი ორი უხარმაზარი ჩემოდანი ^{კრუსკინო} და ქაპან-წყვეტიტ გახეთ „ტრუდოვია აფხაზიას“ რედაქციამდე მივათრიე. ^{არქანჯელი}

— შენისთანა ახალგაზრდისათვის ეს კეშა-ფერიშვილი ხელობაა, მოდი ხვალ რედაქციამი.

დილაადრიან უკე იქ ვიყავი.

— ვაზოებს ვაპყიდი, საღამოობით კი სკოლაში ივლი. ზარმაცი ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო.

— აბა, ვნახოთ!

მეორე დღეს გაზეთებით სავეს ჩანთით ქუჩაში გამოვედი. ერთ კვირაში გაზეთების გაყიდვის საუკუნარი მეთოდო გამოვიმუშავე:

მკითხველს გაზეთს რომ მივაწოდებდი, განადაველოდებოდი, ჯიბეებს როდის მოიქექავდნენ? არა, შურდულივით მივეპროდი მეორე ქუჩაზე, უკან ჩამოვიტოვებდი გაზეთის გამოღველ სხვა ბიჭებს, კუდში რომ მომდევოდნენ. როგორც კი დავეცდილი ჩანთას, ნელა ნელა ჩამოვუყვებოდი ჩემს მუშტრებს. აბა, რომელი მათგანი იკადრებდა გაზეთის საფასური არ ვადაეხადა? მერე ნავსადგურში მივდიოდი და კეშას გაზეთს ვუყიბავდი.

ერთხელ გაზეთის სამდივოს გამგემ ჩემი თავი საღამოს სკოლის დირექტორს ჩააბარა, თქვენ იცით და ამანო. მაღე კი პირველი ჯამაგირი ავიდე, სახელმძღვანელოები და თბილი ბლუზა ვიყიდე, ხოლო დედაჩემს პირველი თუმნინაი ვაგუზავანე.

შემდეგ წლის მაისში ფოსტალიონობა დავიწყე, უკანასკნელ კლასში ჩემთან ფოსტის თანამშრომელი ალიოშა მიტროხინი სწავლობდა. ის ჩვენი კომკავშირის უჯრედის მდივანი იყო; აციებდა და მუდამ ბაიასავით ყვითელი დადიოდა. ჰოდა, ერთხელ ალიოშამ მითხრა:

— ვიორგი, შეგნებულ ბიჭი ჩანხარ, კომკავშირელი კი არა ხარ!

მიტროხინმა ჩემს პოლიტიკურ განათლებას რამდენიმე საღამო მოანდომა. რაღა ვაგვარებო, დადა კომკავშირში მიღების დღე, მე წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ იღებდნენ ახალგაზრდებს კომკავშირში. არავითარი ანექტა არ შემივსია. განცხადების ტექსტი მიტროხინმა მიკარნახა.

წავედი აბანოში, მერე გავიპარსე და საგარეო ტანსაცმელი ჩავიცვი.

— მოუყევი კრებას შენი ბოვრაფია! — მითხრა ალიოშა მიტროხინმა. ციკმა ოფლმა დამასხა, ვერ მიხვდი, რას მეუბნებოდნენ.

— მოვეყევი შენი ცხოვრება, თავგადასავალი: ვინ არიან შენი მშობლები, სად მუშაობდი, რას აკეთებდი! — ამიხსნა ალიოშამ.

მე დავიწყე მოყოლა, მერე ილარიონი ვახსენე — ყაბის მხარშივე, ამირანიც, ანტონ მღვდელიც...

შეგხედე, ყველა სულგანაბული მისმენდა, ბიჭოს, მოსწონთ-მეთქი და მივაყოლე და მივაყოლე ტყუილი და მართალი... ბიჭები გულიანად იციროდნენ.

მიტროხინმა შემაჩერა, ცოტა მოკლედ თქვით, მაგრამ ამაზე მთელი დარბაზი აყვირდა: „აქალეთ, ყველაფერი გვიამბოს! არ აჩქარდე, გიორგი!“

ერთი სიტყვით, ჩემი თავგადასავალი კრებას თავიდან ბოლომდე ჩაეუკალო.

— სად არის ახლა ამირანი? — ხმამალა მკითხეს უჯრედის წევრებმა.

მე ვუპასუხე. ბოლოს, მიტროხინმა ჩემს განცხადებას კენჭი უყარა.

— მივილოთ! მივილოთ! — ყვიროდნენ კრების მონაწილენი. ერთხმად მიმიღეს.

როცა მე უკვე კავშირგაბმულობის ფორმის ქუდი მეხურა, ამირანი მაშინ ჩამოვიდა სოხუმში, ბიძას გამოქცევდა.

თოვლივით ქათქათა აბრეშუმის პერანგი, მოღაში შემოსული ხავერდის ქურთუკი და წვრილცხვირიანი ფეხსაცმელი ეცვა.

— რა მოხდა, ბიჭო, არ მეტყვი? — შევეკითხე ამირანს.

— რა გითხრა, ძმაო, ბიძაჩემს გამოგვექცი. კინაღამ დამკლა სახალწლო ღორივით. თურმე იპოდრომზე სამუშაოდ იმიტომ მომამწყო, რომ ჩემგან გაეკო, ოღონდ რომელი ცხენი გაიმარჯვებდა. თამაშობდა თურმე!

— რას თამაშობდა, ბიჭო!

— რასა და დოღის დროს ცხენებზე ლატარის თამაშობენ და ამით ფულს იგებენ, გიიგე?

მე მაინც ვერაფერი გავიგე.

— ერთხელ ყოყიმ მითხრა, ქალაქში წახვალ, რუსთაველის პროსპექტზე რომ საკონდიტროა, იქ შეხვალ და საკონდიტროს პატრონს ბოჩკოვსკის იკითხავ. ერთ სიტყვას ეტყვი მხოლოდ — „ამპირ“. ის ყველაფერს მიხვდება. გაიგე? მეტი არაფერი.

მეც წავედი და ბოჩკოვსკის კუთხარი — „ამპირი“-მეთქი. მან ხუთი მანეთი მანუქა. ამ ფულით დიდებიანი ფეხსაცმელი ვიყიდე. აი ისეთი, გახსოვს, სილოვან ჯიქიას რომ ჰქონდა? გამოვიწყვე, მივედი ბიძაჩემთან და იმასაც გავანდე, „ამპირი“-მეთქი. ბიძაჩემმაც ამპირზე დასდო სანაძლეო, მოივღ და ათი მანეთი იმანაც მანუქა. მეორედ მარტინმა მითხრა — „აელიტო“, მართლაც აელიტამ ყველას გაუსწრო. ბოჩკოვსკიმ ამჯერად თხუთმეტი მანეთი მომცა. ბიძაჩემმა — ათი. თანაც შუბლზე მაკოცა და მითხრა: — ბიჭო შენისთანა უნდაო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როგორც იქნა, ბიძაჩემი გადიმებულ დავინახე. გადიმებულა კი არა, ღლინიც წამოიწყო. ოთახში კმაყოფილი დადოდა და თან ავეჯს ათვალეობდა. მერე სახლში ვილაკეები მოვიდნენ. ერთ ხანს რაღაცაზე ივაკრეს და ბევრი ძვირფასი ნივთი წაიღეს.

ბიძაჩემი ფულს თვლიდა და კმაყოფილი ღლინებდა.

ჩატომ გაყიდე-მეთქი, როცა ვკითხე, ეშმა-

კურად გაიღიმა და მითხრა, მაგი არაა შენს საქმე. მთავარია, დროზე შემატყობინო, რაიმე უნდა გეცხადოს.

მეორე დღეს მარტინმა მითხრა, „ამპირის“ გამოარჯვებუ. ბოჩკოვსკისკენ გავწიე, გზაში ამხანაგები შემხვდნენ. რესტორანში შევეუხეეთ. სიმთვარისგან ფეხზე რომ ვეღარ წამოვდეთ, ჩემი საქმე მაშინ გამახსენდა. ამხანაგებმა საკონდიტრომდე მიმიყვანეს.

ბოჩკოვსკიმ გამოხედა და ცალკე გამიყვანა. ცხენის სახელი ვეღარ გავიხსენე. ბოლოს როგორც იქნა ამოვღერლე „ამპირი“ გაიმარჯვებულ-მეთქი. ბიძაჩემსაც იგივე მოვახსენე. მეორე დღეს თავში მაშინ დამეცხვლა, როცა პირველობა „პერმისმა“ მოიპოვა. ის ჩემი ცოდვით სავსე „ამპირი“ ბოლოში მიჩინა ჯალდა.

სალამოს ბიძაჩემთან მივედი. ვადაფიორებულ ბიოლოგში საწოლზე დამხვდა მისცენებლი, შუბლზე სველი პირსახოცი შემოთქრა. არც ბიძაჩემს ედო ადამიანის ფერი. იჯდა და მკერდს მგლოვიარე ქალივით იხოკავდა. შინამოსამსახურემ ჩურჩულით მითხრა, ახლავე მოკიდე ხელი შენს კალათს და გაასწარი, თორემ ბიძაშენს მოსაკლავად მაგიდაზე ვალეხილი დანა ურევდა.

მე, რა თქმა უნდა, ასეც მოვიქეცი, ოღონდ იპოდრომზე გავექანე საბოლოო ანგარიშის ასაღებად. იქ მარტინი მეცა:

— მე „ამპირი“ გითხარი, შე გამოთაყვანებულა? ბამბა გეღო ყურებში, „ამპირის“-მეთქი რომ გუუბნებოდი, ა?

— თქვენ „ამპირი“ მითხარით!

— სტყუი.

— მატყუარა შენა ხარ!

მარტინი მათრახით გამომიდგა, მაგრამ რას დამეწეოდა! იმ საღამოს ფოთის მატარებელზე ბილეთი ავიღე. ფოთიდან კი გემით წამოვედი. მთელი დღე და დამე არაფერი მიჭამია. ხახვივით შერჩაო ჩემი ჯამაგარი.

ამირანი რომელიღაც გემზე მოეწყო სამუშაოდ. სოხუმიდან ისე გაემგზავრა, არც კი გამიცილებია. რა მეგონა, თუ სამი თვე მის ასავალ-დასავალს ვერ გავიგებდი.

სამი თვის შემდეგ კი დილაადრიან დამადგათავს, კობტად ჩატეული იყო, თავზე ჭილის ქუდი ეხურა.

— საიდან ჩამოხვედი, ბიჭო?

— ოდესიდან.

— ამ სამ თვეში ერთი წერილი ვერ მომიწერე?

— მინდოდა სახელოვანი კაცი ჩამოვსულიყავი.

— მერე, მიადწიე საწადელს? შენს ტანსაცმელს თუ დაეჯერება, მგონი კი...

იასონ გერსამია

უკანასკნელი მანეთიანი

— ეჰ, ტანსაცმელს რა ჰქუა აქვს.

— სულ გემზე იყავი?

— სულ. ოდესიდან ხერსონში მივეცურავდი და პირიქით, საზამთროს ვეზიდებოდი ბაზარში. იალქნიან გემზე მოვეწყვე. მერე მალაზიაში ვემუშაობდი, ცირკსაც მივაკითხე, აკრობატობა მინდოდა. არც მაგაშია რამე სახეირო — მთელი დღეებით რეპეტიციები და ღერძზე ტრიალი... რაც მთავარია, შენ მომენატრე, ჩემო გიორგი.

მეტი რა გზა მქონდა? მივედი ჩემს მწყალობელ ნიკოლოსთან. მოვუყევი ამირანის ამბავი.

— კარგი, გამომიგზავნე ის შენი ამირანი და სამუშაოს ვუშოვნი, — დამამიჟდა მან. ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ ამირანი გაცეცხლებული დაბრუნდა შინ (ჩემთან ცხოვრობდა) და კატეგორიულად გამომიცხადა:

— იქ წამსვლელი აღარ ვარ, ეს რა სამუშაოა? დაარიგე ვაზეთები, მთელი დღე იმ სოროში იჯექი, მერე ზიდე ქალაღი სტამბაში. შეჰკარი, ვახსენი, შეჰკარი, ვახსენი, ფურცელ-ფურცელ ითვალე. მეორე დღეს დილის ხუთ საათზე ისევ დაჯექი სოროში, არა, ძმაო, მეყოფა, მორჩა!

— იქნებ რედაქტორობა გირჩევიან?

— კი ცდიდა კაცი. არაფერი ისეთი ძნელი არაა, წაიკითხავ ვაზეთს, ხელს მოაწერ და სტამბაში ვაგზავნი. რა უნდა, ბიჭო, ამას? — სერიოზულად მითხრა ამირანმა.

— მეც ასე მგონია, მაგრამ სამისოდ რამე ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეს კაცს!

— საქმეში ხარ ერთი შენიც! ახლა სწავლას შევკლავ თავს. მომამწყვე ფოსტალიონად! სუფთა ჰაერზე მაინც ვივლი. ხალხიც მადლიერი მეყოლება.

ბოლოს მაინც დავეხმარე ამირანს. ისევ ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა.

ერთ დღეს პარტიის საქალაქო კომიტეტში დამიბარეს და მითხრეს: სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო გვთხოვს, რამდენიმე აქტიური კომკავშირელი მათ განკარგულებაში

გავგზავნოთ, ჩვენ შენ დავასახელოთ, რა სკამა უნდა, თუ თანახმა ხარო! და ყველაფერი დაწერილებით ამიხსნეს:

— ამაღამ თქვენ (განყოფილების უფროსის კაბინეტში ჩემს გარდა კიდევ ერთი ახალგაზრდა იჯდა) ერთი ბანდიტი უნდა დაიჭიროთ. ორივენი წახვალთ. ბანდიტი მეტად საშიშია, გამოცდილი, ღამის 12 საათზე აქ მოხვალთ, მოგცემთ იარაღს და გაჩვენებთ, სად იმალება დამნაშავე. ჰო, თან იქონიეთ მაგარი თოკი, ბანდიტის შესაკრავად. ვასაგებია?

— ვასაგებია!

— ხომ არ გეშინიათ?

— როგორ გეკადრებათ!

სიმართლე რომ გითხრათ, შიში მართლაც არ გამივლია გულში, სითამამე, მადლობა ღმერთს, ბავშვობიდანვე არ მაკლდა, თორემ შუალამისას სასაფლაოზე რა წამიყვანდა!

მალაზიაში თოკი ვიყიდე. უკვე თორმეტი იყო დაწყებული, იმ ახალგაზრდას რომ გავეუარე. ვხედავ, ის საწოლზე ვაშხლართულა და კენესინ:

— ავად ვარ, ძმაო, ვკვდები, რაღაცამ მაწყინა.

— წამოდი, თავს ნუ იჭრი, იქ წამალს დაგაღვიძებ! — ვეხვეწებოდი მე.

— ვერ წამოვალ, არ შემიძლია, ვკვდები!

მე მივხვდი, რა მუცლის გვრემაც ასტეხოდა. რაღას ვიზამდი, მარტო წავედი. უფროსმა შემხედა და გაეღმა:

— ბანდიტის დაჭერაზე ვიხუმრეთ. თქვენი გამოცდა გვეინდოდა და სწორადაც მოვიქციეთ. ხვალ შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობაზე გაავაგზავნით რწმუნებულის თანაშემწედ. დილით ფორმასა და იარაღს მიიღებთ, დარწმუნებული ვარ, თქვენს მოვალეობას კარგად შეასრულებთ.

ასე შეტრიალდა ჩემი ცხოვრება. როგორც იქნა, გზას დავადექი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩემს თავგადასავალსაც ბევრი ახალი ფურცელი მიემატა. ამაზე ალბათ მომავალში ვაიმბობთ.

ქურნალი ვაფორმა მხატვარმა
გიორგი როინიშვილმა

ტექნიკური რედაქტორი მედეა ზონია

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახამდე, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პარკი. № 91.

ბალეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პ/მ მდივნის — 5-08-86, განყოფილებაზის: კრიტიკისა და კუპალიტისტიკის — 5-08-85, კოაჩინისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VII-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 796. უე 03360. ქალაღის ზომა 70×108. ტირაჟი 8.500.



კობლა



დათუნია დრუნია



ფაქობიანი კობი



ფობიანი



ფობიანი კობი ფობიანი კობი



03060 60 553.

ՀԱՅԿԱՅԷՆ
ՆԵՐՍԻՍԻԱՆ



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236